

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
რუსეთის ისტორიის კათედრა

ისტორიის სადოქტორო პროგრამა

**XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიები და ნაციონალური საკითხი
საქართველოში**

თამთა თხელიძე

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ რუსეთის ისტორიის კათედრის
ასოც. პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
დალი კანდელაკი

თბილისი

2025

აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს კომპლექსურ კვლევას, რომელიც ფოკუსირებულია საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესებზე 1920-1930-იან წლებში, ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა დიდი წმენდის, ნაციონალური საკითხისა და ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობის ანალიზისს.

თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მიუხედავად სტალინური ტერორის თემის ფართო საერთაშორისო კვლევისა, საქართველოში ამ პერიოდის სიღრმისეული ანალიზი, რომელიც გააერთიანებს როგორც ცენტრალური დირექტივების, ისე ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების ინტერესების გამოკვლევას, დღემდე არასაკმარისადაა შესწავლილი. დისერტაცია ავსებს ამ სამეცნიერო სიცარიელეს და საქართველოში დიდი ტერორის, როგორც ცენტრალიზებული, ასევე ლოკალური სპეციფიკის გაანალიზებით ქმნის ახალ კვლევით ნიშას.

ნაშრომის მიზანი არის ტერორის მმართველობის სისტემურ ინსტრუმენტად გადაქცევის კვლევა და ანალიზი, რომელმაც საქართველოში არა მხოლოდ ცენტრიდან წამოსული დირექტივების აღსრულებას, არამედ ადგილობრივი პოლიტიკურ დაპირისპირებებს, ანგარიშსწორებასა და შურისძიებას შეუწყო ხელი.

ამოცანები მოიცავს:

– დიდი წმენდის წინარე ეტაპების, კერძოდ, 1921–1924 წლების მენშევიკებისა და სხვა ოპოზიციური ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიული პოლიტიკის ანალიზს;

– 1930–1933 წლების ეკონომიკური გარდატეხის, კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესების, ასევე მათი სოციალური და იდეოლოგიური შედეგების შეფასებას;

– საბჭოთა იდეოლოგიის ტრანსფორმაციის კვლევას კარლ მარქსის იდეებიდან სტალინურ ტოტალიტარიზმამდე;

– ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობის დინამიკის გამოვლენას ნაციონალური პოლიტიკის ჭრილში;

– რეპრესიების მსხვერპლთა საქმეთა გადახედვის შედეგებისა და ბრალდებების რეალური საფუძვლების გამოკვლევას.

კვლევის ობიექტია საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური სისტემა და საზოგადოებრივი სტრუქტურები, ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს დიდი წმენდის, ნაციონალური პოლიტიკისა და რეპრესიული მექანიზმების მოქმედება საქართველოში 1920–1930 წლებში.

დისერტაციაში გამოყენებულია სხვადასხვა წყარო და მეთოდი, მათ შორის: 1933–1938 წლების ქართული პრესის მასალები, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ცენტრალური არქივის დოკუმენტები, ოჯახის წევრთა ზეპირი ისტორიები და მემუარები, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის სამეცნიერო ნაშრომები. წყაროთა შედარებითი ანალიზი და დისკურსის ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს როგორც ოფიციალური პოლიტიკის, ისე ლოკალური პროცესების რთული ურთიერთქმედება.

სამეცნიერო სიახლე გამოიხატება ტერორის ლოკალური განზომილების დეტალიზებულ ანალიზში: როგორ იყენებდნენ ადგილობრივი პარტიული და სამთავრობო სტრუქტურები ტერორს საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისა და პოლიტიკური კონკურენტების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, რაც აქამდე საკმარისად განხილული არ ყოფილა.

ძირითადი შედეგები აჩვენებს, რომ დიდი წმენდა საქართველოში იყო არა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის მექანიკური გაგრძელება, არამედ ეროვნული პოლიტიკის, სოციალური ტრანსფორმაციისა და შიდა პოლიტიკური პროცესების კომპლექსური პროდუქტი. კვლევა ამტკიცებს, რომ რეპრესიის მსხვერპლთა მიმართ წაყენებული ბრალდებები ხშირ შემთხვევაში არ ემყარებოდა რეალურ ფაქტებს და ძირითადად იყო პოლიტიკურად მოტივირებული.

თემა კვლავ რჩება აქტუალურ საკვლევ საკითხად არა მხოლოდ ისტორიული ჭეშმარიტების დასადგენად, არამედ საბჭოთა მემკვიდრეობის გააზრებისთვის, საზოგადოებრივი მეხსიერების ფორმირებისა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისითაც. ნაშრომი, ასევე, ქმნის საფუძველს მომავალში საქართველოს უახლესი ისტორიის სხვა საკვანძო მოვლენების სისტემური კვლევისთვის.

Abstract

This dissertation presents a comprehensive study focused on the political transformation of Soviet Georgia between 1921 and 1930, with particular attention to the Great Purge, the national question, and the dynamics of center–periphery relations.

The relevance of the topic lies in the fact that, despite extensive international scholarship on Stalinist terror, an in-depth analysis of this period in Georgia one that integrates both central directives and the interests of local political elites remains underexplored.

This dissertation addresses this scholarly gap by offering a new research perspective through an examination of both the centralized and locally specific characteristics of the Great Terror in Georgia. The principal objective of the study is to analyze how terror became a systemic instrument of governance in Georgia, serving not only the implementation of directives from the center but also facilitating local political rivalries, score-settling, and personal vendettas.

The main research tasks include:

- Analyzing the preconditions of the Great Purge, particularly the repressive policies targeting Mensheviks and other opposition groups from 1921 to 1924;
- Assessing the economic shift of 1930–1933, with a focus on collectivization and industrialization, along with their social and ideological implications;
- Exploring the transformation of Soviet ideology from the ideas of Karl Marx to Stalinist totalitarianism;
- Revealing the dynamics of center–periphery relations through the lens of Soviet nationalities policy;
- Investigating the outcomes of posthumous case reviews of repression victims and evaluating the validity of the charges brought against them. The object of the research is the political system and social structures of Soviet Georgia, while the subject of the study is the implementation of the Great Purge, national policy, and repressive mechanisms in Georgia between 1921 and 1930.

The dissertation draws on a wide range of sources and methodologies, including press materials from 1933 to 1938, documents from the Ministry of Internal Affairs and the

Central Archives, oral histories and memoirs of victims' family members, as well as scholarly literature from both Soviet and post-Soviet periods. Comparative and discourse analysis of these sources enables a nuanced understanding of the complex interplay between official policies and local practices.

The dissertation's scholarly contribution lies in its detailed analysis of the local dimensions of terror specifically, how local party and governmental structures utilized repression to consolidate power and eliminate political rivals.

This aspect of Soviet terror remains insufficiently addressed in existing scholarship. The core findings demonstrate that the Great Purge in Georgia was not merely a mechanical extension of central policy but rather a complex outcome of national policy, social transformation, and internal political processes. The research confirms that the majority of charges brought against repression victims were not based on factual evidence but were instead politically motivated.

This topic remains highly relevant not only for establishing historical truth but also for understanding the legacy of Soviet rule, shaping public memory, and restoring historical justice. Furthermore, this study provides a foundation for future systematic research into other key episodes of Georgia's recent history.


სარჩევი

შესავალი.....	1
I თავი-ეროვნული საკითხი და ცენტრალური კონტროლი:საქართველოს გასაბჭოების პოლიტიკური რეალობა	
§1.1. სოციალისტური იდეები და იმპერიული პრაქტიკა: საქართველოს გასაბჭოების კონტექსტი და ეროვნული საკითხი.....	14
§1.2. ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკური ელემენტების წინააღმდეგ. რევოლუციური კომიტეტის შექმნა და მუშაობა საქართველოში.....	18
§ 1.3. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის საკითხი და პირველი განხეთქილება ქართველ ბოლშევიკებს შორის.....	29
II თავი - ეკონომიკური გარდატეხა და პოლიტიკური ბრძოლა: ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია და სტალინიზმის ფორმირება საქართველოში	
§ 2.1. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაცია. პარტიული დაპირისპირება	47
§ 2.2. ინდუსტრიული პოლიტიკის დაწყების წინაპირობა	56
§ 2.3. კოლექტივიზაციის პოლიტიკა საქართველოში	61
§ 2.4. სტალინი და სტალინიზმი. ისტორიის გაყალბება	74
III თავი - დიდი ტერორი საქართველოში: ცენტრის დირექტივა, ნაციონალური ბრალდებები და ადგილობრივი ინიციატივა	
§ 3.1. მტრის ხატის კონსტრუირება: პარტიული დაპირისპირება და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლა	83
§ 3.2. ზემოდან - ქვემოთ მოსკოვის დირექტივა და ნკვდ-ს ოპერაცია საქართველოში	93
§ 3.3. ბუღუ მდივანისა და საქართველოს სხვა პარტიული ლიდერების საჩვენებელი გასამართლება	112
§ 3.4. ნესტორ ლაკობა საბჭოთა პოლიტიკურ კონტექსტში: 1930-იანი წლების მოვლენები აფხაზეთში.....	138
§ 3.5 ქვემოდან ზემოთ - ადგილობრივი ინიციატივა და პირადი ვენდეტა	149
დასკვნა.....	160
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა	167




¹ „ტარტაროზი“, №7, 16 თებერვალი, 1930.რედ. სარ კოლეგია : ვაზ. „მუშას“ გამოცემა. გვ. 16. ფოტო.
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/280996/1/Tartarozhi_1930_N7.pdf.


ცხრილი N1: კოლმეურნეობებში 1928-1937 წლებში შემავალ მოქალაქეთა რაოდენობა (გვ. 94)



ცხრილი N2 ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა გვ. 93



ცხრილი N3: გურია, მახარაძის რაიონის კოლმეურნეობაში გაშენებული ჩაის პლანტაცია 1921-1937 წლები. (გვ. 94)



აბრევიატურები და შემოკლებები

ასს - აფხაზეთის სახალხო საბჭო

ასსკ - ამიერკავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისია.

აასსრ - აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

ასფსრ - ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა

მგბ – სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტრო (Министерство государственной безопасности)

მვდ – შინაგან საქმეთა სამინისტრო

ოგპუ (ОГПУ) - სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო

სკპ (ზ) - საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკები)

ვციკი (ВЦИК) - სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი

ზაკკრაიკომი(Заккрайком) - ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი

კავბიურო (Кавбюро) - რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის ბიურო

ნეპ-ი (НЭП) - ახალი ეკონომიკური პოლიტიკა

ნკვდ – სახალხო კომისართა საბჭო (Народный комиссариат внутренних дел – საბჭოთა უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანო)

ობკომი (Обком) - კომპარტიის საოლქო კომიტეტი

ოზაკომი (ОЗАКОМ) - ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი

რევკომი - რევოლუციური კომიტეტი

ჩეკა(ЧК) - საგანგებო კომისია

ცეკა - ცენტრალური კომიტეტი

ცსს (ЦСУ) - ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ВСНК - სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

ტორგპრედ (Торгпред) - საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის წარმომადგენელი

ალჟირი (АЛЖИР) - აკმოლის ბანაკი სამშობლოს მოღალატეთა ცოლებსთვის

შესავალი

თემის აქტუალობა და მნიშვნელობა

საბჭოთა ისტორიის კვლევა დღეს საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სფეროა, რომელიც ერთდროულად სამეცნიერო, მორალური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ეყრდნობა. სტალინური ტერორისა და საბჭოთა რეპრესიების ისტორიის გააზრება მხოლოდ წარსულის გახსენება არ არის. ეს არის თანამედროვე ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების თვითშეგნების, ისტორიული სამართლიანობისა და დემოკრატიული კულტურის განვითარებისთვის აუცილებელი პროცესი.

1921–1930- იან წლებში საქართველომ განიცადა მასშტაბური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაცია: პირველი რესპუბლიკის დამხობიდან მასობრივ კოლექტივიზაციამდე, ნაციონალური პოლიტიკიდან დიდი წმენდის ტრაგიკულ მოვლენებამდე. ეს პროცესები არა მხოლოდ საბჭოთა ცენტრიდან წამოსული დირექტივების მექანიკური აღსრულება იყო, არამედ ადგილობრივ დონეზე ძალაუფლების კონფიგურაციის, პოლიტიკური ანგარიშსწორებისა და სოციალური რეალობისთვის მორგებული პოლიტიკის შედეგი.

თემის აქტუალობას განსაკუთრებულად აძლიერებს ის, რომ საბჭოთა წარსულის გააზრება ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ დაუსრულებელი პროცესია. არქივების ნაწილის დახურული სტატუსი, ისტორიული დისკურსის ფრაგმენტულობა და საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობრივი ტენდენციები - ერთი მხრივ, ბელადის ფიგურის რომანტიზაცია, მეორე მხრივ, ისტორიული კრიტიკის ზრდა ქმნის აუცილებლობას, საფუძვლიანად შევისწავლოთ სტალინური ტერორის ბუნება, მექანიზმები და შედეგები როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ კონტექსტში.

კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმითაც, რომ საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა, მათი სოციალური წარმომავლობა და ბრალდებების რეალური შინაარსი დღემდე სრულად დაუდგენელია. არ არსებობს დახვრეტილთა ერთიანი სია, დამარხვის ზუსტი ადგილები ან სტატისტიკური

ანალიზი მსხვერპლთა ვინაობის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ისტორიის ობიექტურ გააზრებას. ამ ხარვეზის შევსება მნიშვნელოვანი ნაბიჯია როგორც მეცნიერებისთვის, ასევე საზოგადოების მეხსიერების პოლიტიკის ფორმირებისთვის.

თანამედროვე მსოფლიოში მსგავს პროცესებს ძლიერი საერთაშორისო პარალელები აქვს: გერმანიამ, როგორც ნაცისტური რეჟიმის მამხილებელმა ქვეყანამ, შექმნა მეხსიერების მუზეუმები, ელექტრონული ბაზები და სამეცნიერო ცენტრები, სადაც სისტემური ძალადობა და სახელმწიფო დანაშაულები დეტალურად არის გაშიფრული და წარდგენილი ახალი თაობებისთვის. საქართველოში კი მსგავსი ინსტიტუციური ან საგანმანათლებლო პრაქტიკა ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზეა და ხშირად მთლიანად არასამთავრობო სექტორის ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

კვლევის აქტუალობას ამძაფრებს ისიც, რომ „დიდი წმენდის“ კვლევა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, როგორ მოქმედებდა ტერორი არა მხოლოდ როგორც მოსკოვიდან მართვადი მექანიზმი, არამედ ადგილობრივი პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებისა და შიდა პარტიული ბრძოლის ინსტრუმენტი. ამით ნაშრომი ქმნის ახალ ხედვას სტალინური სისტემის ფუნქციონირებაზე პერიფერიაში და აჩვენებს, რომ პოლიტიკური რეპრესიები იყო არა მხოლოდ ცენტრალური ძალაუფლების ბრმა რეპრესიები, არამედ ადგილობრივი ელიტების მიერ გამოყენებული პოლიტიკური სტრატეგიაც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასევე იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ისტორიის კრიტიკული შესწავლა წარმოადგენს ისტორიული სამართლიანობის აღდგენის გზას: ესაა მსხვერპლთა სახელებისა და ბიოგრაფიების გადარჩენა, მეხსიერების დაბრუნება საზოგადოებაში და სახელმწიფოს მხრიდან წარსულთან მიმართებით პასუხიმგებლობის აღების მცდელობა.

თემის აქტუალობა განპირობებულია იმითაც, რომ საქართველოში საბჭოთა წარსულის გააზრება მხოლოდ ისტორიული ფაქტების დაზუსტება კი არ არის, არამედ ღრმა ეთიკური დებატების ნაწილი: ვინ იყო მსხვერპლი, ვინ - ჯალათი. როგორ უნდა შეაფასოს ისტორიულმა მეხსიერებამ ასეთ ტრაგიკული ეპიზოდები. ეს კითხვა განსაკუთრებით მძაფრად წამოიჭრა ბოლო წლებში, როდესაც თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე განთავსდა რეპრესიული სისტემის მიერ მსჯავრდებულის მემორიალური ნიშანი, რომელიც თავად იყო ხელისუფლების წარმომადგენელი.

საზოგადოებაში აზრი გაიყო მსხვერპლისა და ჯალათის განსაზღვრების საკითხთან მიმართებით.

ამრიგად, ნაშრომის თემის აქტუალობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ისტორიული მოვლენების აღდგენით: იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ისტორიული მეხსიერების, პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და ეროვნული იდენტობის გაძლიერების რთულ და დაუმთავრებელ პროცესში.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია საბჭოთა საქართველოს 1920–1930 წლებში განხორციელებული სტალინური რეპრესიების, ნაციონალური პოლიტიკისა და პოლიტიკური ტრანსფორმაციების კომპლექსური ანალიზი რეგიონული და ცენტრალური დონის ურთიერთდამოკიდებულების კრილში. ამით შეიქმნება საფუძველი როგორც ისტორიული ჭეშმარიტების ობიექტური აღქმისთვის, ასევე თანამედროვე საზოგადოების ისტორიული მეხსიერების ხარისხიანი ფორმირებისთვის.

ამ მიზნის მიღწევისათვის დასახულია შემდეგი **ამოცანები**:

- ✓ 1921–1924 წლებში ანტიბოლშევიკური რეპრესიული პოლიტიკის ტენდენციებისა და მათი შედეგების კვლევა საქართველოს პირველ რესპუბლიკასთან მიმართებაში;
- ✓ 1930-იანი წლების ეკონომიკური პოლიტიკის, კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის გავლენის შეფასება რეპრესიების მასშტაბსა და ხასიათზე;
- ✓ ნაციონალური საკითხის ევოლუციის გაანალიზება საბჭოთა პოლიტიკაში და მისი გავლენა რეგიონულ პრინციპებზე და ძალაუფლების გადანაწილებაზე;
- ✓ დაადგინოს, თუ როგორ გამოიყენებოდა რეპრესიული პოლიტიკა როგორც ცენტრალური ინსტრუმენტი, ასევე ადგილობრივი პარტიული ინტერესების ასამოქმედებლად;
- ✓ რეპრესიების მსხვერპლთა სოციალურ-ეთნიკური პროფილის და ბრალდებების შინაარსის გაშუქება ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით;
- ✓ საქართველოში საბჭოთა რეპრესიების კვლევის სიძნელების წარმოდგენა და ისტორიული მეხსიერების პოლიტიკაზე მათი გავლენის შეფასება;

✓ სამეცნიერო რეკომენდაციების შემუშავება საბჭოთა წარსულის გასაგებად და თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მისი ადგილის განსაზღვრისთვის.

სამეცნიერო სიახლე

ნაშრომი შეიტანს მნიშვნელოვან სამეცნიერო სიახლეს როგორც თემის ე.წ. „ლოკალური განზომილების“ გააზრებაში, ისე საბჭოთა სისტემის რეპრესიების პოლიტიკური და სოციალური მექანიზმების ინტეგრირებულ გაანალიზებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია:

✓ დიდი წმენდისა და ნაციონალური პოლიტიკის რეგიონული სპეციფიკის შესახებ ახალი სისტემური ხედვის ჩამოყალიბება;

✓ პოლიტიკური რეპრესიების მოქმედების მულტიკომპლექსურობა როგორც ცენტრის მიერ კონტროლირებადი ინსტრუმენტი, ისე ადგილობრივი ელიტების ძალაუფლების კონსოლიდაციის საშუალება;

✓ რეპრესირებული მოსახლეობის ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიების დივერსიფიკაცია, რაც სრულყოფს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა პროფილის მრავალფეროვან აღქმას;

✓ ხელმისაწვდომი წყაროების კრიტიკული გადამოწმება, მათ შორის პირადი მემუარებისა და ზეპირი ისტორიების ინტერპრეტაცია, რაც ხელს უწყობს ისტორიული ფაქტების დაზუსტებას და ეჭვქვეშ დაყენებულ ბრალდებათა გადაფასებას;

✓ საბჭოთა რეპრესიების კვლევის წინაღობათა და არქივების შეზღუდულობის ანალიზი, რაც მეტ ინფორმაციულ გამჭვირვალობასა და სამეცნიერო დისკუსიის გაღრმავებას უწყობს ხელს;

✓ კვლევის მეთოდოლოგიური ინტერდისციპლინურობა, რომელიც აერთიანებს ისტორიულ, პოლიტიკურ, ეთნოლოგიურ და მეხსიერების კვლევას, რაც ხელს უწყობს თემის მრავალმხრივ გააზრებას.

ამგვარად, ნაშრომი არა მხოლოდ შეავსებს მნიშვნელოვანი ცოდნის სიცარიელეს ქართულ და საერთაშორისო ისტორიოგრაფიაში, არამედ მნიშვნელოვანწილად დაეხმარება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური დიალოგის გაღრმავებას საბჭოთა წარსულთან მიმართებით.

კვლევის ობიექტი და საგანი

კვლევის ობიექტი არის სტალინური ტერორი, საბჭოთა რეპრესიები და ნაციონალური პოლიტიკა საქართველოში 1920-1930-იან წლებში, მათ შორის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროცესები, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა სისტემის ცენტრალურ და რეგიონულ ურთიერთქმედებას.

კვლევის საგანი კი არის სტალინური რეპრესიების განხორციელების ფორმები, მექანიზმები, მიზნები და შედეგები საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ასევე დიდი წმენდის პროცესში ნაციონალური საკითხის როლი და გავლენა პოლიტიკური ტრანსფორმაციებისა და სოციალური სტრუქტურების ცვლილებაზე.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ემყარება ინტერდისციპლინურ, ისტორიულ-ანალიტიკურ მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც საარქივო და დოკუმენტურ კვლევას, ისე ზეპირი ისტორიების, მემუარებისა და პრესის ანალიზს.

მეთოდოლოგიური მიდგომები მოიცავს:

- ✓ საბჭოთა და ქართული არქივების დოკუმენტების კრიტიკულ შეფასებას და გადამოწმებას;
- ✓ პრესის, პარტიული დოკუმენტაციის და საჯარო წყაროების შინაარსობრივ ანალიზს;
- ✓ პირადი მემუარების და ოჯახური ზეპირი ისტორიების ინტერპრეტაციას, რომელიც საშუალებას იძლევა, შეფასდეს რეალური მსხვერპლთა ხვედრი და მემორიების დაკვირვება;
- ✓ პოლიტიკური, ეთნოლოგიური და სოციალური ფაქტორების ურთიერთკავშირის ანალიზს, განსაკუთრებით ნაციონალური საკითხისა და პარტიული ძალაუფლების კონფლიქტის თვალსაზრისით;
- ✓ შედარებით-ისტორიულ პარალელებს სხვა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან, რაც ეხმარება საკითხის საერთაშორისოდ გააზრებაში.

მეთოდოლოგიური მრავალფეროვნება იძლევა საფუძველს, შევქმნათ სისტემური და კომპლექსური სურათი სტალინური ტერორისა და მისი ნაციონალური ასპექტების შესახებ საქართველოში.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

საბჭოთა კავშირში ტოტალიტარული რეჟიმის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ანალიზისათვის აუცილებელია ისეთი ფუნდამენტური ნაშრომების მიმოხილვა, რომლებიც „დიდი წმენდის“ კონტექსტს ფართო პერსპექტივაში განიხილავენ. სტეფან კურტუა, ნიკოლა ვერთი, ჟან-ლუი პანე და სხვა ავტორები წიგნში „კომუნისტის შავი წიგნი: დანაშაულები, ტერორი, რეპრესია“² გვაჩვენებენ კომუნისტური რეჟიმების მიერ ჩადენილი დანაშაულების სრულ სურათს. წიგნში განხილულია საბჭოთა ტერორის მასშტაბი. მასში „დიდი წმენდა“ მიიჩნეულია ტოტალიტარული პოლიტიკის ნაწილად. მიუხედავად იმისა, რომ წიგნში არ არის განხილული საქართველოში არსებული ვითარება, ის ქმნის საერთო თეორიულ და ისტორიულ ჩარჩოს.

ტიმოთი სნაიდერის ნაშრომის „სისხლიანი მიწები: ევროპა ჰიტლერსა და სტალინს შორის“³ განხილვის საგანს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიები, რომლებიც ორივე ტოტალიტარული რეჟიმის (ჰიტლერისა და სტალინის) მსხვერპლი გახდა. ნაშრომი გვიჩვენებს მასობრივი მკვლელობების, შიმშილობისა და დეპორტაციების ურთიერთკავშირს.

სტივენ კოტკინის ნაშრომი „მაგნიტური მთა: სტალინიზმი როგორც ცივილიზაცია“⁴ სტალინიზმს განიხილავს არა როგორც პოლიტიკურ რეჟიმს, არამედ როგორც სამოქალაქო პროექტს, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის შეცვლასა და ახალი საზოგადოების შექმნას. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა, „დიდი წმენდა“ განვიხილოთ, როგორც სოციალური ინჟინერიის ინსტრუმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა მოქალაქის ფორმირებას.

რიჩარდ პაიპსის ნაშრომი „რუსეთი სტალინის ბოლშევიკური რეჟიმის ქვეშ“⁵ ბოლშევიკური რეჟიმის ისტორიას ასახავს სტალინის მმართველობის პერიოდში. წიგნი დეტალურად განიხილავს პარტიის შიდა ბრძოლას, რეპრესიული აპარატის

² სტეფან კურტუა, ნიკოლა ვერთი, ჟან-ლუი პანე, ანდრეი პაჩკოვსკი, კარელ ბარტოსევი, ჟან-ლუი მარგოლენი. კომუნისტის შავი წიგნი: დანაშაულები, ტერორი, რეპრესია. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.

³ სნაიდერი ტ. სისხლიანი მიწები: ევროპა ჰიტლერსა და სტალინს შორის, მთარგმნელი გიორგი გურეშიძე, ფონდი: Heinrich Boll Stiftung South Caucasus. თბილისი: საუნჯე, 2014.

⁴ Kotkin Stephen. Magnetic mountain: Stalinism as a civilization, Berkeley: University of California Press, 1997.

⁵ Pipes richard. Russia under the bolshevik regime of stalin, New York: Vintage, 1995.

ჩამოყალიბებასა და ტოტალიტარული კონტროლის დამყარებას, რაც არსებითაა საბჭოთა ცენტრის პოლიტიკის გასაგებად.

დევიდ შირერის ნაშრომი „სტალინის სამხედრო სოციალიზმი, რეპრესიები და საერთო წესრიგი საბჭოთა კავშირში 1924-1953 წლებში“⁶ იკვლევს საბჭოთა კავშირში რეპრესიებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ურთიერთკავშირს. იგი აჩვენებს, თუ როგორი იყო რეპრესიები ინტეგრირებული საბჭოთა „სამხედრო-სოციალიზმის“ მოდელში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დიდი წმენდის“ მიზნებისა და შედეგების გასაანალიზებლად როგორც ცენტრში, ისე პერიფერიაში.

წიგნი „დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში“⁷ წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მკვლევრების მიერ საქართველოში ჩატარებულ ერთ-ერთ ყველაზე ვრცელ და ფუნდამენტურ კვლევას „დიდი ტერორის“ შესახებ. პირველ ტომში გაანალიზებულია ტერორის მექანიზმები, ნაშრომში გამოკვლეულია შინსახკომის მიერ წარმოებული სასობრივი ოპერაციები და ტერორის სპეციფიკა საქართველოში. მეორე ტომში გამოქვეყნებულია საქართველოში ჩატარებული დიდი ტერორის პერიოდის საარქივო დოკუმენტები.

ავტორები გვაწვდიან მასშტაბურ სტატისტიკურ მონაცემებს, სადაც გადასახლებულთა და დახვრეტილთა რაოდენობა თვეების მიხედვითაა დალაგებული. წიგნი წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიისათვის, რადგან მონაცემები წარმოდგენილია რელიგიურ, პოლიტიკურ, ეთნიკურ კატეგორიებად. ამასთან ერთად, გერმანელი და ქართველი ავტორები ცდილობენ, თანამედროვე ევროპელი ავტორების თეორიებზე დაყრდნობით ტერორის მოვლენის კლასიფიკაციასა და ახსნას.

საბჭოთა კვლევის ლაბორატორიის კრებული „დაკარგული ისტორია. მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ“⁸ წარმოადგენს რეპრესირებული ქალების ზეპირ ისტორიებს. რეპრესირებული ქალების ისტორიას ეხება „ალჟირის“

⁶ Ширер Р. Дэвид. Сталинский-военный-социализм.-Репрессии-и-общественный-порядок-в-Советском-Союзе-1924-1953-гг. Политическая энциклопедия. Москва. 2014.

⁷ იუნგე მ., თუმურაშვილი ო., ბონვენი ბ.,(შემდგენლები) ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. ორ ტომად. ტ. 1: დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში, 2015. ტ. 2: დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში, მთარგმნელი: ვლ. ლუარსაბიშვილი. 2015.

⁸ ბეჩიშვილი, ნ. რედაქტორი, დაკარგული ისტორია, მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ, თბილისი: sovlab, 2012.

პატიმართა პორტრეტები - სტალინიზმის ისტორიიდან⁹. ეს კრებული განიხილავს „ალჟირის“ ბანაკის პატიმართა ისტორიებს, რომელთა შორის ქართველი ქალებიც იყვნენ. ნაშრომი დეტალურად ასახავს რეპრესიების სისტემურ ხასიათს და მის გავლენას ოჯახის წევრებზე.

რამაზ სურმანიძის მონოგრაფია „ტრაგედია ბათუმში (1937-1938 წლები)“¹⁰. ფოკუსირებულია „დიდი წმენდის“ ადგილობრივ გამოვლინებაზე. რეგიონალური კვლევები უმნიშვნელოვანესია ცენტრის პოლიტიკის პერიფერიული განხორციელების სპეციფიკის გასაგებად, რაც ხშირად განსხვავდებოდა ცენტრალური დირექტივებისგან ადგილობრივი ფაქტორების გამო.

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის კრებული „პირისპირ ზეპირი ისტორიები საბჭოთა ტერორზე ოკუპაციიდან კოლექტივიზაციამდე 1921-1935“¹¹ შეიცავს ზეპირ ისტორიებს საბჭოთა ტერორის შესახებ 1921-1935 წლებში, რაც მოიცავს კოლექტივიზაციასთან დაკავშირებულ რეპრესიებსაც. ზეპირი ისტორიები პირველადი წყაროა, რომელიც საშუალებას აძლევს მკვლევარს, გაიგოს რეპრესიების მსხვერპლთა განცდების შესახებ და რეჟიმის გავლენა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი საკვანძო მიმართულებაა ნაციონალური საკითხის გააზრება საბჭოთა პოლიტიკის კონტექსტში, განსაკუთრებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე.

რონალდ გრეგორი სუნის ნაშრომი „ქართველი ერის ჩამოყალიბება“¹² განიხილავს, რა გავლენა მოახდინა საბჭოთა ნაციონალურმა პოლიტიკამ ქართულ იდენტობაზე. წიგნში კრიტიკულად არის გააზრებული საკითხი, თუ როგორ ცდილობდა ცენტრი ეროვნული საკითხის მართვას პერიფერიებში და რა რეაქციას იწვევდა ეს ადგილობრივ დონეზე.

⁹ ბექიშვილი, ნ. რედაქტორი. „ალჟირის“ პატიმართა პორტრეტები - სტალინიზმის ისტორიიდან, შემდგენელი: ნინო ლეჟავა, გამომცემლობა: ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო. 2008.

¹⁰ სურმანიძე, რ. ტრაგედია ბათუმში (1937-1938 წლები), რედაქტორი როინ მაღაყმაძე, თბილისი: ივერიონი. 2014.

¹¹ ხვადაგიანი, ი. პირისპირ Volume 1 ზეპირი ისტორიები საბჭოთა ტერორზე ოკუპაციიდან კოლექტივიზაციამდე 1921-1935, თბილისი: საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2019.

¹² სუნი, რ. გ. ქართველი ერის ჩამოყალიბება, მთარგმნელი: ქეთი ქანთარია. თბილისი: გამომცემლობა ზიარი, 2022.

ტიმოთი ბლოველტის მონოგრაფია „კლიენტელიზმი და ეროვნება ნესტორ ლაკობას საბჭოთა აფხაზეთში“¹³ დეტალურად იკვლევს ნესტორ ლაკობას როლს აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და კლიენტელიზმის ფენომენს საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის კონტექსტში. ნაშრომი უმნიშვნელოვანესია „ცენტრისა“ და „პერიფერიის“ ურთიერთობების, განსაკუთრებით კი ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსის, სტალინური პერიოდის ეროვნული პოლიტიკისა და ადგილობრივი ელიტების როლის გასაანალიზებლად.

ნაშრომში გამოყენებული საარქივო მასალა (ქართველი ბოლშევიკების პარტიის შიგნით ოპოზიციური კონტექსტში ბუდუ მდივნის საქმის ანალიზი) ნაწილობრივ ეყრდნობა იმ საარქივო დოკუმენტებს, რომლებიც პირველად დამუშავდა ჩემს სამაგისტრო ნაშრომში „ნაციონალ უკლონიზმი და ბუდუ მდივნის საქმე“ (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014 წ.). სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული საარქივო მასალა წინამდებარე დისერტაციაში უფრო ფართო კონტექსტში განიხილება.

შოთა ვადაჭკორია წიგნში „ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წწ)“¹⁴ განიხილავს ოსურ საკითხს საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და ადრეულ საბჭოთა პერიოდში. ეს ნაშრომი მნიშვნელოვანია იმ პოლიტიკური ფონის უკეთ გასააზრებლად, რასაც საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა ეფუძნებოდა.

ბეჟან ხორავასა და ნონა ჭანტურიას წიგნში „აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991“¹⁵ გაანალიზებულია საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია 1920-1930-იან წლებში საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის საკითხი. რაც მოიცავს როგორც პოლიტიკურ რეორგანიზაციას, ასევე ეკონომიკურ პოლიტიკას (ნეპი, კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია).

¹³ ბლაუველტი, ტ. კლიენტელიზმი და ეროვნება ნესტორ ლაკობას საბჭოთა აფხაზეთში. თბილისი: 2023.

¹⁴ ვადაჭკორია, შ. ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წწ), გამომცემლობა უნივერსალი, 2020.

¹⁵ ხორავა, ბ., ჭანტურია, ნ. აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991, გამომცემლობა უნივერსალი, 2019.

ლევან თოიძის ნაშრომი „საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923)“¹⁶ დეტალურად განიხილავს საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას ოკუპაციის შემდგომ პერიოდში - საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებს. ავტორი განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის ამიერკავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის შექმნას, ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტების“ მოღვაწეობას.

ავთანდილ გუნიას წიგნი „საქართველოს სსრ ინდუსტრია“¹⁷ აღწერს საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიულ განვითარებას. ის შეიცავს სტატისტიკურ მონაცემებს და აღწერს ინდუსტრიალიზაციის მიმართულებებს, რაც მნიშვნელოვანია საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების გასაანალიზებლად.

ვილიპე მახარაძის მოხსენება¹⁸ „უდიდესი გარდატეხის ხანა სოფლის მეურნეობაში“ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პირველად წყაროს კოლექტივიზაციის დასაწყისისა და მისი იდეოლოგიური გამართლების გასაგებად.

ლიდერებისა თუ რიგითი მოქალაქეების მოგონებები ავსებს ოფიციალურ დოკუმენტებსა და ისტორიულ კვლევებს, რაც საშუალებას გვაძლევს მოვლენების უფრო ფართო ანალიზისათვის: არაქელა ოქუაშვილის¹⁹ მოგონებები გვიჩვენებს რევოლუციონერის გამოცდილებას. მის ბრძოლის გზას. ასეთი ტიპის წყაროები უმნიშვნელოვანესია რეპრესიების, კოლექტივიზაციისა და ზოგადად საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ცხოვრების გასაგებად, რაც ხშირად ოფიციალურ დოკუმენტებში არ ჩანს. ისიდორე რამიშვილის²⁰ მოგონებები მნიშვნელოვანია არამხოლოდ ზოგადად საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების გასაგებად, არამედ საბჭოთა ოკუპაციის ადრეულ პერიოდის შესახებ. გერონტი ქიქოძის²¹ მოგონებები და ჩანაწერები გვაწვდის ინტელექტუალურ და პოლიტიკურ დაკვირვებებს საბჭოთა

¹⁶ თოიძე, ლ. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999.

¹⁷ გუნია, ავ. საქართველოს სსრ ინდუსტრია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი: 1972.

¹⁸ მახარაძე, ვ. უდიდესი გარდატეხის ხანა სოფლის მეურნეობაში. N18. „კოლექტივიზაცია“-ს ბიბლიოთეკა. თბილისი: 1930.

¹⁹ ოქუაშვილი, ა. ჩემი მოგონებები, რედაქტორი მედეა იმერლიშვილი; არასამთავრობო ორგანიზაცია „შენ დემოკრატიისთვის“, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია - SovLab. თბილისი: შენ დემოკრატიისთვის, 2017.

²⁰ რამიშვილი, ი. მოგონებები, რედაქტორი გელა საითიძე, თბილისი: არტანუჯი, 2012.

²¹ ქიქოძე, გ. მოგონებები; განთიადიდან შუადღემდე: სიტყვები და წერილები, თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1956.

პერიოდის შესახებ. მისი მოგონება ასახავს ეპოქის ატმოსფეროს, ინტელექტუალების დამოკიდებულებას რეჟიმის მიმართ და ცენტრის იდეოლოგიური ზეწოლის შედეგებს. კანდიდ ჩარკვიანის მოგონებები²², როგორც სტალინთან უშუალო ურთიერთობის მქონე პირის ჩანაწერები, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს „ცენტრის“ ფუნქციონირებისა და სტალინის პიროვნული გავლენის გასაგებად „პერიფერიების“ მიმართ. ახელ ენუქიძის²³ მოგონებებში გადმოცემულია მისი ცხოვრება, სადაც იოსებ სტალინი არ არის წარმოდგენილი როგორც ბელადი. წიგნში აქცენტები კეთდება საქართველოში რევოლუციური მოძრაობის დაწყებაზე და ქართული პოლიტიკური კლასის შექმნაზე. განსაკუთრებით საინტერესოა იოსებ მჭედლიშვილის²⁴ მოგონებები, რომელშიც ის ძალიან კრიტიკულად წერს ახალი პოლიტიკური რეალობისა და ქართველი მწერლების შესახებ. აღნიშნული მოგონებები ძალიან საინტერესოდ და კარგად გადმოსცემს იმ დროის ეკონომიკურ მდგომარეობასა და კრიზისს.

სადისერტაციო ნაშრომისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ოფიციალურ დოკუმენტებს, პერიოდულ გამოცემებს, პირველად წყაროებს, რომლებიც ასახავს საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალურ პოლიტიკას, პროპაგანდასა და რეჟიმის მოქმედებას.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი: ბუდუ მდივნის საქმე, ფონდი 6, ფონდი 16, ფონდი 14. ფონდები და საარქივო საქმეები შეიცავს სისხლის სამართლის საქმეებს, დაკითხვის ოქმებს, პერსონალურ დოსიეებსა და პარტიული ორგანიზაციების დოკუმენტებს. ისინი საშუალებას იძლევა, უშუალოდ შევისწავლოთ „დიდი წმენდის“ კონკრეტული შემთხვევები.

ასევე გამოყენებულია საქართველოს ეროვნული არქივის მასალები. საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდები მოიცავს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მომარაგების სამინისტროს დოკუმენტებს, ასევე, პირად ფონდებს, რომელიც წარმოადგენს უნიკალურ წყაროს რესპუბლიკის ეკონომიკური პოლიტიკისა და მომარაგების სისტემის შესასწავლად. აღნიშნული

²² ჩარკვიანი, ვ. სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები. რედაქტორი: გელა ჩარკვიანი, გამომცემლობა, თბილისი: არტანუჯი, 2015.

²³ ენუქიძე, ა. არალეგალური ბოლშევიკური სტამბები, თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1933.

²⁴ მჭედლიშვილი, ი. დღიური 1924-1941, თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი, 2014.

მასალები ასახავს იმ პერიოდის სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას, რაც აუცილებელია როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ისტორიის რეკონსტრუქციისთვის.

სტალინის თხზულებები წარმოადგენს უშუალო პირველად წყაროს მისი იდეოლოგიური ხედვების, ნაციონალურ საკითხთან დაკავშირებული პოზიციებისა და პოლიტიკური კურსის გასაგებად.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია საბჭოთა პერიოდის ადგილობრივი პრესა: „კომუნისტი“, „წითელი არმიელი“, „ბრძოლის ხმა“, „კოლექტივიზაცია“, „საბჭოთა აფხაზეთი“. გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები ცხადყოფს, თუ როგორ ხდებოდა რეჟიმის პოლიტიკის ლეგიტიმაცია და როგორ ყალიბდებოდა საზოგადოებრივი აზრი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტატიები, რომლებიც ეხება „ნაციონალ-უკლონიზმის დამარცხებას“, „მემარჯვენე გადახრების“ წინააღმდეგ ბრძოლას, ინდუსტრიალიზაციის მიღწევებსა და „ხალხის მტრების“ გამოვლენას.

ისტორიის მკვლევართათვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ ვითარდება ისტორიული მოვლენები, რა გავლენა აქვს წარსულს თანამედროვე სამყაროს ფორმირებაზე. სტალინის მმართველობის პერიოდისა და განსაკუთრებით დიდი ტერორის კვლევა საქართველოში არსებული მწირი მასალებიდან გამომდინარე, რთული ამოცანაა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რა როლს ასრულებენ მოცემული ფაქტები დღევანდელი სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური პროცესების განვითარებაში.

2015 წელს გერმანელმა მკვლევარებმა მ. იუნგემ და ბ. ბონევიჩმა გამოსცეს წიგნი „ეთნოსი და ტერორი საქართველოში“²⁵, რომელმაც ისტორიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დისკუსია აღარ გაგრძელებულა. თემის სენსიტიურობიდან და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გერმანელი მეცნიერების მიერ გამოცემული წიგნის შესახებ დისკუსიები არ იყო ხელმისაწვდომი და საჯარო. საკითხი განიხილეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში

²⁵ იუნგე მ., ბონევიჩი ბ., მიულერი დ. ეთნოსი და ტერორი საქართველოში. გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2015.

ისტორიკოსებისა და მოწვეული მკვლევრების ვიწრო წრეში, რის შემდეგაც ამ საკითხზე მსჯელობა შეწყდა.

გერმანელმა მკვლევრებმა 2018 წელს გამოსცეს წიგნი „საქართველო გზად სტალინიზმის ჩრდილები“²⁶, რომელშიც გვთავაზობენ ქართველი ისტორიკოსების დისკუსიას მათ მიერ გამოცემული წიგნის - „ეთნოსი და ტერორი საქართველოში“ თაობაზე, მათივე პასუხებით. წიგნში თავმოყრილია ქართველი, აფხაზი, გერმანელი და კიდევ რამდენიმე ქვეყნის მეცნიერის შეფასებები აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ავტორები ცდილობენ წარმოაჩინონ, რამდენად სენსიტიურია ქართველი ისტორიკოსების დამოკიდებულება საქართველოში მასობრივი რეპრესიებისა და აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. ამ საკითხის განხილვას სხვა მნიშვნელოვან საკითხთან მივყავართ - აფხაზეთის კონფლიქტიდან გასულია 30 წელზე მეტი, რაც, ალბათ, შესაძლებლობას უნდა გვაძლევდეს მოვლენების ობიექტური შეფასებისათვის.

მოცემულ თემაზე ბევრი მკვლევარი მუშაობს რუსეთში, უკრაინასა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. რუსეთში 2022 წელს უკრაინასთან ომის დაწყებამდე არსებობდა რამდენიმე საკმაოდ დიდი ორგანიზაცია და პროექტი - როგორც არის „მემორიალი“, „უკანასკნელი მისამართი“, „ისტორიის გაკვეთილები“, „ღია სია“.²⁷ ისინი ძირითადად საბჭოთა კავშირის ისტორიასა და მასობრივი რეპრესიების საკითხს იკვლევდნენ.

უკრაინაში 2019 წელს გაიხსნა არქივი, რომელიც დამოუკიდებელი ორგანო გახდა. ყველა ინფორმაცია საჯაროა და ელექტრონულად ხელმისაწვდომი. საქართველოში არსებობს მხოლოდ ერთი ორგანიზაცია - „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“, რომელიც საბჭოთა წარსულს იკვლევს. რამდენიმე ორგანიზაცია კი სხვა თემებთან ერთად, საბჭოთა პერიოდზეც მუშაობს.

²⁶ იუნგე მ., ბონვეჩი ბ., მიულერი დ. საქართველო გზად სტალინიზმის ჩრდილები. თბილისი, კლიო, 2018.

²⁷ 2021 წლის 28 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება „მემორიალის“ დახურვის თაობაზე. ორგანიზაციის წევრები გამოცხადდნენ უცხოეთის აგენტებად და აკრძალა მუშაობა. <https://www.memo.ru/ru-ru/memorial/departments/intermemorial/news/690> წვდომის თარიღი : 07.01.2024 (17:04)

I თავი

ეროვნული საკითხი და ცენტრალური კონტროლი: საქართველოს გასაბჭოების პოლიტიკური რეალობა

§1.1. სოციალისტური იდეები და იმპერიული პრაქტიკა:

საქართველოს გასაბჭოების კონტექსტი და ეროვნული საკითხი

საქართველოს გასაბჭოების პირველი წლები სოციალური და პოლიტიკური ტრანსფორმაციების ურთულესი ეტაპია, სადაც ერთმანეთში გადაიკვეთა სოციალისტური მოძრაობის გლობალური დინამიკა და საქართველოში მწვავედ მდგომი ნაციონალური საკითხი. სწორედ ამ პერიოდში ისტორიული პროცესები განისაზღვრა იმ წინააღმდეგობებით, რომლებიც წარმოიშვა ერთი მხრივ სოციალისტური იდეალების, ხოლო მეორე მხრივ - ეროვნული თვითშეგნების ამალგებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის საფუძველზე.

მეფის რუსეთის პერიოდში ჩამოყალიბებული სოციალისტური მოძრაობა, თავისი განზოგადებული დაპირებებით სოციალური სამართლიანობისა და ჩაგრული ხალხის გათავისუფლების შესახებ, საქართველოში განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა. რევოლუციის მოლოდინი ეროვნულ მოძრაობას მყარ საფუძველს უქმნიდა, რადგან ამ პროცესს აერთიანებდა საერთო იდეა - თავისუფლება მჩაგვრელი ძალებისგან და საზოგადოების ღირსეული განვითარების შესაძლებლობა. ამავე დროს, რევოლუციური პროცესები არ იყო მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე ორიენტირებული. ის მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული იმპერიაში მცხოვრები ხალხების ეროვნული თვითშეგნების ფორმირებასთან.

1918 წლამდე საქართველოში ეროვნული იდენტობის გაძლიერების პროცესი მაინც შეჩერებული იყო იმპერიული პოლიტიკის პირობებში. მოსახლეობას ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ ეთნო-ნაციონალურ კუთვნილებასა და სახელმწიფოსადმი ლოიალობას შორის განსხვავებაზე. ნაციონალური საკითხი რუსეთის იმპერიაში ხშირად აღიქმებოდა, როგორც სოციალური უთანასწორობის გაგრძელება: კლასობრივი დაპირისპირება ერების დაპირისპირების სახეს იღებდა. ეს

განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო იმ რეგიონებში, სადაც სოციალური და ეროვნული ნიშნით დაყოფა ერთმანეთს ემთხვეოდა.

ქართულ რეალობაში რევოლუციური მოლოდინი მეტწილად განპირობებული იყო როგორც სოციალისტური იდეებით, ისე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სურვილით, რომელიც მყარად იყო ფესვადგმული XIX საუკუნის ეროვნულ მოძრაობაში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რამდენად შეძლებდა სოციალისტური მოძრაობა ეროვნულ პროექტთან შეთანხმებას და რამდენად შეიქმნებოდა სივრცე ეროვნული თვითგამორკვევის რეალიზებისთვის.

ისტორიკოსი ერიკ ჰობსბაუმი ყურადღებას ამახვილებს იმ პროცესებზე, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის პირობებში განვითარდა: საბჭოთა პოლიტიკამ მიზანმიმართულად შექმნა ეთნოლინგვისტური და ტერიტორიული ერთეულები იქ, სადაც მანამდე ეს აღქმა მკაფიოდ არ არსებობდა. მისი თქმით, საბჭოთა რესპუბლიკების ფორმირება ხშირად უფრო ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაგეგმილი თეორიული კონსტრუქცია იყო, ვიდრე ეთნოსთა ბუნებრივი პოლიტიკური თვითგამოხატულება²⁸. თუმცა საქართველოს შემთხვევაში ასეთი შეფასება სრულად ვერ აისახება რეალობაზე: საქართველოს ისტორიულად გააჩნდა სახელმწიფოებრივი ტრადიცია, მტკიცე ეროვნული იდენტობა და დამოუკიდებლობისკენ მიმართული მოძრაობა, რომელიც არსებობდა იმპერიული ეპოქის განმავლობაში.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ხალხების დიდი ნაწილისთვის ეროვნული იდენტობა და სახელმწიფოებრივი თვითშეგნება ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო. ისინი მეფისადმი ლოიალური ქვეშევრდომების როლში მოიაზრებდნენ თავს და პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად მონაწილეობა ნაკლებად შეეძლოთ. ამ ფონზე ქართველებისთვის ნაციონალური საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობით იყო დატვირთული: რუსეთის იმპერიას ისინი აღიქვამდნენ როგორც დროებით მჩაგვრელ ძალას და ინარჩუნებდნენ ისტორიულ მეხსიერებას დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი ტრადიციის შესახებ.

²⁸ ჰობსბაუმი, ე. ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან: პროგრამა, მითი, რეალობა. მთარგმნელი სანდრო გაბისონია, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2012, გვ. 228.

საბჭოთა კავშირის შექმნისას წამოწეული თვითგამორკვევის იდეა ფორმალურად ეფუძნებოდა მარქსისტულ მოძღვრებას. კარლ მარქსის²⁹ მიხედვით, ეკონომიკური განვითარება განაპირობებდა საზღვრების გაუქმებას და ნაციონალური იდენტობის ეტაპობრივ გაქრობას.³⁰ სინამდვილეში ვ. ლენინმა³¹ და შემდეგ ი. სტალინმა³² ნაციონალური საკითხი გადაქმნეს მართვისა და პოლიტიკური სტაბილურობის ინსტრუმენტად: ისინი ერებს ერთდროულად სთავაზობდნენ ფართო კულტურულ ავტონომიას და პარალელურად ახორციელებდნენ პოლიტიკურ კონტროლს ცენტრიდან.

ამ პოლიტიკის შედეგად შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკების სისტემა, სადაც თითოეულ ერს მიეცა შეზღუდული პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ადგილობრივ დონეზე ნაციონალური კულტურის განვითარების შესაძლებლობა, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება და თვითგამორკვევის უფლება. ამავე დროს, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მაინც მოსკოვში მიიღებოდა.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების პროცესმა ნათლად აჩვენა, როგორ იკვეთებოდა სოციალისტური იდეები და ნაციონალური საკითხი. ბოლშევიკები ამ პროცესს განმარტავდნენ როგორც ქართველი ხალხის გათავისუფლებას მენშევიკური „ბურჟუაზიული“ მთავრობისგან. საქართველოში წითელი არმიის შემოსვლა მოინათლა ანტიხალხური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლად. ბოლშევიკების აზრით, ეს იყო ძმური ქვეყნის დახმარება, რადგან მენშევიკურ მთავრობას ბევრჯერ მიუმართავს გერმანიის, თურქეთის, ინგლისისა თუ სხვა ქვეყნის ჯარებისთვის. ქართველმა კომუნისტებმა წითელ არმიას დახმარება სთხოვეს საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა გამოცხადდა ბურჟუაზიის მომხრე ძალად, ბურჟუაზიულ-მენშევიკურ მთავრობად.

1921 წლის 16 თებერვალს შულავერში დაარსდა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც ხალხს მოუწოდა მენშევიკური ბატონობისაგან გათავისუფლებისაკენ. რადგან მენშევიკები დაადგნენ იმპერიალიზმის გზას და ძალადობრივად ახშობდნენ

²⁹ კარლ ჰაინრიხ მარქსი - (1818-1883) - ეკონომისტი, ისტორიკოსი.

³⁰ მარქსი, კ. კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1974, გვ. 35.

³¹ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი (ულიანოვი) - (1870-1924) - პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული (ბ) პარტიის ლიდერი.

³² იოსებ ბესარიონის ძე სტალინი (ჯულაშვილი) - (1878-1953) - პოლიტიკოსი, რევოლუციონერი.

სახალხო აჯანყებებს. ბორჩალოში ფრიალებდა აჯანყების დროშა. აჯანყებულები მიემართებოდნენ თბილისისაკენ. შულავერის კომიტეტმა მენშევიკური მთავრობა დამხობილად გამოაცხადა და ხელში აიღო ძალაუფლება. დოკუმენტს ხელს აწერდნენ მამია ორახელაშვილი³³, ფილიპე მახარაძე³⁴, ალექსანდრე გეგეჭკორი³⁵, ბუდუ მდივანი³⁶, შალვა ელიავა³⁷ და სხვები. კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოს ოფიციალურად ეწოდა „საბჭოთა რესპუბლიკა“³⁸. 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლების ყველა ორგანო.

³³ მამია ორახელაშვილი - დაბადებული 1881 წელს, საქართველოს კ. პ. (ბ) წევრი 1903 წლიდან, 1921-1922 წლებში იყო საქართველოს განათლების სახალხო კომისარი, საქართველოს რევკომის თავმჯდომარე, 1931-1932 წლებში ასფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, 1937 წელს პარტიიდან გარიცხეს კონტრ-რევოლუციური საქმიანობის ბრალდებით, დააკავეს 1937 წელს, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, დახვრეტეს მისი მეუღლე მარიამ მიქელაძეც.

³⁴ ფილიპე იესეს ძე მახარაძე - დაბადებული 1868 წელს, საქართველოს კ. პ. (ბ) წევრი 1891 წლიდან, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე. სხვადასხვა დროს იკავებდა მაღალ თანამდებობებს საბჭოთა საქართველოს მთავრობაში.

³⁵ ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი - დაბადებული 1887 წელს, პოლიტიკოსი, იყო საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, საქართველოს შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომისარი.

³⁶ ბუდუ გურგენის ძე მდივანი - 1901 წელს სოციალ-დემოკრატების სახელით მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო დუმის დეპუტატთა არჩევნებში. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ხელმძღვანელობდა „ამიერკავკასიის რევოლუციონერებს“. სხვადასხვა დროს ავრცელებდა პროკლამაციებს, რის გამოც მრავალჯერ დააკავეს. ის ასევე იყო ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრი. ბაქოში ცხოვრებისას იყო რსდმპ კომიტეტის წევრი და არჩეულ იქნა პარიზის სოციალ-დემოკრატთა კონფერენციის დელეგატად. 1904 წლის 5 ივნისს დააკავეს თბილისში, ჩხრეკის შედეგად აღმოუჩინეს 1033 ფურცელი „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელიც გამოცემული იყო ამიერკავკასიის რსდმპ(ბ) მიერ. 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ დააკავეს და თვეების განმავლობაში იმყოფებოდა ციხეში. გაათავისუფლეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის მარტში, იმავე წელს დააკავა მენშევიკურმა მთავრობამ და იჯდა ჯერ ქუთაისის ციხეში, შემდეგ თბილისში. გაათავისუფლების შემდეგ მსახურობდა წითელ არმიაში, 1920-21 წლებში მუშაობდა სამხრეთ კავკასიაში, კავკასიის ბიუროს წევრად, რსდმპ(ბ) სახელით. 1921 წლიდან ეკავა რსდმპ(ბ) დიპლომატიური წარმომადგენლის პოსტი თურქეთში. მუშაობდა თბილისის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ და იყო საგარეო ვაჭრობის კომისიის წევრი. 1922 წელს იყო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი მუსტაფა ქემალ-ფაშასთან. ასევე შენევის კონფერენციაზე იყო დელეგაციის წევრი. 1925 წელს ბუდუ მდივანი მოსკოვში იყო „საკონცესიო უმაღლესი კომიტეტის“ წევრი. 1924-1926 წლებში იყო საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის წარმომადგენელი პარიზში (Торгпред). 1930 წლიდან იყო მსუბუქი მრეწველობის კომისარი. 1937 წელს დააპატიმრეს, სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა 1937 წლის 9 ივლისს, ქონების კონფისკაციით. 1956 წლის 29 სექტემბერს სასამართლო კოლეგიის დადგენილებით მასზე შეწყდა საქმის წარმოება.

³⁷ შალვა ზურაბის ძე ელიავა - დაბადებული 1883 წელს, რევოლუციონერი, საქართველოს გასაბჭების შემდეგ იკავებდა მაღალ თანამდებობებს, 1937 წელს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

³⁸ კაჭარავა, ი. ა. კოჭლავაშვილი, ი. მირცხულავა [და სხვ.] საქართველო XX საუკუნის 20-30-იანი წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები: ტომი 7, რედაქტორი: კაჭარავა იური. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1976. გვ. 64.

§ 1.2. ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკური ელემენტების წინააღმდეგ. რევოლუციური კომიტეტის შექმნა და მუშაობა საქართველოში

გასაბჭოების შემდეგ, არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგან ბოლშევიკების ხელში ჯერ კიდევ არ იყო გადასული მთელი ძალაუფლება, მცირე დროში შეუძლებელი იყო დაარსებულიყო საბჭოები. აჯანყებული მუშებისა და გლეხების ინიციატივით გადაწყდა, შექმნილიყო რევოლუციური კომიტეტი - გარდამავალი ორგანო, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის შედეგად გარდაიქმნებოდა ერთიან სახელმწიფო სისტემად. ამისათვის საჭირო იყო არჩევნების ჩატარება. რევოლუციურმა კომიტეტმა მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა ერთწლიანი სააგიტაციო სამუშაო.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა ამნისტია, რომელსაც ხელს აწერდა რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე მამია ორახელაშვილი. ამნისტიის თანახმად, საქართველოს სსრ რევოლუციური მთავრობა უარს ამბობდა შურისძიებაზე მის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალების მიმართ. ამნისტია ეხებოდა ყველა იმ პოლიტიკური პარტიისა და ჯგუფების წევრებს, რომლებიც აქტიურად გამოდიოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ.³⁹

1921 წლის 28 თებერვალს შეიქმნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო. თებერვალშივე შეიქმნა „მუშურ-გლეხური“ მილიცია, როგორც რევოლუციის შეიარაღებული ძალა. 1922 წლის დეკრეტით რევკომმა მუშურ-გლეხურ მილიციას სრულყოფისათვის დააკისრა ისეთივე ფუნქცია, როგორიც ჰქონდა განსაკუთრებული დანიშნულების რაზმს.⁴⁰

საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის საორგანიზაციო ფორმა შემდეგნაირი იყო: არსებობდა საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც ჰქონდა რევკომის პრეზიდიუმი და მცირე პრეზიდიუმი, იყო აჭარისა და აფხაზეთის ასსრ რევკომები. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის

³⁹ Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение советской власти (февраль 1921 г.-март 1922 г.): Сб. док. и материалов. Архив. упр. при Совете министров Грузинской ССР, Архив. отд. при Совете министров Абхазской АССР; Сост. И. Д. Ахалая. Сухуми: Абгосиздат, 1963. გვ. 16.

⁴⁰ თოიძე, ლ. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999. გვ. 29-30.

დაქვემდებარებაში იყო ВЧК-სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რევოლუციური ტრიბუნალი, საქალაქო რევკომები, საგანგებო კომისიები, ეროვნული კომისარიატი, სამხარეო რევკომი და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო (ЦСУ). აჭარის რევკომში შედიოდა: რევკომის პრეზიდიუმი, ეროვნული კომისარიატი, საბჭოთა ეროვნული მეურნეობა, რაიონული რევკომი, საგანგებო კომისია და რევტრიბუნალი. ხოლო აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობა საქართველოს რევკომის იდენტური იყო.⁴¹

რევოლუციური კომიტეტის გადაწყვეტილებები იბეჭდებოდა გაზეთებში. გაზეთ „კომუნისტის“ ოთხი მარტის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიმართვა ჯარისა და გვარდიისადმი, სადაც ეწერა, რომ 26 თებერვალს განსაკუთრებული დეკრეტით დადგინდა ჯარისა და გვარდიის დემობილიზაცია. სტატიაში გაკრიტიკებული იყო მენშევიკური ხელისუფლება. რევოლუციური კომიტეტი ნოე ჟორდანის⁴² ადანაშაულებდა გვარდიის შესაძლებლობების ბოროტად გამოიყენებაში. ქართული წითელი არმიის შექმნამდე პარტიას სამხედრო დახმარებებს გაუწევდა წითელი არმია. მიმართვაში საუბარი იყო იმის თაობაზე, რომ მენშევიკებმა ჯარისკაცები „გაუშვეს ძმათა მოსაკლავად“, რათა ხელში ჩაეგდოთ ქონება, საქართველოს ახალი მთავრობა ბრძოლას უცხადებდა მხოლოდ მდიდრებს.⁴³

ოთხ მარტს წითელი არმიის ნაწილები აფხაზეთში შევიდნენ. აფხაზეთის რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც 6 მარტს შეიქმნა, აფხაზებს მოუწოდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისკენ. აფხაზეთის რევკომის თქმით, მენშევიკურმა მთავრობამ რევოლუცია გამოიყენა სათავისოდ და ხელი შეუწყო აზნაურებსა და მეწარმეებს. მენშევიკური მთავრობა უარს ამბობდა აფხაზი ხალხისათვის მიეცა თავისუფალი ავტონომიური განვითარება მაშინ, როცა საბჭოთა რუსეთმა გამოაცხადა ყველა მცირე ერის დამოუკიდებლობა და ავტონომია,

⁴¹ Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение советской власти (февраль 1921 г.-март 1922 г.). გვ. 80.

⁴² ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია - რევოლუციონერი, პოლიტიკოსი.

⁴³ რატომ არის ოპოზიციის გადახრა სოციალ-დემოკრატიული („პრავდას“ მოწინავე წერილი), კომუნისტი 4 (1926) N 252, გვ. 1.

https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/328983/1/Komunisti_1926_N252.pdf

როგორც იყო: ბაშკირეთი, ყირგიზეთი, თურმენეთი, აზერბაიჯანი, დაღესტანი და ყველა მთის ხალხი. ⁴⁴

აფხაზეთში რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე იყო ეფრემ ეშბა⁴⁵, თავმჯდომარის მოადგილეები იყვნენ ნესტორ ლაკობა⁴⁶ და ნიკოლოზ აქირთავა⁴⁷, რომელთაც გამოსცეს ბრძანება აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების თაობაზე. საქართველოს რევკომის ბრძანების მიხედვით, ყველა დაწესებულება - საქალაქო და საეროზო, მილიციის თანამდებობის პირები აგრძელებდნენ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ის, ვინც მოაწყობდა საბოტაჟს, დაარღვევდა წესრიგს, დაისჯებოდა რევოლუციური დროის კანონის მიხედვით.⁴⁸

6 აპრილს მიიღეს დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ. დეკრეტის თანახმად, მემამულეებსა და ეკლესია-მონასტრებს ჩამოერთვათ მათ საკუთრებაში არსებული მიწები და აიკრძალა მიწის ყიდვა-გაყიდვა. დეკრეტის ძალით გაუქმდა ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონები მიწის შესახებ. საქართველოს გლეხოზა გათავისუფლდა მიწის გადასახადისაგან. ⁴⁹

1921 წლის 15 ივნისის დეკრეტის მიხედვით, მრეწველობის ნაციონალიზაცია შეეხო ნავთსაცავებს, ტრანსპორტს, სავაჭრო ფლოტს, ბანკებს. დაწესდა რვასაათიანი

⁴⁴ Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение советской власти (февраль 1921 г.-март 1922 г.). გვ. 10.

⁴⁵ ეფრემ ალექსის ძე ეშბა - პოლიტიკოსი, აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, ტროცკიზმის ბრალდების გამო ჩამოაშორეს პოლიტიკურ საქმიანობას, დააკავეს 1936 წელს, 1939 წელს მისეაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

⁴⁶ ნესტორ აპოლონის ძე ლაკობა (1889-1936) - აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

⁴⁷ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე აქირთავა (1894-1937) - აფხაზი რევოლუციონერი, 1921 წლიდან აფხაზეთში იკავებდა სხვადასხვა თანამდებობას. 1927 წელს პარტიიდან გარიცხეს ტროცკისტობის ბრალდებით, გათავისუფლების შემდეგ 1937 წელს დააკავეს და გაასამართლეს. მისეაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. 1954 წელს მოხდა მისი რეაბილიტაცია.

⁴⁸ რევოლუციური კომიტეტის წესდება. კომუნისტი, 27(1931), N 48, გვ. 2.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/331316/1/Komunisti_1931_N48.pdf

⁴⁹ თოიძე, ლ. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999. გვ. 30-21.

სამუშაო დღე. დაწესდა შრომითი ინსპექცია.⁵⁰ რევოლუციურმა კომიტეტმა შეინარჩუნა ადმინისტრაციული დაყოფის ძველი წესი.

რეალურად საქართველოს დაჩქარებული წესით გასაბჭოების მიზეზი ანტანტის კავშირისა და რუსეთის დაპირისპირება იყო. რუსეთის მთავრობას არ სურდა მათ საზღვრებთან ანტანტის წევრი ქვეყნის ყოლა. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ ანტანტის კავშირისთვის საქართველო დარჩა ერთადერთ საყრდენად. საქართველოს მჭიდროდ დაახლოება ევროპულ ქვეყნებთან და მათი ჯარების აქტიური გადაადგილება რეგიონში ახალი ომის დაწყების საფრთხეს ქმნიდა, რისთვისაც ბოლშევიკები მზად არ იყვნენ.

ბოლშევიკები ესერებსა და მენშევიკებს მერყევ პარტიებად მიიჩნევდნენ, რომლებიც ბურჟუაზიულ ბანაკში გადავიდნენ და კავშირი დაამყარეს ჯერ გერმანია-ოსმალეთთან, მოგვიანებით კი ინგლის-საფრანგეთსა და ამერიკასთან. საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წელს დადებულმა საზავო ხელშეკრულებამ ახალი პოლიტიკური მდგომარეობა შექმნა. მენშევიკურ მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური ვითარების გამო ბოლშევიკები დამარცხდებოდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა. ზავის თანახმად, რუსეთმა საქართველოს მოსთხოვა უარი ეთქვა ანტანტის კავშირზე. თანხმობის მიუხედავად, ეროვნული მთავრობა ცდილობდა დასავლეთთან მჭიდრო კავშირის დამყარებას.

რუსეთში ბოლშევიკების საბოლოო გამარჯვების შემდეგ ევროპასთან ეკონომიკური ურთიერთობა შეჩერდა, თუმცა საქართველოს დახმარებით შესაძლებელი იყო ევროპულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება.

საქართველოში ბოლშევიკებისთვის ბრძოლის მნიშვნელოვან ძალად იქცა პროპაგანდა, რასაც ახორციელებდნენ გაზეთების, საჯარო ლექციებისა და სახელმძღვანელოების მეშვეობით. ანტისაბჭოთა და ნაციონალისტური პოზიცია აღიქმებოდა სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბრძოლად.⁵¹

⁵⁰ საქართველოს ისტორია, ტ. 3, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, გვ. 16.

⁵¹ Toria, M. The Soviet occupation of Georgia in 1921 and the Russian–Georgian war of August 2008: Historical analogy as a memory project. *The Making of Modern Georgia, 1918–2012 The first Georgian republic and its successors*, Edited by Stephen F. Jones. 2014. გვ. 317.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა აღმშენებლობის თაობაზე აწყო და შეხვედრებს მშრომლებთან. მოხსენებებს კითხულობდნენ: შ. ელიავა, მ. ოკუჯავა⁵², ფ. მახარაძე და სხვანი. მოხსენებების ძირითად თემებს წარმოადგენდა მენშევიკების პოლიტიკა და საქართველოში საბჭოთა მთავრობის დამყარების აუცილებლობა, საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა საქართველოს ურთიერთობა. დიდი მუშაობა მიდიოდა ანტირელიგიური მიმართულებითაც, გამოიცემოდა ბროშურები და ტარდებოდა ლექციები.

ბოლშევიკები სამარცხვინო საქციელს უწოდებდნენ მენშევიკური მთავრობის მიერ საქართველოს დატოვებას. ფილიპე მახარაძემ გაზეთ „კომუნისტი“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „რისთვის გაიქცნენ“. ის წერს, რომ მოლაპარაკების პროცესში მიღწეულ იქნა შეთანხმება, საბჭოთა მთავრობასა და ჟორდანიას-რამიშვილის მთავრობას შორის შეხვედრის თაობაზე, მაგრამ ისინი კათალიკოს ლეონიდესთან ერთად ბათუმიდან გემით გაემგავრნენ და თან წაიღეს ხალხის კუთვნილი ქონება, რომლის გამოყენებასაც საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლისთვის აპირებდნენ.⁵³ შემდეგ წლებში საქართველოში არსებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ისინი ამ ფაქტით ამართლებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ. მენშევიკები არ თმობდნენ საკუთარ პოზიციას და სხვადასხვა რეგიონებში უტევდნენ რუსულ ჯარს. მათ მხარს მოქალაქეების უმრავლესობა უჭერდა. ამ ფაქტის გამო, როგორც პარტიის შიდა მიმოწერებში ჩანს, საქართველოს რევოლუციურ კომიტეტში შემფოთებულნი იყვნენ. შალვა ელიავა სერგო ორჯონიკიძეს⁵⁴ წერდა: „ჟორდანიას განუცხადებია, რომ წითელ ჯარს

⁵² მიხეილ სტეფანეს ძე ოკუჯავა - დაბადებული 1883 წელს საქართველოში, განათლება უმაღლესი, პარტიის წევრი 1903 წლიდან, საკონსერვო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სამხედრო კოლეგიის დადგენილებით 1928 წელს გადაასახლეს შუა აზიაში 3 წლით. დაბრუნების შემდეგ 1937 წელს დააკავეს და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

⁵³ მახარაძე, ფილიპე. რისთვის გაიქცნენ? კომუნისტი, 26 (1921) N 20, გვ. 1.

https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/274247/1/Komunisti_1921_N20.pdf

⁵⁴ გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე (1886-1937) - სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის (ბ) წევრი 1903 წლიდან, საბჭოთა ხელისუფლების დროს იკავებდა სხვადასხვა მაღალ თანამდებობებს.

თბილისის თითოეულ ქუჩის ბრძოლით ალება მოუხდებაო. ეს გარემოება ძალზე მაღელვებს. ვშიშობ, რადგან ეს ნიშნავს ქალაქის განადგურებას.“⁵⁵

ქართველი ბოლშევიკები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ტყვედ აყვანილი ჯარისკაცების მიმართ სასტიკად მოპყრობის თაობაზე. შალვა ელიავამ მოითხოვა სპეციალური ბრძანების გამოცემა ქართველი ჯარისკაცების მიმართ თავაზიანი მოპყრობის შესახებ.⁵⁶ მოქალაქეების ჩხრეკა და დაპატიმრება შესაძლებელი იყო მხოლოდ საგანგებო კომისიის სსრ და წითელი არმიის მე-11 განსაკუთრებული ორდერის საფუძველზე, რომელსაც უნდა ჰქონოდა გიორგი ელისაბედაშვილისა და მე-11 წითელი არმიის საველე განსაკუთრებული განყოფილების უფროსის, აშუკინის ხელმოწერა.⁵⁷

რეალობა სხვაგვარი იყო - ციხეები გადავსებული იყო დაკავებული ადამიანებით, იჭერდნენ არა მხოლოდ მენშევიკებს, არამედ სხვა პარტიის წარმომადგენლებსაც და უბრალო მოქალაქეებს. ამ ფაქტებს თავის მოგონებებში იხსენებდნენ ისიდორე რამიშვილი⁵⁸ და იოსებ ირემაშვილი⁵⁹. კოტე ანდრონიკაშვილმა⁶⁰ 1924 წელს მის სასამართლოზეც ახსენა, რა მდგომარეობა იყო ციხეებში. მან მთავარ დამნაშავედ მაშინდელი რევკომის თავმჯდომარე, ბუდუ მდივანი, დაასახელა, რომელიც ძალიან ხისტად შეუდგა საქმიანობას და ხალხის მასობრივი დაკავება დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ დონეზე რევკომი წარმოადგენდა უმაღლეს ორგანოს, ჯარი მითითებებს ცენტრისგან იღებდა. ქართველი

⁵⁵ თოიძე, ლ. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999. გვ. 12.

⁵⁶ თოიძე, ლ. დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

⁵⁷ დეკრეტი, კომუნისტი 2 (1921), N1 გვ. 1.

https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/274221/1/Komunisti_1921_N1.pdf

⁵⁸ ისიდორე ივანეს ძე რამიშვილი (1859-1937) - პოლიტიკოსი, პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საქართველოში დარჩა და გააგრძელა პოლიტიკური საქმიანობა, 1922 წელს დააპატიმრეს და წლების განმავლობაში იმყოფებოდა გადასახლებაში, 1933 წელს მისცეს საქართველოში დაბრუნების უფლება, თუმცა მალევე 1937 წელს დააპატიმრეს, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

⁵⁹ იოსებ (სოსო) გიორგის ძე ირემაშვილი (1879-1944) - სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრი, 1921 წელს იკავებდა კახეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებულის მოადგილის თანამდებობას. 1922 წელს საქართველოს ჩეკას პრეზიდენტად იმისა დასაჯეს.

⁶⁰ კონსტანტინე (კოტე) მანუელის ძე ანდრონიკაშვილი (1876 - გარდაცვალების წელი უცნობია) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, მთავრობის საგანგებო რწმუნებული თელავის მაზრაში. 1924 წელს დააკავეს ანტისაბჭოთა აჯანყების მოწყობის ბრალდებით.

ბოლშევიკებისათვის აღნიშნული ფაქტი განხეთქილების ერთ-ერთ პირველ მიზეზად იქცა.

ფილიპე მახარაძემ ვ. ლენინს წერილი მისწერა, რომელშიც აღნიშნა, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და რევკომის გვერდის ავლით, სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცენტრალური საბჭო და მე-11 არმიის რევოლუციური საბჭო დამოუკიდებლად იღებდნენ გადაწყვეტილებებს.⁶¹ ამ ყველაფრის სათავეში კი სერგო ორჯონიკიძე და იოსებ სტალინი იდგნენ.

1921 წლის 2 მარტს მამია ორახელაშვილმა და შალვა ელიავამ ვ. ლენინს აცნობეს რომ ჯობდა, წითელი არმია არ ჩარეულიყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გასამტკიცებლად. ისინი მოსკოვისგან ითხოვდნენ, რომ არმიის განსაკუთრებული განყოფილება და სხვა დაწესებულებები დამორჩილებოდნენ რევკომს და პატივისცემა გამოეხატათ სუვერენული ორგანოებისათვის.

საქართველოს რევკომის ხელმძღვანელობა ხვდებოდა, რომ მხოლოდ ფორმალურად ასრულებდნენ თანამდებობრივ მოვალეობას. ცენტრი უგულვებელყოფდა მათ შეხედულებებს. ოფიციალურად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმია და სახალხო გვარდია დემობილიზირებული იყო და რევკომის დეკრეტის თანახმად, სახალხო გვარდიელებს ევალებოდათ იარაღის ჩაბარება.

1921 წლის 8 დეკემბერს ფილიპე მახარაძემ მოხსენებით ბარათში საქართველოს გასაბჭოებისა და პარტიული ორგანიზაციის სავალალო მდგომარეობაზე წერდა. წითელი არმიის შემოსვლა საქართველოში და მისი მიზნები აქ არსებულმა არცერთმა უჯრედმა და პარტიულმა წევრმა არ იცოდა. ჯარის შემოსვლა ხალხმა აღიქვა, როგორც დაპყრობა.⁶² ფილიპე მახარაძე და სხვა პარტიის წევრები საქართველოსთან მიმართებით ზომიერებასა და სიფრთხილის გამოჩენას ითხოვდნენ, რადგან მენშევიკური მთავრობის მომხრეები მრავლად იყვნენ დარჩენილი.

⁶¹ ვადაჭკორია შ. დასახ. ნაშრომი. გვ. 166.

⁶² თოიძე ლ. დასახ. ნაშრომი. გვ. 15.

მიუხედავად ამისა, გრიგოლ რცხილაძე⁶³ 1924 წელს მის სასამართლო პროცესზე იხსენებდა, რომ 1921 წლის გაზაფხულზე თბილისში გაიმართა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კონფერენცია. კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის თანახმად, მათთვის მისაღები იყო საბჭოთა ხელისუფლება. რეზოლუცია წარუდგინეს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძეს, რომელიც საკმაოდ რბილ ხელმძღვანელად ითვლებოდა. ფედერალისტები მოითხოვდნენ ბოლშევიკებისაგან მათთვის გაზეთის გამოცემის ნებართვას. მოგვიანებით ახალი რევკომის თავმჯდომარე გახდა ბუდუ მდივანი, რომელმაც ფედერალისტებს კატეგორიული უარი განუცხადა.⁶⁴

ვ. ლენინმა წერილობით მიმართა ს. ორჯონიკიძეს და საქართველოსთან ურთიერთობის პოლიტიკის ახალი ხედვა წარმოაჩინა. მისი აზრით, აუცილებელი იყო საქართველოს წითელი არმიის გაძლიერება, ქართული ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრებისადმი დათმობის პოლიტიკის გატარება, კომპრომისების ძიება ნოე ჟორდანიასა და მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებთან.⁶⁵

ქართული არმიის შექმნას სჭირდებოდა დიდი თანხები, რაც მოსახლეობას თავად უნდა გაეღო. ორჯონიკიძე-სტალინის გუნდი ეწინააღმდეგებოდა ცალკე ქართული არმიის არსებობის აუცილებლობას. ფილიპე მახარაძის, მამია ორახელაშვილისა და სხვ. საქართველოში მოღვაწე ბოლშევიკების დამოკიდებულება ძალიან ფრთხილი იყო. ისინი ერიდებოდნენ ხალხთან დაპირისპირებას. იმისათვის, რომ საქართველოში ბოლშევიზმს ფეხი კარგად მოეკიდა, საჭიროდ თვლიდნენ ქართული ინტელიგენციის კეთილგანწყობის მოპოვებას.

საქართველოს პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობა არ იყო სახარბიელო. ხალხის მხრიდან სახელმწიფო გაუქმებად აღიქმებოდა უცხო ქვეყნის ჯარის შემოსვლა და ეროვნული ჯარის გაუქმება. ქართველი ბოლშევიკების აზრით, საზოგადოებაში გამძაფრდებოდა პატრიოტული განწყობები. დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო არ ჩატარდა საბჭოების არჩევნები და თარიღი

⁶³ გრიგოლ (გიგო) სვიმონის ძე რცხილაძე (1876-1934) - იურისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი.

⁶⁴ კირთაძე, ნესტან (ელისაბედ). 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 1996, გვ. 282.

⁶⁵ სუნი რ. გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 334.

რამდენჯერმე გადაიდო. საბოლოოდ არჩევნები თავდაპირველად თბილისსა და ბათუმში ჩატარდა.

ამავდროულად მწვავედ იდგა აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი. არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტი ვ. ლენინისა და ეროვნებათა სახალხო კომისარ ი. სტალინისადმი გაგზავნილ წერილში ითხოვდა აფხაზეთის სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადებასა და რუსეთის ფედერაციაში დამოუკიდებლად შესვლას.⁶⁶ ამას არ ეთანხმებოდა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა. მიუხედავად ამისა, 21 მაისს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დადგენილება, რომელშიც გაკრიტიკებული იყო მენშევიკური მთავრობა სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით ანტაგონისტური დამოკიდებულების გამო.

ქართველი ბოლშევიკები ძალაუფლების მოპოვების პირველ წლებში მენშევიკურ მთავრობას ადანაშაულებდნენ აფხაზეთთან, აჭარასა და ოსეთთან მიმართებით ნაციონალისტური პოლიტიკის წარმოებაში. იმისათვის, რომ ბოლშევიკებს ეს საკითხი გადაეწყვიტათ, აჭარას 1921 წელს ფართო ავტონომია მიანიჭეს.

16 ივლისს აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის თაობაზე გამოიცა დეკრეტი. მეჯლისი აღიარებულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკის მმართველ ორგანოდ.⁶⁷ ეტაპობრივად დაიწყო ე.წ. „ღარიბკომების“ ჩამოყალიბება, რითიც კომპარტია დაუპირისპირდა მეჯლისს და შეეცადა მის გაუქმებას. მეჯლისის წევრებს ბრალს დებდნენ, რომ ისინი იცავდნენ მდიდრებს და გამოხატავდნენ კაპიტალისტური ქვეყნების ინტერესებს. 1921 წლის 12 აგვისტოს სერგო ორჯონიკიძემ თბილისში ჩატარებულ კავკასიის სამხარეო პარტიულ თათბირზე აფხაზეთთან დაკავშირებით განაცხადა: „როცა აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოითხოვა, ჩვენ აფხაზეთის კომუნისტებს მივუთითებდით, რომ ასეთი პატარა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა შეუძლებელია, მაგრამ მაინც დავთანხმდით ამაზე. ჩვენ ვამბობდით: თუ აფხაზი ხალხი უნდობლობას იჩენს ქართველებისადმი, თუ მენშევიკების მიერ აფხაზი ხალხისათვის მიყენებული

⁶⁶ ხორავა ბ., ჭანტურია ნ. დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

⁶⁷ თურმანიძე ო. საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952 წ.წ.). გვ. 22.

ჭრილობები ჯერ კიდევ არ მოშუშებულა, დაე აფხაზეთი დამოუკიდებელი იყოს, დაე მან მოიშუშოს მენშევიკებისგან მიყენებული ჭრილობები, მაგრამ შემდგომში აფხაზეთი თვითონ დარწმუნდებიან საბჭოთა მეზობელთან-საქართველოსთან მჭიდრო გაერთიანების აუცილებლობაში“.⁶⁸

სერგო ორჯონიკიძის თქმით, ბოლშევიკებს სწორი მიდგომა ჰქონდათ აფხაზეთის საკითხთან მიმართებით, ისინი პატივს სცემდნენ მცირე ერებს, თუმცა აფხაზეთის, როგორც პატარა სახელმწიფოს, დამოუკიდებლობა შეუძლებელი იყო. საქართველოს რევკომმა აღიარა აფხაზეთი დამოუკიდებელ სოციალისტურ რესპუბლიკად იმ იმედით, რომ სსრ საქართველოსა და სსრ აფხაზეთის საკითხი განიხილებოდა მუშათა, გლეხთა და მშრომელ დეპუტატთა პირველ კრებაზე, სადაც ორივე რესპუბლიკა ერთად გადაწყვეტდა, თუ რა ტიპის ურთიერთობა სურდათ.⁶⁹

1922 წლის 30 იანვარს გამართულ პარტიის პირველ ყრილობაზე სერგო ორჯონიკიძემ კვლავ ისაუბრა ქართული ნაციონალიზმის შესახებ. მისი თქმით, საქართველოში დამყარდა „ნაციონალური მშვიდობა“, ამის გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ აფხაზეთმა, აჭარლებმა და ოსებმა თავად გადაწყვიტეს საქართველოსთან გაერთიანება.

რევოლუციურმა კომიტეტმა თავისი არსებობა 1921 წლის ბოლოს დაასრულა. 1922 წლის 25 თებერვალს გაიმართა სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა, რომელსაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა და სადაც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრები აირჩიეს. ამის შემდეგ პარტია ახალი ამოცანების წინაშე დადგა, რადგან საყოველთაო შიმშილის ფონზე მდგომარეობა გამწვავდა. მოსახლეობის უმრავლესობა კვლავ ღარიბი იყო. შიმშილობისა და ეპიდემიის დონე მატულობდა. შიმშილობის აღმოსაფხვრელად. დიდი სააგიტაციო კამპანია დაიწყო. ქარხნებში იყო მუშების სიმცირე. საქართველოში მეოცე საუკუნის დასაწყისში მსხვილი საწარმოები არ არსებობდა და სოფლის მეურნეობა წამყვანი დარგი იყო.

⁶⁸ ორჯონიკიძე გრიგოლ (სერგო). ამიერკავკასიის შესახებ. სიტყვები და სტატიები 1911-1926 წწ. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1986. გვ. 164.

⁶⁹ ორჯონიკიძე გრიგოლ (სერგო). ამიერკავკასიის შესახებ... გვ. 124-125.

საბჭოთა პერიოდის ლიტერატურაზე დაყრდნობით, საქართველოს მოსახლეობის 80% სასოფლო-სამეურნეო შრომას ეწეოდა. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა მენშევიკური მთავრობა, რომელიც ევროპაში იყო გაქცეული და ცდილობდა ძალაუფლების დაბრუნებას. ნოე ჟორდანიას მთავრობის წევრები კავშირს ამყარებდნენ ევროპული ქვეყნების წარმომადგენლებთან, აწარმოებდნენ პარტიზანულ ბრძოლებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. საჭირო იყო წითელი არმიის ეროვნული ნაწილების ჩამოყალიბება, რკინიგზის აღდგენა, საერთო ფულის შემოღება, განადგურებული ეკონომიკის აღდგენა და განვითარება. კავკასიის რეგიონში მწვავედ იდგა ტერიტორიული განაწილების საკითხი. პრობლემების გადასაწყვეტად პარტია ახალი გაერთიანების შექმნის აუცილებლობას ასაბუთებდა.

§ 1.3. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის საკითხი და პირველი განხეთქილება ქართველ ბოლშევიკებს შორის

1921 წლის ბოლოს, ქართველებისათვის სრულიად მოულოდნელად, ცენტრმა ახალი გაერთიანების შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. პარტიის X ყრილობაზე იოსებ სტალინმა გააკეთა მოხსენება, რომელზეც ისაუბრა მეფის რუსეთის მიერ დატოვებულ მძიმე მემკვიდრეობაზე, რაც გამოიხატებოდა მასების ჩამორჩენილობასა და ველიკორუსულ შოვინიზმში. სტალინის აზრით, საჭირო იყო განაპირა ქვეყნებიც რუსეთის მსგავსად განვითარებულიყო. პარტიამ გადაწყვიტა, ხელი შეეწყო ხალხთა „ნაციონალური თვითგამორკვევისათვის“.

ცენტრალური ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ კავკასიის რეგიონის არათანაბარი ეკონომიკური განვითარების გამო საჭირო იყო ამ რეგიონის გაერთიანება და მისი ერთიანი ფედერაციის სახით შესვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამ გადაწყვეტილებას პარტია ბევრი არგუმენტით ამართლებდა, თუმცა მიზეზი ძალიან მარტივი იყო, ახლად გასაბჭოებულ ქვეყნებში უკმაყოფილება მატულობდა. იმ შემთხვევაში, თუკი სამი ქვეყანა საბჭოთა კავშირში შევიდოდა დამოუკიდებლად, ოფიციალურ დონეზე მათ შეეძლოთ კავშირის დატოვება და სახელმწიფოებრივ დონეზეც ცენტრისგან მეტად დამოუკიდებლები იქნებოდნენ.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნით ცენტრმა გაართულა ამ ქვეყნების შიგნით გადაწყვეტილებების მიღებისა და მოქმედების პროცესი და ის უფრო მეტად დამოკიდებული გახდა მოსკოვზე. უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელ პირებს ნიშნავდა ცენტრალური ხელისუფლება. ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები განარისხა იმ ფაქტმა, რომ ისინი შემსრულებლის როლში აღმოჩნდნენ.

ბოლშევიკური პარტიისათვის გარდამტეხ და მნიშვნელოვან მოვლენად XII ყრილობა იქცა, სადაც მოხდა პარტიის შიგნით განხეთქილება და მემარცხენე და მემარჯვენე ბლოკებად დაყოფა. თავის გამოსვლებში პარტიის ხელმძღვანელები თავს იწონებდნენ მშრომელთა მასების მხრიდან დიდი მხარდაჭერით. მათ მოჰყავდათ ადამიანების „გმირობის“ მაგალითები, თუ როგორ ამხელდნენ მავნებლებს,

ჯაშუშებს, ბურჟუაზიულ ელემენტებს. რეგიონებში მიმდინარეობდა სეპარატისტული ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. პარტიამ დაგმო ლ. ტროცკის იდეები და მასთან ერთად ქართველი ბოლშევიკებიც. ი. სტალინმა ისინი დაადანაშაულა პარტიული ხაზიდან გადახრასა და ტროცკის იდეების მხარდაჭერაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ საჯარო გამოსვლაში ქართველ ბოლშევიკებს ტროცკის პოზიციისათვის მხარი არ დაუჭერიათ. შემდეგში, როცა მათი უმრავლესობა დაიჭირეს და გაასამართლეს, სასამართლოსა და დაკითხვების დროს ისინი არ აღიარებდნენ ამ კავშირს.

იმავე ყრილობაზე ბუდუ მდივანი, რომელიც ითვლებოდა საქართველოში სოციალისტური იდეების ერთ-ერთ პირველ გამავრცელებლად და თავს ი. სტალინისა და სხვა ახალი თაობის ბოლშევიკების აღმზრდელად მიიჩნევდა, შეეხო ი. სტალინის მოხსენებას და უარყო ბრალდება, რომელსაც ქართველ ე. წ. ნაციონალისტებს უყენებდნენ შოვინიზმთან და პრივილეგიების დაცვასთან დაკავშირებით. მან უარყო ის ფაქტიც, თითქოს, საქართველოში ზოგიერთ ეროვნებას ავიწროვებდნენ (აქ საუბარია აფხაზებზე, ოსებსა და აჭარლებზე). ბ. მდივანისა და საქართველოს მთავრობისთვის რეგიონალური ავტონომიის მინიჭების საკითხი მიუღებელი იყო, რადგან აფხაზეთი თვითნებურად არ ექვემდებარებოდა თბილისს.

საქართველოს ცეკასა და ცენტრს შორის უთანხობეა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსხვავდებოდა პარტიის შიგნით მიმდინარე ბრძოლისგან. ბ. მდივანი, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ფ. მახარაძე და სხვა მაღალი თანამდებობის წევრები პრობლემას ხედავდნენ იმაში, რომ მათ პოზიციას არ ითვალისწინებდა ცენტრი. ისინი იდგნენ რევოლუციური მოძრაობის სათავეებთან, წლების განმავლობაში იყვნენ გადასახლებაში, ავრცელებდნენ პროკლამაციებს, ატარებდნენ შეხვედრებს მუშებთან. რევოლუციონერები კი, რომლებიც თავად გამოზარდეს, დამოუკიდებლად იღებდნენ გადაწყვეტილებას და მათ მხოლოდ შესრულებისკენ მოუწოდებდნენ. საქართველოს კომუნისტურ პარტიას უნდა გადაედგა კონკრეტული ნაბიჯები, გაეუმჯობესებინა გლეხების მდგომარეობა, შეენარჩუნებინა და გაეძლიერებინა საბჭოთა ხელისუფლება და მკაცრად მიჰყოლოდა ბელადის მიერ გაცემულ დირექტივებს.

ქართველ ბოლშევიკებს თავდაჯერებულობას მატებდა ის ფაქტიც, რომ მათ პოზიციას ლენინიც ეთანხმებოდა. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორიული განვითარებისათვის სხვა პოლიტიკური ტაქტიკის შემუშავება იყო საჭირო. ეს გულისხმობდა რბილი პოლიტიკის გატარებას „წვრილბუჩუაზიული ინტელიგენციისა და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ“⁷⁰, რადგან ეკონომიკურად საქართველო არ იყო განვითარებული ისე, როგორც რუსეთი.

1921 წლიდან სერიოზული კამპანია დაიწყო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხთან დაკავშირებით. თავდაპირველად საუბარი იყო ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის მოდელის შესახებ, რომელიც საბოლოოდ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნით დამთავრდა.

1921 წლის 11 აპრილს ჩატარებულ ბაქოს საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი. მათ ხაზი გაუსვეს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკად გაერთიანების საკითხს. სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც: „საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებისათვის ამიერკავკასიაში აუცილებელია ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო გაერთიანება თითოეულ მათგანში ნაციონალური დამოკიდებლობის თვითმოქმედების, ენისა და კულტურის სრული შენარჩუნებით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბაქოს საბჭო მხურვალედ მიესალმება აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის, რკინიგზების გაერთიანების შესახებ...“⁷¹

მიღებულ რეზოლუციას მოჰყვა საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დადებული შეთანხმება რკინიგზის გაერთიანების შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით:

„1) ყველა საექსპლოატაციო რკინიგზები, რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა რესპუბლიკების აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის საზღვრებში ერთიანდებიან ამიერკავკასიის რესპუბლიკათა რკინიგზების ერთ ქსელში;

⁷⁰ კაჭარავა, ი. ა. კოჭლავაშვილი, ი. მირცხულავა [და სხვ.] საქართველო XX საუკუნის 20-30-იან წლებში, გვ. 61.

⁷¹ სურგულაძე, ა. ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917-1921 წწ). თბ, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1954. გვ. 384.

2) ამიერკავკასიის რესპუბლიკათა რკინიგზების მთელ ქსელს სათავეში უდგას ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ერთიანი სამმართველო, რომელიც იმყოფება ქ. თბილისში;

3) ამიერკავკასიის რკინიგზებისა და შავი ზღვისა და კასპიის საზღვაო ნავსადგურთა შორის ადგილობრივი გადაზიდვის საქმის მოსაწესრიგებლად ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან მისი უფროსის თავჯდომარეობით არსდება ამიერკავკასიის ბიურო გადაზიდვის საქმისა;“⁷²

ი. სტალინი თვლიდა, რომ ქართველების მხრიდან გაერთიანების წინააღმდეგ წასვლა განპირობებული იყო იმ აზრით, რომ ქართველები გეოგრაფიული თვალსაზრისით პრივილეგირებულად თვლიდნენ თავს. აქედან გამომდინარე, ფედერაციის კავშირში შესვლა მათ წაართმევდა პრივილეგიას. ამასთან ერთად მოისპობოდა ის შოვინისტური დამოკიდებულება, რომელიც მეზობელი ეროვნებების მიმართ ჰქონდა.

საქართველოს გააჩნდა პორტი ბათუმში, საიდანაც შემოდის დასავლეთის საქონელი, ასევე სარკინიგზო კვანძი, რომელიც სჭირდებოდა სომხეთსა და აზერბაიჯანს.

საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს სურდა ხალხში კეთილგანწყობის მოპოვება. პარტია საჭიროდ თვლიდა პოლიტიკური კამპანიის ჩატარებასა და საზოგადოების შეემზადებას საბჭოთა ხელისუფლების სამომავლო გეგმისათვის.

ადგილობრივი ხელისუფლების სახელით უნდა აღდგენილიყო დანგრეული გზები. ცეკას არასწორად მიაჩნდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება. ბათუმის ნავთი უნდა გადასცემოდა ამერიკულ კომპანია „სტანდარტ-ოილის“⁷³.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბრძანებით გაუქმდა ეროვნული ფული. კავკასიაში შემოიღეს რუსული ფულის ერთეული (რუბლი). ამ გადაწყვეტილებასაც

⁷² სურგულაძე, ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

⁷³ „სტანდარტ-ოილი“ (Standard Oil) - ნავთობის კომპანია, რომელიც დაარსა 1870 წელს ჯონ დ. როკფელერმა, მეოცე საუკუნის დასაწყისში წამყვან პოზიცია ეკავა ნავთობის მოპოვების ბაზარზე. კომპანიას თავისი წარმომადგენელი ჰყავდა ამიერკავკასიაში. ის დაინტერესებული იყო შავი ზღვის რეგიონით, კერძოდ ბათუმის ნავთობსატრანსპორტო პოტენციალით. სწორედ ბათუმის მეშვეობით გადიოდა უცხოეთში აზერბაიჯანული ნავთი. საბჭოთა ხელისუფლება თვლიდა, რომ ამ კომპანიისათვის შესაძლებლობის მიცემა გააძლიერებდა იმპერიალისტური ქვეყნების გავლენას რეგიონში.

საქართველოს ცენტრალური კავშირი ნაჩქარევად მიიჩნეოდა. მათი აზრით, ეს საკითხი მაშინ უნდა დამდგარიყო, როდესაც რსფს რესპუბლიკის ფულის ნიშნებს მეტი მსყიდველობითი უნარი ექნებოდა. პრობლემად რჩებოდა მიწის საკითხი, რომელიც კვლავ რჩებოდა მემამულე-თავადაზნაურთა ხელში და ჭიანურდებოდა მისი გლეხებისათვის გადაცემა.

უთანხმოება გამოიწვია რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტის მიერ 1921 წელს თბილისში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (ВЧК-Всероссийская чрезвычайная комиссия) სრულუფლებიანი წარმომადგენლობის დაფუძნებამ. საქართველოს კომპარტიას ნაადრევად მიაჩნდა მსგავსი ორგანოს შექმნა, ამიტომ რუსეთის კომიტეტს მიმართეს თხოვნით გადაესინჯათ ეს გადაწყვეტილება.

1921 წლის 3 ნოემბერს ჩატარებულ კავკასიის ბიუროს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დამტკიცდა რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიის სახელმწიფოს გაერთიანება საჭირო იყო ამ რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის. კავბიუროს მიაჩნდა, რომ გადაუდებელი და აუცილებელი იყო რესპუბლიკებს შორის ფედერაციული კავშირის შექმნა. პირველ რიგში, ეს მოიცავდა სამხედრო, სამეურნეო, საფინანსო მუშაობისა და საგარეო პოლიტიკას. აუცილებლად უნდა შექმნილიყო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ადმინისტრაციულ-ეკონომიკური ცენტრი (სამოკავშირეო საბჭო).⁷⁴


საქართველოს ცენტრალური კომიტეტი არ ეწინააღმდეგებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის ეკონომიკური გაერთიანების აუცილებლობას. ის მოითხოვდა ღონისძიებები გაეტარებინათ არა ბრძანების წესით. ს. ორჯონიკიძის (კავბიუროს ფაქტიური ხელმძღვანელის) თქმით, ბევრი ღონისძიება, რომელთა განხორციელების სურვილიც კავბიუროს ჰქონდა, არ განხორციელდა. გაურკვეველი იყო რკინიგზისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული ორგანოს შექმნის საკითხი. შეუსრულებელი დარჩა აგრეთვე სავალუტო ფასეულობათა საგარეო ვაჭრობისათვის გადაცემის გადაწყვეტილება და სხვა. კავბიუროს ღონისძიებათა ჩაშლის მიზეზად საქართველოსა და აზერბაიჯანში ოპოზიციის არსებობს ასახელებდა. მოგვიანებით, საქართველოს კომპარტია დაადანაშაულეს „ნაციონალურ გადახრაში“. ცენტრი ბუდუ მდივანს ადანაშაულებდა, რომ საჭიროდ არ მიაჩნდა ამიერკავკასიის ფედერაციის

⁷⁴ სურგულაძე, ა. ნარკვევები..., გვ. 395.


შექმნა, ამ ურჩობისთვის ბუდუ მდივანს ფიზიკურად გაუსწორდნენ. საბოლოოდ ყველაფერი ისე გადაწყდა, როგორც იოსებ სტალინმა და სერგო ორჯონიკიძემ დაგეგმეს.

იოსებ სტალინს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ყველა რესპუბლიკის მიმართ განსხვავებული მიდგომა. მისი თქმით, არსებობდა სამი ტიპის ავტონომიური დაყოფა:


ადმინისტრაციული ავტონომია



ადმინისტრაციულ- პოლიტიკური ავტონომია
(რომლის თავშიც დგას CHK⁷⁵)



რესპუბლიკების ურთიერთმოლაპარაკება
(შიდა დონეზე დამოუკიდებლობის შესახებ)



სრული დამოუკიდებლობა
(სომხეთი, საქართველო)

ი. სტალინის თქმით, საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებლობის ფორმა მისაღები იყო სხვადასხვა მიზეზის გამო. I - იმის გამო, რომ სამი წლის განმავლობაში საქართველო იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო გასაბჭოების პროცესი გართულდებოდა; II - ბათუმის პორტის გათავისუფლება დაკავშირებული იყო

⁷⁵ ეროვნული კომისარიატის საბჭო (Совет народных комиссаров) - გამოსცემდა დეკრეტებს. ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო სამეურნეო და სახალხო სამხედრო კომისიები უკავშირდება РСФСР და იღებს განკარგულებებს. მაგ: აზერბაიჯანის რესპუბლიკა, უკრაინა და სხვ.

უცხოურ ფირმებთან, რომლებსაც რუსეთთან თავისუფლად ვაჭრობის უფლება არ ჰქონდათ.

1920 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომარაგების სამინისტროსადმი რუსული ლოიდლის⁷⁶ მიერ მიწერილ წერილში ვკითხულობთ, რომ საბჭოთა რუსეთისათვის საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დამყარებული მშვიდობა მნიშვნელოვანი იყო, რადგან რუსეთს დასავლეთში ნედლეულის გატანა-შემოტანის შესაძლებლობა ეძლეოდა.

რუსეთში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, შედეგად დანგრეული იყო რკინიგზა, არ იყო საწვავი, სამხრეთ რუსეთის თეთრი ძალების მთავარსარდალ პეტრე ვრანგელის⁷⁷ მოქმედებების გამო ზღვისპირა ტერიტორიები გადადიოდა მოწინააღმდეგეთა ხელში. არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის გამო რუსეთისათვის ბაქო რჩებოდა ნედლეულის გასატან ერთადერთ გზად. სქემის მიხედვით ბაქოდან ტვირთი გადავიდოდა ბათუმში და იქიდან ქვეყნის სხვა პორტში. საგარეო ვაჭრობის ნაციონალიზაციიდან გამომდინარე გაგზავნილი საქონელი მოხვდებოდა ევროპულ ბაზარზე და იქ საქართველოს ხელისუფლება და კოოპერატივები ჩაერთვებოდნენ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა დაწესებულებებმა პოლიტიკური მიზნით გააკეთებინონ ეს საქმე კოოპერატივებს, რომელთაც თავის ხელში ექნებათ არა მხოლოდ ტრანზიტი, არამედ საქონლის მთლიანი რეალიზაციის საშუალება და მეორეს მხრივ, ეს გაამტკიცებს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას, რადგან საბჭოთა რუსეთი დაინტერესებული იქნება მიმდევარის დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში.⁷⁸

1920 წელს რუსეთი ამ დოკუმენტის მიხედვით, საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ჰპირდებოდა

⁷⁶ რუსული ლოიდლი იყო ერთ-ერთი ორგანო, ის შედიოდა ფინანსურ ჯგუფში, რომელსაც ეკუთვნოდა „კავკასია და მერკური“, „აღმოსავლეთი საზოგადოება“ მარინის კომპანიები, სადაზღვევო ორგანიზაცია „ვოლგა“, „კომერციული სადაზღვევო საზოგადოება“, „რუსული სადაზღვევო საზოგადოება“, ინგლისური სადაზღვევო საზოგადოება „ოვერსის“ (over sea), რუსული სატრანსპორტო და სავაჭრო ჯგუფი.

⁷⁷ პეტრე ნიკოლოზის ძე ვრანგელი - გენერალი, მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში, პირველ მსოფლიო ომში. რუსეთში სამოქალაქო დაპირისპირების დროს თეთრი ძალების მთავარსარდალი.

⁷⁸ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდები, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მომარაგების სამინისტრო, ფონდი 1939, ანაწ. 1, საქმე 3.

სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და თანამშრომლობას, რაც საბოლოოდ არ განხორციელდა. იმ შემთხვევაში, თუკი საბჭოთა რუსეთი ამ დოკუმენტის მიხედვით გააგრძელებდა საქართველოსთან თანამშრომლობას, მას თავად მოუწევდა საქართველოზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე დამოკიდებული გამხდარიყო. დაუსტებული რუსეთისათვის იძულებითი და ნაჩქარევი გასაბჭოება უკეთესი გამოსავალი იყო.

1921 წელს საქართველოს ცკ მოითხოვდა, შექმნილიყო ქართული არმია, რაზეც უარი მიიღო. მალევე რკპ(ბ) კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივ ბოლშევიკებს სამხედრო საკითხთან დაკავშირებით სამივე რესპუბლიკაში სრულ უფლებებს ანიჭებდნენ. ამ დადგენილების თანახმად, ქართული წითელი არმიის ნაცვლად შეიქმნა ქართული ბრიგადა, რომელიც შედიოდა კავკასიის არმიის შემადგენლობაში.

სერგო ორჯონიკიძე აქტიურად მუშაობდა ქართველი ბოლშევიკების წინააღმდეგ. ის აკრიტიკებდა და მათ წინააღმდეგ აგიტ-პროპაგანდას აწარმოებდა. ტარდებოდა კრებები, სადაც ხალხს აცნობდნენ კავშიურის დადგენილებებს. აგიტაციები მიმდინარეობდა სომხეთსა და აზერბაიჯანშიც. სერგო ორჯონიკიძე საქართველოში იყო პარტიის პოლიტიკის „გამხმოვანებელი“ და მთავარი აგიტატორი. ი. სტალინი ნებისმიერ პრობლემას სერგო ორჯონიკიძის მეშვეობით აგვარებდა. 1921 წლის 15 ივლისს თბილისში ს. ორჯონიკიძემ წაიკითხა მოხსენება კავკასიის რესპუბლიკების მდგომარეობისა და კომუნისტური პარტიის ამოცანების შესახებ. ის შეეხო ამიერკავკასიის კავშირის შექმნის საკითხს. მისი თქმით, ქვეყანაში ომის შემდგომ შექმნილი რთული მდგომარეობის გამო მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო იყო კავკასიის ეკონომიკური გაერთიანება.

თბილისში არსებობდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, ბაქოში კი მრეწველობისათვის, კერძოდ, ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი სათბობი, ეს ყველაფერი სომხეთს არ გააჩნდა. პარტიის მთავარი დევიზიდან გამომდინარე საჭირო იყო ქვეყნებს შორის ძმური კავშირის დამყარება ერთმანეთის დასახმარებლად.⁷⁹

⁷⁹ ორჯონიკიძე გროგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ამიერკავკასიის შესახებ. სიტყვები და სტატიები 1911-1926 წწ. თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“. 1986, გვ. 153.

მეორე მნიშვნელოვან საკითხად ს. ორჯონიკიძე მიიჩნევდა საგარეო ვაჭრობას. საქართველოსთან მიმართებით პარტიის პოლიტიკის შესახებ მსჯელობისას სერგო ორჯონიკიძე თვლიდა, რომ საქართველო იყო წვრილბურჟუაზიული ქვეყანა, რომელსაც სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით ძლიერი ინტელიგენცია ჰყავდა, ამის დამადასტურებელი იყო ის ფაქტი, რომ საქართველოსგან განსხვავებით გასაბჭოებას არ გამოუწვევია დიდი არეულობა.⁸⁰

1922 წლის 23 თებერვალს საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სამი ქვეყანა ერთმანეთთან ამყარებდა სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მჭიდრო კავშირს. რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს ხელისუფლებად ითვლებოდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მთავრობების მიერ თანაბარი რაოდენობით არჩეული წარმომადგენლების სრულუფლებიანი კონფერენცია. მის აღმასრულებელ ორგანოდ ითვლებოდა საკავშირო საბჭო, რომლის წევრებს ირჩევდა და უკან იწვევდა კონფერენცია.

საკავშირო საბჭოს მართვაში გადავიდა სამხედრო საქმეები, ფინანსები, საგარეო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობა, გზები, ფოსტა-ტელეგრაფი. მასვე დაევალა კონტრევოლუციასთან ბრძოლა და ეკონომიკური პოლიტიკის მართვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე. საკავშირო საბჭო შედგებოდა თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და წევრებისგან.⁸¹

საქართველოს ცენტრალურ კომიტეტსა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს შორის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ 1922 წლის 23 იანვრიდან 1 თებერვლამდე მიმდინარე ყრილობაზე კავშიურს ხელმძღვანელობის გავლენით, ყრილობამ უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს კომპარტიის ე.წ. „უკლონისტურ“ ცენტრალურ კომიტეტს და აირჩია ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ მხოლოდ ბუდუ მდივანი და ფილიპე მახარაძე. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა (რკკ) საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოსთხოვა ახალი შემადგენლობის დამტკიცება, რაზეც უარი მიიღო. ცენტრალური კომიტეტის

⁸⁰ ორჯონიკიძე გროგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ამიერკავკასიის შესახებ. გვ. 163.

⁸¹ აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო ხელშეკრულება 23 (1922) კომუნისტი, 1922, გვ. 2 https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/309185/1/Komunisti_1922_N43.pdf

წევრებად შეიყვანეს „უკლონისტთა“ ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ყრილობამ არ აირჩია. კომისიას მიაჩნდა, რომ გამოცდილი ბოლშევიკების კომიტეტში შესვლა საჭირო იყო მათი გამოცდილების გამო. რესპუბლიკების გაერთიანების საკითხის შესახებ უთანხმოების გადასაწყვეტად და კონკრეტული მიმართულებების დასადგენად ჩამოყალიბდა კომისია, რომლის წევრები იყვნენ: ი.ბ. სტალინი, ვ.ვ. კუბიშევი⁸², გ.კ. ორჯონიკიძე, ა.თ. მისანიკოვი⁸³, გ.ი. პეტროვსკი⁸⁴, ბ.გ. მდივანი და სხვ. კომისიამ დაეთანხმა სტალინის მიერ წარდგენილ „ავტონომიზაციის გეგმას“, რომელიც ითვალისწინებდა რესპუბლიკების გაერთიანებას „რსფსრ“ რესპუბლიკების ფარგლებში ავტონომიის საფუძველზე.

საქართველოს კომპარტიისა და სტალინ-ორჯონიკიძის გუნდს შორის დაპირისპირება არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ცენტრალური კომიტეტი იყო ფედერაციის შექმნის წინააღმდეგი. კავშიურს ხელმძღვანელობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების მოსაზრებებს, რომლებიც მათ შეხედულებებს არ ეთანხმებოდა, ხშირად მიზანმიმართულად ამახინჯებდა. „ნაციონალ-უკლონისტებს“ ბრალად სდებდნენ შოვინიზმის გაღვივებასა და ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანების იდეის უგულებელყოფას. ორჯონიკიძე-სტალინის გუნდი ამტკიცებდა, რომ „უკლონისტები“ ითხოვდნენ არაქართველების გასახლებას და, თითქოს, მათივე ინიციატივით გამოცემული იყო კანონი, რომლის მიხედვითაც, ქართველის არაქართველზე გათხოვების შემთხვევაში ის ეროვნულ კუთვნილებას კარგავდა. სინამდვილეში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები მხოლოდ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მართებულობას ამტკიცებდნენ. მათი პოზიციის მიხედვით, საჭირო იყო ფრთხილი მიდგომა, რათა არ ჩაშლილიყო საარჩევნო კამპანია.

საქართველოს კომპარტიის წევრები აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ „ავტონომიზაციის“ საკითხს. მათ პოზიციას ეთანხმებოდა და მხარს უჭერდა ვ. ლენინიც, რომელიც შეხვდა ბ. მდივანს, შემდეგ მ. ოკუჯავას, ვ. დუმბაძეს⁸⁵.

⁸² ვალერიან ვლადიმირის ძე კუბიშევი (1888-1935) - რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული მოღვაწე.

⁸³ ალექსანდრ ფიოდორის ძე მისანიკოვი (1886-1925) - რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული მოღვაწე.

⁸⁴ გრიგოლ ივანეს ძე პეტროვსკი (1878-1958) - რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული მოღვაწე.

⁸⁵ ვლადიმერ (ლადო) ელიზბარის ძე დუმბაძე - დაბადებული 1892 წელს, პარტიის წევრი გახდა 1917 წელს, სამხედრო კოლეგიის დადგენილებით გადაასახლეს 1928 წელს ციმბირში 3 წლით, შემდეგ გასპს-

ვ. ლენინი „ქართველთა საქმით“ შეეცადა ი. სტალინის გენერალური მდივნის თანამდებობიდან გადაყენებას⁸⁶. ის საჭიროდ მიიჩნევდა გარკვეული დამატებების შეტანას საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პროექტში, რომლის განხილვაც დაიგეგმა 1922 წლის 6 ოქტომბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე. ვ. ლენინმა ავადმყოფობის გამო სხდომაზე დასწრება ვერ შეძლო. ლ. კამენევისადმი მიწერილ წერილში ვ. ლენინი აღნიშნავდა, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა შოვინიზმს.⁸⁷ ის მიიჩნევდა, რომ ცეკას თავჯდომარეების თანამდებობაზე მონაცვლეობით უნდა არჩეულიყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო უკრაინისა და ბელორუსიის მსგავსად შესულიყო სსრ კავშირის შემადგენლობაში, რაც არ წარმოადგენდა პარტიის მხრიდან ეროვნული პოლიტიკის გატარების მცდელობას. რუსეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა უარყო მიღებული გადაწყვეტილება და დარჩა თავის პოზიციაზე - საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესულიყო ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით.

ვ. ლენინის დადებითი დამოკიდებულების გამო „ნაციონალ-უკლონისტებისადმი“ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დამოკიდებულებაც დადებითი იყო, რასაც მოწმობდა 25 იანვარს მიღებული დადგენილება საქართველოს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის შესახებ. რკპ(ბ) კომიტეტი ემყარებოდა იმ დადგენილებებს, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მუშაობა ვერ იქნებოდა კარგი, თუ ცეკას შემადგენლობაში არ იქნებოდნენ გამოცდილი ქართველი მარქსისტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა სფეროს, სამხედრო-საზღვაო და სამეურნეო მიმართულებით.

ს/ოგპუ/კოლეგიის განსაკუთრებული სათათბიროს 1932 წლის 16 მაისის დადგენილებით, სასჯელის მოხდის მერე ვადა კიდევ გაუგრძელეს 3 წლით. საქართველოს ცენტრალური კომუნისტურ პარტიასთან არსებულ პარტიულ საკონტროლო კომისიის უფროსის სახელზე 1989 წლის 3 მაისს ვერა ვლადიმერის ასულმა დუმბაძემ დაწერა განცხადება მშობლების რეაბილიტაციის მოთხოვნით. ვლადიმერ დუმბაძე გადასახლებაში ყოფნისას გარდაიცვალა 1936 წლის 17 ივნისს ქ. სარაპულში. მისი მეუღლე ქეთევან ნესტორის ასული დუმბაძე, პარტიული 1917 წლიდან რეპრესირებული იყო 1929 წლის ოქტომბერში, შვილმა მიიღო ცნობა, რომ ის გარდაიცვალა 1942 წელს გადასახლების ადგილზე.

⁸⁶ ოლეგ ხლევნიუკი, სტალინი დიქტატორის ახალი ბიოგრაფია, არტანუჯი, 2022, გვ. 105.

⁸⁷ ჟვანია, გრიგოლ. ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონიზმის“ შესახებ, თბილისი: „საბჭოთა საქართველო, 1990, გვ. 43.

ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნდა, რომ ს. ქავთარაძეს უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო, ვიდრე ზოგიერთ ახალგაზრდა კომუნისტს. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა:

- 1) საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის წევრებად აირჩიეს: შ. ელიავა, მ. ტოროშელიძე⁸⁸, ს. ცინცაძე, კ. ქავთარაძე; კავშიურის კი დაევალა, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდა წევრები დაესახელებინათ კანდიდატებად;
- 2) საქართველოს კომიტეტის სამდივნოს პრეზიდიუმში, უმრავლესობა უნდა ჰქონოდათ პარტიულ ბოლშევიკებს და აუცილებელი იყო წევრთა სამუშაო გამოცდილების ხუთწლიანი სტაჟი;
- 3) ბუდუ მდივნის გენუადან დაბრუნებამდე საქართველოს სახკომსაბჭოს თავჯდომარის არჩევის საკითხი არ უნდა განხილულიყო.

დადგენილების თანახმად, ხელმძღვანელობა უნდა დაკომპლექტებულიყო კანდიდატებით, რომელთაც გააჩნდათ „თებერვლამდელი სტაჟი.“ რის შესაბამისადაც, ცენტრალური კომიტეტის წევრებად აირჩიეს ცხრა პიროვნება. მათ შორის იყვნენ: ნ. ნარიმანოვი, მ. კიროვი, ბ. მდივანი, მ. ორახელაშვილი, კ. ადირლი და ს. ორჯონიკიძე.

1922 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაღებინეს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, მოითხოვდნენ საქართველოს შესვლას საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში და ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ლიკვიდაციას.⁸⁹

1922 წლის 14 ნოემბერს შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც დაადგინა, რომ ე.წ. „უკლონისტების“ ნაწილი არალეგალურად მუშაობდა და აგიტაციას ეწეოდა საქართველოს ცეკას ახალი შემადგენლობის წინააღმდეგ ისეთ რეგიონებში, სადაც პარტიის გავლენა სუსტი იყო. ოზურგეთის სამაზრო კომიტეტისა და ადგილობრივი

⁸⁸ მალაქია გიორგის ძე ტოროშელიძე - დაბადებული 1880 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იკავებდა მაღალ თანამდებობებს. 1936-1937 წლებში. იყო განათლების სახალხო კომისარი. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, გადაასახლება მიესაჯა მის მეუღლე მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძეს, სამეულის ბრძანებით დახვრიტეს მათი ორი ვაჟი გიორგი და ლევან ტოროშელიძეები.

⁸⁹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1961, თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა საბჭოთა საქართველო. გვ. 93.


მუშაკების კრებამ 2 ნოემბერს უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს ცეკას განახლებულ შემადგენლობას და მოითხოვა, კვლავ დაებრუნათ ძველი წევრები.

1922 წლის 10 დეკემბერს ბაქოში ჩატარდა ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც მოიწონა ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაახლოებისა და გაერთიანების იდეა. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეს 150 კაცი. ყრილობამ საკონსტიტუციო დონეზე დაამტკიცა ამიერკავკასიის გაერთიანება. საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა შექმნეს ფედერაციული სახელმწიფო, რომელიც განსხვავებული იყო რუსეთის ფედერაციაში შესული რესპუბლიკების გაერთიანებისაგან, გაერთიანება მოხდა „ავტონომიზაციის“ ფორმით. ეს ნიშნავდა, რომ თუ საბჭოთა რუსეთის ფედერაციის სუბიექტები იყვნენ, ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები, ფედერაციის შემადგენლობაში შედიოდნენ დამოუკიდებელი რესპუბლიკები, რომლებიც ნებაყოფლობით თანხმდებოდნენ უფლებების ნაწილობრივ შეზღუდვაზე.⁹⁰

1923 წლის მარტში ჩატარებულ ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II ყრილობაზე სერგო ორჯონიკიძემ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მიმართული იყო ბ. მდივნის წინააღმდეგ. საბოლოო ჯამში ს. ორჯონიკიძემ მიაღწია მიზანს და გარდა ფ. მახარაძისა, არც ერთი „უკლონისტი“ არ შეუყვანიათ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელ ორგანოში.

1922 წლის 12 მარტში დაიდო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება. ფედერაციის შექმნის იდეა მოტივირებული იყო სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის აუცილებლობით. ამიერკავკასიის ფედერაციის მოწყობის სტრუქტურა შემდეგნაირი იყო: უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნოდა „სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციას“, აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებს ასრულებდა კონფერენციის მიერ შექმნილი „სამოკავშირეო საბჭო“. მის ფარგლებში ჩამოყალიბდა უმაღლესი ეკონომიკური საბჭო, რომელიც მოქმედებდა როგორც მუდმივი კომისია. ამ საბჭოს დადგენილებები სავალდებულო იყო გაერთიანებულ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოსთვის.

⁹⁰ კაჭარავა, ი. ა. კოჭლავაშვილი, ი. მირცხულავა [და სხვ.]. საქართველო XX საუკუნის 20-30-იანი წლებში. გვ. 108.



1923 წელს ჩატარებულ საქართველოს პარტიის ყრილობაზე, ცეკას გადაწყვეტილებით, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია აღიარებულ იქნა შოვინიზმის აღმოფხვრის ერთადერთ აუცილებელ საშუალებად, პარტიამ ასევე დაგმო „ნაციონალ-უკლონიზმი“. ყრილობამ დაშლილად გამოაცხადა ყველა ფრაქცია და ჯგუფი, ხოლო ცეკას დაავალა მსგავსი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლა⁹¹.

ცხადი იყო, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობა შეცდომებს უშვებდა. ის უგულებელყოფდა რესპუბლიკების უფლებებს, რაც ხელს უწყობდა ძალაუფლების ცენტრალიზაციას. ეს ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის იდეას. ი. სტალინი იძულებული გახდა, საყვედური ეთქვა სერგო ორჯონიკიძისათვის და შეცდომის გამოსწორება დაევალებინა.

1923 წლის მარტში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, ლევ ტროცკიმ წარადგინა პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოითხოვა სერგო ორჯონიკიძის გაწვევა. ლ. ტროცკის შეფასებით, ამიერკავკასიის ფედერაცია იმ სახით, როგორითაც ის იმ დროისთვის არსებობდა, საბჭოთა ფედერალიზმის დეფორმირებულ ფორმას წარმოადგენდა და ზედმეტად ცენტრალიზებული იყო. ტროცკის აზრით, საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობა არ უნდა შეფასებულიყო პარტიული ხაზისაგან გადახვევად. მისი მტკიცებით, ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელობის ქმედებები უმთავრესად თავდაცვითი რეაქცია იყო სერგო ორჯონიკიძის მიერ გატარებულ არასწორ პოლიტიკურ კურსზე. ლ. ტროცკის ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა რკპ(ბ)

⁹¹ კაჭარავა, ი. ა. კოჭლავაშვილი, ი. მირცხულავა [და სხვ.]. დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

ცენტრალურმა კომიტეტმა, არც პოლიტბიუროზე და არც პლენუმზე. სამაგიეროდ, მიიღეს გადაწყვეტილება 31 მარტს ბ. მდივნის გაწვევის შესახებ.

გ. ზინოვიევს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ცეკას რეორგანიზება, ამიტომ წამოაყენა იდეა სამდივნო შემდგარიყო სამი ადამიანისგან - ზინოვიევის, ტროცკისა და სტალინისგან. კანდიდატებად ასევე დასახელდნენ ლ. კამენევი და ნ. ბუხარინი. მიზანი იყო ი. სტალინისათვის ნაკლები ძალაუფლების მინიჭება.⁹²

1926 წლის ნოემბერში ჩატარდა პარტიის XV ყრილობა, რომლის ჩანაწერებიც იბეჭდებოდა „კომუნისტში“. დიდი ადგილი დაეთმო ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის გამოსვლას. საკავშირო კომპარტიის XV ყრილობაზე იოსებ სტალინი გამოვიდა სიტყვით, სადაც ისაუბრა ოპოზიციის ბლოკის შექმნის განვითარების ეტაპებზე და მისი დაშლის შესახებ. ჯერ კიდევ XIV ყრილობაზე, ი. სტალინის თქმით, გ. ზინოვიევმა საფუძველი ჩაუყარა ოპოზიციური მიმდინარეობების გაერთიანებას იდეას, რამაც გამოხმაურება ჰპოვა ტროცკისტებში. პირველი ნაბიჯი გადაიდგა აპრილის პლენუმზე, სადაც ორი ჯგუფი შეთანხმდა სამეურნეო საკითხის გარშემო. მეორე ეტაპი იყო ივლისის პლენუმზე ბლოკის შექმნა ყოველგვარი პირობის გარეშე.

სექტემბერში იერიში მიიტანეს და აშკარა მოწოდებებით მიმართეს რაიონულ უჯრედებს. მოსკოვსა და ლენინგრადში, როგორც სამრეწველო ისე არასამრეწველო ცენტრში, პარტიულმა მასებმა ოპოზიციას გაუწიეს წინააღმდეგობა და დაამარცხეს. მათ მოუწიათ ფრონტის შეცვლა. ოპოზიციამ განაცხადა, რომ ბოლო მოუღო შინაპარტიულ დაპირისპირებას. თავდაპირველად ოპოზიცია მტკიცედ იცავდა თავის შეხედულებებს, მაგრამ შემდეგ ზოგიერთ იდეურ პოზიციებს გაემიჯნა. ი. სტალინის თქმით, ეს ადასტურებდა ოპოზიციური ბლოკის დამარცხებას. ზინოვიევის აზრით, მათ ბრალს ვერ დასდებდნენ ბლოკის შექმნაში, რადგან ლენინიც არ იყო ამ იდეის შექმნის წინააღმდეგი.

არსებობდა ანტიპარტიული ბლოკი, რომლის წინააღმდეგაც ვ. ლენინი იბრძოდა ოთხი წლის განმავლობაში, ასევე იყო „ლენინელების“ და „პლახანოვის“ მიმდევრების კავშირი, რომლებიც აძლიერებდნენ პარტიას. ოპოზიციური ბლოკის

⁹² Гайсинский М. БОРЬБА С УКЛОНАМИ ОТ ГЕНЕРАЛЬНОЙ ЛИНИИ ПАРТИИ. Исторический очерк внутри партийной борьбы после октябрьского периода МЛРД "Рабочий путь", 2018. გვ. 117.

საქმიანობა კი, პირიქით, მიმართული იყო პარტიის წინააღმდეგ. ოპოზიციურ ბლოკს საერთო არაფერი ჰქონდა ლენინისა და პლენუმის შექმნილ ბლოკთან.

ი. სტალინი მიიჩნევდა, რომ ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი კურსი ბოლშევიზმისგან სოციალ-დემოკრატიული ტიპის გადახრას წარმოადგენდა, რომელიც არსობრივად ტროცკისტული პერმანენტული რევოლუციის თეორიას ეყრდნობოდა. ეს თეორია პარტიის მიერ უკვე დაგმოვილი იყო, მაგრამ თავად ლ. ტროცკის არ უარუყვია. XIV პარტიულმა ყრილობამ კიდევ ერთხელ დაგმო ტროცკისტული იდეოლოგია, რაც ი. სტალინის აზრით, ემსგავსებოდა ავსტრო-მარქსისტული "მემარცხენე" თეორეტიკოსის, ოტო ბაუერის⁹³ პოზიციებს. სტალინი თავის თეზისებსა და გამოსვლებში მკაცრად აკრიტიკებდა ო. ბაუერისეულ მიდგომებს. თვით პერმანენტული რევოლუციის იდეა, როგორც სტალინი აღნიშნავდა, სოციალ-დემოკრატიული ბუნებისაა, და სწორედ ამიტომ განიხილებოდა იგი, როგორც მენშევიკებთან აზრთა თანხვედრის მქონე და მათ პოზიციებთან ახლოს მდგომი გადახრა.⁹⁴

XV ყრილობის შემდეგ ბაქოს კომიტეტის პლენუმი გაეცნო ოპოზიციის ბელადების განცხადებას და შეუერთდა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიულ ორგანიზაციებისადმი რეზოლუციით. რეზოლუციაში ხაზგასმული იყო, რომ ოპოზიციამ თავისი განცხადებით დიდი ნაბიჯი გადადგა პარტიის მთლიანობის უზრუნველსაყოფად, თუმცა ის დარჩა მცდარ პოზიციაზე, რაც დაგმო XIV ყრილობამ. პლენუმი ვალდებულად თვლიდა, გაგრძელებულიყო ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ.⁹⁵

რეგიონულმა კომიტეტებმა გამოაცხადა, რომ გმობდნენ ოპოზიციას. ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები „კომუნისტში“ წერდნენ საკუთარი შეცდომების შესახებ და პარტიას ერთგულებას უცხადებდნენ. საკუთარი შეხედულებები დაგმეს ყრილობაზე გაკრიტიკებულმა ოპოზიციის ლიდერებმაც:

⁹³ ოტო ბაუერი (1881-1938) - რევოლუციონერი, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი.

⁹⁴ რატომ არის ოპოზიციის გადახრა სოციალ-დემოკრატიული („პრავდას“ მოწინავე წერილი), კომუნისტი 4 (1926), N 252, გვ. 1.

https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/328983/1/Komunisti_1926_N252.pdf

⁹⁵ პარტიული ცხოვრება, თბილისის ორგანიზაცია მთლიანობის სადარაჯოზე, კომუნისტი, 20 (1926), N 266, გვ. 2. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/329022/1/Komunisti_1926_N266.pdf

„შლიაპნიკოვისა და მედვედევის განცხადება უმნიშვნელო მოვლენა არ არის, ის არის ნაბიჯი ავადმყოფურ წვრილბურჟუაზიულ გადახრათა ლიკვიდაციისაკენ საკავშირო კომპარტიაში(ბ), იმ გამარჯვების მერე, რაც პარტიამ მოიპოვა ტროცკი-ზინოვიევის ოპოზიციაზე, პარტია კიდევ იმარჯვებს და ამარცხებს მედვედევ-შლიაპნიკოვის პლატფორმას. ისინი მთელი პარტიის წინაშე აცხადებენ პოლიტიკურ შეცდომებს და უარს ამბობენ თავიანთ პრინციპულ დებულებებზე. ისინი აცხადებენ, რომ ეთანხმებიან პარტიის ლენინურ პრინციპს, შლიან თავიანთ ფრაქციულ დაჯგუფებებსა და პირობას დებენ, რომ უსიტყვოდ დაემორჩილებიან ყველა ორგანოს გადაწყვეტილებებს. ორივე აღიარებს, რომ მედვედევის ცნობილი წერილი შეიცავს მთელ რიგ ტლანქ მცდარ შეხედულებებს, რომელიც ეწინააღმდეგება ლენინიზმისა და კომინტერნის პრინციპებს, თავიანთ წერილ- პლატფორმის უმთავრეს ნაწილს ახლა ღრმად შემცდარს უწოდებენ.“⁹⁶

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ფილიპე მახარაძეც, რომელმაც ისაუბრა საქართველოში ოპოზიციური ბლოკის გააქტიურების შესახებ. მისი თქმით, ოპოზიციური ბლოკის აგიტატორები ყველგან ავრცელებდნენ ყოველგვარ ცილისმწამებლურ ხმებს პარტიასთან დაკავშირებით. საუბრობდნენ, რომ მალე თავად მოახდენდნენ რევოლუციას, გადააყენებდნენ ცენტრალურ კომიტეტს, შეიცვლებოდა ხელისუფლების ყველა ორგანო. ასეთი განცხადებით ფილიპე მახარაძე შეეცადა საკუთარი თავის გადარჩენას, რადგან ისიც „ნაციონალ-უკლონისტა“ ჯგუფის წევრად მოიაზრებოდა. საბოლოოდ მას გაუმართლა, რადგან ერთადერთი აღმოჩნდა ძველ ბოლშევიკთაგან, რომელიც გადაურჩა რეპრესიებს. 1925 წელს დასრულდა დისკუსია ამიერკავკასიის ფედერაციის ირგვლივ. ქართველი ბოლშევიკებმა შექმნეს განსხვავებული ჯგუფი: ფ. მახარაძე, ს. თოდრია⁹⁷ და ზოგიერთი ლიდერი გაემიჯნა ბ. მდივანს, მ. ოკუჯავას, ლ. დუმბაძეს. ვ. ლენინის გარდაცვალებამ და იოსებ სტალინის ახალ მმართველად მოსვლამ ახალი რეალობა გააჩინა. 1931 წლამდე ეტაპობრივად მიმდინარეობდა პარტიის რიგებში ე.წ. „მავნე ელემენტების“ წმენდა.

⁹⁶ მემარჯვენე პლატფორმის დამარცხება („პრავდას“ მოწინავე წერილი), კომუნისტი, 2(1926), N 250, გვ. 1. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/328981/1/Komunisti_1926_N250.pdf

⁹⁷ სილიბისტრო (სილია) იესეს ძე თოდრია (1880-1936) - მწერალი, პოლიტიკოსი.

ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის წლებში თბილისში არსებობდა ორი საგანგებო კომისია - ამიერკავკასიისა და საქართველოსი. ორივე დამოუკიდებლად აწარმოებდა რეპრესიებს. ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც ლავრენტი ბერია გახდა ცეკას მდივანი. მან ეს ორგანოები გააერთიანა. თბილისში შეიქმნა სამეული, რომელიც წყვეტდა, ვის რა ბედი ეწეოდა. სამეულის წევრები იყვნენ ს. გოგლიძე, ვ. დეკანოზოვი და ბ. ქობულაძე⁹⁸.

ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ იარსება 1936 წლის დეკემბრამდე. მისი გაუქმების მიზეზი არა მხოლოდ იდეოლოგიური, არამედ პრაქტიკულ-ადმინისტრაციული ფაქტორები იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ წელს მიიღო ახალი კონსტიტუცია, რის გამოც, ასფსრ კავშირის წევრი რესპუბლიკები საბჭოთა კავშირში შევიდნენ, როგორც დამოუკიდებელი საკავშირო რესპუბლიკები.

30-იანი წლების დასაწყისში ცენტრმა გააძლიერა კონტროლი პერიფერიაზე და შეამცირა შუალედური რგოლი. საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია გაძლიერებულ უფლებებს ანიჭებდა მასში შემავალ რესპუბლიკებს. მათ კავშირიდან ფორმალურად გასვლის შესაძლებლობაც კი ენიჭებოდათ. ამ პროცესებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პარტიული დისკურსის ფორმირება, რომლის მიზანიც, ე.წ. „ერთიანი საბჭოთა ცენტრის“ გარშემო ხალხისა და პოლიტიკური ელიტის კონსოლიდირება იყო.

1934 წელს თბილისში ჩატარდა საქართველოს კპ(ბ) ყრილობა, რომელზეც ამიერკავკასიის კომიტეტის მდივანმა ლ. ბერიამ თავის გამოსვლაში მკაფიოდ გაუსვა ხაზი ცენტრის როლს ამიერკავკასიაში პოლიტიკური პროცესების ფორმირებაზე. მან იოსებ სტალინის სახელი დაუკავშირა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რეგიონებში რევოლუციური მოძრაობის დაწყებას. ლ. ბერიას განცხადება კარგად წარმოაჩინდა იმ პოლიტიკურ სტრატეგიას, რომლის ფარგლებშიც ეროვნული საკითხისადმი ფორმალურად ლოიალური რიტორიკა სინამდვილეში ემსახურებოდა ადგილობრივი პოლიტიკური პროცესების ცენტრისათვის დაქვემდებარების ლეგიტიმაციას.

⁹⁸ სერგო არსენის ძე გოგლიძე - უზბეკეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, შსსკ-ის სამეულის წევრი.

II თავი

ეკონომიკური გარდატეხა და პოლიტიკური ბრძოლა: ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია და სტალინიზმის ფორმირება საქართველოში

§ 2. 1. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაცია. პარტიული დაპირისპირება

ძალაუფლებისა და ტოტალური კონტროლის მოპოვება, როგორც ინდივიდუალურ, ასევე სახელმწიფოებრივ დონეზე, ბოლშევიკური რეჟიმის მოქმედების სისტემურ ფორმად ჩამოყალიბდა. ერთ-ერთ საწყის ეტაპზე თავად ტერორი გახდა ლეგიტიმური და იურიდიულად გამართლებული, როგორც იდეოლოგიური ინსტრუმენტი, რომელსაც ბოლშევიკური ლიდერები მიმართავდნენ რევოლუციის მიზნებისა და პოლიტიკურ-იდეოლოგიური დოქტრინის დასაცავად. თანდათან ზღვარი წაიშალა რევოლუციურ სამართლიანობასა და განუზომელ მკვლევლობებს შორის.⁹⁹

სტალინის მმართველობის პერიოდში ტერორმა განსაკუთრებით სასტიკი სახე მიიღო. ამ პერიოდში დაიწყო ბრძოლა ოპონენტების წინააღმდეგ, შეიქმნა ე.წ „მტრის ხატი“, რომელსაც ბრალდებოდა პარტიის ნებისმიერი წარუმატებლობა. ცენტრსა და პერიფერიას შორის აშკარა დაპირისპირება გრძელდებოდა მანამ, სანამ ცენტრალურმა ხელისუფლებამ კრიტიკულად განწყობილი ხალხის მოშორება არ დაიწყო. დაპირისპირების მთავარ საფუძველს წარმოადგენდა ცენტრის მიერ გაცემული ბრძანებები, რომლის შესრულებაც არსებული რესურსებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო. მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდნენ არა მხოლოდ პარტიული მუშაკები, არამედ უბრალო მოქალაქეებიც.

1921 წლიდან გაზეთებში წერდნენ საზოგადოებისათვის „ხელშემშლელი ელემენტების“ მოშორებისა და მათი „წმენდის“ აუცილებლობის შესახებ. პარტიულ საქმიანობაში აქტიურად ჩართულ ადამიანებს ახალისებდნენ და მათ შესახებ

⁹⁹ Amy Knight. Beria: Stalin's First Lieutenant, Princeton University Press, 1993. გვ. 4.

გაზეთებში წერდნენ. მაგალითად 1921 წელს გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით აბაშის რაიონში პარტ. ორგანიზაციის წევრ გიგო ლომიძის მეშვეობით მოხდა „ხელშემშლელი ელემენტების“ მოშორება.¹⁰⁰

პროფკავშირებმა დაიწყეს ადამიანების გამოსახლება ან შევიწროება. ვისაც დიდი ფართი ან ერთ ბინაზე მეტი ჰქონდა, ართმევდნენ, სახლებში უსახლებდნენ უსახლკარო მუშებს,¹⁰¹ საფუძველი ეყრებოდა კონტროლის პოლიტიკას. ფეოდალური წყობილების ეკონომიკური სისტემა ეტაპობრივად იცვლებოდა და აქცენტი კეთდებოდა საყოველთაო, თანასწორ ეკონომიკური მდგომარეობის მიღწევაზე.

პარტიის არასასურველი ელემენტებისაგან გაწმენდა 20-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ამ დროს რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, რაც განაპირობა სამოქალაქო ომმა და იმპერიის მიერ დატოვებულმა მემკვიდრეობამ. განსაკუთრებით რთული ვითარება იყო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით. 1920 წელს სასოფლო მეურნეობის პროდუქცია წარმოადგენდა მეფის რუსეთის სასოსოფლო-სამეურნეო პროდუქტის 65 პროცენტს. პური და სხვა საკვები პროდუქტები არ იყო საკმარისი. ხალხი შიმშილობდა, სოფელი დასუსტებული იყო. 1920 წელს ინდუსტრიულ წარმოებაში დასაქმებული მუშების რაოდენობა თითქმის 2-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე 1913 წელს.¹⁰²

საქართველოში 1921 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ შემოწმებული 392 საწარმოდან 75% ნაწილობრივ მოქმედებდა, 2/3-ს თითქმის არ ჰქონდა ნედლეულის მარაგი. თბილისში არსებულ საწარმოებში ძალიან მცირე იყო მუშების რაოდენობა.¹⁰³

ასეთ ვითარებაში სუსტდებოდა საბჭოთა ხელისუფლების ძალაუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა. ლენინი პროლეტარიატის დიქტატურას აიგივებდა

¹⁰⁰ სენაკის სამაზრო პარტ ორგანიზაციის გამწმენდ კომისიის მუშაობა, აბაშის რაიონი. კომუნისტი, 29 (1921), N 198, გვ. 2 https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/162732/1/Komunisti_1921_N198.pdf

¹⁰¹ ლოსანერიძე, პ. წარმოებითი პროფკავშირებში, „უსამართლობის მამხილებლის“ საპასუხოდ. კომუნისტი 17 (1921), N 239, გვ. 3.

https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/163282/1/Komunisti_1921_N239.pdf

¹⁰² საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბილისი : სახელმწიფო გამომცემლობა საბჭოთა საქართველო. 1961. გვ. 415.

¹⁰³ გუნია ავ. დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

პარტიის დიქტატურასთან, რაც ნიშნავდა ხელმძღვანელობის მიერ მუშათა კლასის პოლიტიკურ აღზრდას.

1921 წლიდან თავი იჩინა ეკონომიკურმა სიძნელეებმა. გლეხები უარს ამბობდნენ „სასურსათო გაწერაზე“, რაც პარტიის აზრით, მოსახლეობის ფართო მასებს აკარგვინებდა სამეურნეო განვითარების სტიმულს. გლეხებს სურდათ, თავისუფლად მოეხმარათ სამრეწველო საქონელი. ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ადამიანებს, რომლებიც ფლობდნენ გარკვეულ კაპიტალს, არ სურდათ მასზე უარის თქმა. პარტია მათ კრიტიკულ დამოკიდებულებას წვრილბურჟუაზიულ გადახრად მიიჩნევდა და მოიხსენებდა, როგორც ექსპლოატატორთა კლასს.

ახალ ეტაპზე გადასასვლელად და ხალხში უკმაყოფილების შემცირების მიზნით, ვ. ლენინმა წარადგინა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გეგმა, რომლის მიზანი იყო მსხვილი მრეწველობის განვითარება. სახელმწიფო რჩებოდა ქონების მესაკუთრედ, მაგრამ იჯარით დროებით გასცემდა იმ სამრეწველო დაწესებულებებს, რომლებიც სუსტად ან საერთოდ არ მუშაობდნენ წარმოების გასამდიერებლად.¹⁰⁴

კიდევ უფრო რთული ეკონომიკური ვითარება იყო საქართველოში. ვ. ლენინმა ქართველ ბოლშევიკებს შესთავაზა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საკუთარი ტაქტიკის შემუშავება.¹⁰⁵

1921 წლის 23 მარტს მოსკოვში ჩატარდა აღმასრულებელი კომიტეტის სესია, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შემოეღოთ ე.წ. ნატურალური გადასახადი. საბჭოთა ხელისუფლება თავს ვალდებულად თვლიდა, სოფელში მცხოვრები ღარიბი გლეხებისათვის მიეწოდებინა აუცილებელი პროდუქტი. დაბეგვრის ნაცვლად შემოიღეს გადასახადი, რომელიც გლეხებს შეუმსუბუქებდა ცხოვრებას.

ლენინის ეკონომიკურ პოლიტიკას პარტიის შიგნით ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ნატურალური გადასახადის ფორმამ კი არ გაამართლა. ეკონომიკური ჩამორჩენის აღმოფხვრის შესახებ პარტიის შიგნით განსხვავებული მიდგომა არსებობდა. გამონაკლისი არც საქართველო იყო. პარტიის შიგნით არსებული ე.წ.

¹⁰⁴ ახალი ეკონომიკური პოლიტიკისკენ, კომუნისტი, 20 (1921) N 190. გვ. 1

https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/162724/1/Komunisti_1921_N190.pdf

¹⁰⁵ საქართველოს ისტორია. ტომი 3, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი. 1960, გვ. 11.

„მემარცხენე“ ფრაქცია არსებულ ეკონომიკურ კურსს კრიტიკულად აფასებდა და მას კონცეპტუალურ შეცდომად მიიჩნევდა. ამავე დროს, „უკლონისტების“ სახელით ცნობილი ჯგუფი ემხრობოდა კერძო კაპიტალთან ურთიერთობის ლიბერალიზაციას და ეკონომიკურ პოლიტიკაში უფრო ფართო დათმობების გაკეთებას მოითხოვდა. ისინი მოითხოვდნენ ნაციონალიზებულ საწარმოთა დენაციონალიზაციას, უცხოური ფინანსური კაპიტალისთვის კარის გახსნას.¹⁰⁶ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მთავარ საყრდენს ჭიათურისა და ტყვარჩელის საბადოები წარმოადგენდა, სადაც წლების განმავლობაში მოიპოვებდნენ უმაღლესი ხარისხის შავ ქვას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რევოლუციურმა კომიტეტმა ჭიათურის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოებას გადასცა დოკუმენტი, რომელიც მათ უფლებას აძლევდა ახალი ხელისუფლების პირობებშიც შეენარჩუნებინა საზღვარგარეთ საქონლის გატანის მონოპოლია.

რევოლუციურმა კომიტეტმა საექსპორტო საზოგადოება დაავალდებულა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ნაცვლად მიემართა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის. ხელისუფლება საზოგადოებას უფლებას აძლევდა, მოპოვებული მადნის გადაცემა მომხდარიყო იმ შავი ქვის მომხმარებელზე, ვისაც მთავრობა მიუთითებდა. ამასთან, საზოგადოებას შეეძლო უარი ეთქვა აღნიშნულ მოთხოვნაზე, თუ დამაჯერებლად წარმოაჩენდა, რომ ის საზიანოდ აისახებოდა მსოფლიო ბაზარზე რეალიზაციის პირობებზე.

მთავრობის კონტროლს საქართველოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ახორციელებდა თავისი წარმომადგენლებისა და აგენტების მეშვეობით. მათ უფლება ჰქონდათ ჩარეულიყვნენ ორგანიზაციის გადაწყვეტილებების მიღების ყველა პროცესში. 1922 წელს სახალხო კომისართა საბჭოს ბრძანებით, ორგანიზაციაში დაინიშნა მათი წარმომადგენელი, რომლის პასუხისმგებლობაში შედიოდა საწარმოო პროცესების მონიტორინგი. მთავრობა მოითხოვდა, რომ სახალხო კომისარს წარედგინა დეტალური ანგარიში „ჩემოს“ საქმიანობის შესახებ. საკანონმდებლო დონეზე მინიჭებული უფლებების მიუხედავად, „ჩემოს“ კომიტეტი დაიშალა

¹⁰⁶ საქართველოს ისტორია, ტომი 3, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი. გვ. 17.

შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო. სახელმწიფო ორგანოები მუდმივად ერეოდნენ ორგანიზაციის საქმიანობაში, რაც გამოიხატებოდა გადახდების გაჭიანურებაში ან მთლიანად გაუქმებაში იმ საქონლის სანაცვლოდ, რომელიც ორგანიზაციის წევრ კომპანიებს უკვე ჰქონდათ მიწოდებული. არსებული მდგომარეობის გამო ორგანიზაცია იძულებული გახდა, დაეწყო ლიკვიდაციის პროცესი და შეერთებოდა სახელმწიფოს მიერ შექმნილ შესაბამის სტრუქტურას.

1923 წელს დაარსდა „შავი ქვის საგანგებო სამმართველო“, რის შედეგადაც საბადოს მოპოვებისა და დამუშავების პროცესი სრულად გადავიდა სახელმწიფოს ხელში. საბჭოთა მთავრობამ მოგვიანებით, 1925 წლის ივნისში, მარგანეცის მეურნეობის განვითარების მიზნით, ის სამართავად 20 წლის ვადით გადასცა ამერიკელ კონცესიონერ ედვარდ ჰარიმანს¹⁰⁷. ხელშეკრულების ერთ-ერთი შემდგენელი იყო ისიდორე ვარაზიშვილი.¹⁰⁸

1928 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ე. ჰარიმანს ჩამოართვა საბადო და ბრალი დასდო, რომ მის ხელში საბადო გაჩანაგდა და წარმოების დონე დაეცა. ხელისუფლებამ თავად იკისრა ვალდებულება ჭიათურის მარგანეცის მოპოვება-გატანაზე. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან დაარსდა „ჭიათურმარგანეცის“ ტრესტი, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მეორე მსოფლიო ომის დროს. ხელისუფლების მიერ, ე. ჰარიმანისათვის ვალდებულებების ჩამორთმევასთან დაკავშირებით იკვეთება ერთი საკითხი, გაზეთ „კომუნისტში“ იმ წლების განმავლობაში, რაც მარგანეცის საბადოს განაგებდა ე. ჰარიმანი, არ დაწერილა არცერთი უარყოფითი წერილი. გაზეთში წერდნენ, რომ 1924-1925 წლებში შავი ქვის მრეწველობა შეადგენდა 26 615,642 ტ., 1925-1926 წლებში ამოიღეს - 47 586 464 ტ., აქ იგულისხმებოდა მადაროების მუშაობა. რა თქმა უნდა, უფლებების ჩამორთმევა განპირობებული იყო ხელისუფლების მიერ ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის წამოწყების გეგმით. შემდგომ წლებში ქვანახშირის მრეწველობა ჩქარი ტემპებით იზრდებოდა. მაგალითად, გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით, 1933 წელს ქვანახშირის წარმოების წლიური გეგმა 94-95 %-ით შეასრულდა.

¹⁰⁷ ედვარდ ჰენრი ჰარიმანი (1848- 1909) - ცნობილი ამერიკელი მეწარმე და ფილანტროპი.

¹⁰⁸ ისიდორე სოფრომის ძე ვარაზიშვილი (1882-1938) - ინჟინერი, მეცენატი, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი. 1936 წელს დააპატიმრეს და შემდეგ გადაასახლეს ციმბირში, სადაც გარდაიცვალა. 1960 წელს მოხდა მისი რეაბილიტაცია.

1937 წლამდე გაზეთებში იწერებოდა ქვანახშირისა და მარგანეცის წარმოების პროცესში მიღწეულ განვითარებაზე: მარგანეცის წარმოება 1913 წელს შეადგენდა 965,8 ათას ტონას, 1936 წლისათვის კი გაიზარდა 1524, 7 ათას ტონამდე. ქვანახშირი, გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით, 1913 წელს შეადგენდა 71,6 ტონას, 1936 წლისთვის 436,6 ათას ტონას. ტყიბულში იყო 320,7 ათასი ტონა, ხოლო ტყვარჩელში - 111,8 ათასი ტონა.

ინდუსტრიალიზაციის პირობებში მეორე ხუთწლედისათვის ქვანახშირის წარმოებაში დიდი ჩამორჩენა იყო. 1937 წლის აპრილში ქვანახშირის წარმოების გეგმა ჩამორჩებოდა 76 %-ით, მაშინ როცა 1933 წელს მისი მაჩვენებელი შეადგენდა 86 %-ს. ეს შედეგი აიხსნებოდა არა პარტიის სწრაფი გეგმიური პოლიტიკით, არამედ მავნებლური ჯგუფების მიერ წარმოების პროცესში დივერსიული აქტების მოწყობით.

სურსათის დეფიციტთან დაკავშირებული ვითარება იმდენად მიუახლოვდა კრიტიკულ ზღვარს, რომ სახელმწიფომ დახმარების უზრუნველყოფის პრინციპი არჩევითობის საფუძველზე განსაზღვრა. დახმარება გადაეცემოდა მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ საბჭოთა სახელმწიფოსთვის. სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას, უზრუნველყო იმ საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა მომარაგება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მრეწველობის განვითარების პროცესში. მთავრობისათვის პრიორიტეტული იყო ჯარს, რკინიგზის მუშები, ჯანმრთელობისა და სახალხო კომისარიატები.¹⁰⁹

1920-იანი წლების დასაწყისში თბილისში საბინაო უზრუნველყოფის კუთხით უკიდურესად მძიმე ვითარება შეიქმნა. ბინების მწვავე დეფიციტის პირობებში მუშათა ნაწილი იძულებული იყო, თვითნებურად დაეკავებინა სხვა მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართები. ბინებით მუშების დაკმაყოფილება პარტიული პროპაგანდის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

1921 წელს ცეკამ პირველად გაგზავნა საქართველოდან გემი „საქართველოს კოოპერაცია“, რომელიც დატვირთული იყო ჩაით, დაფნითა და სხვადასხვა

¹⁰⁹ სურსათი, კომუნისტი, 21 (1921), N191, გვ. 1.

https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/162725/1/Komunisti_1921_N191.pdf

პროდუქტით.¹¹⁰ გაზეთებში წერდნენ „ნეპის“ პირობებში დასავლური ბაზრების გამოყენების აუცილებლობაზე. გაზეთებში ქვეყნდებოდა სტატიები ბოლშევიკების ეკონომიკური წინსვლის შესახებ.

სახელმწიფო-სამეურნეო სისტემაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა პროფესიულ კავშირებზე. სამაზრო პროფბიუროები გადავიდნენ თვითურუნველყოფის რეჟიმზე, რის ფარგლებშიც მათ დაეკისრათ საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულება. მთავრობის განკარგულებით გაუქმდა ჟურნალებისა და გაზეთების უფასო დარიგება, ხოლო სახელმწიფო გამომცემლობებს დაევაღათ მათი რეალიზაცია სავაჭრო პირობებით. ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაში ინდუსტრია განიხილებოდა, როგორც წამყვანი სექტორი, რომელიც უნდა გამხდარიყო სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველი. სოფლის მეურნეობა, თავისი სტრუქტურული ჩამორჩენილობის გამო, ვერ პასუხობდა ახალ ეკონომიკურ სტანდარტებს და საჭიროებდა სისტემურ რეფორმირებასა და მოდერნიზაციას.

1930-იანი წლების პირველ ნახევარში თბილისი გადამწყვეტად გარდაიქმნა ამიერკავკასიის ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით გატარებული ურბანული და ინდუსტრიული რეფორმები მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, არამედ მისი გარდაქმნას. მოსახლეობის სწრაფი ზრდა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ზრდა და მსუბუქი მრეწველობის განვითარება საქართველოს დედაქალაქს რეგიონული მნიშვნელობის ცენტრად აქცევდა. თბილისის ინდუსტრიული პოტენციალი და გეოგრაფიული კავშირები განიხილებოდა როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორები საბჭოთა კავშირის სტრატეგიულ გეგმებში.

1931 წელს ლავრენტი ბერიამ გამოაქვეყნა თბილისის საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესებისა და განვითარების დირექტივა, რომლის შესაბამისადაც, ყოველ წლიურად იზრდებოდა კაპიტალდაბანდება თბილისის ურბანულ ინფრასტრუქტურაში. კერძოდ, თუ 1928–1929 წლებში კაპიტალდაბანდების ოდენობა შეადგენდა 5 448 900 მანეთს, 1931 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 8 112 900

¹¹⁰ ქრონიკა, „საქართველოს კოოპერაცია“, კომუნისტი, 14 (1921) , N236, გვ. 3.
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/163275/1/Komunisti_1921_N236.pdf

მანეთამდე, ხოლო 1933 წლისათვის მიაღწია 28 840 600 მანეთს. 1934 წელს საქართველოს კპ(ბ)-ს პლენუმზე ლავრენტი ბერიამ თბილისის საქალაქო საბჭოს მისცა კონკრეტული მითითება სამუშაოების შესრულების თაობაზე. ამ პერიოდში დაიწყო დედაქალაქის მასშტაბური განაშენიანება. აშენდა ახალი სანაპირო ქუჩა, რომელიც ნავთლულსა და დიდუბეს შორის კავშირს უზრუნველყოფდა.

1934 წლისთვის პრიორიტეტულ ამოცანად განისაზღვრა საქალაქო ტრანსპორტის, კერძოდ, ტრამვაის ხაზის რეკონსტრუქცია. საბურთალოს მიმართულებით მოეწყო 15,7 კმ-იანი ფართო ლიანდაგის ტრამვაის ხაზი. იმავე წელს იგეგმებოდა ტრამვაის პარკის მშენებლობის დასრულება ავლაბარში. ასევე დაგეგმილი იყო წყლის მაგისტრალის გაყვანა ავლაბარსა და ნავთლუხში, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო დედაქალაქის კომუნალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მიმართულებით.

თბილისის ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ფართომასშტაბიან გეგმებს რამდენიმე სტრატეგიული და იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა. ლავრენტი ბერიას მითითებით, დედაქალაქი უნდა გარდაქმნილიყო ამიერკავკასიისთვის სამაგალითო, თანამედროვე ქალაქად.¹¹¹

მოსახლეობის მზარდი დინამიკა ამ პროცესს ბუნებრივ საფუძველს აძლევდა. თუ 1920 წელს თბილისის მოსახლეობა დაახლოებით 200 000-ს შეადგენდა, 1926 წლისთვის ეს მაჩვენებელი 282 000-მდე გაიზარდა, ხოლო 1934 წლისთვის ქალაქში უკვე 413 000 ადამიანი ცხოვრობდა. თბილისი თანდათან იქცა განათლების, მრეწველობისა და ტექნოლოგიური ინოვაციების რეგიონულ ცენტრად.

1934 წლისთვის ქალაქში ფუნქციონირებდა 17 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც სწავლობდნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ ამიერკავკასიის სხვა ქვეყნის წარმომადგენლები. დედაქალაქში განვითარდა მსუბუქი მრეწველობა, მოეწყო მსხვილი სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკები, რომელთაც უნდა დაეკმაყოფილებინათ ამიერკავკასიის რეგიონული მოთხოვნები. საბჭოთა კავშირის შვიდი მარგარინის ქარხნიდან ერთ-ერთის საქართველოში იყო, მაკარონის

¹¹¹ თბილისი უნდა გადავაქციოთ ამიერკავკასიის სანიმუშო ქალაქად. კომუნისტი, ამხ. ბერიას მითითებები მთლიანად რეალიზაციისთვის. 5 (1934), N 5. გვ. 3.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334503/1/Komunisti_1934_N5.pdf

ქარხანა წელიწადში 16 000 ტონა პროდუქციას აწარმოებდა. ამასთანავე, ქალაქი იქცა საშუალო და მსუბუქი მანქანათმშენებლობის ცენტრად, აშენდა აბრეშუმის, ჩაისა და მეღვინეობის ფაბრიკები. 1934 წელს დაიგეგმა შავი ზღვის რკინიგზის ხაზის დასრულება, რაც მიზნად ისახავდა დედაქალაქის დაკავშირებას საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქებთან.

§ 2.2. ინდუსტრიული პოლიტიკის დაწყების წინაპირობა

მას შემდეგ, რაც ახალმა ეკონომიკურმა (ნეპის) პოლიტიკამ არ გაამართლა და ეკონომიკური თავისუფლების მიღებით სოციალისტური იდეის წარმოება შეუძლებელი გახდა, პარტიამ იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით შეცვალა გეზი და სრულიად ახალი ეკონომიკური ხედვა წარადგინა. ვლადიმერ ლენინის პოლიტიკის თანახმად, პერიფერია რჩებოდა საკუთარი მრეწველობის გარეშე, რუსეთი კი კვლავ რჩებოდა მსხვილი მანუფაქტურის მწარმოებლად და მთელი ეკონომიკური სიმძიმე მასზე გადიოდა. ეს მცირე ერებს თავისუფლად მოქმედებისა და ავტონომიის გაემლიერების საშუალებას აძლევდა, რაც საბოლოოდ გამოიწვევდა ერის თვითგამორკვევის საბურველქვეშ დამოუკიდებლობის მოთხოვნასა და სოციალისტური ერთობის გაუქმებას.¹¹²

ბელადის პოზიცია ასეთი იყო: „ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს ჩვენ ვაუქმებთ ნეპს, შემოგვაქვს სასურსათო გაწერა, განკულაკება და სხვ. კონტრევოლუციური ლაყობაა, რომლის წინააღმდეგაც საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა. ნეპი ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველია და ასეთად დარჩება ხანგრძლივი ისტორიული პერიოდისთვის. ნეპი ნიშნავს საქონელბრუნვას და კაპიტალიზმის დაშვებას იმ პირობით, რომ სახელმწიფო იტოვებს უფლებასა და შესაძლებლობას, მოაწესრიგოს ვაჭრობა პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისით. უამისოდ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა იქნებოდა კაპიტალიზმის უბრალო აღდგენა“.¹¹³

პარტია თვლიდა, რომ სოფლის მეურნეობის გაძლიერება ხელს შეუწყობდა ქვეყნის განვითარებას. რისთვისაც საჭირო იყო გლეხების კოლექტიურ მეურნეობებში ნებაყოფლობით გაერთიანება. ხელისუფლების აზრით, ასეთი გაერთიანება გამორიცხავდა ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ექსპლოატაციას. საკოლმეურნეო მოძრაობა იყოფოდა სამ ეტაპად:

¹¹² თხელიძე, თ. „საბჭოთა საქართველოს კოლექტივიზაციის გამოცდილება: სახელმწიფოს ძალაუფლება და ეკონომიკური გარდაქმნა,“ History, Archaeology, Ethnology, no. XIII (2025), <http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/675>. გვ. 336.

¹¹³ სტალინი, ი. თხზულებანი: 1928 - მარტი 1929. ტ. 11. თბილისი: სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, 1950. გვ. 17.

1. იყო მიწის საზოგადო შრომითი დამამუშავებელი ამხანაგობა, რომელიც კოლექტიური მეურნეობის დაბალ ფორმას წარმოადგენდა. მის წევრებს შენარჩუნებული ჰქონდათ კერძო საკუთრება;
2. სასოფლო-სამეურნეო კომუნა, რომელიც კოლმეურნეობის უმაღლეს ფორმად ითვლებოდა. ის იქმნებოდა ქალაქიდან სოფელში დაბრუნებული მუშების, გლეხებისა და მოჯამაგიერეებისაგან;
3. სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც იყო საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი ფორმა. მასში განზოგადებული იყო ძირითადი საწარმო საშუალებები - მიწა, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი. სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებს გამოყოფილი ჰქონდათ მიწის საკარმიდამო ფართი ბოსტნეულისა და მრავალწლიანი ნარგავებისთვის.¹¹⁴

საკავშირო კომპარტიის XV ყრილობაზე კოლექტივიზაცია მნიშვნელოვან ამოცანად დაისახა. წვრილი საგლეხო მეურნეობები უნდა გარდაქმნილიყო მსხვილ კოლექტივებად, რაც სოციალიზმის განვითარებას შეუწყობდა ხელს. საბჭოთა კავშირში 1929 წლის პირველი აპრილისათვის კოლექტიურ სახელოსნოებში მუშაობდა 131, 1 ათასი წევრი, სოფლად - 113,3 ათასი.¹¹⁵

გლეხური მეურნეობების რაოდენობის ზრდასთან ერთად გამოვლინდა უამრავი პრობლემა, რომელიც გლეხებს აწუხებდათ. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სამუშაო იარაღების ნაკლებობა იყო, რასაც ხელი უნდა შეეწყო მსხვილი მრეწველობის განვითარებისათვის. სამუშაო იარაღების სიძველისა და გაუმართავობის გამო წარმოება შეზღუდული იყო, რის გამოც შეიქმნა დეფიციტი.

1921 წელს გამოიცა დეკრეტი, რომლის თანახმად, მიწა გახდა ხალხის საკუთრება და აიკრძალა გასხვისება. მსხვილი მეწარმეების, ეკლესიებისა და მემამულეებისთვის ჩამორთმეული ქონება გადავიდა სახელმწიფოს კუთვნილებაში. მიწის განაწილება დაევალა ადგილობრივ კომიტეტებს, მიწათმფლობელებს ართმევდნენ კუთვნილ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს. ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი გახდა ტემპების დაჩქარება.

¹¹⁴ დავითაშვილი, ს. „ეკონომიკური მუშაობა კოლმეურნეობაში“, თბილისი: განათლება, 1971, გვ. 7.

¹¹⁵ შინამრეწველობისა და ხელოსნობის კოლექტივიზაცია - სარეწაო კავშირის გამოცემა. თბილისი, 1930, გვ. 14.

1926 წელს კომუნისტური პარტიის XIV ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება განევიტარებინათ ინდუსტრიული პოლიტიკა, რასაც მნიშვნელოვანი წარმატება უნდა მოეტანა საბჭოთა კავშირისათვის. 20-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მაგნიტოგორსკის მშენებლობა, მის გარშემო იგეგმებოდა ახალი ქალაქის განაშენიანება. მაგნიტოგორსკის ქარხანა უნდა გამხდარიყო „მომავალი სოციალისტური ქალაქისა“ ახალი ცივილიზაციის სიმბოლო.¹¹⁶ როგორც მოსალოდნელი იყო, პროექტის შესრულება დროულად ვერ მოხერხდა. ქვეყანას არ ჰქონდა საკმარისი ადამიანური რესურსი. პროპაგანდა ამუშავდა ხალხის მშენებლობის პროცესში ჩასართავად. პარტიას ეჩქარებოდა პროექტის დასრულება საკუთარი სიძლიერის დემონსტრირებისთვის. საბჭოთა კავშირში ათამდე ასეთი მასშტაბური პროექტი დაიწყო, მაგრამ არცერთი არ დასრულებულა.

1928 წელს ჩატარდა საქართველოს კომპარტიის მეხუთე ყრილობა, რომელზეც პარტიამ განიხილა სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებები. ყრილობის დადგენილების თანახმად, 1926-1927 წლებში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებით წარმოება 6-ჯერ გაიზარდა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ღარიბი გლეხობის დასახმარებლად შეიმუშავა გეგმა, რითიც მოსახლეობას არწმუნებდა, რომ უზრუნველყოფდა ჩამორჩენილი რეგიონების კულტურულ აღმასვლას. 1927 წლის საკავშირო კომუნისტური პარტიის ყრილობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კულაკობისა და ე. წ. ტროცკისტული იდეის წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტიამ განსაზღვრა სახელმწიფოს პოლიტიკური ხაზი და ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის წარმოების აუცილებლობა.

1928 წლის 19 ნოემბერს საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში სტალინმა განაცხადა, რომ საჭირო იყო მრეწველობაში მეტი თანხის დაბანდება.¹¹⁷ პარტიის მხრიდან კოოპერატივისა და სამეურნეო წარმოების დაძაბული წარმართვის აუცილებლობა იმით აიხსნებოდა, რომ ქვეყანა ტექნოლოგიური კუთხით ბევრად ჩამორჩებოდა კაპიტალისტურ ქვეყნებს.

¹¹⁶ Kotkin Stephen Magnetic mountain : Stalinism as a civilization, Berkeley: University of California Press, 1997, გვ. 33.

¹¹⁷ სტალინი, იოსებ. თხზულებანი: 1928 - მარტი 1929. ტ. 11. თბილისი: სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, 1950. გვ. 273.

1929 წელი საბჭოთა კავშირისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული ცვლილების დასაწყისად მიიჩნევა. პარტიის XVI ყრილობაზე მიიღეს ხუთწლიანი გეგმა და გამოცხადდა ბრძოლა კულაკობასთან. გამოიცა ბრძანება სახელმწიფო მასების მობილიზაციაზე.¹¹⁸ რაიონების მიხედვით დაიგეგა კულაკებად წოდებული ადამიანების გადასახლება, მათი რიცხვი 20 ათასი იყო. სტატისტიკის მიხედვით რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. ყუბანის რაიონი - 3700 მეურნე;
2. დონის რაიონი - 2700 მეურნე ;
3. არმავირის რაიონი - 2200 მეურნე;
4. ტერსკი- 2200 მეურნე;
5. მარიოუპოლი- 1500 მეურნე;
6. სალსკი- 1500 მეურნე;
7. შახტინო-დონეცკი- 1500 მეურნე;
8. სტავროპოლი- 1200 მეურნე;
9. ჩერნომორსკი- 300 მეურნე;
10. სენჟენსკი და პეტროპავლოვსკი- 200 მეურნე;
11. ადიღეა-200 მეურნე (150 ჩერქეზი, 50 რუსი მეურნე);
12. ყარაჩაი- 75 მეურნე;
13. ყაბარდო-ბალკანეთი- 350 მეურნე;
14. ოსეთი - 300 მეურნე;
15. ინგუშეთი- 150 მეურნე;
16. ჩეჩნეთი -500 მეურნე.¹¹⁹

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში საზოგადოებაში გამოიკვეთა სამი მთავარი სოციალური ჯგუფი, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება პოტენციურ საფრთხედ განიხილავდა: ესენი იყვნენ ძველი პრივილეგიებული ფენის წარმომადგენლები, რომელთაც მიწის საკუთრება ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული; ნეკმანები - კერძო მეწარმეები, რომლებიც ახალი ეკონომიკური

¹¹⁸ სნაიდერი ტ. სისხლიანი მიწები: ევროპა ჰიტლერსა და სტალინს შორის, მთარგმნელი გიორგი გურეშიძე, ფონდი: Heinrich Boll Stiftung South Caucasus. თბილისი : საუნჯე, 2014, გვ. 71.

¹¹⁹ Ивницкий Н. А. Судьба раскулаченных в СССР, Москва: Собрание, 2004. გვ. 101.

პოლიტიკის პირობებში წარმოადგენდნენ ფორმირებულ ბურჟუაზიულ ფენას და არაკომუნისტური ინტელიგენცია. ბოლშევიკური რეჟიმი შიშობდა, რომ აღნიშნულ ჯგუფებს შეეძლოთ, გავლენა მოეხდინათ ფართო საზოგადოებრივ მასებზე და გამოეწვიათ იდეოლოგიური წინააღმდეგობა რეჟიმისათვის, რაც მათ „კლასობრივ მტრად“ აქცევდა.¹²⁰

ინდუსტრიალიზაცია-კოლექტივიზაციის გეგმის ჩავარდნით პარტიამ სწორად ივარაუდა უამრავი საფრთხე, რომელიც შეიძლება შედეგად მიეღოთ. კერძოდ, მოსახლეობის ეჭვები სოციალიზმის მშენებლობასთან დაკავშირებით. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში გლეხებში თავი იჩინა კაპიტალის დაგროვების სურვილმა. აქედან გამომდინარე პარტიამ გადადგა დამწყვეტი ნაბიჯი, რომ არ მომხდარიყო ნაციონალური ჯგუფების გაძლიერება და დამოუკიდებლობის მოთხოვნა. ამის კარგი მაგალითია საქართველო, სადაც ბოლშევიკებს შორის გაჩნდა უთანხმოება ეკონომიკურ-პოლიტიკურ კურსთან მიმართებით.

¹²⁰ Rosenberg, William G. "Introduction: NEP Russia as a 'Transitional' Society." In *Russia in the Era of NEP: The Problem of Class Identity in NEP Society*, edited by Sheila Fitzpatrick, xi-xx. Bloomington: Indiana University Press, 1989. გვ. 20

§ 2. 3. კოლექტივიზაციის პოლიტიკა საქართველოში

1928 წლის დეკემბრისთვის, ცეკას დადგენილებით 106 ადმინისტრაციულ რაიონში 70 %-ზე მეტი მეურნეობა გაერთიანდა კოლექტივში. შემოდგომისათვის უნდა დამუშავებულიყო სათესი სივრცეების 1/3-ზე მეტი. პარტიული ხელმძღვანელობის გათვლით რაიონების კოლექტივიზაცია დასრულდებოდა 2-3 წელიწადში, ზოგიერთ რეგიონში შეიძლებოდა ეს პროცესი უფრო ადრეც მომხდარიყო.¹²¹

1930 წლის 5 იანვარს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლის მიზანი იყო რაიონული და სოფლის ორგანიზაციების გაძლიერება, მათ კოლექტივებში ჩასართავად. იმავე წლის ბოლოსთვის პარტიამ შეძლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის დაახლოებით სამი მეოთხედის კოლმეურნეობებში გაერთიანება, ამავდროულად წამოაყენა ლოზუნგი „საბჭოები-პირით კოლმეურნეობისკენ“.¹²² სწორედ ამ პერიოდში დაფიქსირდა კოლმეურნეობებში გაერთიანებული გლეხობის მაღალი მაჩვენებელი.

საქართველოში 1930-1934 წლებში გამოიცემოდა გაზეთი „კოლექტივიზაცია“, რომლის მთავარი მიზანი იყო გამოეაშკარავებინა და დაეგმო კულაკების საქმიანობა და ოპოზიციურად განწყობილი გლეხობა. 1930-იან წლებში ამავე გაზეთში წერდნენ, რომ კულაკები კახეთის რეგიონში, კოლექტივიზაციის პროცესის ჩაშლის მიზნით, ფიზიკურად უსწორდებოდნენ და არბევდნენ გლეხებს, ცდილობდნენ მათ გადაბირებას. ავრცელებდნენ ჭორებს, თითქოს კომუნისტები იტაცებდნენ ბავშვებს. შეშინებული მოსახლეობა შვილებს ქვევრში მალავდა, ხოლო 60 წლის ზემოთ ადამიანებს ხოცავდნენ იმისთვის, რომ მათგან მეხვი დაემზადებინათ. „კოლექტივიზაციაში“ ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ კულაკები სარგებლობდნენ ქალთა ჩამორჩენილობით. სწორედ ამიტომ სოფელ შილდაში, ღარიბ გლეხთა კრებაზე ქალებმა განაცხადეს, რომ კოლექტივში მხოლოდ იმ პირობით შევიდოდნენ, თუ შვილებს არ წაართმევდნენ და გოგონების თავისუფლად გათხოვების ნებას

¹²¹ Ивницкий Н. А. Судьба раскулаченных в СССР, Москва: Собрание. გვ. 61.

¹²² საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია. გვ. 547.

დართავდნენ. ასევე ითხოვდნენ შინაური ფრინველის ყოლის უფლებას.¹²³ პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებებს დაევალოთ, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ჩამორჩენილი რეგიონებისათვის, ხოლო ქალებისათვის გაემართათ საგანგებო კრებები.

სოფელ შრომაში გიორგი სამხარაძემ, რომელიც იყო „შვიდწლედის“ გამგე და კომპარტიის წევრი, კოლმეურნეობაში შესვლამდე გაყიდა თავისი ქონება: ერთი უღელი ხარი, ერთი ძროხა, ჭრისთვის განკუთვნილი ტყის ნაწილი და შემდეგ შევიდა კოლექტივში. გ. სამხარაძეს სხვა გლეხებმაც მიბაძეს. სოფელ ურბნისში კომპარტიის კანდიდატმა, ადგილობრივი კოოპერატივის ნოქარმა, რუსიშვილმა, თავისი ნებით ოთხი დღით დახურა კოოპერატივი და ქორწილში წავიდა.¹²⁴ გაზეთები წერდნენ ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც სიმინდის ჩასაბარებლად მისულ გლეხებს კოოპერატივები დაკეტილი ხვდებოდათ. ზოგიერთი გლეხი პრეტენზიას გამოთქვამდა და უარს აცხადებდა მათი პირუტყვის კოლმეურნეობისათვის გადაცემაზე, ამის გამო ისინი კლავდნენ პირუტყვს.

არტელის წევრი, კირილე ახვლედიანი, წინააღმდეგი იყო, რომ თავისი ვენახის მოსავალი კოლექტივისათვის ჩაეხარებინა. მან არტელის გამგეობის წევრებთან ერთად დაკლა ხარი და აქეიფა არტელის წევრები.¹²⁵

იოსებ მჭედლიშვილი თავის დღიურში აღწერს, როგორ ქრებოდა ნელ-ნელა ხურდა ფული, არ იშოვებოდა საყოფაცხოვრებო ნივთები: საპონი, შაქარი, პური, ტანსაცმელი. ადამიანები პრაქტიკულად შიშვლები დადიოდნენ¹²⁶. თუმცა პარტია მძიმე მატერიალურ პრობლემებს ყურადღებას არ აქცევდა. პარტიული მუშაკებისათვის იყო ცალკე სასაბუღალტროები, სადაც მათ კარგად კვებავდნენ, ურიგებდნენ პროდუქტს. კოლექტივებში მიმდინარე მოვლენებს სატირული ფოტოებით ეხმიანებოდა ჟურნალი „ტარტაროზი“ (დანართი 1).

¹²³ „კოლექტივიზაცია“, №14, 5 მარტი, 1930. თბილისი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. გვ. 1.

¹²⁴ „კოლექტივიზაცია“, N 163, სრულიად, 1931. თბილისი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. გვ. 2.

¹²⁵ „კოლექტივიზაცია“, №155, 12 იანვარი, 1931. თბილისი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, გვ. 4.

¹²⁶ მჭედლიშვილი, ი. დღიური 1924-1941, თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი, 2014, გვ. 109.

აჭარის რეგიონში, 1925 წელს 177 მოახალშენის მამულის კონფისკაცია და ნაციონალიზაცია გამოცხადდა, 1927 წელს აჭარის საბჭოების VII ყრილობის დელეგატთა არჩევნებზე საარჩევნო ხმა ჩამოერთვა ხულოს რეგიონის 141 ამომრჩეველს, ქედას - 237, ქობულეთის - 295, ბათუმის - 5429 ადამიანს. 1928 წელს ეს რიცხვი 116 ადამიანს შეადგენდა, 1929 წელს - 87, ხოლო 1930 წელს - 132 ადამიანი იყო¹²⁷.

1929 წლის 8 აპრილს საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობაზე დამტკიცდა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა. რამაც ხელი შეუწყო კოლმეურნეობებში შემავალ მოქალაქეთა რიცხვის ზრდას. 1937 წლისთვის საბჭოთა კავშირის მასშტაბით ეს რიცხვი შეადგენდა 375116 ადამიანს. (იხ. ცხრილი N1).¹²⁸

ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა სწრაფი ნაბიჯებით უნდა განვითარებულიყო, რისთვისაც საჭირო იყო გლეხობის ცოდნის დონის ამაღლება, რადგან მათ არ გააჩნდათ საკმარისი განათლება საექსპორტოდ გასატანი პროდუქტის მასობრივი წარმოებისთვის, ისინი ვერ მართავდნენ ტექნიკას, არ ჰქონდათ გამართული ტრაქტორები და მსხვილი საწარმოო ტექნიკა¹²⁹. რეგიონებში იგზავნებოდა ისეთი ხელსაწყოები და ტექნიკა, რომელიც საჭირო არ იყო იმ ფონზე, როდესაც სხვა რეგიონში დეფიციტი იქმნებოდა.

იოსებ სტალინი კოლმეურნეობის გაძლიერების ერთ-ერთ ძირითად მექანიზმად არტელების განვითარებას განიხილავდა. არტელის გაძლიერება მიიჩნეოდა საშუალებად, რომელიც თანდათანობით აღმოფხვრიდა კულაკთა როგორც სოციალური ფენის არსებობას. მიუხედავად ამისა, პარტიას არ გააჩნდა ერთიანი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკა. სამოქმედო გეგმები ხშირ შემთხვევაში მოთხოვნებზე მორგებით ყალიბდებოდა, რის გამოც ინსტრუქციები არაერთგვაროვნად იყო. ადგილობრივ დონეზე ეს მითითებები ხშირად პირადი ინტერესებისთვის გამოიყენებოდა.

1930 წელს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, საჭირო იყო გამრუდებული პარტიული ხაზის წინააღმდეგ ბრძოლა.

¹²⁷ თურმანიძე ო. დასახ. ნაშრომი. გვ. 67-70.

¹²⁸ „კომუნისტი“, 01.12.1937, N 250, გვ. 2. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/284950>

¹²⁹ თხელიძე, თ. დასახ. ნაშრომი, გვ. 338.

საკოლმეურნეო ცნობების თანახმად, კოლექტივიზაციის პროცესი რეგიონებში ხშირ შემთხვევაში ძალდატანებითი იყო, გლეხებს ემუქრებოდნენ ქონების წართმევით, საარჩევნო უფლების ჩამორთმევით, რამაც საგრძნობლად გაზარდა რეგიონებში უკმაყოფილო ხალხის რაოდენობა. იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანებს წაართვეს საცხოვრებელი სახლი და წვრილფეხა პირუტყვი, რის გამოც პარტიულ ლიდერებს მოუწიათ ხელახალი განმარტებების მიცემა, თუ რა აღარ უნდა გაკეთებულიყო. ფილიპე მახარაძე წერდა:

„სას. სამეურნეო არტელებში უნდა გაეერთიანებინათ მხოლოდ და მხოლოდ წარმოების ძირითადი საშუალებები: მიწა, მუშა-საქონელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, კულაკებისგან ჩამორთმეული შენობები. ამის შესახებ თავიდანვე იყო მითითებები და არსებითად არტელიც ამას თხოულობდა. მაგრამ ალაგ-ალაგ აღმოჩნდნენ ისეთი „ბრძენი“ ადამიანები, რომლებმაც მოინდომეს ერთბაშად ყველაფრის გაერთიანება (ქათმის, ღორის, ძროხის, საჯდომი ცხენის და სხვადასხვა)... შემდეგ განკულაკების და კულაკების მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებიდან გადასახლების ნიადაგზე უნდა ითქვას, რომ საკმარისად ბევრგან ჰქონდა ადგილი დიდ შეცდომებს და ალაგ-ალაგ კი პირდაპირ დანაშაულსაც“.¹³⁰

ცენტრის ხისტმა პოლიტიკამ ადამიანების კოლექტივებში გაწევრიანების შესახებ შედეგი გამოიღო. 1936 წლისთვის საბჭოთა კავშირის მასშტაბით ირიცხებოდა 26 მილიონამდე მუშა-მოსამსახურე: საქართველოში მომუშავე მუშათა რაოდენობა მცირე მრეწველობაში 1928 წელს შეადგენდა 142,9 ათასს, ხოლო 1936 წლისთვის 342 ათასამდე გაიზარდა. მსხვილ მრეწველობაში 1928 წელს იყო 18,2 ათასი ადამიანი და 1936 წლისთვის გაიზარდა 63, 5 ათასამდე. საინჟინრო ტექნიკური პერსონალი-საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში 1932 წლის 1-ელი ივლისისთვის იყო 2040 ინჟინერ-მექანიკოსი, 1937 წელს გაიზარდა 5893 -მდე.¹³¹ გაზეთებში აქვეყნებდნენ ადამიანების სახელებსა და გვარებს, რომლებიც კუთვნილ მიწებსა და საწარმოო იარაღს გადასცემდნენ კოლექტივებს.

¹³⁰ მახარაძე ფ. უდიდესი გარდატეხის ხანა სოფლის მეურნეობაში. N 18. „კოლექტივიზაცია“-ს ბიბლიოთეკა. თბილისი, 1930. გვ. 6.

¹³¹ საბრალდებო დასკვნა. „კომუნისტი“ 30 (1937), N 249, გვ. 2-4,

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284947/1/Komunisti_1937_N249.pdf

მუშახელის რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი ანაზღაურებაც. გაზეთ „კომუნისტის“ მონაცემებით, 1928 წელს 846 მანეთი იყო საქართველოში მთელ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო წლიური ხელფასი, 1936 წლისთვის ეს ციფრი 3014 მანეთამდე გაიზარდა. ანალოგიური დინამიკა დაფიქსირდა მსხვილი მრეწველობის სფეროში: თუ 1928 წელს საშუალო წლიური ხელფასი 882 მანეთს შეადგენდა, 1936 წლისთვის ის 2852 მანეთამდე გაიზარდა.¹³²

გაზეთების ცნობით, იზრდებოდა საქართველოს შემოსავალი. პრესაში ქვეყნდებოდა პროპაგანდისტული წერილები, სადაც მუშახელს წარმოაჩენდნენ როგორც ბედნიერ და ენთუზიაზმით განმსჭვალულ ხალხს, რომლებიც დიდი მონდომებით ასრულებდნენ განსაზღვრულ გეგმებს. აღნიშნული სურათის პარალელურად არსებობდა განსხვავებული რეალობა, სადაც რეგიონების მნიშვნელოვანი ნაწილი პრობლემების წინაშე იდგა. ამ პროცესების ფონზე ჩამოყალიბდა ე.წ. „წითელი ინტელიგენცია“, რომლის წარმომადგენლებიც ხშირად იკავებდნენ მაღალ თანამდებობებს მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გააჩნდათ შესაბამისი პროფესიული გამოცდილება ან დარგობრივი ცოდნა.

ქუთაისის სოფელ ფარცხანაყანევის საბჭოს თავმჯდომარეს პ. გოგოლაშვილს ადანაშაულებდნენ მემარჯვენე-ოპორტუნიზმში. მაშინ, როცა პარტიის ყურადღება მიმართული იყო საბჭოების საანგარიშო გადარჩევის, ფულადის სახსრების მობილიზებისა და სიმინდის თესვის კამპანიაზე, პ. გოგოლაშვილი ამბობდა, რომ მას არ ეცალა ამდენი კამპანიის საწარმოებლად.¹³³

საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა შრომით შეჯიბრებებს, რომლებშიც მასობრივად იყვნენ ჩართული როგორც ქალაქები, ასევე კოლმეურნეობები და სამრეწველო საწარმოები. 1932 წელს საქთევზის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში თევზჭერის წლიური გეგმა სრულად შესრულდა: დაიჭირეს 29.743 ცენტნერი თევზი, რაც შეადგენდა საკავშირო გეგმის 197,6%-ს და საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ

¹³² აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტულ-სააჯანყებო, ჯაშუშური ორგანიზაციის პროცესი. „კომუნისტი“ 1(1937), N 250, გვ. 3. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/284950> გვ. 2.

¹³³ „კოლექტივიზაცია“, №155, 12 იანვარი, 1931. თბილისი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, გვ. 1.

დადგენილი გაზრდილი გეგმის 110%-ს. პირველი იანვრისათვის დაგეგმილი იყო 80 ათასი ცენტნერის დაჭერა და შესაბამისი გეგმის შესრულება.¹³⁴

გეგმიური დავალებების შესრულების ტემპის დაჩქარების მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ფართოდ ვრცელდებოდა ე.წ. „სტახანოვური შრომის“ პრაქტიკა. მის შედეგად, 1937 წლის 18 სექტემბრისთვის ლანჩხუთში ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა გადააჭარბეს: 100 000 კგ-ის ნაცვლად მოიკრიფა 217 000 კგ მწვანე ფოთოლი. (იხ. ცხრილი N2).

ქვემო ნოქარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა განიხილეს სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვა წინასაოქტომბრო შეჯიბრების შესახებ და გადაწყვიტეს, ჩაბმულიყვნენ შეჯიბრებაში. მათ იკისრეს სიმინდისა და სოიოს მოსავლის უდანაკლისოდ აღება და ასაღები მოსავლის რაოდენობის 11 დან 14 მდე გაზრდა.¹³⁵

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ყოველ წელს საგრძნობლად იზრდებოდა ჩაის მოსავალი, ირგებოდა ციტრუსოვანი ხეები. საბჭოთა მეურნეობებში 1937 წლისათვის დარგული იყო სულ 146 335 ხის ციტრუსოვანი ძირი. აქედან კოლმეურნეობებში ეს ციფრი შეადგენდა 232 159 ძირს, ხოლო კარმიდამოებში დარგული იყო 234 451 ძირი. გურიაში მასობრივად დაიწყო ჩაის მოყვანა, 1937 წლისათვის ეს ციფრი შეადგენდა 7076 ჰექტარს¹³⁶ (იხ. ცხრილი N3).

1930-1936 წლებში საგრძნობლად მოიმატა ციტრუსოვანი კულტურების რაოდენობა. ინდუსტრიული განვითარების საერთო გეგმის შესაბამისად, 1927 წლიდან საქართველოს ავტონომიურ რეგიონებში, აფხაზეთსა და აჭარაში, დაგეგმილი იქნა მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა

1927-1928 წლებში დაიწყო ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ინდუსტრიული ათვისება, პარალელურად ბათუმში დაიწყო ნავთის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა. 1936 წლისთვის სოხუმის ნავსადგურის ასაშენებლად სახელმწიფომ 13

¹³⁴ საქართველოს მსუბუქ მრეწველობას - მაღალი ტემპები. 29 (1932), N301, „კომუნისტი“. გვ. 1. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/336337/1/Komunisti_1932_N301.pdf

¹³⁵ გოგიაშვილი ე. ეხმაურებიან ბოდბელების გამოწვევას. (ზესტაფონი „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). 12 (1937) „კომუნისტი“, გვ. 2. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/284819/1/Komunisti_1937_N234.pdf

¹³⁶ საკოლმეურნეო შრომის ბრწყინვალე გამარჯვება. 28 (1937), N 247, „კომუნისტი“, გვ. 3. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284944/1/Komunisti_1937_N247.pdf

მილიონი მანეთი გამოყო. ნავსადგურში 2000-მდე ადამიანი უნდა დასაქმებულიყო. 1932-33 წლებში აშენდა ნატახტრის წყალსადენი, რითიც თბილისისთვის ჩანაცვლდა მტკვრის წყალი.

პირველი ხუთწლიანი გეგმის მიზანი იყო, ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება. ინდუსტრიული განვითარების დაჩქარების პარალელურად გამოიკვეთა ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემები.

1928–1929 წლებში კოლმეურნეობების რაოდენობა გაორმაგდა, მიუხედავად ამისა, გარკვეულ რეგიონებში პროცესი შეფერხებით მიმდინარეობდა. 1937 წლამდე განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ჩამორჩენა აფხაზეთსა და აჭარაში, თუმცა აღნიშნული ვითარება არ წარმოადგენდა სერიოზულ პრობლემას.

1935 წელს ნ. ეჟოვმა შეხვედრა გამართა მილიციის ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე განაცხადა, რომ კრიმინალი პირდაპირ კავშირში იყო კლასობრივ ბრძოლასა და კონტრრევოლუციასთან.¹³⁷

სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და ქვეყნის აგრარული განვითარებისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა კინოს, როგორც მხატვრულ აგიტატორს და ახალი ცხოვრების დაწყებისათვის მნიშვნელოვან ბრძოლის იარაღს. კინო ხელოვნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ის ადამიანებს საშუალებას აძლევდა უკეთ დაენახათ კოლექტივიზაციის პროცესი და გაეცნობიერებინათ მისი სარგებელი.

მიუხედავად არსებული მწვავე გამოწვევებისა, 1937 წლისთვის საქართველოში იყო ბევრი ფაბრიკა-ქარხანა, აშენდა გურჯაანისა და ბორჯომის საორთქლმავლო დეპო, ქუთაისსა და თბილისში იყო კამვოლ-მაუდის ფაბრიკები, ქუთაისში გაიხსნა აბრეშუმის ძაფსაგრები ფაბრიკა. ქუთაისსა და ბათუმში აშენდა სამკერვალო ფაბრიკები.

საქართველოს დედაქალაქი ჩქარი ტემპებით ვითარდებოდა. თბილისში აშენდა კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი და ავტოსარემონტო ქარხნები, სატრიკოტაჟო და შამპანიურის ღვინოების კომბინატი, ჩაის საწონი ფაბრიკა. დედაქალაქში ამუშავდა ტროლეიბუსი.

¹³⁷ Ширер Дэвид Р. Сталинский военный социализм. Репрессии и общественный порядок в Советском Союзе, 1924-1953 гг. Пер. с англ. А. Л. Раскина. М.: Политическая энциклопедия, 2014. გვ. 39.

საშუალო და მსხვილი მრეწველობის განვითარების პროცესში განსაკუთრებული როლი ეკავა აბრეშუმის წარმოებას. 1927–1928 წლებში მისმა პროდუქციამ 4,3 მილიონი მანეთი შეადგინა, 1937 წლისთვის მოცულობა 50 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. პარალელურად იზრდებოდა მატყლისა და ბამბის მრეწველობის მასშტაბიც: 1927–1928 წლებში წარმოება 3 მილიონ მანეთს შეადგენდა, ხოლო 1937 წლისათვის რაოდენობა 29 მილიონამდე გაიზარდა.

აბრეშუმის მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხვი 1927–1928 წლებში 1 574-ს შეადგენდა, 1937 წლისათვის ეს ციფრი 5000-მდე გაიზარდა. ეკონომიკური აღმავლობის პარალელურად მატულობდა მუშათა ანაზღაურებაც. თუ საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა წლიური ხელფასი 1928 წელს საშუალოდ 846 მანეთს შეადგენდა, 1936 წლისთვის ეს მაჩვენებელი 3 014 მანეთამდე გაიზარდა. მსხვილ მრეწველობაში მომუშავე მუშების წლიური ხელფასი 1928 წლის 882 მანეთიდან 1936 წლისათვის 2 852 მანეთამდე გაიზარდა.¹³⁸

პარტიულ ყრილობებზე პარტიის წარმომადგენლები ხუთწლედებს წარმატებულად აფასებდნენ. გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „ქართველმა ხალხმა დიდი სტალინის ერთგული მოწაფის ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით გაანადგურა რაკონტრევოლუციონერი მენშევიკები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები-თავისი ხალხის გამცემლები დიდ წარმატებას მიაღწია, სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში“.¹³⁹

პირველი ხუთწლედი 60%-ით შესრულდა, მეორე ხუთწლედი, რომელსაც მიზნად დასახული ჰქონდა მასშტაბური ინდუსტრიული გეგმები, 70%-ით შესრულდა¹⁴⁰. საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში წარმატებით არცერთი ხუთწლიანი გეგმა არ განხორციელდა.

საბჭოთა კავშირის დაარსებამდე არსებული ეკონომიკური მდგომარეობა განზრახ გადაჭარბებულად უარყოფით ჭრილში იყო წარმოჩენილი, რათა საბჭოთა

¹³⁸ რუხაძე ლ. საქართველოს მსუბუქი მრეწველობა ოქტომბრის XX წლისთავზე. კომუნისტი, 23 ოქტომბერი (1937) N243, გვ. 3. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284940/1/Komunisti_1937_N243.pdf

¹³⁹ არჩევნების წარმატება საარჩევნო უბანში წყდება. კომუნისტი, 20 ნოემბერი (1937), N 264, გვ. 1. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/284974/1/Komunisti_1937_N264.pdf

¹⁴⁰ Paul R. Gregory „The Political Economy of Stalinism“, Cambridge University Press; 1st edition (October 27, 2003), გვ. 118.

ადამიანის თვალში კომუნისტური რეჟიმის ეკონომიკური მიღწევები განსაკუთრებულად გამოკვეთილიყო.

1933 წელს იოსებ სტალინმა შეაფასა პირველი ხუთწლედის შედეგები და განაცხადა, რომ რუსეთში მეფის პერიოდში თითქმის არ არსებობდა შავი მეტალურგია და ქიმიური წარმოება.¹⁴¹ აღნიშნული განცხადება საბჭოთა პროპაგანდისტული დისკურსის ნაწილი იყო, რათა უკეთ წამოეჩინა ხუთწლედის მიღწევები.

ინდუსტრიალიზაციის პროცესმა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ვერ უზრუნველყო ის შედეგები, რასაც ხელისუფლება ელოდა. როგორც კანდიდ ჩარკვიანი თავის მემუარებში აღნიშნავს, 1947 წლის თებერვალში საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განიხილეს სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებების საკითხი. მიღებულ დადგენილებაში ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმაც შევიდა, რომლის თანახმადაც უნდა გაზრდილიყო შესაბამისი ფართობები, თუმცა აქცენტი მხოლოდ ფორთოხლისა და ლიმონის ნარგავებზე გაკეთდა, რაც არსებული კლიმატური პირობებიდან გამომდინარე სირთულეებს ქმნიდა. კანდიდ ჩარკვიანს ურჩიეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიციის დაფიქსირება მისთვის საზიანო იქნებოდა, რადგან ეს გეგმა სტალინის მიერ იყო მოწონებული.¹⁴² განსხვავებული შეხედულებების ქონის გამო მოქალაქეები ტერორის მსხვერპლნი ხდებოდნენ.

მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება განსაკუთრებით რთულ ამოცანად იქცა. 1937 წლისთვის საქართველოში მიწის ინტენსიური დამუშავების პროცესში სერიოზული პრობლემები გამოვლინდა. ამ საკითხზე მიუთითებდა გაზეთი „კომუნისტი“, რომლის ფურცლებზეც რეგულარულად ქვეყნდებოდა მასალები დაგვიანებული თესვისა და შეუსრულებელი სამუშაოების შესახებ. განსაკუთრებით ჩამორჩებოდა საქართველოს დასავლეთი რეგიონი, სადაც კოლმეურნეობებში თესვის დაწყებისათვის არ იყვნენ მზად, არ ჰქონდათ შესაფერისი სამუშაო იარაღები, დაბალ დონეზე წარმოებდა პირუტყვის მოვლა.

¹⁴¹ Волобуев, Павел Васильевич. «Сталинизм и социальное познание советского общества.» В История и сталинизм: сборник статей, составитель А. Н. Мерцалов, 21–36. Москва: Политиздат, 1991. გვ. 32.

¹⁴² ჩარკვიანი კ. დასახ. ნაშრომი. გვ. 72.

საქართველოში დაგეგმილი იყო, რომ პირუტყვის საკვები კულტურები 49 900 ჰექტარ ფართობზე დაითესებოდა, რაც წინა წლების მაჩვენებელს 11 226 ჰექტარით აღემატებოდა.

პრესაში რეგულარულად ქვეყნდებოდა რეგიონებიდან გამოგზავნილი კრიტიკული მასალები. გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიის მიხედვით, პრობლემას წარმოადგენდა თბილისის შემოგარენის დაცული ტყეების დაზიანება: მცხეთაში, ძეგვში, წეროვანში, ნატახტარსა და ნიჩბისში. ავტორი მიუთითებდა, რომ ტყის მონიშნული ხეების მასობრივი ჭრა და ტერიტორიის დაბინძურებას მოსახლეობა უკავშირებდა თბილისის საბჭოს სატყეო განყოფილების ხელმძღვანელობის არაეფექტურ მოქმედებას. ისინი არ იცნობდნენ სამუშაო გარემოს და სათანადად არ ეკიდებოდნენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებას.

აგიტაცია მიმდინარეობდა კოლმეურნეობებში შესული ყოფილი სასულიერო პირების, წარსულში პოლიტიკურად აქტიური ადამიანების წინააღმდეგ. ვრცელდებოდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს სპეკულიანტები, სასულიერო პირები, ყოფილი თავადები განაწყობდნენ ხალხს კოლექტივის წინააღმდეგ.

დუშეთის რაიონში საბჭოების არჩევნების დროს კულაკები იხდიდნენ ქელეხებს, პატიჟებდნენ ღარიბ გლეხებს, რომლებიც მხარდაჭერას გამოხატავდნენ მათ მიმართ და საბჭოებში კანდიდატებად ასახელებდნენ. არჩევნებზე ხმის ჩამორთმევისგან თავის დასაღწევად, მდიდარი კულაკები მოჯამაგირეებს ათავისუფლებდნენ და ჰპირდებოდნენ ხელახლა დასაქმებას. კულაკები აწყობდნენ პროვოკაციებს, თავს არიდებდნენ გადასახადების გადახდას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ განიხილა ჭიათურის ორგანიზაციის კომუნისტების საქმე, რომლებიც ამახინჯებდნენ პარტიის ხაზს. ანტონ ლობჯანიძეს, რომელიც პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან, ლოთობისა და პარტიული დისციპლინის დარღვევის გამო უკანასკნელი საყვედური გამოუცხადეს. კოლა ტყავაძეს, რომელიც ასევე პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან, ბრალად ედებოდა სოფლებზე მიმაგრებული ამხანაგობებისათვის ხელის შეშლა, დავალებების შეუსრულებლობა, დამზადებული სოიოს გაფუჭება, რისთვისაც პარტიამ მასაც გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. კომკავშირელმა დათიკო ქართველიშვილმა, რომელიც იყო სოფელ ხრეითის

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, მიიღო სასტიკი საყვედური კულაკებთან მეგობრობის გამო. სოფელ ხრეთის სასოფლო საბჭოს მდივანი, სერგო ჯაფარიძე, თანამდებობიდან გაათავისუფლეს გლეხების მიმართ ცუდად მოპყრობის გამო.¹⁴³

1931 წელს გახსნილ ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობაში, ყოველწლიურად უარესდებოდა მდგომარეობა, გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ მიზეზი ტროცკისტ-ჯაშუშების მავნებლური საქმიანობა იყო. შედეგად დააკავებულ იქნა რამდენიმე პირი: ტერენტი მელუა, ილარიონ ლომთათიძე, კოწია დუმბაძე, ნესტორ შანიძე, ნიკიტა ცენტრაძე, ჩოხატაურის რაიმიწვანყოფილების ყოფილი გამგე - აბრაამ სოსელია. ყოფილმა გამგე ა. სოსელიამ 1936 წლის 12 მაისს ჩატარებულ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე დადგენილების გარეშე გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ილარიონ ლომთათიძე გაათავისუფლა ფერმის გამგის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან სუსტად მუშაობის გამო და დატოვა მწყემსად. ფერმის გამგედ დაინიშნა ტერენტი მელუა. 1936 წელს აბრაამ სოსელიას რჩევითა და განკარგულებით, ფერმის პირუტყვი გაიგზავნა საზაფხულო სამოვარზე აგარაკ ბახმაროს მახლობლად.¹⁴⁴ ეს საზაფხულო სამოვარი ძალიან ღარიბი იყო. თავმჯდომარემ თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ბახმაროს მოაგარაკებს მიაწვდიდნენ რძესა და ყველს. აბრაამ სოსელიამ სხვა კოლმეურნეობებსაც იგივე გააკეთებინა, რის გამოც საქონელმა წონაში დაიკლო და 3 თვეში დაიხოცა 40 სული.¹⁴⁵ სამწუხაროდ, მსგავსი ამბავი არ იყო ერთი კონკრეტული შემთხვევა.

მიუხედავად არასახარბიელო ვითარებისა, 1937 წელი ჩაითვალა საბჭოთა ეკონომიკისთვის გარდამავალ პერიოდად. კოლმეურნეობებში არსებობდა მრავალი სირთულე და გამოწვევა. პრობლემას წარმოადგენდა გამომუშავებისა და შეფასების ნორმების სისტემა. დაწესებული დღიური ნორმები ხშირად არ სრულდებოდა კეთილსინდისიერად. სისტემის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ისეთი სამუშაო დღის ნორმების შემოღება, რომელთა შესრულებაც კოლმეურნეებისთვის რეალურად შესაძლებელი იქნებოდა.

¹⁴³ „კოლექტივიზაცია“, №161, 24 იანვარი, 1931. თბილისი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, გვ. 2-3.

¹⁴⁴ თხელიძე, თ. დასახ. ნაშრომი. გვ. 343.

¹⁴⁵ ცინცაძე, პრ. მავნებლები ფერმიდან, 21 იანვარი (1937) „კომუნისტი“, გვ. 3.
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/335278/1/Komunisti_1937_N140.pdf

საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში, განხორციელდა რიგი სამეურნეო ექსპერიმენტებისა, თუმცა მათი უმრავლესობა უშედეგოდ დასრულდა. აღნიშნულმა გარემოებამ აჩვენა, რომ სწრაფი ინდუსტრიული განვითარების პარალელურად არსებობდა აგრარული სფეროს დაგეგმვისა და მართვის სირთულეები. თანდათან გაფართოვდა აგროკომბინატების ქსელი, რითიც სახელმწიფო ცდილობდა აგრარული წარმოება ინდუსტრიულ მოდელისათვის დაეკავშირებინა.

1930 წელს სამტრედიის ინდუსტრიული აგროკომბინატის აშენება თავდაპირველად დაგეგმილი იყო 75 ჰექტარზე, თუმცა შემდგომ ფართობი 132 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. კომბინატი უნდა გამხდარიყო მრავალპროფილური საწარმო, სადაც იგეგმებოდა ციტრუსოვანი კულტურების, აგრეთვე ტექნიკური და საკვები მცენარეების მოყვანა, ვარაუდობდნენ, გეგმის თანახმად წლიურ შემოსავალს 102 მილიონ მანეთამდე უნდა მიეღწია.

რამის თესლი	50 ათასი ჰ.
ახალზელანდიური სელი	10 ათასი ჰ.
ბამბუკი	1000 ჰ.
ტუნგის ხე	10 ათასი ჰ.
ზეთისხილის ხე	1000 ჰ.
თუთის ხე	3 200 ჰ.
მიწის თხილი	15 ჰ.
სოიო	15 ჰ.
სიმინდი	10 ათასი ჰ.

იმავე წელს გამოიყვანეს 25 ათასი კოლოფი აბრეშუმის თესლი, რომელიც 1931 წლისათვის კიდევ მეტად უნდა გაზრდილიყო და მოეტანა 5 მილიონ მანეთზე მეტის მოგება.

1930 წლის 14 მარტს ჩამოყალიბდა საქართველოს მეფრინველეობის კოოპერატიული კავშირი. მათ იმედი ჰქონდათ, რომ კოოპერატივში 200 ათასი ფრთა ფრინველისგან 20 მილიონ კვერცხს მიიღებდნენ. ნახევარი განაწილდებოდა

ინკუბატორზე, საიდანაც გამოიჩეკებოდა 2 მილიონზე მეტი წიწილა. ვარაუდობდნენ შინაურ და საგარეო ბაზრებზე რეალიზებული 17 მილიონი კვერცხიდან მიიღებდნენ 3 მილიონი მანეთის მოგებას.¹⁴⁶

1934 წლის გაზაფხულზე, ექსპერიმენტის ფარგლებში, აჭარაში 10 ჰექტარზე დაითესა ამერიკული კარტოფილი (ბატატი), რომლისგანაც ვარაუდობდნენ 50–100 ტონის მიღებას, თუმცა მოლოდინები არ გამართლდა. მიუხედავად ექსპერიმენტის წარუმატებლობისა, რეგიონებში არ გამოვლენილა ორგანიზებული პროტესტი შეუსაბამო პროდუქციის მასშტაბური წარმოების წინააღმდეგ. უკმაყოფილება ძირითადად უკავშირდებოდა პარტიული სტრუქტურების ზოგიერთი წარმომადგენლის უმოქმედობას, მოსახლეობა ითხოვდა მათ სათანადო დასჯას. ამავდროულად ცენტრი პრესის საშუალებით გასცემდა ინსტრუქციას, რის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო პარტიის „გაწმენდა“ არასასურველი ელემენტებისგან.

¹⁴⁶ „კოლექტივიზაცია“, №32 19 აპრილი, 1930. თბილისი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. გვ. 1.

§ 2.4. სტალინი და სტალინიზმი. ისტორიის გაყალბება

იოსებ სტალინის პიროვნების შესახებ თანამედროვე მკვლევართა დისკუსიებში ხშირად წარმოაჩენენ მას როგორც პირად ინტერესებზე ორიენტირებულ, მოძალადე ლიდერს, ასეთი პერსონალიზებული ინტერპრეტაციები აძლიერებს მითს მისი ყოვლისშემძლეობის შესახებ, ვ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინიმა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ვექტორი მკვეთრად შეცვალა. სტალინის პოლიტიკური იდეებისა და ზოგადად ბოლშევიკური პარტიის მიმართ ისტორიკოსებისა და მკვლევრების მოსაზრება ორად იყოფა. საბჭოთა კავშირის შესახებ არსებული მრავალფეროვანი კვლევები აჩვენებს, რომ საბჭოთა რეჟიმისა და იოსებ სტალინის პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასებისას მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლელი და ქართველი მკვლევრების აზრი.

მასობრივი რეპრესიების ისტორიის შესწავლა საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ და კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს. წლების განმავლობაში ქართველი მეცნიერები ამ საკითხს ნაკლებად იკვლევდნენ. ტოტალიტარული სისტემების მემკვიდრეობა იშვიათად ქრება უკვალოდ - მისი სოციალური და მენტალური გავლენა ხშირად გასდევს თაობებს. ისმის კითხვა, თუ რატომ არის საჭირო ამ საკითხის ირგვლივ აქტიურად მსჯელობა და რა შედეგი გვაქვს ამ დროისთვის? საბჭოთა კავშირი 1991 წელს დაიშალა. მას შემდეგ დაახლოებით 34 წელი გავიდა. ამ წლების განმავლობაში საქართველომ გაიარა მრავალი პოლიტიკური თუ სოციალური გარდატეხის ფაზა.

საბჭოთა კავშირის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში შეინიშნება განსხვავებული მიდგომები: დასავლურ ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც სტალინის, ისე საბჭოთა სისტემის შეფასებას, მაშინ როდესაც ქართველი მკვლევრები, უმეტეს შემთხვევაში, ცდილობენ სტალინის პიროვნების კულტისგან საკუთარი კოლექტიური მეხსიერების გათავისუფლებას.

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ ქართველმა მეცნიერებმა ვიწრო თემატურ ჭრილში აქტიურად დაიწყეს მუშაობა ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებზე. ამ პერიოდში ისტორიული კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად შემოიფარგლა მოგონებების, ზეპირი ისტორიებისა და სამეცნიერო-პოპულარული

ენით დაწერილი ბიოგრაფიული ტექსტების გამოცემით. აღნიშნულ ნაშრომებს, მიუხედავად მათი საგნობრივი და წყაროთმცოდნეობითი ღირებულებისა, მაინც აკლდა ის მასშტაბურობა და ანალიტიკური სიღრმე, რაც აუცილებელია საბჭოთა საქართველოს შესახებ კომპლექსური ცოდნის ჩამოსაყალიბებლად.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობს რამდენიმე სიღრმისეული სამეცნიერო ნაშრომი, ისინი მაინც არასაკმარისია საქართველოს შესახებ სრული და მრავალმხრივი სურათის შესაქმნელად. ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირად ფიქსირდება ტენდენცია, რომ საბჭოთა ეპოქის ნეგატიური მოვლენები რუსულ პოლიტიკას მიეწერება. დასავლურ კვლევებში კი უმეტესად საპირისპირო ინტერპრეტაცია გვხვდება: სტალინის მმართველობის პერიოდში განხორციელებული პროცესები ხშირად განიხილება როგორც მისი პიროვნული თვისებების, ქარიზმისა და განსაკუთრებული გავლენის შედეგი. ზოგიერთ შემთხვევაში სტალინის ხასიათის განმსაზღვრელ ფაქტორად მისი ეთნიკური წარმომავლობაც განიხილება: „მონსტრი, ჩოფურა, ხელშემხმარი, ფეხისთითებშეწებებული, გრუზათმიანი კავკასიელი... ბევრს, რომ არაფერს ათვალთქვამს ევროპაში, მაგრამ ლენინისგან კი ყველაფერს სწავლობს...“¹⁴⁷

რიჩარდ პაიპსი სტალინის პიროვნებას ასე ახასიათებს: „სტალინი იყო ქართველი, რომელიც რუსულად კომიკური აქცენტით მეტყველებდა, საგნებს განსხვავებულად აღიქვამდა“.¹⁴⁸ ეს შეფასება მკაფიოდ ვერ წარმოაჩენს ტერორისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიზეზს, ის არის მცდელობა, რომ ბოროტებას შესძინოს ნაციონალიზმი, რათა მომხდარს ჰქონდეს მისტიკურობის ელფერი.

საიმონ მონტეფიორე წიგნში „სტალინი წითელი მეფე“ ახასიათებს, როგორც იდუმალს - „სფინქსისებური ბუნებითა და ფლეგმატური უბრალოებით, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ბებერი გლეხივით აბოლებდა ჩიბუხს, სტალინი კი სინამდვილეში ენერგიული, პატივმოყვარე, აფექტური ბუნების და ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება იყო.“¹⁴⁹

¹⁴⁷ ბუღაძე, ლ. საქართველო იოსებ სტალინის წინააღმდეგ. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2024, გვ. 114.

¹⁴⁸ Pipes richard russia under the bolshevik regime of stalin, New York : Vintage, 1995. pg. 471.

¹⁴⁹ მონტეფიორე, ს. ს. სტალინი წითელი მეფის კარი. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012, გვ. 18.

არასაკმარისად გამართლებულია შეხედულება, რომ ისეთი კომპლექსური და მრავალფაქტორული სახელმწიფოებრივი სისტემა, როგორც საბჭოთა კავშირი იყო, მხოლოდ ერთი ლიდერის პირად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ეყრდნობოდა. საბჭოთა მოდელი ჩამოყალიბდა როგორც ინსტიტუციური, იდეოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების რთული კავშირის შედეგი, სადაც ინდივიდუალური გადაწყვეტილებები სისტემური პროცესების ერთ-ერთ, თუმცა არა ერთადერთ განმსაზღვრელ ელემენტს წარმოადგენდა.

შეილა ფიცპატრიკის აზრით, კვლევები აჩვენებს, რომ სტალინის პოლიტიკურ კულტურაში გამოიყოფა „მოდერნულობა“ და „განმანათლებლური“ მიდგომა და ნეო-ტრადიციული პოზიცია. ამის გათვალისწინებით მკვლევართა ერთი ჯგუფისათვის სტალინისა და მისი გუნდის მიზანი იყო უტოპიური სახელმწიფოს შექმნა, რისთვისაც ხშირად მიმართავდნენ რადიკალურ ქმედებებს, ხოლო მკვლევართა ნაწილისათვის ეს იყოს ცნობიერებისა და პოლიტიკური პრაქტიკის ისეთი სისტემა, რომელიც ქმნიდა ნეოტრადიციულ წყობას.¹⁵⁰

ზოგიერთი ქართველი მწერალი, მაგალითად ლაშა ბუღაძე მისი წიგნის „საქართველო სტალინის წინააღმდეგ“ შესავალში განმარტავს, რომ მის მიზანს წარმოადგენს ცოტათი მაინც შეუწყოს ხელი ქართულ სივრცეში სტალინის პოლიტიკური გავლენის გაანალიზების დაწყებას და ჩამოაშოროს მითოლოგიური სახე, მაგრამ წერის პროცესში თავად უწყობს ხელს ახალი წარმოდგენების შექმნას. როდესაც ცდილობს დაუპირისპიროს ნოე ჟორდანიას ფიგურას და სტალინის ფონზე გააკეთილშობილოს, მაშინ როცა ამის საჭიროება არ არის. ასეთი მიდგომები ხელს უწყობს ფსევდო-მეცნიერების განვითარებას და არქტიპული წარმოდგენების წინ წამოწევას, რაც რეალური ბოროტებისათვის იდეალური საფუძველია, რომელიც დროდადრო იჩენს თავს,

ისტორიული კვლევა ვერ ჩაითვლება სრულფასოვნად, თუ იგი არ ასახავს ყველა სოციალური და პოლიტიკური ჯგუფის პერსპექტივას. ასეთი პლურალურობის უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში, სადაც განსხვავებული ხედვების გათვალისწინება ხშირად

¹⁵⁰ David Priestland, “Stalin and Bolshevik Romantic: Ideology and Mobilisation, 1917–1939,” in *Stalin: A New History*, ed. Sarah Davies and James Harris (Cambridge: Cambridge University Press, 2005), გვ.183

წინააღმდეგობაში მოდის ოფიციალურ ნარატივთან ან იწვევს საზოგადოების ნაწილის დისკომფორტს. მიუხედავად ამისა, სწორედ მრავალფეროვნება ქმნის ისტორიული პროცესების კომპლექსურ და ობიექტურ აღქმას.

რონალდ სუნის სტატიაში „სტალინი და მისი სტალინიზმი: ძალაუფლება და ავტორიტეტი საბჭოთა კავშირში 1930-1953 წლებში“ აერთიანებს ძველ და ახლებურ წარმოდგენებს სტალინის მმართველობის მეთოდზე. მისი აზრით, სტალინური სისტემა სრულად არ აკონტროლებდა საბჭოთა საზოგადოებას, არამედ სანამ ის საკუთარი უზარმაზარი ძალის კონცენტრაციას ძალაუფლების სათავეში ახდენდა, ეს ძალა გადანაწილებული იყო დაბალი რანგის თანამშრომლებზე, რომლებიც თავად მოქმედებდნენ საერთო წესების შესაბამისად.¹⁵¹

მნიშვნელოვანი საკითხია, რას წარმოადგენდა თავად სტალინიზმი. ი. სტალინის კულტის გაძლიერებისა და განადგურების იდეის ერთ-ერთი ავტორი ლ. ბერიაა. მან რეგიონულ დონეზე ხელი შეუწყო ბელადის გარშემო ყოვლის შემძლე და მზრუნველი პიროვნების კულტის შექმნას. რაც საბოლოოდ დაეხმარა კარიერულ წინსვლაში. ყველაფერი დაიწყო 1931 წელს ჟურნალში „პროლეტარული რევოლუცია“ გამოქვეყნებულ სტალინის ცნობილი წერილით სადაც ის აკრიტიკებდა ისტორიკოს ა. გ. სლუცკის.¹⁵² ავტორი საუბრობდა პირველ მსოფლიო ომამდე ბოლშევიკებისა და გერმანელი სოციალ-დემოკრატების ურთიერთობის შესახებ.

სტალინიმა გააკრიტიკა ა. სლუცკი იმის გამო, რომ მან გაზედა და ლენინის სიბრძნე ეჭვქვეშ დააყენა.¹⁵³ ეს ფაქტი იყო გაფრთხილება მათთვის, ვინც გაზედავდა პარტიის ლიდერების ან მათი საქმიანობის ეჭვქვეშ დაყენებას, ისტორიკოსებს უნდა ემსჯელათ არა დოკუმენტებზე დაყრდნობით, არამედ უნდა გაეთვალისწინებინათ პიროვნების შესახებ პარტიის შეხედულებები.

ბელადის სახელის მნიშვნელობის წარმოჩენა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო საქართველოშიც, რადგან საქართველო იოსებ სტალინის სამშობლო იყო. 1935

¹⁵¹ Suny R. G. Stalin and his Stalinism: Power and Authority in the Soviet Union, 1930-1953. Edited by David L. Hoffman, „Stalinism, The Essential Readings“, გვ. 14.

¹⁵² ანატოლი გრიგოლის ძე სლუცკი (1894-1979) - ისტორიკოსი, დააპატიმრეს 1937 წელს და მიესაჯა გადასახლება.

¹⁵³ Knight Amy. Beria: Stalin's First Lieutenant, Publisher: Princeton University Press; Reprint edition, 1995. გვ. 55.

წელს ცენტრალურმა კომიტეტმა ლ. ბერიას ინიციატივით თბილისში აღადგინა არალეგალური სტამბა, რომელშიც სტალინი მუშაობდა.

პარტიული პროპაგანდა იოსებ სტალინს წარმოაჩენდა ისეთ პიროვნებად, რომელმაც საქართველოში სოციალისტური იდეების გავრცელებაში დიდი როლი ითამაშა. ერთ-ერთი ისტორიის თანახმად, 1901 წელს ბაქოში არსებული იატაკქვეშა პრესა ამარაგებდა მთელ რუსეთს მარქსისტული ლიტერატურით. ამ საქმიანობის ორგანიზატორი იყო ლადო კეცხოველი. ის აგროვებდა ფულსა და შემოწირულობას, ა. ენუქიძე¹⁵⁴ თავის მოგონებებში, ბაქოს ამბების შესახებ, წერდა, რომ ის რამდენჯერმე გაგზავნა ნ. კეცხოველმა თბილისში ფულის ასაღებად. ა. ენუქიძე ერთხელ შეხვდა ახალგაზრდა სტალინს, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამდა რევოლუციურ მოძრაობაში.

ა. ენუქიძის მოგონებების თანახმად, თბილისში, სტამბის გამართვისათვის ფულის სათხოვნელად ჩასული, შეხვდა სილიბისტრო ჯიბლაძეს¹⁵⁵. აქ იმყოფებოდა ახალგაზრდა სტალინი. მათ უარით გაიტუმრეს სილიბისტრო ჯიბლაძე, რადგან სურდათ საქმის გაკონტროლება. ა. ენუქიძეს ი. სტალინის სახელი სტამბასთან დაკავშირებით არ უხსენებია.¹⁵⁶ ა. ენუქიძის მოგონებების მიხედვით სტალინის როლი სტამბის ამბებთან დაკავშირებით ამით დასრულდა.

ა. ენუქიძის ვერსია მიუღებელი აღმოჩნდა ლ. ბერიასათვის, რადგან აქ არ წარმოჩნდებოდა ი. სტალინის კავშირი რევოლუციასთან. მან დაწერა ისტორია, რომლის მიხედვითაც, თბილისის კომიტეტი ამარაგებდა ფულითა და მასალით ლადო კეცხოველს, რათა მას ბაქოში იატაკქვეშა პრესა მოეწყო.

1937 წელს ლ. ბერიამ მოხსენებაში - „დიდი სტალინი-ორგანიზატორი ბათუმის ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა“ - საუბრობს, რომ 1900-1901 წლებში ბათუმი თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გავლენის გარეშე იყო დარჩენილი. 1899-1900 წლიდან იქ იმყოფებოდნენ კარლო

¹⁵⁴ აბელ სოფრომის ძე ენუქიძე (1877-1937) - 1898 წლიდან იყო სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრი.

¹⁵⁵ სილიბისტრო ბესარიონის ძე ჯიბლაძე (1859-1922) - რევოლუციონერი, პოლიტიკოსი.

¹⁵⁶ ენუქიძე, ა. არალეგალური ბოლშევიკური სტამბები, თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1933, გვ. 14.

ჩხეიძე¹⁵⁷ და ისიდორე რამიშვილი, რომლებიც, ლ. ბერიას თქმით, „ლეგალური მარქსიზმის მომხრეები იყვნენ და უარყოფდნენ არალეგალური პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას. ლავრენტი ბერიას წერდა, რომ თბილისიდან გაგზავნილ კომიტეტის წევრ გიორგი ჩხეიძეს¹⁵⁸ დახმარებაზე უარი უთხრეს კარლო ჩხეიძემ და ისიდორე რამიშვილმა იმ საბაბით, რომ ბათუმში შეუძლებელი იყო არალეგალური მუშაობა, რისთვისაც არგუმენტად არაქელა ოქუაშვილისა¹⁵⁹ და გიორგი ჩხეიძის მოგონებები მოიხმო. ისინი წერდნენ, რომ სტალინამდე ბათუმში არ ყოფილა არანაირი მუშათა ორგანიზაცია.¹⁶⁰

გიორგი ჩხეიძის უარით გამოსტუმრების შემდეგ თბილისის კომიტეტმა 1901 წელს სტალინი სამუშაოდ გაგზავნა. წლის ბოლოსთვის მან იმდენი შეძლო, რომ მსხვილ საწარმოებში დაარსა სოციალ-დემოკრატიული წრეები. 1901 წლის 31 დეკემბერს, მთავარ საწარმოთა წრეების წარმომადგენელთა კრებაზე, ჩამოაყალიბა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. 1902 წელს მოაწყო ა. მანთაშევის¹⁶¹ ქარხნის მუშათა პირველი დიდი გაფიცვა, შემდეგ - როტშილდის¹⁶² ქარხნის.¹⁶³

მეშვიდე გამოცემაში სტალინს უფრო წამყვანი როლი დაეკისრა და თითქოს მისი ინიციატივით თბილისის კომიტეტის წამყვანმა ჯგუფმა ლ. კეცხოველს მიაწოდა რესურსი და აღჭურვილობა ამ მიზნის განსახორციელებლად.¹⁶⁴

სტამბის ამბებთან დაკავშირებით ი. სტალინის როლის შესახებ არც ბარონ ბიბინეიშვილი საუბრობს თავის წიგნში „ფოლადის სამეული: სტალინი, ენუქიძე, კეცხოველი“. ეს წიგნი გამოიცა 1929 წელს. მასში სტალინის ადრეულ ცხოვრებასა და რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ არის საუბარი. სტამბის ამბებთან

¹⁵⁷ კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე (1864-1926) - პოლიტიკოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე.

¹⁵⁸ გიორგი ჩხეიძე (1874-1939) - რევოლუციონერი, სამხედრო პირი.

¹⁵⁹ არაქელა ოქუაშვილი (1865-1937) - რევოლუციონერი, საბჭოთა კავშირის დროს იკავებდა სხვადასხვა თანამდებობებს. 1937 წელს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

¹⁶⁰ ოქუაშვილი, არაქელა. ჩემი მოგონებები, რედაქტორი მედეა იმერლიშვილი; არასამთავრობო ორგანიზაცია "შენ დემოკრატიისთვის", საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია - SovLab. თბილისი: შენ დემოკრატიისთვის, 2017, გვ. 117.

¹⁶¹ ალექსანდრე მანთაშევი - მაგნატი, ფილანტროპი.

¹⁶² როტშილდის ქარხანა არსებობდა თბილისში.

¹⁶³ ბერია, ლ. დიდი სტალინი - ორგანიზატორი ბათუმის ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა. კომუნისტი 10 (1937): N10.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334939/1/Komunisti_1937_N10.pdf

¹⁶⁴ knight Amy. Beria: Stalin's First Lieutenant, Publisher: Princeton University Press; Reprint edition, 1995. გვ. 61.

მიმართებით ენუქიძე-კეცხოველის, მოგონებებში ი. სტალინის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ლ. ბერია თავის მოხსენებაში ი. სტალინს ახასიათებს, როგორც ლენინური ხაზის მტკიცე გამტარებელს, „ამიერკავკასიის ბოლშევიკთა, რევოლუციურ მუშათა და გლეხთა ბელადსა და ხელმძღვანელს“.¹⁶⁵

1900-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ბოლშევიკური საქმიანობის განვითარება ი. სტალინის სახელს უკავშირდებოდა და ლ. ბერიას მოხსენების თანახმად, ყველა მოვლენის ეპიცენტრში ის იმყოფებოდა. „ამხანაგი სტალინის სიტყვას უდიდესი ბოლშევიკური გამრევოლუციონერებელი მნიშვნელობა ჰქონდა“.¹⁶⁶

ისიღორე რამიშვილი მოგონებებში ბათუმს ახასიათებს, როგორც მოძრაობით სავსე ქალაქს. ბათუმში მუშები რევოლუციური საქმიანობით გატაცებული იყვნენ. ისინი დამოუკიდებლად აწყობდნენ მიტინგებს, მიზანმიმართულად მწყობრიდან გამოჰყავდათ სამუშაო მანქანები და შრომის იარაღები, ანადგურებდნენ ნავთობით სავსე ყუთებს. ასეთ ქმედებას ისიღორე რამიშვილი უწოდებდა „ძველი ტრადიციის გაგრძელებას, როდესაც კლასთა შორის ბრძოლა ორგანიზაციულად არ იყო მოწყობილი.“¹⁶⁷

მას შემდეგ, რაც მუშათა პარტია ჩაუდგა სათავეში მოძრაობას, მოვლენებმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო და უფრო ორგანიზებული გახდა. ისიღორე რამიშვილი არაფერს საუბრობს იოსებ ჯუღაშვილის პოლიტიკურ საქმიანობაში განსაკუთრებულად აქტიური როლის შესახებ. ის ი. სტალინს მოიხსენიებს, როგორც რიგით რევოლუციონერს. ი. რამიშვილი ბათუმის სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად, სადაც ლეგალური და არალეგალური ჯგუფები ერთად აწყობდნენ შეხვედრებს მუშებთან. ბათუმის რსდმპ(ბ) პირველი კომიტეტის 35 წლისთავისთვის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა 1901 წელს ქარხნებში მომუშავე მუშების მოგონებები, რომლებიც იხსენებდნენ სტალინის ბათუმში ყოფნას და მის მნიშვნელოვან როლს რევოლუციური მოძრაობის დაწყებაში.

¹⁶⁵ ბერია, ლ.. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვისა და ჩამოყალიბების ისტორიისათვის (1897-1904 წლები). გვ. 67.

¹⁶⁶ ბერია, ლ. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების... გვ. 47.

¹⁶⁷ რამიშვილი ი. მოგონებები, რედაქტორი გელა საითიძე, თბილისი: არტანუჯი, 2012. გვ. 250.

როტმილდის ქარხნის ყოფილი მუშა იხსენებს, რომ საკვირაო სკოლაში მუშებს ასწავლიდნენ: კარლო ჩხეიძე, მღვდელი სიმონ თოთიბაძე, ისიდორე რამიშვილი. ისინი მუშებს მხოლოდ ლეგალური წიგნების კითხვას ურჩევდნენ და არ საუბრობდნენ პოლიტიკური საკითხების შესახებ, რომელიც ასე აღელვებდათ მუშებს.¹⁶⁸

იოსებ სტალინის საკვირაო სკოლებსა და მუშებთან შეხვედრის აღსანიშნავად შეიქმნა ნახატები, ქანდაკებები, დამზადდა იმ სახლის მაკეტი, რომელშიც 1901 წელს სტალინი ცხოვრობდა. ახელ ენუქიძე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო მისი დაარსების დღიდან. ის აქტიურად იყო ჩართული რევოლუციურ მოძრაობაში. თავის მოგონებებში არც ა. ენუქიძე საუბრობს რევოლუციის დასაწყის ეტაპზე სტალინის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. ი. სტალინმა ჩამოიშორა ყველა ე.წ. ძველი ბოლშევიკი, ვისთანაც ახლო კავშირი ჰქონდა და იცნობდა დიდი ხნის განმავლობაში. ა. ენუქიძე, მოგონებებში სტალინის არასაკმარისად წარმოჩენის გამო, 1932 წელს ჯერ პარტიიდან გარიცხეს, საჯარო ბოდიშის მოხდის შემდეგ კი კვლავ აღადგინეს პარტიაში. ლ. ბერია გადაჭარბებულად წარმოაჩენდა ი. სტალინის როლს რევოლუციურ მოძრაობაში. მასობრივი რეპრესიების დროს ძველ ბოლშევიკებს სოციალისტური იდეების უგულვებელყოფა და მემარჯვენე ოპორტუნიზმის მხარდაჭერა დაბრალდათ. მათ წაუყენეს რამდენიმე ბრალდება და გაასამართლეს.

მასობრივი რეპრესიების ისტერიას წინ უძღოდა ძალიან რთული გზა:

- 1) ქვეყანა ძალიან ჩქარა გადავიდა სასოფლო წარმოებიდან მძიმე ინდუსტრიაზე;
- 2) არ არსებობდა კადრები, რომლებიც შეძლებდნენ დანადგარებთან მუშაობას;
- 3) რუსეთმა გადაიტანა სამოქალაქო ომი, შიმშილობა. საზოგადოება გაიხლიჩა ნაციონალიზმსა და ინტერნაციონალიზმს შორის.

საბჭოთა კავშირი არ აღმოჩნდა მზად იმ ცვლილებებისათვის, რომელიც პარტიამ წამოიწყო. პარტიის შიგნით დიდი დაპირისპირება იყო ლიდერთა გადაწყვეტილებების თაობაზე. ლენინის გადაწყვეტილება ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წარმოების შესახებ პარტიის იდეოლოგიას დაუპირისპირდა. ამგვარმა ექსპერიმენტებმა ადამიანები დააზარალა, რომლებსაც ჯერ მისცეს კაპიტალის

¹⁶⁸ ამხანაგ სტალინის ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობის მომხრეებთან ბათუმში. კომუნისტი 10 (1937): N10. გვ. 2 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334939/1/Komunisti_1937_N10.pdf

დაგროვების საშუალება, ხოლო შემდეგ ეს შესაძლებლობა წაართვეს და მტრად გამოაცხადეს. ბოლშევიკური პარტია ძალიან დიდი იყო და ჰყავდა ბევრი ლიდერი, რომელთაც საკუთარი ინტერესები და ხედვა გააჩნდათ.

საბჭოთა კავშირი ერთგვარ ნაზავს წარმოადგენდა ცარიზმის მემკვიდრეობასა და მარქსისტულ იდეოლოგიას შორის. ბოლშევიკებმა, მიუხედავად დეკლარირებული იდეოლოგიური წინააღმდეგობისა, მნიშვნელოვანი ელემენტები გადაიღეს რუსეთის იმპერიის მმართველობის პრაქტიკიდან. ლიდერების შეცვლა არ ნიშნავდა იმპერიული ტრადიციების უარყოფას; პირიქით, საბჭოთა სახელმწიფომ გააგრძელა რუსეთის იმპერიის მიერ ჩამოყალიბებული ცენტრალიზაციისა და დომინაციის პოლიტიკა.

რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნები საუკუნეზე მეტხანს მოექცნენ ძლიერი რუსული გავლენის ქვეშ. კავკასიის ზოგიერთი ხალხი დამწერლობის გარეშე იყო დარჩენილი, ნაწილი კი განათლებას მხოლოდ რუსულ ენაზე იღებდა. გასაბჭოებამდე წერა-კითხვის დონე დაბალი იყო, ხოლო სასწავლებლებში ძირითადად რუსეთის ისტორია ისწავლებოდა. ასეთ პირობებში ეროვნული თვითგამორკვევის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იზღუდებოდა.

საბჭოთა კავშირში ფორმალურად დადგენილი იყო, რომ წევრი რესპუბლიკების მოქალაქეებს უნდა ჰქონოდათ თავისუფალი არჩევანის უფლება საკუთარი ქვეყნის მომავლის განსაზღვრაში. იდეის თანახმად, რუსეთი წარმოადგენდა ამ ერთობის დამაკავშირებელ და შემაერთებელ ძალას.

III თავი

დიდი ტერორი საქართველოში: ცენტრის დირექტივა, ნაციონალური ბრალდებები და ადგილობრივი ინიციატივა

§ 3.1. მტრის ხატის კონსტრუირება: პარტიული დაპირისპირება და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლა

სოციალისტურმა რევოლუციამ უარი არ თქვა რუსეთის იმპერიულ წარსულზე, ე.წ. „წმინდა მიწის“ იდეაზე. მთავარ განმათავისუფლებლად და წამყვან ძალად რუსეთი ითვლებოდა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკებად და მენშევიკებად დაყოფის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის შიგნით ახალი კამათის წყარო სახელმწიფოს მოწყობასთან დაკავშირებული მოსაზრებები იყო. პარტიის ლიდერთა ნაწილმა დაიჭირა ე.წ. მემარჯვენე პოზიცია, რომლის სათავეში იყვნენ ლ. კამენევი, გ. ზინოვიევი, ა. რიკოვი¹⁶⁹, დ. რიაზანოვი¹⁷⁰, ვ. ნოგინი¹⁷¹, ა. შლიაპნიკოვი¹⁷² და სხვები. თავდაპირველად ისინი ეჭვქვეშ აყენებდნენ რევოლუციის გამარჯვებას, რის გამოც მოლაპარაკებები დაიწყეს წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან. ა. რიკოვი, გ. ზინოვიევი, ი. ლარინის ჯგუფი მიიჩნევდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბებულიყო ყველა საბჭოთა პარტიის მიერ. ლ. ტროცკი და მისი გუნდი, რომლებიც პერმანენტულ რევოლუციას ემხრობოდნენ, გამოდიოდნენ წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

რუს რევოლუციონერებს იმედი ჰქონდათ, რომ ევროპაში მოხდებოდა სოციალისტური გადატრიალება და ის მუხტი რუსეთსაც გადმოეცემოდა. ვ. ლენინმა დროულად განჭვრიტა ამ იდეის განხორციელების შეუძლებლობა. ის პრაქტიკულად მიუდგა საკითხს - რევოლუცია მოხდა იმ ქვეყნებში, სადაც ღარიბ ადამიანებს არაფერი ჰქონდათ დასაკარგი და მზად იყვნენ ბრძოლისათვის.

¹⁶⁹ ალექსი ივანეს ძე რიკოვი (1881-1938) - სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე 1924-1930 წლებში.

¹⁷⁰ დავით ბორისის ძე გოლდენდახი (რიაზანოვი) (1870-1938) - რევოლუციონერი

¹⁷¹ ვიქტორ პავლეს ძე ნოგინი (1878-1924) - რევოლუციონერი, ფილოსოფოსი, ვაჭრობისა და წარმოების სახალხო კომისარი.

¹⁷² ალექსანდრე გავრილის ძე შლიაპნიკოვი (1885-1937) - რევოლუციონერი.

სტალინი ცდილობდა მოეშორებინა ის ადამიანები, რომლებიც მის პარტიულ წინსვლას ხელს შეუშლიდნენ, ესენი იყვნენ ლ. ტროცკი, ნ. ბუხარინი, ლ.კამენევი და სხვა, ე.წ. ძველი ბოლშევიკები. ამ ადამიანებს ვ. ლენინთან მეტად მჭიდრო კავშირი ჰქონდათ და პარტიის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვოდათ.

პარტიის შიგნით ცხარე კამათი და დაპირისპირება გაზეთის ფურცლებზე კარგად ჩანდა. სტალინი მიიჩნევდა: „როცა ჩვენი კომუნისტების ზოგიერთი წრეები უკან ეწევიან პარტიას XV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, უარყოფენ რა სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის აუცილებლობას ან მოითხოვენ ჩვენი ინდუსტრიის შეკვეცას, თვლიან რა მისი სწრაფი განვითარების ახლანდელ ტემპს ქვეყნისათვის დამლუპველად, ან უარყოფენ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის თანხების გაღების მიზანშეწონილობას, თვლიან რა ამას (თანხების გაღებას) ფულის წყალში გადაყრად, ან უარყოფენ თვითკრიტიკის ბაზაზე ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანშეწონილობას ფიქრობენ, რომ თვითკრიტიკა არყვეს ჩვენს აპარატს და ან მოითხოვენ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შერბილებას და ა.შ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პარტიის რიგებში არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, შესაძლოა, თავისდა შეუმჩნეველად, მოარგონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმე „საბჭოთა“ ბურჟუაზიის გემოვნებასა და მოთხოვნებებს“¹⁷³.

ი. სტალინის ძალაუფლება ვერ იქნებოდა აბსოლუტური, რომ არ ჰყოლოდა ერთგული მიმდევრები, რომლებიც მზად იყვნენ არა მხოლოდ თვითონ შეესრულებინათ ბელადის ნებისმიერი ბრძანება, არამედ სხვებაც იძულებული გაეხადათ, უსიტყვო მორჩილება გამოეხატათ.

საბჭოთა კავშირში მასობრივი რეპრესიების დასაწყისი შეგვიძლია შევაფასოთ არა როგორც სტალინის „შურისმაძიებლური, პარანოიდული უხასიათო“¹⁷⁴ ქცევის გამოვლინება, როგორც ამას ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, არამედ როგორც ძალაუფლების განმტკიცებისა და დაშინების საშუალება. ეს გამოწვეული იყო მანამდე განხორციელებული პროექტების წარუმატებლობით.

¹⁷³ სტალინი ი. ლენინიზმის საკითხები, თბილისი: სახელგამი, პოლიტიკტერატურის სექტორი 1952. გვ. 250.

¹⁷⁴ მონტევიორე ს. ს. სტალინი წითელი მეფის კარი, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012. გვ. 38.

პოსტსაბჭოთა ადამიანი მხოლოდ ბელადს აბრალებს ტერორსა და რეპრესიებს, რომელიც იჯდა და კითხულობდა დღეში 500 გვერდს, ჰქონდა 20 000 მეტი წიგნი წაკითხული.¹⁷⁵ სწორედ ამ ერთი ადამიანის მიერ შეიქმნა ისეთი ძალადობრივი სისტემა, რომელშიც ადამიანები იძულებით ერთვებოდნენ.

ზემოთ თქმული ამბავი, იოსებ სტალინის უსაზღვრო ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ ბელადს მითიურ საბურველში ახვევდა. ამტკიცებდნენ, რომ ი. სტალინი ყველა ინფორმაციას პირადად ეცნობოდა და შენიშვნებს წერდა ფერადი ფანქრებით. მითიური არგუმენტის შექმნა საბჭოთა და შემდგომ პოსტსაბჭოთა რეალობაში მეტად მნიშვნელოვანი გახდა, რადგან ამით ხელისუფლებაში მყოფი პირები, დანაშაულებრივ მაქინაციებში გარევის ბრალდების თავიდან არიდების მიზნით, პასუხისმგებლობას იხსნიდნენ. ისინი საკუთარ ხელმრუდობასაც ლიდერებს აბრალებდნენ, რომელთა არსებობით ქართული საზოგადოება ყოველთვის განებივრებული იყო. სამწუხაროდ, დღემდე არ მომხდარა ლუსტრაცია, რის გამოც საზოგადოების ნაწილი გაურბის საკუთარი და წინაპრების ბრალეულობის შესახებ მსჯელობას.

საბჭოთა კავშირი ჩანასახშივე ძალადობრივი სისტემა იყო, რადგან დასაწყისშივე გამოუცხადა ბრძოლა მმართველ ელიტურ კლასს, რომელიც მუშათა კლასს არ აძლევდა განვითარების შესაძლებლობას და მას აღიქვამდა, როგორც მონას, მსახურს. მშვიერმა, უქონელმა ადამიანებმა გადაწყვიტეს პრივილეგირებული კლასის დამხობა. ბოლშევიკურ პარტიას ძალადობის ლეგიტიმაცია ადამიანთა ფართო მასებმა გადასცეს. მათი დაკვეთა იყო, რომ მდიდარი გათანაბრებოდა ღარიბს და მოშლილიყო კლასთა ეკონომიკური დაყოფა.

საბჭოთა კავშირში რეპრესიების მასშტაბურობას მრავალი წინაპირობა ჰქონდა. 1937-1938 წლების ტერორს რუსეთში, უკრაინასა და მის შემოგარენში 1920-1922 წლების სამოქალაქო დაპირისპირება უძღოდა წინ. ამ დროს პარტიას სათავეში ლენინი ედგა, ხოლო ჩეკას ხელმძღვანელობდა ფ. ძერჟინსკი.¹⁷⁶ კოლექტივიზაცია და გაკულაკება წარმოადგენს ე.წ. „მეორე აქტს“.

¹⁷⁵ ბერმენიშვილი ლ. სტალინი - ვერშემდგარი მწერალი <http://liberali.ge/articles/view/34624/stalini--vershemdgari-mtserali> 28.02.2018 (საიტზე წვდომის დრო 06.01.2023).

¹⁷⁶ ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი (1877-1926) - საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, ჩეკას ხელმძღვანელი.

პირველ ეტაპზე 1920-22 წლებში, გამოაცხადეს ბრძოლა თეთრგვარდიელებისა და გლეხების წინააღმდეგ.¹⁷⁷ კოლექტივიზაციის პროცესის დაწყებისთანავე პარტია პირობას დებდა, რომ ქალაქებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფდა. კოლექტივიზაციის პროცესი პარტიას დაეხმარებოდა სოფლად პოლიტიკური რეჟიმის დამყარებასაბჭოთა სისტემა გლეხს აიძულებდა, დაქვემდებარებოდა მას. ცენტრის პოლიტიკა ყველა რეგიონის მიმართ განსხვავებული იყო.

საბჭოთა იდეოლოგიამ მტრის ხატის კონსტრუქცია მოახდინა პოლიტიკური საჭიროებებიდან გამომდინარე. „ხალხის მტრის“ ცნება არ იყო განსაზღვრული. ის ექვემდებარებოდა რეჟიმის სურვილებს. სხვადასხვა დროს მტრებად გამოცხადდნენ თეთრგვარდიელები, მენშევიკები, პარტიის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები, ე.წ. „უკლონისტები“, ინტელიგენციის გარკვეული წრეები. „მტრის ხატის“ ცვალებადობა ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა ხალხი მუდმივი შიში ქვეშ ჰყოლოდა. სწორედ ამ შიშის დახმარებით შეძლო პარტიამ გაემართლებინა რეპრესიები.

ჰანა არენდტი წერდა, რომ ტოტალიტარული რეჟიმებისთვის მტრის ხატის მუდმივი განახლება აუცილებელია სისტემის სიცოცხლის უნარიანობისთვის. ჰ. არენდტის თქმით, მტერი „არასოდეს არის ბოლომდე დამარცხებული“, რადგან მისი არსებობა ხელისუფლების ლეგიტიმაციის და პოლიტიკური რეპრესიების გამართლების საფუძველია.¹⁷⁸

1921 წლის 3 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით, მენშევიკები ჩუმად აწყობდნენ თბილისის რკინიგზის მუშათა გაფიცვებს, პროტესტს უცხადებდნენ საბჭოთა კავშირს და ბოლშევიკებს დემოკრატიული თავისუფლების დამკვიდრებისკენ მოუწოდებდნენ. მენშევიკები იძულებული გახდნენ, უარი ეთქვათ გაფიცვაზე, რადგან არცერთი მუშა არ შეერთებია მათ.¹⁷⁹

¹⁷⁷ Верт Н. С.В. Мироненко. История сталинского Гулага. Конец 1920-х - первая половина 1950-х годов: Собрание документов в 7 т. Т. 1. Массовые репрессии в СССР, Москва, РОССПЭН, 2004. გვ. 61.

¹⁷⁸ Arendt, Hannah. The Origins of Totalitarianism. New edition with added prefaces. San Diego, New York, and London: Harcourt Brace Jovanovich, 1973. გვ. 306.

¹⁷⁹ კონტრ-რევოლუციური გამბრების განავარდება. კომუნისტი, 3(1921), N 202. გვ. 1.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/163072/1/Komunisti_1921_N202.pdf

ძირითადად ბრძანებები სწორედ ცენტრიდან მოდიოდა. ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოს სტალინმა პარტიის ზოგიერთი წევრი დაადანაშაულა მემარჯვენე გადახრაში, მისი თქმით: „კომუნიზმში მემარჯვენე გადახრა კაპიტალიზმის პირობებში ნიშნავს კომუნისტების ერთი ნაწილის ტენდენციას, მიდრეკილებას, მართალია, ჯერ შეუცნობელ მიდრეკილებას, მაგრამ მაინც მიდრეკილებას იმისაკენ, რომ მარქსიზმის რევოლუციური ხაზიდან სოციალ-დემოკრატიისაკენ გადაიხარონ, როცა კომუნისტების გარკვეული წრეები უარყოფენ საარჩევნო ბრძოლაში ლოზუნგს - „კლასი კლასის წინააღმდეგ“ მიზანშეწონილობას (საფრანგეთი), ან გამოდიან კომპარტიის მიერ დამოუკიდებელი კანდიდატურების წამოყენების წინააღმდეგ(ინგლისი), ან სურთ, გაამახვილონ „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლის საკითხი (გერმანია) და სხვა. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპარტიების შიგნით არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ შეაგონ კომუნიზმი სოციალ-დემოკრატიზმს“.¹⁸⁰

სტალინს მიაჩნდა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ კომპარტიებში მემარჯვენე გადახრა მიმართული იყო კაპიტალიზმის შესანარჩუნებლად, ხოლო საბჭოთა კავშირში, სადაც კაპიტალიზმი აღარ არსებობდა, ეს გადახრა ნიშნავდა პარტიის იდეოლოგიური ხაზიდან ბურჟუაზიისკენ გადახრას. მემარჯვენე ელემენტების გაძლიერება გამოიწვევდა კაპიტალიზმის გაძლიერებას, რადგან ადამიანების გარკვეულ ჯგუფს გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა კაპიტალისტური ქვეყნების შესაძლებლობებზე. სტალინს მიაჩნდა, რომ „მემარჯვენე საფრთხე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს (ჩვენს) პარტიაში, ვინაიდან მას ფესვი აქვს გადგმული ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ ვითარებაში. მემარჯვენე გადახრის საფრთხეს აძლიერებს იმ სიძნელეთა არსებობა, რომელთა დაძლევა შეუძლებელია, თუ არ იქნა დაძლეული მემარჯვენე გადახრა და მასთან შემრიგებლობა. ამოცანა ის არის, რომ ბოლო მოვუღოთ და მჭიდროდ შევაკავშიროთ მოსკოვის ორგანიზაცია და წარმატებით ჩავატაროთ უჯრედების გადარჩევა გაშლილი თვითკრიტიკის ბაზაზე.“¹⁸¹

¹⁸⁰ სტალინი ი. თხზულებანი: 1928 - მარტი 1929. ტ. 11. თბილისი: სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, 1950. გვ. 249.

¹⁸¹ სტალინი ი. თხზულებანი: 1928 - მარტი 1929. ტ. 11. გვ. 260.

პარტიის რადიკალურად განწყობილ ნაწილს მიაჩნდა, რომ გარკვეული ჯგუფი, ბუხარინის მეთაურობით, ვერ ამჩნევდა გარდატეხას, რომელიც იყო პარტიისა და კომინტერნის ახალი ამოცანები, რაც განსაზღვრავდა პარტიის პოლიტიკურ ხაზს. ამასთან დაკავშირებით ბოლშევიკურმა პარტიამ ჩამოაყალიბა რამდენიმე მოწოდება: „თვითკრიტიკა“, ბიუროკრატიასთან ბრძოლაზე ყურადღების გამახვილება და საბჭოთა აპარატის წმენდა, ახალი სამეურნეო კადრებისა და წითელი სპეციალისტების ორგანიზაციის ლოზუნგი და ბევრი სხვა.

ყველა ეს მოწოდება პარტიის მხრიდან წარმოადგენდა სოციალიზმის შეტევას კაპიტალიზმზე. მემარჯვენე გადახრა სტალინისა და მისი თანამოაზრეების პრობლემას წარმოადგენდა, რადგან სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით მიუღებელი იყო გლეხებისათვის. მათ სურდათ ქონების დაგროვება, ფლობდნენ გარკვეულ კაპიტალს, მიწის ნაკვეთს, ჰყავდათ საქონელი. გლეხებისათვის კოლმეურნეობაში გაწევრიანება წამგებიანი იქნებოდა, რადგან მოუწევდათ მათი საკუთრების დათმობა კოლექტივის სასარგებლოდ..

პარტიამ სოფლისა და მარცვლელული მეურნეობის განვითარებისათვის სამი მიმართულება ჩამოაყალიბა:

- ა. ინდივიდუალურ, ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობის მოსავლიანობის ამაღლება და ნათესი ფართობის გადიდება;
- ბ. კოლმეურნეობათა შემდგომი განვითარება;
- გ. ძველი საბჭოთა მეურნეობების გაფართოება და ახლების განვითარება.¹⁸²

საბჭოთა ხელისუფლება პირველ ადგილზე აყენებდა ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებას, რადგან მარცვლელისა და წარმოების თვალსაზრისით მეტის მიღების შესაძლებლობას იძლეოდა. სამივე მიმართულებით მუშაობის გაძლიერებით ისინი ხედავდნენ მეურნეობისა და წარმოების გაზრდა-განვითარების შესაძლებლობას.

1929 წლის იანვარში საკავშირო კ.პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე სტალინმა მოხსენებაში განაცხადა, რომ ნ. ბუხარინი

¹⁸² სტალინი ი. თხზულებანი: 1928 - მარტი 1929. ტ. 11. გვ. 289.

პარტიას უმაღლავდა მისი ჯგუფის არსებობას, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა პარტიულ ხაზს.

ნ. ბუხარინს არასწორად მიაჩნდა პარტიის პოლიტიკა ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებით. ის მოითხოვდა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა-შეკვეცას, რადგან ისინი მეურნეობის განვითარებას ხელს არ უწყობდნენ. მისი აზრით, სახელმწიფოს უნდა დაერთო კერძო საკუთრების განვითარების ნება და უარი ეთქვა ვაჭრობაში მარეგულირებლის როლზე.¹⁸³

სტალინის განცხადების შედეგად, პარტიამ დაიწყო ბრძოლა ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ. კომუნისტური რეჟიმისადმი უარყოფითად განწყობილი კულაკების საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დატოვება პარტიისთვის მიუღებელი იყო, რის გამოც გადაწყდა მათი საცხოვრებელი ადგილებიდან გადასახლება. ე.წ. „მავნე ელემენტები“ უნდა გასაქმდებინათ ოლქის პერიფერიებში, კოლექტივიზებული ადგილებისგან მოშორებით, უნაყოფო და სარწყავი წყლის არმქონე მიწებზე.¹⁸⁴ ხშირად ადამიანები ბოროტად სარგებლობდნენ საკუთარი ძალაუფლებით და სრულიად უდანაშაულო ხალხსაც სჯიდნენ.

1930 წლის 8 იანვარს, სრულიად საიდუმლოდ, კომუნისტური პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის რაიკომმა მიიღო დადგენილება კულაკების ადმინისტრაციული გასახლების შესახებ. რაიკომის ბიურომ აუცილებლად ჩათვალა, გადასახლებინა გარკვეული კულაკური ელემენტები. გადასახლებას ექვემდებარებოდნენ კონტრევოლუციური, „სოციალურად მავნე ელემენტები“, რომლებიც შემჩნეული იყვნენ პოლიტიკური და ეკონომიკური კამპანიის ჩაშლასა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში.

ეს კატეგორიები იყო:

1. კულაკები-წარსულში აქტიური თეთრგვარიელები, კაზაკური იდეოლოგიები და ავტორიტეტები, ყოფილი თეთრი ოფიცრები, დამსჯელები, რეპატრიანტები, ყოფილი თეთრ-მომწვანო ბანდიტები, რომელთაც საზღვარგარეთ ემიგრაციაში ჰყავდათ ოფიცერი შვილები;

¹⁸³ სტალინი ი. თხზულებანი: 1930 ივლისი - 1934 იანვარი, ტ. 13, თბილისი: სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, 1952, გვ. 354.

¹⁸⁴ სტეფან კურტუა, ნიკოლა ვერთი, ჟან-ლუი პანე, ანდრეი პაჩკოვსკი, კარელ ბარტოსევი, ჟან-ლუი მარგოლენი. კომუნიზმის შავი წიგნი. გვ. 142-143.

2. კულაკები, რომელთაც თავი გამოიჩინეს სოფლად ანტისაბჭოთა აგიტაციით;
3. კულაკები, რომელთაც სასჯელი მოიხადეს შემდეგი მუხლით: 58, პ 8, 10-41 და 107 ;
4. კულაკები, რომლებიც იყვნენ სასულიერო საბჭოს, სექტანტური საზოგადოებისა და დაჯგუფების წევრები;
5. ბოლო ორი წლის განმავლობაში გაკულაკებული „მავნებლური ელემენტები“, მათ შორის ყოფილი მიწის მფლობელები;
6. კულაკები, რომლებიც დემონსტრაციულად ანადგურებდნენ საკუთარ მეურნეობას.¹⁸⁵

სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ОГПУ) მიერ შექმნილი ე.წ. „ტროიკები“ ზემოთ მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით ამოწმებდნენ, ვინ შეესაბამებოდა დათქმულ სტანდარტებს. 1930 წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში უკრაინიდან „კულაკობის“ ბრალდებით 113 637 ადამიანი გადაასახლეს.¹⁸⁶

1933 წელს უკრაინის ნკვდს უფროსმა ვსევოლოდ ბალიცკამ ქვეყანაში არსებული მასობრივი შიმშილი „პოლონურ სამხედრო ორგანიზაციას“ დააბრალა. მისი გამოძების მიხედვით, პოლონელ ჯაშუშთა ჯგუფმა შეაღწია კომუნისტების რიგებში და იმუშავა უკრაინელი გლეხების გადაბირებაზე. გამოძიებამ დაადგინა, რომ შეიქმნა „უკრაინის სამხედრო ორგანიზაცია“, რომელიც ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ „პოლონეთის სამხედრო ორგანიზაცია“ არ არსებობდა. მსგავსი ორგანიზაცია დაარსდა პოლონურ-ბოლშევიკური ომის დროს 1919- 1920 წლებში. ის იყო პოლონური არმიის დაზვერვითი რაზმი, რომელიც გასაბჭოების შემდეგ ჩეკამ დაშალა.¹⁸⁷

რა თქმა უნდა, უკრაინის ნკვდ-ს უფროსს ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსგავსი ჯგუფი არ არსებობდა, მაგრამ ეს გამოგონილი ისტორია კარგი საშუალება იყო სხვადასხვა მანიპულაციისთვის. აღნიშნული საქმის გამოძიება ნ. ეჟოვმა საკუთარ თავზე აიღო. ვ. ბალიცკი, რომელმაც წამოიწყო ამ საკითხის

¹⁸⁵ Ивницкий Николай Алексеевич, Судьба раскулаченных в СССР, Москва: Собрание, 2004. გვ. 101.

¹⁸⁶ სნაიდერი ტიმოთი. სისხლიანი მიწები: გვ. 73.

¹⁸⁷ კურტუა ს., ვერთი ნ., ჟან-ლუი პანე, ანდრეი პაჩკოვსკი, კარელ ბარტოსეკი, ჟან-ლუი მარგოლენი. კომუნისზმის შავი წიგნი, გვ. 163.

გამოძიება, თავად გახდა საკუთარი თეორიის მსხვერპლი. ის 1937 წელს დააპატიმრეს პოლონეთის აგენტობის ბრალდებით.

1936 წლიდან ნ. ეჟოვის ბრძანებით დახვრიტეს ყველა ის ადამიანი, ვისაც კავშირი ჰქონდა უცხოეთთან, „კულაკის ოპერაციის“ შემდეგ მან განახორციელა „ნაციონალური ოპერაციების“ სასტიკი სერია. მათ სიკვდილით დასაჯეს დიპლომატიურ კორპუსთან დაახლოებული სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის გერმანელები, პოლონელები და ლატვიელები. „პოლონეთის ოპერაციაში“ 111 000- ზე მეტი ადამიანი დახვრიტეს, 1700 კორეელი გადაასახლეს მონღოლეთიდან.¹⁸⁸ ამავე პერიოდში, ნ. ეჟოვის ბრძანების საფუძველზე დახვრიტეს და საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს უამრავი ადამიანი.

ასეთი მასშტაბური ოპერაციისათვის საჭირო იყო დიდი თანხები. ოპერატიული სამუშაოს წარმოებისა და მავნე ელემენტების აღმოსაჩენად 75 მილიონი რუბლი გამოიყო, ხოლო ბანაკების მშენებლობისათვის - 10 მილიონი რუბლი. ვ. მოლოტოვი¹⁸⁹ წლების შემდეგ მომხდარ რეპრესიებს ამართლებდა. მიუხედავად იმისა, რომ პროცესში უდანაშაულო „თავებიც დაიყარა“, ეს დაეხმარა მათ ომის დროს მასობრივი დაშინების შედეგად ადამიანების საერთო სულისკვეთებით გაერთიანებაში.¹⁹⁰ 11 იანვარს გენრიხ იაგოლამ¹⁹¹ ოგეპეუს ხელმძღვანელ მუშებს მისწერა წერილი, სადაც მოუწოდა, სადამსჯელო ფორმებისათვის მიემართათ, რათა გაენადგურებინათ კულაკობა, როგორც კლასი, მოეხდინათ სოფლების სრული კოლექტივიზაცია, განსაკუთრებით საშიში ელემენტები გაეშვათ ბანაკებში, ხოლო მათი ოჯახის წევრები გამოესახლებინათ.¹⁹² გადასახლების ადგილები იყო ყაზახეთის უდაბნოს ჩრდილოეთით მდებარე ადგილები და ისეთი რაიონები, სადაც ვერ შეძლებდნენ შრომით საქმიანობას. მათი მიზანი იყო გადასახლებულთა ნაკლებმოსავლიან მიწაზე დასახლება.

¹⁸⁸ Arch Getty J, Naumov Oleg V. Yezhov: The Rise of Stalin's "Iron Fist", Yale University Press, 2008, გვ. 8.

¹⁸⁹ ვიჩესლავ მიხეილის ძე მოლოტოვი (სკრიაბინი) (1890-1986) - პოლიტიკური მოღვაწე, საბჭოთა კავშირში სხვადასხვა დროს იკავებდა მაღალ თანამდებობებს.

¹⁹⁰ Тренин П. Б. (Редак.) 1937-1938. Операции НКВД. Архивы Сибири. Под грифом "секретно". Сб. документов и материалов . Водолей Publishers. Томск- Москва, 2006. გვ. 22.

¹⁹¹ გენრიხ გრიგოლის ძე იაგოლა - საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

¹⁹² Тренин П. Б. (Редак.) 1937-1938. Операции НКВД. Архивы Сибири. Под грифом "секретно". Сб. документов и материалов . Водолей Publishers. Томск- Москва, 2006 . გვ. 104.

ბოლშევიკებმა შექმნეს საზოგადოების საკუთარი კლასობრივი მახასიათებლები, რაც მათ საშუალებას აძლევდა, ადამიანები გაეერთიანებინა გარკვეული ნიშნის ქვეშ, რათა მარტივად გამოეძებნათ მათთან ურთიერთობის გზები. აქედან გამომდინარე, დღეს, როდესაც გვინდა რეპრესირებულთა რაოდენობის განსაზღვრა და ინდენტიფიკაცია, რთულია ვიმსჯელოთ, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს სისტემის მსხვერპლად -პარტიული ინტელიგენცია, რომელიც ხშირად თავად იყო ტერორის ხელშემწყობი, თუ მოქალაქეები, რომლებიც საბედისწეროდ აღმოჩნდნენ მოვლენების ეპიცენტრში.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით საბჭოთა კავშირის მასშტაბით 1930-1932 წლებში რეპრესირებული იყო 2 მილიონამდე ადამიანი, კოლექტივიზაციის მსხვერპლი გახდა 8,5 მილიონი, 1933 წელს პარტიიდან გარიცხეს 400 000 ადამიანი.¹⁹³ დიდი მონანიების შემდეგ ადამიანების უმრავლესობა აღადგინეს პარტიაშიც და დაუბრუნეს წართმეული პრივილეგიები, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წლით. 1937 წელს ისინი კვლავ დააპატიმრეს და გასამართლების შედეგად შეუფარდეს სასჯელის უმაღლესი ზომა- დახვრეტა.

¹⁹³ Capello Anna Project Coordinator: Zurab Lakerbaia Project Manager: Omar Tushurashvili. Большой террор в Абхазии (Абхазская АССР): 1937-1938 гг. Том I Project Year: 2017 გვ. 11.

§ 3.2. ზემოდან - ქვემოთ მოსკოვის დირექტივა და ნკვდ-ს ოპერაცია საქართველოში

იაგოდას, ეჟოვისა და ბერიას ბატონობის დროს გამოძიებისა და სიკვდილით დასჯის პროცესი მეტისმეტად გამარტივდა და იაფფასიანი გახდა. მათ ჩამოეცალა ყოველივე რომანტიკის შარავანდი, რომელიც თვით ჭკუაზე შემცდარი რომაელი იმპერატორების, ესპანეთის ინკვიზიციის და საფრანგეთის იაკობინელების დიქტატურის დროს ჰქონდათ.
გ. ქიქოძე¹⁹⁴

1956 წელს, სტალინის გარდაცვალებიდან სამ წელიწადში, პარტიის XX ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ 1937-1938 წლების მასობრივი რეპრესიების წინაპირობა 1934 წელს პარტიის პოლიტბიუროს მდივან სერგეი კიროვის მკვლელობა იყო.¹⁹⁵

ნ. ხრუშჩოვი¹⁹⁶ ერთ-ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელიც ბელადის გარდაცვალების შემდეგ გაემიჯნა პარტიის რადიკალურ პოლიტიკურ მრწამსს, თუმცა 1937 წლის 17 მარტს ჩატარებულ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გააკეთა განცხადება, რომელზეც გამოხდა ნიკოლაი ბუხარინისა და ა.რიკოვის ანტიპარტიულ საქმიანობას.

1934-1939 წლებში გაუჩინარდა 57 000 ძველი ბოლშევიკი, 1937-1938 წლებში პარტიიდან გარიცხეს 300 000 კომუნისტი. 1934 წელს არჩეული ცენტრალური კომიტეტის 139 წევრიდან 110 დააპატიმრეს.¹⁹⁷ წმენდას სულ მცირე მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

30-იან წლებში რეპრესიული პოლიტიკის გატარება პარტიისათვის გარდაუვალი აუცილებლობა იყო, რადგან პარტიის შიგნით იზრდებოდა

¹⁹⁴ ქიქოძე გ. თანამედროვის ჩანაწერები. თბილისი, 2003. გვ. 88.

¹⁹⁵ Волобуев, Павел Васильевич. «Сталинизм и социальное познание советского общества.» В История и сталинизм: сборник статей, составитель А. Н. Мерцалов, 21–36. Москва: Политиздат, 1991 გვ. 32.

¹⁹⁶ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი (1894-1971) - საბჭოთა კომუნისტური პარტიის ცეკას პირველი მდივანი ი. სტალინის შემდეგ.

¹⁹⁷ სუნი რ. გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 429.

დაპირისპირება სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით. ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა იქცა. საბჭოთა კავშირის მიზანი იყო, ეჩვენებინა დანარჩენი სამყაროსთვის, რომ შეეძლო სწრაფად მიეღწია ევროპის განვითარებულ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური სტაბილურობისთვის. დასახული გეგმების სწრაფად განხორციელების პრობლემას პარტიაში კარგად ხედავდნენ. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტი ხელსაყრელი იყო სტალინისა და მისი თანამოაზრეებისათვის. ისინი ქმნიდნენ ერთგვარ დამაბულობას და შესაძლებლობა ეძლეოდათ, მოემორებინათ ან წინ წამოეწიათ მათთვის სასურველი პიროვნებები და საკითხები.

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ საერთაშორისო ვითარება, რომლის ფონზეც საბჭოთა კავშირის ხელისუფლება მუდმივად ლაპარაკობდა მოსალოდნელი ომის საფრთხეებზე. ნაცისტურ გერმანიასა და იტალიას შორის შედგა სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმება, გერმანიასა და იაპონიას შორის დაიდო პაქტი. 1937 წელს კი იაპონიასა და ჩინეთს შორის ომი დაიწყო. ჩინეთი კი იმ პერიოდისთვის საბჭოთა კავშირის მოკავშირე იყო. დიდი ტერორის დაწყებამდე ქვეყნის მასშტაბით დაკავებულთა 75% გერმანიის, პოლონეთისა და იაპონიის ჯაშუშობისთვის იყო დაკავებული, 9965 პირიდან 7100-ზე მეტი. აქედან პოლონეთისა 3528, იაპონიის 2275, გერმანიის კი 1322 ადამიანი იყო.¹⁹⁸

1936-1938 წლებში საბჭოთა კავშირში სამი მსხვილი სასამართლო პროცესი ჩატარდა, რომელიც უკავშირდებოდა ტროცკის და პარტიის პირველ ოპოზიციას. პირველი, ვისაც ეს შეეხო, იყვნენ ტროცკისტულ-ზინოვიევი ტერორისტული ცენტრი, რომლის მთავარი დამნაშავეები იყვნენ ზინოვიევი და კამენევი. მათ ბრალად ედებოდათ კიროვის მკვლელობა და სტალინის სიკვდილის მცდელობა. ყველა მათგანს მიესაჯა დახვრეტა. მეორე იყო პარალელური ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრი, რომლის წევრებად ითვლებოდნენ კ. რადეკი, ვ. პიატკოვი და გ. სოკოლნიკოვი, მესამე, ე. წ. „მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკი“, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ნ. ბუხარინი, ა. რიკოვი, გ. იაგოდა და სხვები.

¹⁹⁸ Маслов, Николай Николаевич. «Об утверждении идеологии сталинизма.» В История и сталинизм: сборник статей, сост. А. Н. Мерцалов, 37-130. Москва: Политиздат, 1991. გვ. 46.

1937 წლის იანვარში დაიწყო ე.წ ანტისაბჭოთა ტროცკისტული ჯგუფის წინააღმდეგ საჩვენებელი სასამართლოები და ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამოვლენა. ტროცკისტული ჯგუფის მოქმედებების შესახებ გამოძიებამ დაადგინა, რომ ვასილ პიატკოვმა¹⁹⁹, კარლ რადეკმა,²⁰⁰ გრიგოლ სოკოლნიკოვმა²⁰¹ და ლევ ტროცკიმ²⁰² გაყიდეს ქვეყანა და შეეკვრნენ იმპერიალისტებს. მათ მიზანს წარმოადგენდა კოლმეურნეობების დაშლა, საბჭოთა მეურნეობის ლიკვიდაცია, ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გაუქმება; მათ სურდათ მთელი რიგი საწარმოების საკონცესიოდ უცხოელი კაპიტალისტებისათვის გადაცემა. ტროცკისტების მიზანი იყო იაპონიასა და გერმანიისათვის გადაეცათ ქვეყნის მადნეული, ოქრო, ნავთი, მიწოდებინათ სურსათი და ცხიმი მსოფლიო ფასთან შედარებით უფრო იაფად.

ადოლფ ჰიტლერთან შეთანხმებით ლ. ტროცკის განზრახული ჰქონდა ერებსა და რასებს შორის თანასწორობის მოშლა, რათა რუსი, უკრაინელი, ქართველი, ბელორუსი და სხვა ხალხები გაეხადა „დაბალ რასად“.²⁰³

მიზნის მისაღწევად ეს ჯგუფები ჩადიოდნენ დანაშაულს ქვეყნის მასშტაბით, კერძოდ, წამლავდნენ მუშებს, აწყობდნენ აფეთქებებს საწარმოებში, ფარულად აგროვებდნენ ინფორმაციას. საბოლოო სიტყვაში ბრალდებულებმა ითხოვეს სასჯელის შემსუბუქება, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა. რუსეთში მიმდინარე პროცესებს ესწრებოდნენ არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში მცხოვრები ადამიანები, არამედ უცხოელი ჟურნალისტებიც.

ლიონ ფოიხტვანგერმა²⁰⁴ თავის წიგნში „მოსკოვი 1937“ აღწერა ის, რაც თავად ნახა სასამართლო პროცესებზე. ის წერდა, რომ იქ მიმდინარე მოვლენები არაფრით

¹⁹⁹ ვასილ სიმონის ძე პიატკოვი -სამხედრო პირი, ბრალად დაედო ტროცკისტულ-ზინოვიევიური ორგანიზაციის წევრობა. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა 1937 წელს.

²⁰⁰ კარლ ბერნგარდის ძე რადეკი - რევოლუციონერი, თეორიტიკოსი , ჟურნალისტი. მიესაჯა 10 წლით გადასახლება შრომა-გასწორებით ბანაკში, სადაც დაიღუპა.

²⁰¹ გრიგოლ იაკობის ძე სოკოლნიკოვი - პოლიტიკოსი წევრი, სხვადასხვა დროს იკავებდა თანამდებობებს საბჭოთა კავშირში. წარმოადგენდა ე.წ ოპოზიციურ ფლანგს და მათი გამოვლენის შემდეგ გამოეყო მათ. ეწინააღმდეგებოდა კოლექტივიზაციის საკითხს. ოფიციალური ვერსიით გარდაიცვალა პოლიტიზოლატორში 1939 წელს.

²⁰² ლევ დავითის ძე ბრონშტეინი (ტროცკი) - წითელი არმიის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი. 1929 წელს გააძევეს საბჭოთა კავშირიდან.

²⁰³ „კაპიტალიზმის რესტავრატორთა ტროცკისტული ხროვა“. კომუნისტი, 27.01.1937 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334952/1/Komunisti_1937_N21.pdf გვ. 1. (წვდომის თარიღი: 01.02.2024)

განსხვავდებოდა ევროპული სასამართლოსგან. პროცესები მშვიდად მიდიოდა, ზედმეტი ხმაურის გარეშე, თუმცა ამ პროცესებში უცნაური და გაუგებარი ბრალდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარება იყო. საბჭოელი ადამიანები ამას გამოძიების მიერ მოპოვებული ცნობების სიმრავლით ხსნიდნენ.²⁰⁵ თავად ავტორი კი მიიჩნევდა, რომ მათი მხრიდან ლ. ტროცკისა და იმ იდეების მიმართ გაჩენილი უნდობლობა ალაპარაკებდათ.

1937 წლის აგვისტო-ნოემბერში ყველაზე გავრცელებული ბრალდება იყო ანტისაბჭოთა აგიტაცია, აგვისტოში დაკავებულთა შორის მაღალი იყო ტერორიზმის ბრალდება. დეკემბერში იკლო ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის დაკავებულთა რაოდენობამ, ადამიანებს აპატიმრებდნენ „მავნებლობისა“ და „დივერსანტობისათვის“. 1938 წელს ყველაზე ხშირად დაკავებულებს უყენებდნენ ჯაშუშობის ბრალდებას.²⁰⁶

ინდუსტრიალიზაცია-კოლექტივიზაციის პროცესში დაშვებული შეცდომები დაბრალდა არა ნაჩქარევად მიღებულ გადაწყვეტილებებს, ან არაკვალიფიციურ კადრებს, არამედ ადამიანებს, რომლებიც სისტემას, შემთხვევითაც და გამიზნულადაც, ხელში ხვდებოდა. 1936 წელს აზერბაიჯანში გამოვლინდა და ლიკვიდირებულ იქნა 78 კონტრევოლუციური ჯგუფი, რომელთა წევრების საერთო რიცხვი 752 იყო.²⁰⁷

საქართველოში რეპრესიების სულის ჩამდგმელად ლავრენტი ბერია მოიაზრებოდა. კანდიდ ჩარკვიანი იხსენებდა, რომ ლ. ბერიას მიერ წამოწყებული დაპატიმრებები მისთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა რიგითი კომუნისტი იყო, თუმცა მის მასშტაბებსა და კონკრეტულ მიზნებზე წარმოდგენა არ ჰქონდა. ის არ

²⁰⁴ ფოიხტვანგერი ლიონ (1884-1958) - ნოველისტი. საბჭოთა კავშირში იმოგზაურა 1936-1937 წლებში, ეწინააღმდეგებოდა გერმანიაში ჰიტლერის მოსვლას, ის იყო გერმანელი ებრაელი, რის გამოც მოუწია ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრება.

²⁰⁵ ფოიხტვანგერი ლ. მოსკოვი 1937. მთარგმნელი: გიორგი ბეჟუაშვილი, თბილისი: მერანი. 1991. გვ. 103.

²⁰⁶ Юнге М., Бонвеч Б., Биннер Р., Сталинизм в советской провинции: 1937 - 1938 гг. : массовая операция на основе приказа № 00 447. 2009. გვ. 140-141.

²⁰⁷ Исмаилов Э. История «большого террора» в Азербайджане. М. : Политическая энциклопедия, 2015. გვ. 72.

მოელოდა, რომ რეპრესიების ტალღა მის უწყებასაც შეეხებოდა. თანამშრომლები ნელ-ნელა ქრებოდნენ, რითიც უწყება განიცდიდა ხალხის სიმცირეს.²⁰⁸

1937 წელს კანდიდ ჩარკვიანი დაინიშნა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის განათლებისა და კულტურის სამმართველოს უფროსად. 1938 წელს, ლ. ბერიას დაწინაურების შემდეგ, გახდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ მას არ ჰქონდა ინფორმაცია იმ პოლიტიკური რეპრესიებისა და დამაბულობის შესახებ, რომელიც ქვეყანაში სუფევდა. მით უმეტეს, რომ ე.წ. „ნაციონალურ სამეულში“, სერგო გოგლიძესა და ილარიონ ტალახაძესთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო. მისი მემუარები ისეა აგებული, თითქოს, კარიერული წინსვლა არა მძაფრ პოლიტიკურ კონკურენციასა და პარტიულ სტრუქტურებში მიმდინარე ძალაუფლებისთვის ბრძოლას, არამედ სრულიად შემთხვევით გარემოებებს უკავშირდებოდეს. ავტორი იშვიათად ეხება მის ირგვლივ მყოფი კოლეგების საქმიანობას, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ცდილობს თავი დააღწიოს იმ ძალაუფლებრივ ქსელს, რომლის განუყოფელი ნაწილი თავადაც იყო.

საქართველოში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ს. ა. გოგლიძემ ლ. ბერიას გაუგზავნა ცნობა, რომელშიც აწვდიდა ინფორმაციას გადასახლებიდან დაბრუნებული და აღრიცხვაზე აყვანილ კულაკებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა შესახებ. ისინი იყოფოდნენ ორ კატეგორიად: ყველაზე მტრული ელემენტები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ დაკავებასა და დახვრეტას და ნაკლებად აქტიურები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ გადასახლებას.²⁰⁹

საქართველოში „ორეულის“, „კულაკურის“, „ნაციონალურისა“ და მილიციის სამეულებს მიერ მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა შეადგენდა სულ 25 430 ადამიანს.²¹⁰ როგორც აღმოჩნდა, საქართველოში, საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებთან შედარებით, სიკვდილით დასჯის შედარებით დაბალი პროცენტი იყო. მხოლოდ ქალაქ ბათუმში სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, მიესაჯა 670

²⁰⁸ ჩარკვიანი კ. დასახ. ნაშრომი. გვ. 9.

²⁰⁹ იუნგე მ., თუშურაშვილი ო., ბონვეჩი ბ., (შემდგენლები) ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. ტ. 2: დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში, მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი. 2015. გვ. 56.

²¹⁰ იუნგე მ., თუშურაშვილი ო., ბონვეჩი ბ., (შემდგენლები) ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. ტ. 1: დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში, 2015. გვ. 48.

ადამიანს. შესაძლოა, რეპრესირებულთა სია არ იყოს სრული. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: არქივში ზოგიერთი პირის შესახებ ინფორმაცია არ იძებნება, ან პირის შესახებ მასალები განადგურებულია და ზოგიერთ შემთხვევაში თავდაპირველადვე არ არის შედგენილი ოქმი.

ბათუმში დახვრეტილ ადამიანებს შორის 57 პირი სიაში ორჯერ განმეორდა, რაც შესაძლებელია „გეგმის“ შესასრულებლად იყო საჭირო.²¹¹ 1937 წელს ს. ი. კუტელი, რომელიც იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინსახკომის უფროსის მოადგილე წერილობით ატყობინებდა საქართველოს სსრ შინსახკომის უფროსის მოადგილეს - ა. ნ. რაფავას,²¹² რომ არსებული 700 საგამომიებო საქმის მიხედვით უნდა დაეკავებინათ 200-ზე მეტი ადამიანი. ამას ემატებოდა სამეულის სპეციალურ სიაში მითითებულ ადამიანთა დაპატიმრება. მათი რაოდენობა დაახლოებით 314 პირს შეადგენდა. მათ შორის 105-110 იყო აჭარის მეამბოხეთა ორგანიზაციის მონაწილე, 95 ტროცკისტი, 60-65 მენშევიკი და 40-50 ფაშისტები, დივერსანტი.²¹³

აჭარაში არსებობდა რამდენიმე ანტისაბჭოთა მიმართულება: მენშევიკებისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ჯგუფი, კოლმეურნეობაში შესვლის მოწინააღმდეგეები და აჭარის თურქეთთან შეერთების მომხრეები.

1921 წლის აპრილში ჩამოყალიბდა სამაზრო და სასოფლო რეკომები, სადაც ბოლშევიკები აქტიურად ახდენდნენ ბეგებისა და ბეგური წარმომავლობის ადამიანების დისკრედიტაციას. 1922 წელს დააპატიმრეს 28 ბეგი, რომელთაც ბრალად ედებოდათ მიწების ფლობა. აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ნ.ბახტაძე თავად მოითხოვდა მათ სასტიკ დასჯას. ბეგების დასაცავად გამოვიდა გლეხობა, რომელიც მათ გათავისუფლებას მოითხოვდა. დემონსტრაციების მოწყობის გამო 300

²¹¹ ირემაშვილი ი. სტალინი და საქართველოს ტრაგედია. უცნობი ირემაშვილი, რედ. კუხიანიძე დარეჯან, თბილისი: შპს ფავორიტი, 2006. გვ. 13.

²¹² ავქსენტი ნარიკის ძე რაფავა - დაბადებული 1899 წელს, 1919-1920 წლებში იყო „სპარტაკის“ ქუთაისის ორგანიზაციის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მსახურობდა ჯარში, 30-40 იან წლებში ეკავა სხვადასხვა მაღალი თანამდებობა. იყო საქართველოს შინაგან საქმეთა ეროვნული კომისარი, 1938 წლიდან აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ა. რაფავა დააპატიმრეს 1951 წელს ე. წ. „მეგრელთა საქმეზე“ გაათავისუფლეს 1953 წელს და რამდენიმე თვით იკავებდა მინისტრის თანამდებობას, 1953 წლის ივლისში დააპატიმრეს, 1955 წლის 15 ნოემბერს უმაღლესმა სასამართლოს სამხედრო კომისიამ მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა. იგი არ არის რეაბილიტირებული.

²¹³ იუნგე მ., თუშურაშვილი ო., ბონვეჩი ბ., (შემდგენლები) ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. ტ. 2: დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში, მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი. 2015. გვ. 66.

აჭარელი დაპატიმრეს, რომლებიც შემდეგ გაათავისუფლეს. შედეგად მხოლოდ 12 ბეგი გადასახლეს, რომელთაც ჩამოართვეს ქონება. დარჩენილთა უმრავლესობა გაასახლეს სოფლებიდან და იძულებული გახადეს, დაეტოვებინათ საქართველო.²¹⁴

სადამსჯელო ორგანოებმა დიდი ყურადღება გაამახვილა „სედაი მილეტისადმი.“ ეს ორგანიზაცია პოპულარული იყო აჭარის მუსლიმურ მოსახლეობაში და გამოირჩეოდა პროთურქული ორიენტაციით. გამოძიებამ დაასკვნა, რომ იგეგმებოდა აჭარაში ამბოხების მოწყობა, რომლის შედეგადაც „სედაი მილეტის“ წევრები გეგმავდნენ საზღვრის გახსნას თურქეთისასთვის და საქართველოსგან გამოყოფას.

17 ივლისით დათარიღებულ წერილში ლ. ბერიამ სტალინს აცნობა, რომ აჭარაში აღმოჩენილი იყო კონტრევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებული იყო თურქეთის დაზვერვასთან და მიზნად ისახავდა აჭარის თურქეთთან შეერთებას. დაკავებულთა უმეტესობა ორგანიზაციის ხელმძღვანელად ზეკერია ლორთქიფანიძეს²¹⁵ ასახელებდა. მას გავშირი ჰქონდა თურქეთის კონსულთან ბათუმში, მასზე მიმდინარეობდა თვალთვალი. ლ. ბერია ითხოვდა ზ. ლორთქიფანიძის დაკავებას.²¹⁶

1937 წლის 26-29 სექტემბერს ბათუმში გაიმართა საჩვენებელი სასამართლო, რომლის შესახებ ინფორმაცია იბეჭდებოდა გაზეთებში. განაჩენი გამოუტანეს და სიკვდილით დასაჯეს აჭარაში კონტრევოლუციურ-ჯაშუშური, ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრები. მათ ბრალად წაუყენეს სამშობლოს ღალატი, კონტრევოლუციურ ორგანიზაციის წევრობა, შეიარაღებული აჯანყების მომზადება, ტერორისტული აქტების მოწყობა და გაასამართლეს სისხლის სამართლის 58-1ა, 58-2, 58-6, 58-9, 58- 11 მუხლების მიხედვით.

²¹⁴ თურმანიძე ო. დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

²¹⁵ ზეკერია დურსუნის ძე ლორთქიფანიძე - დაბადებული 1892წ. ხულოს რ.სოფ. მოფრინეთი. ცოლ-შვილიანი, დაბალი განათლებით. პარტიიდან გაირიცხა დაპატიმრების გამო. წარსულში არ ყოფილა ნასამართლევით. 1933 წელს შექმნა დაპატიმრების დღემდე ხელმძღვანელობდა კონტრ-რევოლუციურ ორგანიზაციას, რომლის მიზანიც საბჭოთა ხელისუფლების დამხობა იყო. სამშობლოს ღალატის გამო მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა- დახვრეტა.

²¹⁶ Хаустов В., Самуэльсон Л. Сталин, НКВД и репрессии 1936-1938 гг. / В. Хаустов, Л. Самуэльсон. М. : Российская политическая энциклопедия (РОССПЭН); Фонд первого Президента России Б. Н. Ельцина, 2010. გვ. 250.

აჭარის ოლქის კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, ე.წ. „მავნებლების“ სასამართლო პროცესი უნდა ჩატარებულიყო წითელი არმიის სახლში, რომელიც 700 ადგილიანი იყო. ადგილები უნდა განაწილებულიყო რაიონების მიხედვით. ბათუმის საქალაქო კომიტეტსა და რაიკომებს გულმოდგინედ უნდა შეერჩიათ დამსწრე პირები. პროცესი კი უნდა გაშუქებულიყო ფართოდ. მომხდარიყო მისი ტრანსლაცია ბათუმში 1250 რადიოწერტილსა და 8 ქუჩის რადიოდინამიკის მეშვეობით. ამისთვის იყო ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება.²¹⁷

ზექერია ლორთქიფანიძეს, რომელიც აჭარაში სხვადასხვა დროს იკავებდა მაღალ თანამდებობებს, იყო აჭარის ცკ-ის თავმჯდომარე. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ის ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას აჭარაში, აწარმოებდა ძირგამომთხრელ, ანტისაბჭოთა მოძრაობას მენშევიკებთან, ფაშისტებთან და ტროცკისტ კონტრრევოლუციონერებთან ერთად. ბრალდებულს დამყარებული ჰქონდა კავშირი აჭარიდან გაძევებულ და ემიგრაციაში მყოფ ბეგებთან, მოლებთან და კულაკებთან.

1928-1931 წლებში ზექერია ლორთქიფანიძეს და ჯემალ ქიქავას²¹⁸ კავშირი ჰქონდათ უცხო ქვეყნის სახელმწიფო დაზვერვასთან, რომელთან ერთადაც ცდილობდნენ აჭარის სსრკ-სგან გამოყოფას და კაპიტალისტური წეს-წყობილების აღდგენას. მას აღებული ჰქონდა 70 ათას მანეთამდე თანხა, რომელსაც მავნებლური საქმიანობისათვის იყენებდა. 1933 წელს მათ მიიღეს მითითება კონტრრევოლუციური ორგანიზაციის შექმნის თაობაზე, რომლის მიზანიც იყო შეიარაღებული აჯანყების მოწყობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნების თავდასხმისას. უცხოური დაზვერვა პირდებობა იარაღსა და ფულის მიცემას. 1937 წლის 11 აგვისტოს დაკითხვაზე ზექერია ლორთქიფანიძემ აღიარა, რომ სურდა დაებრუნებინა თავისუფალი ვაჭრობა, ბეგებისა და ალებისათვის გადაეცათ

²¹⁷ იუნგე მ., თუშურაშვილი ო., ბონვეჩი ბ., (შემდგენლები) ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. ტ. 2: დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში, მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი. 2015, გვ. 218.

²¹⁸ ჯემალ მახმუდის ძე ქიქავა - დაბადებული 1895 წელს. ცოლ-შვილიანი, საშუალო განათლებით, არ ყოფილა ნასამართლელი, დაპატიმრებამდე იყო აჭარვაჭრობის თავმჯდომარე. პარტიიდან გაირიცხა დაკავების გამო. ბრალად ედებოდა კონტრ-რევოლუციურ ჯაშუშური-სააჯანყებო ორგანიზაციის აქტიური წევრობა. სამშობლოს ღალატის გამო მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

მიწები. სასულიერო პირებისათვის აღედგინათ ძველი უფლებები. ის ამბობს: „ჩვენი მიზანი იყო, აჭარა რომელიმე კაპიტალისტური სახელმწიფოს პროტექციის ქვეშ მოგვექცია, ე.ი. გაგვეხადა იგი, ფაქტობრივად, კაპიტალისტური სახელმწიფოს კოლონიად, ხოლო აჭარის მშრომელი მოსახლეობა ბეგებისა და უცხო კაპიტალისტების მონებად.“²¹⁹

ჩხრეკის შედეგად ზ. ლორთქიფანიძის სახლის სხვენში აღმოჩნდა ოქროს ვალუტა, რომელიც მას უცხოური დაზვერვისგან ჰქონდა მიღებული. 1934 წელს აჭარული ორგანიზაციის წევრებმა კავშირი დაამყარეს სერებრიაკოვთან და ქურდაძესთან. მათ თბილისიდანაც შეჰპირდნენ დახმარების აღმოჩენას. მოგვიანებით, 1935 წელს, მათ დაუკავშირდათ გერმანე მაგალობლიშვილი²²⁰ და თენგიზ ჟღენტი, რომლებთან ერთადაც გადაწყდა ბლოკის შექმნა და აჯანყების მოწყობა.

გ. მაგალობლიშვილმა ზ. ლორთქიფანიძეს დავალება მისცა, კავშირი დაემყარებინა აჭარის სხვა ორგანიზაციებთან, რათა ყველგან ერთდროულად დაწყებულიყო აჯანყება. 1936 წლის მარტში აჭარაში დაარსდა კონტრრევოლუციური გაერთიანებული ცენტრი, რომელშიც აჭარის კონტრრევოლუციური კომიტეტიდან შედიოდნენ: ზეჟერია ლორთქიფანიძე, ჯემალ ქიქავა, ზეჟერია ბერიძე. კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ჯგუფიდან შედიოდნენ: გიორგი რამიშვილი,²²¹ ი. სურგულაძე, პ. ცხოიძე. ფაშისტური ჯგუფიდან: გრიგოლ ლაღიძე, მენშევიკური პარტიიდან: კალე გოგიბერიძე, პ. საბაშვილი, გ. კოპლატაძე.

1937 წელს დაკითხვაზე გიორგი რამიშვილმა განაცხადა, რომ აჭარაში კონტრ-რევოლუციური ბლოკის შექმნის შესახებ დავალება ბუდუ მდივნისაგან მიიღო. მანვე

²¹⁹ „აჭარის კონტრ-რევოლუციური ჯამუშურ-სააჯანყებო, ტერორისტულ, დივერსიულმაგნებლური ორგანიზაციის პროცესი, საბრალდებო დასკვნა“ საბჭოთა აფხაზეთი, (27) 1937, გვ. 2.

²²⁰ გერმანე ანდრეას ძე მაგალობლიშვილი - მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა 1937 წლის 4 ოქტომბერს, 1956 წლის 27 ოქტომბერს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მისი დახვრეტა სცნო უსაფუძვლოდ.

²²¹ გიორგი ერასტის ძე რამიშვილი - დაბადებული 1888 წელს. პარტიიდან გაირიცხა 1937 წელს დაკავების გამო. ცოლშვილიანი, საშალო განათლებით. დაკავებამდე იყო აჭარის ცაკის თავჯდომარის ყოფილი მოადგილე. დაპატიმრებამდე იყო საქართველოს სს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სახკომი. ბრალად ედებოდა საბჭოთა მეურნეობის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

დაავალა, ურთიერთობა დაემყარებინა დავით ლორთქიფანიძესა და ევგენი სიხარულიძესთან და დაიწყო სხვა პირების ორგანიზაციაში გადაბირება.

1935 აჭარის კონტრრევოლუციურ გაერთიანებულ ცენტრს რამდენიმე ამოცანა ჰქონდა: უნდა მოემზადებინათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება, უნდა გაერთიანებინათ აჭარის კონტრრევოლუციური ჯგუფები და მოეწყოთ დივერსია სახალხო მეურნეობაში. აჭარაში მათ მიერ ორგანიზებულ ტერორისტულ ჯგუფებს უნდა განეხორციელებინათ ტერორისტული აქტი ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ.

გ. რამიშვილმა აღიარა, რომ დივერსიების მოსაწყობად ეძებდნენ საწარმოებს ბათუმში. მათ გადაწყვიტეს ნავთსახდელ ქარხნებში ჯგუფების მობილიზება, მაგრამ ბ. მდივანმა შეაჩერა, რადგან მისი აზრით, იქ უკვე ჰყავდათ ბაქოს კონტრრევოლუციური ჯგუფის წევრები. ამის შემდეგაც დაუკავშირდნენ ბათუმის ფეხსაცმლის, სამკერვალო ტყავისა და სხვა მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების მუშებს. დივერსიის მოწყობის მიზანი იყო, რომ უნდა გამოეწვიათ უკმაყოფილება მუშებში, ჩაემალათ საწარმოო გეგმები, გამოეშვათ ცუდი საქონელი, დაერღვიათ სახელფასო პოლიტიკა. ორგანიზაციაში ყოფნისას გიორგი რამიშვილმა ბუდუ მდივანს აცნობა ზეჟერია ლორთქიფანიძის აჭარის საქართველოსთან ჩამოშორების განზრახვა. ბუდუ მდივანმა ის დაამშვიდა და უთხრა, რომ აჭარის ორგანიზაციას გამოიყენებდნენ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ერთ-ერთ კაპიტალისტურ ქვეყანასთან კი დადებული შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს დატოვებდნენ ერთიან სახელმწიფოდ.²²² ბრალდებულმა ქიაზიმ ბასილაძემ აღიარა, რომ ცდილობდა გლეხობის აჯანყებას ხელისუფლების წინააღმდეგ. ის ეწეოდა აგიტაციას სამეურნეო და პოლიტიკური ღონისძიებების წინააღმდეგ. ალი გარელ ოღლის დავალებული ჰქონდა, აჯანყების მომენტში დაეპატიმრებინა და დაეხვრიტა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები. ბათუმის ტროცკისტული ჯგუფის წარმომადგენლები ცდილობდნენ ტერორისტული აქტების მოწყობას მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ. ჯემალ ქიქავამ სასამართლოზე ისაუბრა მათი ორგანიზაციის შექმნის ისტორიაზე. ბრალდებულის თქმით, ორგანიზაცია შეიქმნა პირველად ქ. ბასილაძის ბინაში, რის შემდეგაც მოლაპარაკებები გაგრძელდა ზეჟერია ლორთქიფანიძის სახლში. 1933 წელს მოსკოვის ცაკის სესიაზე ჯ.ქიქავამ და

²²² „საბჭოთა აფხაზეთი“, №20, 28 სექტემბერი, 1937. სოხუმი: აფხაზეთის სახელგამის სტამბა. გვ. 2-3.

ს.ზაქარიაძემ გადაწყვიტეს საგზაო მშენებლობისთვის მიეღოთ თანხა, რისთვისაც შეხვდნენ სერებრიაკოვს, რომელიც მათ დაჰპირდა 200 ათასი მანეთის გადახდას. ასევე მისგან მიიღეს მსუბუქი ავტომობილი, ტრაქტორი და სხვა მოწყობილობები. ქ.ქიქავას თქმით, ისინი გეგმავდნენ თანხის მითვისებას. 1933 წლიდან მოყოლებული აქტიურად მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგე ადამიანების მათ ორგანიზაციაში შესაყვანად. ჯ. ქიქავამ და ზ. ლორთქიფანიძეებმა დაწერეს პეტიცია, რომელიც მათ დაავალა ერთ-ერთი უცხოეთის სახელმწიფო დაზვერვის წარმომადგენელმა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ომი დაიწყებოდა, რის შემდეგაც უნდა მოეწყოთ აჯანყება.

დაზვერვის აგენტის რჩევით აჯანყების შემდეგ უნდა მიემართათ ერთა ლიგისათვის პეტიციით, სადაც გამოაცხადებდნენ აჭარის დამოუკიდებლობასა და მოითხოვდნენ დახმარებას. უცხოეთის დაზვერვისაგან ჯ. ქიქავამ მიიღო თანხა 5000 მანეთი, 500 დოლარი და 250 ლირა.²²³

ილიას მეგრელიძემ სასამართლოს წინაშე აღიარა, რომ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ის გააწევრიანა გიორგი რამიშვილმა. 1935 წელს გ. რამიშვილმა მას გადასცა 2500 მანეთი. გიორგი რამიშვილი ეწეოდა სოფლის მეურნეობაში მავნებლურ საქმიანობას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ არასწორად რგავდა ციტრუსოვან ხეებს, წამლავდა უხარისხო ქიმიური ხსნარით, ხელს უწყობდა მიზანმიმართულად სასუქის მოყრის და მცენარეების გამოზამთრების გეგმის ჩაშლას.

არასათანადო აგროქიმიური საშალებების გამოყენების გამო კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ განადგურდა 700 ხე, ზამთარში დაუდევრობის შედეგად გაიყინა 60 ათასი ხის ნერგი. ხალხს ურიგებდნენ ნაკლებმოსავლიანი ჯიშის ნერგებს.²²⁴

1937 წლის 25 სექტემბერს გაიმართა გრიგოლ ლალიძის სასამართლო. მან აღიარა, რომ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში ჩაება 1934 წელს. ერთხელ თბილისში, მწერალთა სახლში შეხვდა მიხეილ ჯავახიშვილს²²⁵, რომელმაც დაავალა ბათუმში ანტისაბჭოთა საქმიანობის დაწყება. ბათუმში ჩასვლის შემდეგ, გ. ლალიძემ

²²³ „საბჭოთა აფხაზეთი“, №20, 28 სექტემბერი, 1937. სოხუმი: აფხაზეთის სახელგამის სტამბა. გვ. 2.

²²⁴ იქვე.

²²⁵ მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი (1880-1937) - ქართველი მწერალი.

გადაიბირა 6 ადამიანი, რომელთაც დაევაღათ ახალი წევრების ორგანიზაციაში გაწევრიანება.

სურდალ ისაილის ძე შარაშენიძეს (ბაილალ ოღლი) ბრალად წაუყენეს სოფელ ხაბელაშვილებში სისტემური კონტრევოლუციური აგიტაციის წარმოება საბჭოთა სკოლისა და პარტიის წინააღმდეგ. მისი აგიტაციის შედეგად სოფელში უარი თქვეს არტელის ორგანიზებაზე.²²⁶ ხულოს რაიონში აგიტაციასა და შეიარაღებული გამოსვლების მოწყობისათვის დააკავეს ხოზრევანიძე ისკანდერი²²⁷ და ილია შავაძე²²⁸, ეს უკანასკნელი 1929 წლიდან იყო სედაი-მილეთის პარტიის ხელმძღვანელი. ხუთწლიანი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდას.

ვასილ დიმიტრის ძე ჯღარკავა დააპატიმრეს კომპარტიის ხელმძღვანელებზე ტერორისტული აქტის მოწყობის ორგანიზებისთვის.²²⁹

ნური აბულაძე და ახმედი ნაკაიძე მითითებებს იღებდნენ თურქეთიდან. მათ ჩამოყალიბებული ჰქონდათ 8-9 კაციანი ჯგუფები, რომელთაც უნდა შეესრულებინათ გარკვეული სამუშაო აჯანყების პროცესში.²³⁰ გამოძიების თანახმად, ტ. ხოზრევანიძე მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აჭარაში და სურდა მისი თურქეთთან შეერთება. ის იყო კონტრევოლუციური ორგანიზაციის წევრი.²³¹

1937 წლის 15 ოქტომბერს აჭარის ასსრ შინსახკომმა განაჩენი გამოუტანა კოლმეურნეობის წევრ ტაშტან ეზიზის ძე ხოზრევანიძეს, რომელიც წარსულში ორჯერ იყო დაკავებული და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ცენტრი საფრთხეს ხედავდა ნაციონალისტური იდეოლოგიის გაღვივებაში. ეს პრობლემას წარმოადგენდა განსაკუთრებით კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, სადაც გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა გაანადგურეს ნაციონალისტური ჯგუფები.

²²⁶ შსს არქივი 37394, გ. 135, ოქ. 34, ტ. 1, გვ. 136.

²²⁷ საქართველოს შსს არქივი. გ. 6. ს.395, გ.136 35, ტ. 1, გვ. 176.

²²⁸ საქართველოს შსს არქივი. გ. 6. ს. 37364, გ.125. ო.4, ტ.1, გვ. 11.

²²⁹ საქართველოს შსს არქივი. გ. 6 ს. 37364, ყუთი 125, ო, 4, ტ 1, გვ. 49.

²³⁰ საქართველოს შსს არქივი. გ. 6 ს. 37364, გ.125, ო.4. ტ.1, გვ. 12.

²³¹ საქართველოს შსს არქივი. გ. 6. 37394. გ.135, ოქმი 34, ტ.1, გვ. 44.

პარტიული პროპაგანდა ხშირად ახსენებდა საზოგადოებას თვითმპყრობელური შოვინიზმის საფრთხეების შესახებ და მოუწოდებდა ნაციონალისტური იდეების დაგმობისაკენ. პარტიისათვის ნათელი იყო, რომ ეს წარმოდგენები ხელს უშლიდა სოციალიზმის იდეის გამარჯვებას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ადამიანები უარს აცხადებდნენ კოლმეურნეობებში შესვლაზე, ზრუნავდნენ პირად კეთილდღეობაზე. მაგალითად, აზერბაიჯანში ცენტრალურ ხელისუფლებას პრობლემა ჰქონდა ადგილობრივ ბოლშევიკებთან, რადგან მაღალი თანამდებობები სხვა ეთნოსის წარმომადგენლებს ეკავათ. ძირითადად ისინი იყვნენ რუსები, ებრაელები, სომხები, რაც დაპირისპირების საბაზს ქმნიდა. ამის გამო საზოგადოებისთვის ცნობილი აზერბაიჯანელი ბოლშევიკების ნაწილი ნაციონალისტებად მოინათლა.²³²

ნაციონალისტური იდეების გავრცელების ხელშემწყობად ინტელიგენცია ითვლებოდა. მწერლები, აკადემიური სივრცის წარმომადგენლები, ე.წ. „სულის ინჟინრები“.

ლავრენტი ბერიამ 1934 წლის იანვარში თავის მოხსენებაში გააკრიტიკა ქართული ინტელიგენციის ნაწილი. მისი თქმით, ისინი ჩაერთნენ პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში და აწარმოებდნენ მავნებლურ საქმიანობას ხალხის წინააღმდეგ. ჯგუფი თავის თავს უწოდებდა „საქართველოს ნაციონალისტურ ცენტრს“, რომელსაც ჰქონდა საქართველოს სახალხო მეურნეობაში, მეაბრეშუმეობაში, მეცხოველეობასა და სხვა დარგებში გახსნილი უჯრედები.

საქართველოს პოლიტსასამართლომ გამოააშკარავა და დააპატიმრა შალვა ცქიტიშვილი²³³, ილია ჯანდიერი²³⁴, ზურაბ ელიავა²³⁵. „ზაკსოიუზის“ ყოფილი კონსულტანტის, ვინმე მიხეილიძის ჩვენების თანახმად, 1933 წელს ცეკავშირის

²³² Исмаилов Э. История «большого террора» в Азербайджане. გვ. 33.

²³³ შალვა იაკიმის ძე ცქიტიშვილი - ჩოხატაურის გრენაჟის ქარხნის დირექტორი. საქ.აბრეშუმტრესტის დირექტორის ყოფილი მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა.

²³⁴ ილია ლევანის ძე ჯანდიერი - ქართული ზოოტექნიკური მეცნიერების ფუძემდებელი, პროფესორი, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

²³⁵ ზურაბ ნიკოლოზის ძე ელიავა - ეკონომისტ-ფინანსისტი; დაპატიმრებამდე - აფხაზეთის სახელმწიფო გეგმის სოფლის მეურნეობის სექტორის უფროსი. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

დარგობრივი კონტრევოლუციური მავნებლური ორგანიზაცია ცდილობდა საქონლის მომარაგების პროცესის დეზორგანიზაციას.

ორგანიზაცია ადგენდა გეგმებს, რომლებიც არ ითვალისწინებდა რეალურ წარმოებით შესაძლებლობებს. დაგეგმვის პროცესში უგულებელყოფილი იყო რესურსების ოპტიმალური განაწილების პრინციპები. შედეგად წარმოიშვა მძიმე დისბალანსი-დეფიციტური საქონელი ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოების ჭარბ მოთხოვნას, ხოლო ჭარბი პროდუქცია ვერ ხვდებოდა სამომხმარებლო ბაზარზე. ამ პროცესმა გამოიწვია ხელოვნური დეფიციტის წარმოშობა.

1932 წელს ტრაქტორცენტრის უფროსი აგრონომის ჩვენების თანახმად, ბორჩალოს მაზრაში სამანქანო-სატრაქტორო სადგურში მწყობრიდან გამოიყვანეს 5 ტრაქტორი, წნორის სადგურში-4, ახალქალაქში-3, მათი ჩანაფიქრი მიზანმიმართულად ითვალისწინებდა პირუტყვის რაოდენობის შემცირებას, რაც ნედლეულისა და სასურსათო ბაზის დასუსტებას ისახავდა მიზნად. აღნიშნული პოლიტიკა ემსახურებოდა სურსათზე ხელოვნური დეფიციტის შექმნას, რაც მოსახლეობაში შიმშილის გამოწვევისა და სოციალური ზეწოლის გაზრდის საშუალებად განიხილებოდა

აბრეშუმტრესტის ყოფილმა თავმჯდომარე შალვა ჩხეიძემ აღიარა, რომ იყო კონტრევოლუციური პარტიის წევრი და ხშირად გამოხატავდა სხვა ადამიანებთან პარტიის პოლიტიკაზე უკმაყოფილებას. ვეტერინარიის სფეროში მოქმედ კონტრევოლუციურ ჯგუფს სურდა, მასობრივად გაენადგურებინა პირუტყვი, რაც არა მხოლოდ აგრარული სექტორის ეკონომიკური საფუძვლის შერყევას, არამედ კოლექტივიზაციის პროცესის საბოტაჟს ისახავდა მიზნად. საქონლის განადგურება აღიქმებოდა როგორც ერთ-ერთი იარაღი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა სასურსათო უსაფრთხოების გაუარესება და მოსახლეობაში უკმაყოფილების გამოწვევა.

მიწსახკომის ორგანოებში, მეცხოველეობის დარგში, დივერსიულ-მავნებლურ ჯგუფად მიჩნეულ პირებს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს შემადგენლობამ განაჩენი გამოუტანა. მათ ბრალად ედებოდათ მავნებლური საქმიანობა.

გამოძიების მასალების თანახმად, ჯგუფი მიზანმიმართულად ავრცელებდა პირუტყვის დაავადებებს. ისინი მოსახლეობას აწვდიდნენ ტუბერკულოზით ინფიცირებული საქონლის რძეს, წამლავდნენ ბაზარზე გასაყიდად გამოტანილ ხორცს. სავეტერინარო ზედამხედველობის სისტემის მიზანმიმართული დეზორგანიზებით ცდილობდნენ მოსახლეობაში მუცლის ტიფის გავრცელებას, ხელოვნურად იწვევდნენ ცხენებისა და საკლავი საქონლის ინფიცირებას ციმბირის წყლულითა და ინფექციური აბორტის გამომწვევი ბაქტერიული აგენტით („ბანგა“). ამგვარი ქმედებები შეფასებული იყო, როგორც მცდელობა, ზიანი მიეყენებინათ ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის და ხელი შეეწყოთ კაპიტალისტური წყობის აღსადგენად.

გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „მშრომელთა შორის სამართლიან აღფრთოვანებასა და სიხარულს იწვევს ცნობა ამ ძალღალთა ხროვის ფიზიკურად მოსპობის-დახვრეტის შესახებ“.²³⁶

1937 წლის ოქტომბერში თბილისში ჩატარებულ ფიზიოლოგთა, ქიმიკოსთა და ფარმაცოლოგთა მე-6 სრულიად საკავშირო ყრილობაზე, მეცნიერებმა საერთო განცხადებით მიმართეს სტალინს. ისინი ბელადს ჰპირდებოდნენ, რომ გამოამჟღავნებდნენ და მოსპობდნენ ხალხის საზიზღარ მტრებს, რომლებიც ცდილობდნენ სამეცნიერო საზოგადოებებში გამრომას.²³⁷

გაზეთი „კომუნისტი“ იუწყებოდა, რომ ხალხის მტრები, „მიწსახკომის ვეტსამმართველოდან“ და ექპერიმენტული ვეტერინარიის ინსტიტუტიდან. ცდილობდნენ, ჩაეშალათ სავეტერინარო ხასიათის მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ისინი აფერხებდნენ სავეტერინარო ქსელის გაფართოებას, დიაგნოსტიკური და კვლევითი კაბინეტების გახსნას. „მავნებლები“ საზოგადოებაში უკმაყოფილების გამოწვევის მიზნით, ათავისუფლებდნენ ადამიანებს თანამდებობიდან და მათ ნაცვლად ნიშნავდნენ მათთვის სასურველ კანდიდატებს. სასამართლომ, საქმეში

²³⁶ კომუნისტი, „ხალხის განაჩენი“ 1937 წლის 8 დეკემბერი. გვ. 1.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/285221/1/Komunisti_1937_N279.pdf (წვდომის თარიღი 01.02.2024).

²³⁷ კომუნისტი. „საქართველოს კ.პ. (ზ) ც. კომიტეტი-ამხანაგ ბერიას საქართველოს სსრ სახკომსაბჭო-ამხანაგ ბარბაქაძეს“. 1937 წლის 20 ოქტომბერი. გვ. 1.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284834/1/Komunisti_1937_N240.pdf (წვდომის თარიღი: 01.02.2024).

დართული მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინა, რომ 1924-1925 წლებში სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის დარგში ჩამოყალიბდა ვეტექიმა არალეგალური ორგანიზაცია.

1931 წელს, საქართველოს მიწსახკომის სავეტერინარო სამმართველოს ყოფილი უფროსის დ.ახმეტელის კაბინეტში გამართულ შეხვედრაზე, მიიღეს გადაწყვეტილება, ღორის ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩატარებულიყო იმ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სადაც ინფექციის გავრცელების საფრთხე მაღალი იყო. თუმცა, გადაწყვეტილება კარანტინის პირობების დაუცველად მიიღეს, აკრილი და აუცრელი ღორები ერთმანეთს შეერივნენ. რამაც ხელი შეუწყო დაავადების გავრცელებას.

გამოძიების მასალების თანახმად, ტაბახმელის ჭირის საწინააღმდეგო სადგური ამზადებდა ათიათასობით ლიტრ არააქტიურ შრატს, რომლის ეფექტიანობა საკმარისი არ იყო ეპიდემიის ლიკვიდაციისთვის.

1929- 1931 წლებში სადგურმა დაამზადა 45 000 ლიტრამდე ხსნარი, რაც გაიგზავნა დაავადებულ რეგიონებში. მიუხედავად შრატის გამოყენებისა, ის აღმოჩნდა უვარგისი და არაეფექტური.

1931 წელს ცაგერისა და შოვის რაიონში იფეთქა საქონლის დაავადებამ, საქონელი დაკლეს და გაყიდეს. სხვადასხვა რეგიონებში ჭირის გავრცელების გამო უამრავი უამრავი პირუტყვი დაიხოცა. საქმეში ბრალდებული პირები იყვნენ:

1. ილია ლევანის ძე ჯანდიერი - აგრონომ-ზოოტექნიკოსი.ზოოტექნიკური ვეტერენარიის ინსტიტუტის კათედრის გამგე;
2. გალაქტიონ ყარამანის ძე მასხარაშვილი²³⁸- აგარის საბჭოთა მეურნეობის ვეტექიმი;
3. ვლადიმერ თეიმურაზის ძე ბასილაია²³⁹- წალკის რაიონის ვეტექიმი;

²³⁸ გალაქტიონ ყარამანის ძე მასხარაშვილი - დაბადებული 1879 წელს, ყოფილი აზნაური, უპარტო, ყოფილი სოციალ-ფედერალისტი, ვეტექიმი, პენსიონერი, 1933-1934 წლებში დაპატიმრებული იყო საქართველოს ყოფილი პოლიტსამმართველოს მიერ როგორც კონტრრევოლუციურ, დივერსიულ-მავნებლურ ორგანიზაციის მონაწილე. პენსიაზე გასვლამდე 1936 წელს მუშაობდა აგარის საბჭოთა მეურნეობაში, 1936 წელს დაკავებული იყო 6 თვით, მისჯილი ჰქონდა იძლებითი მუშაობა თანამდებობრივი უგულვებელყოფისთვის.

²³⁹ ვლადიმერ თეიმურაზის ძე ბასილაია - დაბადებული 1887 წელს, უპარტო, ვეტექიმი. დაპატიმრებამდე მუშაობდა წალკის რაიონში ვეტექიმად. 1933-34 წლებში ი დაპატიმრებული იყო კონტრრევოლუციური ჯგუფის წევრობისთვის.

4. მათე სტეფანეს ძე კუტუბიძე²⁴⁰ - ზოოტექნიკოსი, საქ. მიწსახკომის ვეტსამმართველოს უფროსი;
5. მიხეილ დიმიტრის ძე კორძაძია²⁴¹ - საქართველოს სსრ მიწსახკომის სავეტერინარო ნაწილის პასუხისმგებელი;
6. მოსე არკადის ძე კაგარლიცკი²⁴² - „ევსის“ დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში;
7. ბესარიონ პავლეს ძე შენგელაია²⁴³ - თბილისის სავეტერინარო ინსპექციის უფროსი;
8. კონსტანტინე ელისბარის ძე შანიძე²⁴⁴ - ბათუმის ნავსადგურის სავეტერინარო - სასანიტარო ინსპექტორი;
9. ლევან სამსონის ძე კიკნაძე - ვეტექიმი²⁴⁵;
10. ნიკოლოზ მიხეილის ძე ჩოხელი²⁴⁶ - ვეტექიმი;
11. დავით ვასილის ძე ახმეტელი - საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ვეტსამმართველოს უფროსი.

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უფროსის, დავით ახმეტელის, დაპატიმრების საფუძველი გახდა გიორგი ელიავასა და ნიკოლოზ ელიავას ჩვენებები მეცხოველეობის დარგში მომხდარი მავნებლურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

დავით ახმეტელის საქმეში არის ილია ჯანდიერის დაკითხვის ოქმი, რომელსაც ბრალად ედებოდა ნაციონალისტური ჯგუფის ორგანიზება. მის საქმეში ვკითხულობთ, რომ ის ჯამშური საქმიანობით დაკავშირებული იყო დაზვერვის

²⁴⁰ მათე სტეფანეს ძე კუტუბიძე - დაბადებული 1902 წელს. ზოოტექნიკოსი, საქ. მიწსახკომის ვეტსამმართველოს უფროსი, პარტიიდან გარიცხეს 1917 წელს დაპატიმრების გამო.

²⁴¹ მიხეილ დიმიტრის ძე კორძაძია - დაბადებული 1895 წელს სასულიერო წოდების, უპარტო, საქართველოს სსრ მიწსახკომის სავეტერინარო ნაწილის პასუხისმგებელი აღმასრულებელი, 1924 წელს 6 თვით იყო მსჯავრდებული თვითნებობისთვის.

²⁴² მოსე არკადის ძე კაგარლიცკი - დაბადებული 1891 წელს, უპარტო, დაპატიმრებამდე იყო „ევსის“ დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში;

²⁴³ ბესარიონ პავლეს ძე შენგელაია - დაბადებული 1883 წელს, სასულიერო წოდების, ვეტექიმი, დაპატიმრებამდე იყო თბილისის სავეტერინარო ინსპექციის უფროსი;

²⁴⁴ კონსტანტინე ელისბარის ძე შანიძე - დაბადებული 1881 წელს, უპარტო, დაპატიმრებამდე იყო ბათუმის ნავსადგურის სავეტერინარო - სასანიტარო ინსპექტორი;

²⁴⁵ ლევან სამსონის ძე კიკნაძე - დაბადებული 1902 წელს, უპარტო, ვეტექიმი, დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის რაიონის ვეტექიმად.

²⁴⁶ ნიკოლოზ მიხეილის ძე ჩოხელი - დაბადებული 1904 წელს, ვეტექიმი, დაპატიმრებამდე მუშაობდა გურჯაანის რაიონში ვეტექიმად.

აგენტთან, პროფესორ შალვა ცქიტიშვილთან. ილია ჯანდიერის დავალებით ექიმი დ. ახმეტელი ჩაბმული იყო დივერსიულ საქმიანობაში.

1937 წლის სექტემბერში დ. ვ. ახმეტელის საქმე განხილულ იქნა სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესიის დახურულ სხდომაზე. ბრალდებულმა აღიარა გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები. დავით ახმეტელი სამხედრო კოლეგიის მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ და 1937 წლის 11 სექტემბერს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა- დახვრეტა.²⁴⁷ სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა ამ საქმესთან დაკავშირებულ ყველა პირს.

1937 წლის 20 ივლისს იოსებ სტალინისათვის მიწერილ წერილში ლავრენტი ბერია აღნიშნავდა, რომ გ. მგალობლიშვილის,²⁴⁸ შ. ელიავასა და სხვათა დაკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ საქართველოში 1928 წელს რიკოვის დირექტივებითა და ბუხარინის დავალებით შეიქმნა მემარჯვენეთა ორგანიზაცია. ის ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას და კავშირი ჰქონდათ უკრაინულ მემარჯვენე ცენტრთან.

1934 წელს ა. რიკოვის დირექტივების მიხედვით შეიქმნა კავკასიის რესპუბლიკებში გაერთიანებული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრიანებული იყვნენ:

1. საქართველოდან - შ. ელიავა, მ.ორახელაშვილი, ლ. ლავრენტიევი, ა. ენუქიძე;
2. სომხეთიდან - ისააკ ტერ- გაბრიელიანი, სერგეი ლუკაშინი;
3. აზერბაიჯანიდან - დავით- მირზა გუსეინოვი და კარაევი.

1935 წელს ა. რიკოვი, შალვა ელიავას დახმარებით კავკასიაში დაუკავშირდა ყველა კონტრრევოლუციურ ჯგუფსა და ორგანიზაციას: ტროცკისტებს, მენშევიკებს, დაშნაკებსა და მუსავატებს. მათი მიზანი იყო, კავშირი დაემყარებინათ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, კერძოდ, ფაშისტურ გერმანიასთან, ინგლისთან და საფრანგეთთან. რესპუბლიკური ცენტრები ასევე უნდა დაკავშირებოდნენ ემიგრანტულ ჯგუფებს- მენშევიკებს, მუსავატებსა და დაშნაკებს.²⁴⁹

ცენტრალურმა ხელისუფლებამ 1933-1935 წლებში მოწყალეობა გამოიჩინა, როგორც ძველი ბოლშევიკების, ისე რეგიონალური ხელისუფლების საექვო

²⁴⁷ სტალინური სიები საქართველოდან - <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=288> წვდომის თარიღი 24.09.2023.

²⁴⁸ ლავრენტი იოსების ძე ქართველიშვილი (ლავრენტიევი) - დაბადებული 1891 წელს, პარტიის წევრი 1910 წლიდან, 1938 წელს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, რეაბილიტირებულია

²⁴⁹ Капелло А., Лакербая З., Тушурашвили О. Большой террор в Абхазии (Абхазская АССР): 1937-1938 гг. Том 2 "Council of Europe, 2017. გვ. 10.

წარმომადგენლების მიმართ. საჯაროდ ბოდიშის მოხდისა და საკუთარი შეცდომის აღიარების შემდეგ მათ დანაშაული აპატიეს, კვლავ პარტიაში მიიღეს და დანიშნეს მაღალ თანამდებობებზე. თუმცა, „ზავი“ დიდხანს არ გაგრძელებულა_ევროპაში ფაშისტური რეჟიმების გამლიერებისა და მოახლოებული ომის საფრთხის ფონზე ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური და სოციალური რეალობა.

§ 3.3. ბუღუ მდივანისა და საქართველოს სხვა პარტიული ლიდერების საჩვენებელი გასამართლება

ბოლშევიკური პარტიისათვის გარდამტეხ და მნიშვნელოვან მოვლენად 1923 წელს პარტიის XII ყრილობა იქცა, სადაც პარტიის შიგნით მოხდა განხეთქილება. პარტია მემარცხენე და მემარჯვენე ბლოკებად დაიყო. ი. სტალინის მომხრეებმა დაგმეს ტროცკის იდეები და მასთან ერთად ქართველი ბოლშევიკებიც. ი. სტალინი მათ ადანაშაულებდა პარტიული ხაზიდან გადახვევასა და ლ. ტროცკის იდეების მხარდაჭერაში.

XII ყრილობაზე, როდესაც ბუღუ მდივანი სტალინის მოხსენებას შეეხო, მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საუბარი პრივილეგიების დაცვაზე ისე იყო ჩამოყალიბებული, თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი, კერძოდ აფხაზები, ოსები და აჭარლები მუდმივი ჩაგვრის მსხვერპლნი ყოფილიყვნენ, რაც, მისი შეფასებით, რეალობას არ შეესაბამებოდა. ქართველი ბოლშევიკების მიმართ გაჩნდა ბრალდებები, თითქოს, მათ საქართველოს ავტონომიებისადმი კოლონიური დამოკიდებულება ჰქონდათ.

გამოძიების მიხედვით დადგინდა, რომ ბუღუ მდივანის დავალებით 1935 წელს კარპო მოდებამე²⁵⁰ ევროპაში ყოფნისას დაუკავშირდა გერმანიის ხელისუფლების წევრებს, რათა ისინი დახმარებოდნენ ქართველ ბოლშევიკებს დამოუკიდებლობის მოპოვებაში. კარპო მოდებამე გიორგი ელიავამ დაკითხვისას ამხილა, როგორც საფრანგეთის ძველი აგენტი, რომელიც მათზე 1921 წლიდან მუშაობდა. კარპო მოდებამე და ბუღუ მდივანი დავალებებს ერთად იღებდნენ საფრანგეთის დაზვერვისგან.

მოსკოვის საჩვენებელი სასამართლოების შემდეგ ადგილობრივი პარტიული ორგანოების ჯერი დადგა. ქართველ ბოლშევიკებს კვლავ გაუხსენეს წარსული, პატიებისა და საჯარო მონანიების ნაცვლად, სხვადასხვა დანაშაულში ამხილეს.

²⁵⁰ კარპო სპირიდონის ძე მოდებამე - მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა 1937 წლის 10 ივლისს, 1957 წლის 9 აპრილს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მისი დახვრეტა სცნო უსაფუძვლოდ.

1937 წლის 10 ივლისს თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გამოსულმა ლ. ბერიამ განაცხადა, რომ ანტისაბჭოთა, ნაციონალისტური და ზოგადად ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტებით დანაგვიანებულ მშრომელთა საბჭოებში არჩევნები ისე უნდა ჩატარებულიყო, განსაკუთრებით საქართველოში, რომ არ ყოფილიყვნენ „ნაცემნი“.²⁵¹

ტერორის მსხვერპლი პირველად ბუდუ მდივანი და მისი მოკავშირეები აღმოჩნდნენ. ინგლისის აგენტობაში ბრალდებული ბუდუ მდივანი დააკავეს 1936 წელს. მას ადანაშაულებდნენ ინგლისის დაზვერვასთან და ჯაშუშ ო'ბრიენტან კავშირში.

ბრალდება, ბ. მდივანის ჯაშუშობასა და მენშევიკებთან კავშირის დამყარებაში იოლი იყო. რადგან მის ძმას, სოციალისტ-ფედერალისტ სიმონ მდივანს, მენშევიკური ხელისუფლების პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი თურქეთში მონაწილეობას იღებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებში, ხოლო შემდეგ პოლიტიკური საქმიანობა გააგრძელა საფრანგეთში, ემიგრაციაში.

ბ. მდივანმა აღიარა, რომ 1925-1926 წლებში პარიზში ყოფნის დროს, გიორგი ელიავას²⁵² დახმარებით კავშირი დაამყარა ინგლისელ ჯაშუშთან, რომელმაც „დაამუშავა“. ფულის სანაცვლოდ, ბ. მდივანს უნდა გადაეცა ცნობები საქართველოს შესახებ .

საქართველოს საგამომიებო კომიტეტი მიმართავდა საფრანგეთის ხელისუფლებას თხოვნით, დაედგინათ და ეცნობებინათ, თუ რა სახის ინფორმაცია გააჩნდათ პირის შესაძლო ჯაშუშურ საქმიანობასთან დაკავშირებით. ასევე ითხოვდნენ ცნობებს როკფელერის ინსტიტუტის, ევროპული ბიუროს ინგლისის დაზვერვის აგენტის²⁵³, ²⁵⁴ო'ბრიენტანის შესახებ, რომელიც 1935 წელს საფრანგეთიდან თბილისში ჩამოვიდა, როგორც ტურისტი.

²⁵¹ იუნგე მ., თუმურაშვილი ო., ბონვეჩი ბ., (შემდგენლები) ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში.ტ. 2: დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში, მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი. 2015. გვ. 39.

²⁵² გიორგი გრიგოლის ძე ელიავა (1892-1937) - მეცნიერი, მიკრობიოლოგი.

²⁵³ როკფელერის ინსტიტუტი - დაარსდა 1901 წლის ივნისში ის წარმოადგენს სამედიცინო კვლევების ცენტრს. <https://www.rockefeller.edu/about/history/> წვდომის თარიღი 20.08.2023, (15:07).

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს არანაირი მტკიცებულება არ გააჩნდა ბუდუ მდივნის აგენტობის შესახებ. 1936 წლის დაკითხვისას ბუდუ მდივანს დაუსვეს კითხვა, თუ რატომ განუდგა ტროცკისტულ მოძრაობას და რამ მოახდინა მასზე ასეთი გავლენა? მისი თქმით, მიზეზი იყო გაზეთების კითხვა, ინდუსტრიალიზაციის, განსაკუთრებით კი კოლექტივიზაციის პროცესების წარმატებულად მიმდინარეობა.

ამ პროცესებს თან სდევდა გარკვეული ხარვეზები. რის გამოც იოსებ სტალინმა დაწერა ცნობილი წერილი „თავბრუსხვევა წარმატებისგან“. ბუდუ მდივანი ამ დროს ციხეში იმყოფებოდა და ფიქრობდა მიმდინარე მოვლენების შესახებ, მისი შეფასებით, საჭირო იყო მშრომელთა მასების მართვა. იდეა, რომელსაც ოპოზიცია იცავდა, იყო ილუზია და საშუალებას იძლეოდა ანტისაბჭოური ელემენტების გაძლიერებისთვის. დაკითხვისას ბუდუ მდივანმა აღიარა, იმ გამარჯვებების ფონზე, რომელიც არსებობდა. ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაციამ გადაჭრა ნაციონალური საკითხი, ხალხის კეთილდღეობა მატულობდა, ზრდებოდა კულტურა, ლიტერატურა და ცხოვრება.

დაკითხვისას ბუდუ მდივანმა განაცხადა, რომ ყველაზე მეტად არ უყვარდა ზინოვიევი, რადგან მასთან ერთხელ საუბრისას, როდესაც ის შევიდა ზინოვიევთან კაბინეტში, თავში იკრავდა ხელს და დანაბებით ამბობდა: ვის მივეცი პარტია? სტალინს მივეცი. ტროცკისთან საუბარმა გააკვირვა, რადგან კარგად მოიხსენიებდა სტალინს. ტროცკი ზინოვიევსა და სხვებზე ამბობდა, რომ ათასჯერ უღალატებდნენ, სტალინი კი რევოლუციონერი იყო.²⁵⁵

ბუდუ მდივნის დაკითხვების დროს ის უარყოფდა ტროცკის პოლიტიკურ შეხედულებებს, ვერ იხსენებდა, ვის და როდის შეხვდა. გამოთქვამდა ვარაუდს, რომ შესაძლოა, შეხვედროდა ტროცკისტებს- რაფაელიანსა და შ. ალავერდაშვილს, რომელთანაც მხოლოდ სსრკს წარმატების შესახებ საუბრობდა. თუმცა სხვადასხვა დაკითხვის შედეგად დგინდება, რომ ბათუმში ტროცკისტებთან შეხვედრისას

²⁵⁴ საქართველოს შსს არქივი. ბუდუ მდივანის საქმე, ფონდი 6, საარქივო საქმე 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75 შსს არქივი წიგნი 1. გვ. 9.

²⁵⁵ საქართველოს შსს არქივი. ბუდუ მდივანის საქმე, ფონდი 6, საარქივო საქმე 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75 შსს არქივი წიგნი 1. გვ. 95-98.

საუბრობდა პარტიის ეკონომიკური პრობლემების თაობაზე, ეწინააღმდეგებოდა კოლექტივიზაციას. განსაკუთრებით აკრიტიკებდა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას.

1930-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა საქართველოს აგრარულ პოლიტიკაში ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილებოდა ღორებისა და კურდღლების მასობრივი მოშენების საკითხი. ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ამ ინიციატივით შეძლებდა მოსახლეობის იაფი ხორციით მომარაგებას, რაც კოლექტივიზაციისა და საკვების დეფიციტის პირობებში სტრატეგიულ მიზნად მიიჩნეოდა.

1931 წლისთვის პარტია დარწმუნებული იყო, რომ რესპუბლიკაში ხუთ მილიონზე მეტი სული ღორის მოშენებით ხარჯები შემცირდებოდა. საკვების დეფიციტისა და მენეჯმენტის არაეფექტიანობის ფონზე ინიციატივა კრახით დასრულდა. ბუდუ მდივანი ამ პერიოდს ირონიით იხსენებდა: ათი კურდღელი იმავე რაოდენობის საკვებს მოიხმარდა, რასაც ერთი ადამიანი, თუმცა ისინი ილუპებოდნენ მანამ, სანამ თეფშებამდე მიაღწევდნენ.²⁵⁶

მალაქია ტოროშელიძე და ბუდუ მდივანი, როგორც ძველი ბოლშევიკები, გამოხატავდნენ თანაგრძნობას ახელ ენუქიდის მიმართ და მიიჩნევდნენ, რომ მის წინააღმდეგ მიღებული რადიკალური გადაწყვეტილება უსამართლო იყო, რადგან სწორედ ა. ენუქიძე იყო ამ შემთხვევაში დაზარალებული. ეს თანაგრძნობა არ იყო ა. ენუქიდისადმი გულწრფელი თანადგომა.

ლავრენტი ბერიას ცნობილი გამოსვლის შემდეგ ბუდუ მდივანი და მალაქია ტოროშელიძე თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ. მათი აზრით, იდეოლოგიური პროპაგანდის შედეგად დამახინჯდა ბოლშევიკური მოძრაობის ისტორია, მათი როლი დააკნინეს, ხოლო ზოგიერთი მეზრძოლის დამსახურება სათანადოდ არ შეაფასეს მაშინ, როდესაც იოსებ სტალინის ღვაწლი გადაჭარბებულად იყო წარმოდგენილი.

1954 წელს ბუდუ მდივანის უფროსი შვილის ცოლმა, თამარა ნასყიდაშვილმა, წერილობით მიმართა უშიშროების სამსახურს. ის ითხოვდა მისი ოჯახის რეაბილიტაციას: „ლ. ბერიასთან ცუდი ურთიერთობის შედეგად, ბ. მდივანი, ყოფილი სავაჭრო წარმოების ხელმძღვანელი დახვრიტეს, (გაზეთების თქმით 1937 წლის 11 ივლისს). გაანადგურეს მისი მთელი ოჯახიც, ცოლი და 4 შვილი. ბუდუს

²⁵⁶ საქართველოს შსს არქივი. ბუდუ მდივანის საქმე, ფ. 6, ს. 36224, ყ. 72-75. გვ. 142.

ჰქონდა ცუდი ურთიერთობა ბერიასთან, რაზეც არაერთხელ ესაუბრა ი. სტალინსა და ს. ორჯონიკიძეს. ამ დაპირისპირებამ გამოიწვია ის, რომ 1936 წელს 2 თვის განმავლობაში იყო შინაპატიმრობაში. ცოლის ხელით გაგზავნა წერილი ი. სტალინთან, რომელიც ამ დროს გაგრაში ისვენებდა. წერილში საუბარი იყო ლ. ბერიას უსამართლო ქმედებებზე. სამწუხაროდ, წერილის მიცემის საშუალება არ ჰქონდა, რადგან მას ხელი ლ. ბერიას მომხრეებმა შეუშალეს. ოქტომბრის პირველ რიცხვებში ბუდუ მდივანი დააკავეს. 3 დღის შემდეგ კი მისი შვილები და მეუღლე დატოვეს მხოლოდ 2 წლის შვილი ვახტანგი. ყველანი დააკავეს, როგორც „თავიანთი მამის შვილები“²⁵⁷.

1936 წელს ბ. ქობულავისადმი მიწერილ წერილში ბ. მდივანი უარყოფდა ბრალდებას. მისი თქმით, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა ის ამონაწერები, რომლებიც ჩვენებიდან წაუკითხეს: „ვერ ვიხსენებ, რომ ვინმესთან გამემართოს ტროცკისტული სამუშაო, ვამტკიცებ, რომ არავისთან მისაუბრია ტროცკიზმის გამართლებაზე, ტაქტიკებზე და სამუშაოზე“.²⁵⁸ ის მოითხოვდა წაყენებული ბრალდებების ფაქტებით განმტკიცებას.

ბ. მდივამმა წერილი მისწერა ლავრენტი ბერიასაც, სადაც უარყოფდა ზოგიერთ ადამიანთან ნაცნობობას. ის წერდა: „ველოდი, წამომიყენებდნენ კონრეტულ ფაქტებს ჩემს საქმიანობაზე ორგანიზაციაში, მაგრამ სულ მეუბნებიან, რომ თავად მე უნდა მოვყვე ჩადენილი დანაშაულებები და მერე მეტყვიან რა აქვს გამოძიებას.“²⁵⁹

30-იანი წლებიდან არ არსებობდა არცერთი ფაქტი, რომელიც ბ. მდივანის ტროცკისტთან მჭიდრო თანამშრომლობას დაადასტურებდა. ბუდუ მდივანმა ლ. ბერიას მისი ნათქვამიც გაახსენა: „ეს ხომ ვიცით, რომ თქვენ არაფერი ტროცკისტული არ დაგრჩათ“. მან მეტი დამაჯერებლობისათვის სტალინთან აგარაკზე, მოლოტოვისა²⁶⁰ და სხვათა თანდასწრებით, ი. სტალინის მიერ წარმოთქმული

²⁵⁷ საქართველოს შსს არქივი. ბუდუ მდივანის საქმე, ფონდი 6, საარქივო საქმე 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75 შსს არქივი წიგნი 3, გვ. 7-11.

²⁵⁸ საქართველოს შსს არქივი. ბუდუ მდივანის საქმე, ფონდი 6, საარქივო საქმე 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75 შსს არქივი წიგნი 3, გვ. 52-54.

²⁵⁹ საქართველოს შსს არქივი. ბუდუ მდივანის საქმე, ფონდი 6, საარქივო საქმე 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75 შსს არქივი წიგნი 3, გვ. 63.

²⁶⁰ ვიჩისლავ მიხეილის ძე მოლოტოვი (1890-1986) - საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

სადღეგრძელოც გაიხსენა: „ამხ. ბუდუ იყო გულწრფელი და მართალი მაშინაც, როცა ებრძოდა პარტიას და ახლაც, როცა დაბრუნდა“.

აღნიშნულ სიტყვებს ბუდუ მდივანი იხსენებდა ი. სტალინთან მიწერილ წერილში, რომელიც ბ. ქობულოვს²⁶¹ გაატანა ბელადისათვის გადასაცემად: „ბელადი არ ცდება ხასიათის გარკვევაში, განსაკუთრებით მათი, რომელთაც იცნობს, ცნობილია მისი სიძუნწე ქებისას.“

ბუდუ მდივანი ამტკიცებდა, რომ ი.სტალინთან ბევრჯერ უსაუბრია ტროცკისტული გზიდან გათავისუფლების შესახებ და მოუსმენია მისი მომაკვდინებელი კრიტიკული შენიშვნებიც. მიუხედავად ამისა, მაინც ეჭვი შეჰქონდათ მის გულწრფელობაში და აბრალებდნენ, რომ ვიღაცებს ხელს უშლიდა დაეწერათ მოგონებები ბელადზე: „ს. თალაკვაძემ²⁶² დააბრებვა რაღაც სხვებთან და ჩემთანაც. რა თქმა უნდა, მე არ ვახალისებდი ამ გზაზე, თუმცა ვიცოდი, რომ აქ მომუშავენი არ იწონებდნენ მის ნაწერს. პავლე საყვარელიძეს²⁶³ მოვუწოდე და

²⁶¹ ბოგდან ზაქარის ძე ქობულოვი (1904- 1953) - უშიშროების სამსახურის ოფიცერი, დააპატიმრეს და გაასამართლეს 1953 წელს ლავრენტი ბერიას საქმეზე.

²⁶² სევასტიანე გერასიმეს ძე თალაკვაძე - რევოლუციონერი, საქართველოს წიგნის პალატის დირექტორი, ბრალი ედებოდა კ/რ ტროცკისტული საქმიანობა. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=1955> (წვდომის თარიღი 27.01.2024) ძველ ბოლშევიკებს დაევაღათ მოგონებების დაწერა და რევოლუციური წარსულის გახსენება, სადაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნახსენები იოსებ სტალინის აქტიური ჩართულობა რევოლუციაში პირველივე დღეებიდან. ახელ ენუქიძე, რომელიც ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო მისი დაარსების დღიდან და აქტიურად იყო ჩართული რევოლუციურ მოძრაობაში, თავის მოგონებებში არ მიუნიჭებია განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა სტალინის პიროვნებისათვის რევოლუციის დასაწყისში. სტალინმა ჩამოიშორა ყველა ე.წ ძველი ბოლშევიკი, ვისთანაც ახლო კავშირი ჰქონდა და იცნობდა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში. ა. ენუქიძის მოგონებებში სტალინის არასაკმარისად წარმოჩენის გამო, 1932 წელს ჯერ პარტიიდან გარიცხეს და შემდეგ საჯარო ბოდიშის შემდეგ კვლავ ალაღვინეს პარტიაში, ენუქიძის მოგონებების თანახმად თბილისში სტამბის გასამართად ფულის სათხოვნელად ჩასული შეხვდა სილიბისტრო ჯიბლამეს, სადაც ასევე იყო ახალგაზრდა სტალინი, მათ უარით გაისტუმრეს რადგან საქმის კონტროლის ქვეშ აყვანა სურდათ, მეორედ ენუქიძეს მისი სახელი სტამბასთან დაკავშირებით არ უხსენებია. მხოლოდ ამით დასრულდა ენუქიძის მოგონებების მიხედვით სტალინის როლი სტამბის ამბებში. მისი ვერსია მიუღებელი აღმოჩნდა ბერიასათვის, რადგან აქ არ წარმოჩნდებოდა სტალინის კავშირი რევოლუციასთან, ამიტომ მან თავად დაწერა ისტორია, რომლის მიხედვითაც თბილისის კომიტეტი ამარაგებდა ფულითა და მასალით ლადო კეცხოველს, რათა მას ბაქოში იატაკქვეშა პრესა მოეწყო. 1937 წელს თავის მოხსენებაში „დიდი სტალინი-ორგანიზატორი ბათუმის ლენინურ-ისკრული სოციალ დემოკრატიული ორგანიზაცია“ საუბრობს, რომ 1900-1901 წლებში ბათუმი თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გავლენის გარეშე იყო დარჩენილი. 1899-1900 წლიდან იქ იმყოფებოდნენ კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი, რომლებიც ბერიას თქვით „ლეგალური მარქსიზმის მომხრეები იყვნენ და უარყოფდნენ არალეგალური პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას.

²⁶³ პავლე დავითის ძე საყვარელიძე (1882- 1937) - პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი (ალიონელი) 1921 წელს დარჩა საქართველოში, გაასამართლეს 1937 წელს, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა- დახვრეტა 1937 წელს.

დავიჟინე დაეწერა. ბოლოს ჩემი წერის უნარის არქონის გამო დავიწყე რაღაც სქემის წერა, მაგრამ საქმიანობა შეწყდა და აღმოვჩნდი იზოლაციაში, მაბრალებენ, რომ ვიცოდი ბევრი რამ ბელადის წარსული ცხოვრებიდან და არ გამოვაქვეყნე.“²⁶⁴

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა კონტრრევოლუციური, ტროცკისტული, ტერორისტული, დივერსიულ-ჯამშური ორგანიზაცია, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, საქართველოს გამოყოფა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და მის დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადება. მათ სურდათ ერთ-ერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს პროტექტორობის ქვეშ ყოფნა. ეს ჯგუფი ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას და ახორციელებდა დივერსიულ-მავნებლურ საქმიანობას. მათი მიზანი იყო სახალხო მეურნეობაში ეკონომიკური არეულობის შემოტანა.

გამომიებამ დაადგინა, რომ ბუდუ მდივანი იყო ტროცკისტულ-კონტრრევოლუციური ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც ამზადებდა ტერორისტულ აქტებს და კავშირი ჰქონდა ქართველ მენშევიკებთან. ის მოლაპარაკებებს აწარმოებდა ნოე ჟორდანიასთან პოლიტიკური ბლოკის შესაქმნელად. 1926 წელს ბუდუ მდივანი „დაამუშავა“ კაპიტალისტურმა სახელმწიფომ, როგორც ჯამშუმი.

გამომიებამ ასევე დაადგინა, რომ 1921-1923 წლებში ბუდუ მდივანი სათავეში ედგა ე.წ. „უკლონისტურ“ მოძრაობას, იბრძოდა პარტიის წინააღმდეგ და იზიარებდა ლ. ტროცკის პოლიტიკურ იდეებს. 1928 წელს ბუდუ მდივანი დააკავეს და ჩასვეს პოლიტიზოლატორში, 1930 წელს გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც ჩვენება მისცა. ის აცხადებდა, რომ აღარ იზიარებდა ტროცკისტულ იდეებს.

ბ. მდივნის აღიარებით, პოლიტიზოლატორიდან გაათავისუფლების შემდეგ, მოსკოვში გამართული შეხვედრებისას, კერძოდ, ი. სმიგლასა და ე. პრიობრაჟენსკისთან²⁶⁵ საუბრის შემდეგ, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კვლავ იზიარებდა ტროცკისტულ შეხედულებებს და რომ მისი ფორმალური გამოსვლა ოპოზიციური ჯგუფიდან ტაქტიკურ ხასიათს ატარებდა.

²⁶⁴ საქართველოს შსს არქივი, ბუდუ მდივანის საქმე. ფ.6, საარქივო N 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75, წიგნი 1, გვ. 65.

²⁶⁵ ევგენი ალექსანდრეს ძე პრიობრაჟენსკი (1886-1937) - რევოლუციონერი, ეკონომისტი - 1937 წელს დააპატიმრეს და ბრალად წაუყენეს ტროცკისტულ-ტერორისტული ჯგუფის წევრობა. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

ბუდუ მდივნის მტკიცებით, თბილისში დაბრუნების შემდეგ ურთიერთობა აღადგინა ი. ლორთქიფანიძესთან,²⁶⁶ ს. ჩიხლაძესთან²⁶⁷, გ. ლორთქიფანიძე²⁶⁸, ნ.კიკნაძესთან²⁶⁹, ს. თალაკვაძესთან, ლ. გასვიანთან, ს. ქავთარაძე და სხვ.

ბ. მდივანის 1937 წლის ჩვენებაში ვკითხულობთ: „უკვე 1931 წელს მე ვიყავი მომხრე განახლებულიყო აქტიური ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ, განსაკუთრებით აგრესიული ვიყავი მკაცრი პოლიტიკისა, რომელსაც ბერია ატარებდა.“²⁷⁰

1933 წელს ბუდუ მდივანი დაუკავშირდა კონტრრევოლუციური საქმისათვის ტროცკისტული ცენტრის წევრს- ვ. პიატკოვს და შეატყობინა, რომ დირექტივების შესაბამისად არსებობდა ტერორისტულ აქტებზე მომუშავე ტროცკისტულ-ზინოვიევიური ბლოკი.

საქართველოში ბუდუ მდივნის ხელმძღვანელობით შექმნილი იყო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ სიმონ ჩიხლაძე, სერგო ქავთარაძე, მიხეილ ოკუჯავა და ნიკო კიკნაძე. ამ პირების ჯგუფში გაერთიანებას მხარს უჭერდნენ ვ. პიატკოვი და ლ. სერებრიაკოვი²⁷¹.

ს. ქავთარაძე დაკითხვის დროს კატეგორიულად უარყოფდა ნოე ჟორდანიასთან კავშირის დამყარების რაიმე მცდელობას. მან დაადასტურა ბ. მდივნის კავშირი ტროცკისტულ წრებთან და შეხვედრები მათ წარმომადგენლებთან.

²⁶⁶ ივანე ნესტორის ძე ლორთქიფანიძე - რევოლუციონერი, 1928 წელს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დარჩა საქართველოში, 1937 წელს დააკავეს „ესერთა კონტრრევოლუციური ჯგუფის“ წევრობის ბრალდებით. 1937 წელს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

²⁶⁷ სიმონ ალექსანდრეს ძე ჩიხლაძე - რევოლუციონერი, სკკპ(ბ)-ს წევრი 1915 წლიდან. 1926 წელს გაირიცხა პარტიიდან კონტრრევოლუციური ტროცკისტული საქმიანობისთვის, აღადგინეს 1930 წ. დაპატიმრებამდე მუშაობდა ჰიდროენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორად, 1937 წელს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

²⁶⁸ გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში ეკავა მაღალი ტანამდებობები, გასაბჭოების შემდეგ დარჩა საქართველოში. გარდაიცვალა 1937 წელს დაკითხვის დროს.

²⁶⁹ ნიკოლოზ (ნიკო) როსტომის ძე კიკნაძე - დაბადებული 1889 წელს, მუშა, პარტიის წევრი 1906 წლიდან, 1927 წელს მიესაჯა გადასახლება 3 წლით ურალში, დადგენილების მიხედვით შეეცვალა და გადაიყვანეს შუა აზიაში. დაბრუნების შემდეგ დააპატიმრეს 1936 წელს, საქართველოს საგანგებო კომისიის დაზვერვის განყოფილების უფროსი (1921), გარდაიცვალა 1938 წელს გადასახლების ადგილას.

²⁷⁰ საქართველოს შსს არქივი. ფ.6, საარქივო N 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75, წიგნი 3 გვ 28-37.

²⁷¹ ლეონიდე პეტრეს ძე სერებრიაკოვი (1888-1937) - საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე. გასამართლდა 1937 წელს, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა- დახვრეტა.

ვასილ პიატკოვი თავის ჩვენებაში ამბობდა, რომ ბ. მდივანმა მას სთხოვა ამ ჯგუფის მხარდაჭერა და წამოაყენა ლავრენტი ბერიას ლიკვიდაციის საკითხი, რაზეც ვ. პიატკოვისგან უარი მიიღეს. ლ. ბერიას მოკვლა არ შეიძლებოდა მანამ, სანამ არ მოკლავდნენ ი. სტალინს. იმავე აზრს იმეორებდა ლ. სერებრიაკოვიც თავის ჩვენებაში. მან თქვა, რომ 1934 წელს ბუდუ მდივანი ჩავიდა მასთან მოსკოვში და ვ. პიატკოვს აცნობა, რომ ამიერკავკასიაში კონტრევოლუციური მუშაობა აქტიურად მიმდინარეობდა. განიხილებოდა ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის ორგანიზების გეგმა.

1935 წელს ბუდუ მდივანის ვ. პიატკოვთან შეხვედრის შემდეგ, ნ. ეჟოვის მოკვლის საკითხიც დადგა. საინტერესოა, ბუდუ მდივანს ან რომელიმე ქართველ ბოლშევიკს როგორ უნდა მოეკლა ნ. ეჟოვი თბილისიდან, მაშინ როცა მასთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდათ.

ლ. სერებრიაკოვის თქმით, ბუდუ მდივანს დაევალა დაშნაკებთან, მუსავატებსა და მენშევიკებთან გაერთიანების საქმე. 1935 წლის ბოლოს ბ.მდივანმა აცნობა, რომ კონტაქტის დამყარება მხოლოდ მენშევიკებთან სცადა, ვინაიდან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სწორედ ისინი მიაჩნდა ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად.

1934 წელს ბუდუ მდივანმა კარპო მოდებამეს²⁷² დაავალა, პარიზში დაკავშირებოდა ნოე ჟორდანიას და ტროცკისტულ-მენშევიკური ბლოკის შექმნის მიზნით, მასთან მოლაპარაკებები ეწარმოებინა. ბ. მდივანს სურდა, მოემბნა რომელიმე ბურჟუაზიული სახელწიფო, რომელიც მათ გაუწევდა პროტექტორობას. კარპო მოდებამემ დავალება შეასრულა. ბუდუ მდივანმა აღიარა, რომ კავშირი ჰქონდა სომეხ და აზერბაიჯანელ ტროცკისტებთან, იყო ჯაშუში და ინფორმაციის სანაცვლოდ იღებდა ფულს. მას ბრალი წაუყენეს:

1. რომ იყო ტროცკისტული ჯგუფის ხელმძღვანელი, დივერსიულ-ჯაშუშური გუნდის წევრი, რომელმაც 1934 წელს ვერაგულად მოკლა ს. კიროვი და მომავალში მოამზადა ტერორისტული აქტები რკპ(ბ) ხელმძღვანელებისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ;

²⁷² კარპო სპირიდონის ძე მოდებამე - საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ (ბოლშევიკური) პარტიის წევრი. დაპატიმრებამდე - თბილისის უნივერსიტეტის საწარმოო კომბინატის დირექტორის მოადგილე. დახვრიტეს 1937 წელს.

2. შექმნა ტროცკისტულ-ჯაშუშური ჯგუფი საქართველოში, რომლის მეშვეობითაც კავშირი ჰქონდა ნ. ჟორდანიასთან;
3. კავშირი ჰქონდა ტროცკისტულ-ზინოვიევიერ ბლოკთან, კერძოდ, პიატკოვთან და სერებრიაკოვთან, რომელთან ერთადაც მოამზადა დივერსიული აქტები ი. სტალინის, ნ. ეჟოვისა და ლ. ბერიას მოსაკლავად;
4. გააჩაღა კონტრევოლუციური სამუშაო საქართველოს შიგნით არსებული წითელი არმიის ნაწილებში, ამზადებდა სერიოზულ აჯანყებებს ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად;
5. აწარმოებდა ჯაშუშურ სამუშაოს, კავშირი ჰქონდა კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან.
6. პირადად ჰქონდა კავშირი კონტრევოლუციურ და ნაციონალისტურ ორგანიზაციებთან სომხეთსა და აზერბაიჯანში.

კარპო მოდებაძის მნიშვნელოვან როლზე საუბრობდა მალაქია ტოროშელიძეც, რომელიც ოცდაათზე მეტჯერ დაკითხეს. ის დააკავეს 1936 წლის 9 ოქტომბერს. მ. ტოროშელიძემ დანაშაული აღიარა 1937 წლის 12-14 ივნისის დაკითხვის დროს.

მ. ტოროშელიძის განცხადებით, ერთ-ერთ შეხვედრაზე გიორგი ელიავას ბინაში იმყოფებოდნენ ნოე ჟორდანიას დავალებით. მასთან და ტროცკისტებთან შეთანხმებით შექმნილი იყო საქართველოს ნაციონალური ცენტრის ბლოკი, რომელშიც სხვადასხვა ანტისაბჭოთა პარტიის წარმომადგენლები შედიოდნენ.²⁷³

კარპო მოდებაძემ დაკითხვის დროს აღიარა, რომ ბუდუ მდივანი მენშევიკებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს. მან დაადასტურა მდივნის განცხადებაც, რომლის მიხედვითაც, ნ. ჟორდანიას მისი კითხვა გადასცა, იცოდა თუ არა მან ლ. ტროცკის ადგილ-სამყოფელი, რათა დაკავშირებოდა, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.²⁷⁴

1954 წელს დაიწყო ბუდუ მდივნის საქმის ხელახალი გამოძიება. დაიკითხა ყველა, ვისაც ბუდუ მდივანთან ჰქონდა რაიმე სახის კავშირი მისი ციხეში ყოფნის დროს, მათ შორის, ექიმები და ზედამხედველები. გამოძიება ძირითადად მოიცავდა რეპრესიების პერიოდს 1937-1938 წლებს.

²⁷³ საქართველოს შსს არქივი, ფ.6, საარქივო N 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75, წიგნი 2.

²⁷⁴ საქართველოს შსს არქივი ფ.6, საარქივო N 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75, წიგნი 4.

ციხეებში იყო წამების ოთახები. ერთ-ერთი ოთახი ე.წ. „ცხელი ოთახი“ იყო. კედლებში გაყვანილი მილების მეშვეობით ოთახში მუდმივად ტრიალებდა ცხელი ორთქლი. ასეთ პირობებში პატიმრებს დიდი ხნით ამყოფებდნენ. ამ კამერაში ჰყავდათ ბ. მდივანი და მ. ტოროშელიძე. პატიმრებს დღის განმავლობაში აწვდიდნენ წყალსა და პურს. ზამთარში პატიმრებს ამყოფებდნენ ე. წ. „ცივ“ კამერაში, სადაც ფანჯრები არ იხურებოდა, ხოლო იატაკზე ასხამდნენ წყალს, ყრიდნენ თოვლს. დაკავებულები შეჰყავდათ სრულიად შიშველი და ძირს აწვენდნენ. ამ ოთახებში ამყოფებდნენ მ. ტოროშელიძეს.

უმოწყალოდ აწამეს ბ. მდივნის შვილი. წამების ოთახიდან გამოყვანის შემდეგ ხელით მიათრევდნენ, რადგან არ შეეძლო სიარული, ის ტიროდა და ამბობდა, რომ მამის დანაშაულის გამო შვილიც ისჯებოდა.²⁷⁵

ერთ-ერთი რეპრესირებულის შვილის მოგონებების თანახმად, ციხის პირობები იმდენად მძიმე იყო, რომ ზოგიერთი პატიმარი წამებას იმ მიზეზით ამჯობინებდა, რომ სხვა შემთხვევაში, როცა კამერიდან გაჰყავდათ, ეგონათ, რომ დასახვრეტად მიჰყავდათ.²⁷⁶

ბუდუ მდივნის საქმეში არსებობს ბადრაგის ჩვენება, რომელიც იხსენებს, როგორ ეპყრობოდნენ დაკავებულს. ბადრაგის თქმით, ციხის თანამშრომლები ბუდუ მდივნის მიმართ განსაკუთრებით მტრულად იყვნენ განწყობილნი, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს მტრად აღიქვამდნენ. ამ დამოკიდებულებას თავად დაპატიმრებულის აგრესიული დამოკიდებულებაც ამდაფრებდა, რადგან იძახდა, რომ „ბოლშევიკებმა ნამდვილად კარგი ქნეს, რომ დროულად დაგვიჭირეს, თორემ მე თვითონ ჩამოვახრჩობდი მათ ტელეგრაფის ბოძებზე“.

ლ. ქავთარაძე თავის მოგონებებში იხსენებს, თითქოს ბ. მდივანმა დახვრეტის წინ თქვა: „ხალხის მტერი მაშინ გავხდი, როცა თქვენ შემოგიძეხითო“.²⁷⁷

გაზეთ „ბრძოლის ხმაში“²⁷⁸ საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ბევრი იწერებოდა. მენშევიკები უარყოფდნენ მდივან-ტოროშელიძის

²⁷⁵ საქართველოს შსს არქივი ფ.6, საარქივო N 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75, წიგნი 4. გვ. 302.

²⁷⁶ ლეჟავა, ნ. შემდ. ბექიშვილი, ნ. რედ. ალჟირის” პატიმართა პორტრეტები:- სტალინიზმის ისტორიიდან, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი. 2008. გვ. 116.

²⁷⁷ ქავთარაძე ლ. 28 წელი გულაგში : მოგონებები, ესეი, მოთხრობები, წერილები, ავტორ-შემდგენელი გია ჭუბაბრია, გამომცემლობა: პეგასი : Memoria, 2008. გვ. 115.

ჯგუფთან კავშირს. კონსტანტინე გვარჯალაძე წერდა, რომ ბუდუ მდივანმა და შულავერის კომიტეტის სხვა „გმირებმა“ ხელი შეუწყვეს წითელი არმიის შემოსვლას. ეს ადამიანები ემხრობოდნენ ბოლშევიკურ დიქტატურას,²⁷⁹

1954 წლის 10 მაისს მალაქია ტოროშელიძის მეუღლე, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძემაც,²⁸⁰ დაწერა განცხადება, სადაც ითხოვდა მისი ქმრისთვის „ხალხის მტრის“ სახელის მოხსნასა და რეაბილიტაციას. მალაქია ტოროშელიძე დახვრიტეს 1937 წელს, ხოლო მისი მეუღლე 5 წლით გადაასახლეს ყაზახეთში.

მინადორა ტოროშელიძის თქმით, მისი მეუღლე 1936 წელს მოულოდნელად გაათავისუფლეს სამსახურიდან და გადაიყვანეს განათლების კომისარიატში. ის აღნიშნავს, რომ კომპარტიის ხაზი დარღვეული იყო და საჭირო იყო ამ მიმართულებით მუშაობა. იმ პერიოდში მ. ტოროშელიძე, როგორც ძველი ბოლშევიკი, მიზანმიმართულად გააგზავნეს ახალ თანამდებობაზე. სამსახურის დაწყებიდან მალევე მან მიიღო სამკურნალო საგზური კისლოვოდსკში, თუმცა დაბრუნების შემდეგ ლავრენტი ბერიამ, რომელიც მოგვიანებით „ხალხის მტრად“ გამოცხადდა, ტოროშელიძე დაიბარა და განუცხადა, რომ ის ექვმიტანილი იყო.

მინადორა ტოროშელიძის თქმით, მეუღლე ყოველთვის გრძნობდა მისადმი ლ. ბერიას ცუდ დამოკიდებულებას, რასაც ი. სტალინთან კარგი ურთიერთობით ხსნიდა. მ. ტოროშელიძეს სჯეროდა, რომ პარტია მას არ გასწირავდა. მალაქია ტოროშელიძემ წერილობით მიმართა თავის ბავშვობის მეგობარს სერგო ორჯონიკიძეს. რომელმაც დაამშვიდა და პირობა მისცა, რომ ლ. ბერია მას ვერ დააკავებდა.

როგორც ჩანს, სერგო ორჯონიკიძის ჩარევის შედეგად, შეჩერდა ბუდუ მდივანისა და სხვა ქართველი კომუნისტების წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო პროცესი.

დაკავებულთა წინააღმდეგ გაზეთებში არაფერი იწერებოდა, მათ სახელებსაც არ ახსენებდნენ. პროცესი საიდუმლოდ მიმდინარეობდა.

²⁷⁸ ბრძოლის ხმა - 1929-1939 საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, რომელიც გამოიცემოდა საფრანგეთში. რედაქტორი კონსტანტინე იაგორის ძე გვარჯალაძე.

²⁷⁹ გვარჯალაძე კ. ტერორი საქართველოში. ბრძოლის ხმა, ოქტომბერი (1937), N74, გვ.1 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/37029/1/Brdzolis_Xma_1937_N74.pdf გვ. 1.

²⁸⁰ მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე (1879-1967) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, მალაქია ტოროშელიძის მეუღლე, დააპატიმრეს 1936 წელს.

სერგო ორჯონიკიძის უეცარმა სიკვდილმა ბევრი კითხვა გააჩინა. ამბობდნენ, რომ ს. ორჯონიკიძე დაუპირისპირდა გ. ეჟოვსა და ი. სტალინს ქართველი კომუნისტების გამო და ამიტომ მოკლეს. ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა.²⁸¹ როდესაც ლავრენტი ბერიამ მინადორა ტოროშელიძის აქტიურობის შესახებ შეიტყო, დაემუქრა, რომ „მოხვდებოდა კბილებში“, რის შემდეგაც საქმის განხილვა უფრო დაჩქარდა.

ოქტომბრის თვეში მ. ტოროშელიძეს ჩამოართვეს პარტილეთი, რის გამოც მოითხოვა ახსნა-განმარტება და გამოითხოვა საქმე 4 ოქტომბერს. ხუთ დღეში ის დააკავეს. 13 ოქტომბერს დააკავეს მისი მეუღლე – მინადორა ტოროშელიძე. ის საკუთარ მოგონებებში მეუღლის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ იხსენებს: „მე დღემდე არ ვიცი, რაში ადანაშაულებდნენ მას! მე ვიცოდი, რომ დასაწყისში მას ბრალად სდებდნენ ფარულ ტროცკიზმს. მაგრამ ეს ბრალდება სიმართლეს არ შეესაბამება, რამდენადაც მას არ უყვარდა ტროცკი, ჯერ კიდევ 1904 წლიდან, როდესაც ტროცკი მე-2 ყრილობის შემდეგ არ მიემხრო არც ბოლშევიკებს და არც მენშევიკებს და საკუთარი თავი პარტიაზე მაღლა დააყენა. ალმაათაში გამომძიებელმა მითხრა, რომ ეს ბრალდება მოუხსნეს, მაგრამ შემდეგ რაში ადანაშაულებდნენ, აღარ უთქვამს. რაშიც არ უნდა დაედოთ მისთვის ბრალი, მე ვიტყვი, რომ მას იმდენად უყვარდა ლენინი, სტალინი და თავისი პარტია, რომ არ დაინანებდა არა მხოლოდ საკუთარი თავის შეწირვას, არამედ შვილებისასაც კი, რომლებსაც აღმერთებდა! მე ეს მომწონდა მასში იმიტომ, რომ თვითონაც არ მიყვარს არათანმიმდევრულობა.

მისი „უკლონიზმი“ ამხანაგებისადმი დათმობა იყო. მას მშვენივრად ესმოდა, რომ ფედერაცია აუცილებლობა იყო, რომ ქალაქ თბილისს იმწუთასვე საქართველოს დედაქალაქად გამოცხადებაც არ იყო შესაძლებელი. ეს მენშევიკებსაც კი ესმოდათ, როდესაც გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკის საკითხის განხილვისას, თბილისის სასახლეში ნათქვამი იყო, რომ მოგვიწევდა ქალაქ თბილისისა და ბაქოს თავისუფალ ქალაქებად გამოცხადება. მას ეს ყველაფერი

²⁸¹ წერილი საქართველოდან. ბრძოლის ხმა მაისი (1937), N71, გვ. 2.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/37023/1/Brdzolis_Xma_1937_N71.pdf

ესმოდა, მაგრამ მეგობრებს დაუთმო და ეს მისი სისუსტე იყო. სხვა “უკლონები“ მას არ ჰქონია. ის ინტერნაციონალისტი იყო.”²⁸²

იოსებ სტალინი ბუდუ მდივანს ახასიათებდა, როგორც „აფექტის კაცს“,²⁸³ რომელსაც ენა ერჩოდა და უჭირდა პარტიული დისციპლინის დაცვა. მისი იმპულსურობა და დაუკვირვებლობა იმაშიც ჩანდა, რომ 1921 წელს საქართველოს ტერიტორიული საზღვრების დადგენისას საქართველო-სომხეთს შორის ხელშეკრულებას ისე მოაწერა ხელი, რომ არც წაუკითხავს.²⁸⁴

1937 წლის 23 აპრილს საქმე აღიძრა გიორგი ელიავასთან²⁸⁵ დაკავშირებითაც. თავდაპირველად საქმე აღიძრა 58-6 მუხლით, გამოძიების პროცესში კი დაემატა 58-1, 58-8, 58-9, 58- 11.

1955 წელს ჩატარებულმა გამოძიებამ ვერ დაადგინა რა მასალის საფუძველზე დააკავეს ის. ორი თვის განმავლობაში დაკავებული არ დაუკითხავთ. 3-5 აპრილის დაკითხვის ოქმში, რომელიც დაბეჭდილი იყო მანქანაზე და ჰქონდა გ. ელიავას ხელმოწერა, ბრალდებული ამბობდა, რომ აღარ იქნებოდა ჩუმად და ალაპარაკდებოდა მისი ჯაშუშური საქმიანობის შესახებ.

გიორგი ელიავამ აღიარა, რომ 1918 წელს თბილისში გაიცნო საფრანგეთის სამხედრო მისიის ატაშე, კაპიტანი ნიკოლაი გასფელდი, რომელთანაც თანამშრომლობდა და აწვდიდა ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

1919 წელს ის გაემგზავრა პასტერის უნივერსიტეტში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, საიდანაც დაბრუნდა 1921 წელს. საფრანგეთის დაზვერვამ მას დაავალა აგენტურული ქსელის შექმნა, რომელისგანაც მიიღებდნენ ინფორმაციას ქვეყანაში არსებული მოვლენების შესახებ.

²⁸² დაკარგული ისტორია, მენსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ, რედ. ნინო ბექიშვილი, sovlab, თბილისი 2012, გვ.73-74.

²⁸³ ჩარკვიანი ვ. დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

²⁸⁴ კირთაძე ნესტან (ელისაბედ). 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი 1996, გვ. 425.

²⁸⁵ გიორგი გრიგოლის ძე ელიავა დაბადებული 1890 წლის 1 იანვარს ქ. ქუთაისში. მისი მეუღლე დაიბადა 1891 წლის 21 ოქტომბერს ქ. კიევში, 1903 წელს ჩააბარა პეტერბურგში იურიდიულ ფაკულტეტზე, 1904 წელს შევიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ჰყავდათ ორი შვილი გიორგი 13 წლის და ანა 11 წლის. გიორგი ელიავა იყო მედიცინის დოქტორი, ასწავლიდა თბილისის უნივერსიტეტში. ასევე იყო თბილისის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის დირექტორი. 1937 წელს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

გიორგი ელიავამ აღიარა, რომ 1924 წელს ჯამშუშური ქსელი ჰქონდა წითელ არმიას, საიდანაც იღებდა ინფორმაციას ჯარის მდგომარეობისა და ტექნიკის რაოდენობის შესახებ. მან „დაამუშავა“ საქართველოს დივიზიის პოლკოვნიკი ალექსანდრე მოსიძე, ფსევდონიმით „ამო“. ინფორმაციის მიღებისთვის ის 500-600 რუბლს უხდიდა.

გიორგი ელიავამ გამოძიებას 65 ადამიანი დაუსახელა, რომელიც მას გადაბირებული ჰყავდა საფრანგეთის სასარგებლოდ. დასახელებულთა უმრავლესობა გაასამართლა სამეულმა და მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა ან გადასახლება.

1925 წელს გიორგი ელიავა, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში არსებული საგამოძიებო მასალის მიხედვით, მეუღლესა და გოგონასთან ერთად ჩავიდა პარიზში. მან პასტერის უნივერსიტეტში მოისმინა ლექციები მიკრობიოლოგიაზე. დოკუმენტებში ნაჩვენებია, რომ მას 1925 წლის 6 ივნისს ჰქონდა მოსკოვში საფრანგეთის კონსულის მიერ გაცემული ვიზა. ის ყოველ თვე თბილისის უნივერსიტეტიდან იღებდა 1300 ფრანკს ლოიდ ბანკის მეშვეობით.

1925 წლის აგვისტოში გ. ელიავა ნებართვას ითხოვდა, მისთვის პარიზში ყოფნის დრო გაეგრძელებინათ 6 თვით. მას სურდა, დაესრულებინა სამეცნიერო კვლევა, რომელიც დაწყებული ჰქონდა პასტერის უნივერსიტეტში, მისი სურვილი იყო დასწრებოდა სამედიცინო ფაკულტეტის ლექციებს. გიორგი ელიავას საქმეში არის პასტერის უნივერსიტეტის დირექტორის დამხმარის, კალმეტ ალბერის ცნობა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მას ესაჭიროებოდა საფრანგეთში ცხოვრების ვადის გაგრძელება.²⁸⁶ გიორგი ელიავას თხოვნა არ დაკმაყოფილდა და ის იძულებული გახდა, საქართველოში დაბრუნებულიყო.

გერმანე მათითაშვილმა²⁸⁷ დაკითხვისას განაცხადა, რომ 1927 წელს ბუდუ მდივანს თხოვნით დაუკავშირდა ტროცკისტული სამუშაოსთვის, რათა წაეკითხა

²⁸⁶ საქართველოს შსს არქივი, ბუდუ მდივანის საქმე, ფონდი 6, საარქივო საქმე 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75. გვ. 6-8.

²⁸⁷ გერმანე გიორგის ძე მათითაშვილი - დაპატიმრებამდე მუშაობდა საქონსერვტრესტის დირექტორად. დააპატიმრეს 1936 წელს, დაკითხვაზე აღიარა, რომ მრეწველობის მიმართულებით ჩადენილი მავნებლობის შედეგად სახელმწიფო დააზარალა 12 000 000 მანეთით. დანაშაული აღიარა სასამართლო სხდომაზე. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა. 1955 წელს ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ გ. მათითაშვილის დაკითხვის ოქმებში გაურკვეველი ან

მოხსენება „ტროცკისტული ორგანიზაციის ამოცანასთან დაკავშირებით“. შეხვედრა გაიმართა კოლია ოკუჯავას სახლში, სადაც ბუდუ მდივანი თავად მიიყვანა. შეხვედრაზე ბ. მდივანმა ილაპარაკა, რომ სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ მოინახულა სტალინი, რომელიც მას არწმუნებდა „პარტიის სიმართლეში“. ბ. მდივანი დაჰპირდა, რომ გადახედავდა თავის ლ. ტროცკისტულ შეხედულებებს, მაგრამ ი. სტალინთან გამომშვიდობების შემდეგ ლ. ტროცკისთან წავიდა, რომელსაც ამ შეხვედრის დეტალები უამბო.

ლ. ტროცკის მიერ ბუდუ მდივანისათვის დასმული შეკითხვიდან, ხვდებოდა თუ არა მას ი. სტალინი ადრეულ პერიოდში, ირკვევა, რომ ბ. მდივანს სამჯერ ჰქონდა ი. სტალინთან შეხვედრის მცდელობა, თუმცა ყველა შემთხვევა უშედეგო იყო. რის საფუძველზეც ლ. ტროცკიმ დაასკვნა, რომ სტალინი ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა.²⁸⁸

გერმანე მათითაშვილის თქმით, აღნიშნული შეხვედრა არ ყოფილა ერთადერთი. ერთ-ერთი შეხვედრისას 1932 წელს ჩამოსული იყო ტროცკისტი ივანე სმიგლა.

სიმონ ჩიხლაძემ²⁸⁹ მის ჩვენებაში აღიარა, რომ ბუდუ მდივანისგან მას დავალებული ჰქონდა, „დაემუშაებინა“ ადამიანები კონტრრევოლუციური ორგანიზაციისთვის. მას ევალეობდა ტროცკისტული ჯგუფების ორგანიზება და ხელმძღვანელობა.²⁹⁰

არასწორი ჩვენებებია, ხშირ შემთხვევაში ოქმში არ იყო დასაბუთებული ჩვენებები. ქობულაძის წერილი, რომელიც მისი დაკავების საფუძველი გახდა ბუნდოვანია. გამოძიების შედეგად გამოიკვეთა, რომ გერმანე მათითაშვილის გამოძიება ჩატარდა უხეში დარღვევებით.

²⁸⁸ საქართველოს შსს არქივი, ბუდუ მდივანის საქმე, ფონდი 6, საარქივო საქმე 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75. გვ.139

²⁸⁹ სიმონ ალექსანდრეს ძე ჩიხლაძე - დაპატიმრებამდე მუშაობდა ჰიდროენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორად.1928-1930 წლებში გადასახლებული იყო ყაზახეთში კონტრ-რევოლუციური საქმიანობის გამო. ბრალად ედებოდა 1) ტროცკისტული ტერორისტული გუნდის წევრობა, რომელმაც 1934 წლის 1 დეკემბერს მოკლა კიროვი და 1934-1936 წლებში ამზადებდა სხვა მკვლელობებს. 2) იყო შპიონური ორგანიზაციის წევრი თბილისში. პირადად ხელმძღვანელობდა ტერორისტულ ჯგუფს სტალინის, ბერიას და ეჟოვის წინააღმდეგ.3) იზიარებდა ტროცკისტული ცენტრის დივერსიულ-მავნებლურ საქმიანობას და მუშაობდა ადამიანებს.4) აქტიურ მონაწილეობას იღებდა შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში, რათა გამოყოფილიყო საქართველო საბჭოთა კავშირის კაპიტალისტური სახელმწიფოს მიერ ინტერვენციის დროს. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა- დახვრეტა. წყარო - საქართველოს სსრ სახელმწიფო

²⁹⁰ საქართველოს შსს არქივი, ბუდუ მდივანის საქმე, ფონდი 6, საარქივო საქმე 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75. გვ. 38-43.

1937 წლის 12 დეკემბერს თბილისის ოპერის თეატრში ჩატარდა შეხვედრა მშრომელ ინტელიგენციასთან, სადაც ლ. ბერიამ ისაუბრა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ. ღონისძიებას დაესწრო 2000 მდე ადამიანი, მათ შორის იყვნენ: ა. ჯანელიძე, ი. ჯავახიშვილი, ი. ბერიტაშვილი, კ. ზავრიევი, ნ. კეცხოველი, ა. ალადაშვილი, შ. ნუცუბიძე, მ. ჭიაურელი, ე. ახვლედიანი და სხვები. შეხვედრაზე ლავრენტი ბერია ესაუბრა ინტელიგენციას და ყურადღება გამახვილა მის როლზე. მისი თქმით: „ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში ინტელიგენცია დიდ როლს თამაშობდა და არ ყოფილა არცერთი გაბატონებული კლასი, რომელსაც თავისი საკუთარი ინტელიგენცია არ ჰყოლოდეს. მარქსიზმმა გამოამჟღავნა და გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბურჟუაზიული იდეოლოგიების ცდა, განეხილათ ინტელიგენცია, როგორც განსაკუთრებული კლასი, ზე-კლასობრივი კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც, ვითომდა, მოწოდებული არიან ემსახურონ მთელი ხალხის ინტერესებს კლასების განურჩევლად. ჩვენში ძველი რევოლუციამდელი ინტელიგენციის ძირითადი მასა ემსახურებოდა მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ერთგულად იცავდა თავის მეპატრონეთა ინტერესებს. ძველი ინტელიგენციის კადრების დიდი უმრავლესობა გაბატონებული კლასებისა და წოდების წარმომადგენელთაგან შედგებოდა.“²⁹¹

ლ. ბერიას 1937 წლის ცნობილ გამოსვლამდე ქართულ მწერლობაში დიდი ბრძოლა იყო გამართული. მწერლობა უნდა დამდგარიყო მშრომელთა მხარეს და უნდა შეექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომელიც მშრომელთა კლასს განადიდებდა და წაახალისებდა. მწერლობას დაევალა გაეკრიტიკებინა ყველა, ვინც პარტიულ ხაზს არ იზიარებდა. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ე.წ. „ძველი“ მწერლები ბურჟუაზიის გადმონაშთად გამოცხადდა. ალექსანდრე სულავა²⁹² ილია ჭავჭავაძეზე წერდა, რომ მისი „მგზავრის წერილები“ ნაციონალისტური და რეაქციონური ნაწარმოებები იყო.²⁹³

²⁹¹ ქალაქ თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის საერთო-საქალაქო კრება - ამხ. ლავრენტი ბერიას სიტყვა. კომუნისტი, 1937 წლის 10 დეკემბერი. გვ. 2.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/285227/1/Komunisti_1937_N281.pdf

²⁹² ალექსანდრე სულავა - კრიტიკოსი.

²⁹³ კვერენჩილაძე რ. მწერალი და ცხოვრება (მარადიულ თემებთან დაბრუნება), თბილისი: უნივერსალი, 2016. გვ. 172.

ნაციონალიზმის მიმართ ასეთი დამოკიდებულება განპირობებული იყო იმით, რომ სოციალისტებს მიაჩნდათ, ნაციონალური კულტურა არ არსებობდა, ყველაფერი პირობითი იყო და დროთა განმავლობაში სოციალიზმის დახმარებით გაქრებოდა. საბოლოოდ პარტიულ მწერლობას იმის მტკიცება მოუწია, რასაც წარსულში უარყოფდა. ილია ჭავჭავაძის პიროვნებამ მრავალი იდეოლოგია მოირგო. მის ტექსტებს ხან ლიბერალური, ხან კონსერვატიული და ხანაც სოციალიზმის სახელით ფუთავდნენ.

ალექსანდრე სულავამ 1937 წელს გაზეთ „კომუნისტში“ ილიას ქართული კრიტიკული რეალიზმის მამამთავარი უწოდა. ის წერდა: „ეს ბრწყინვალე პიროვნება, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ყველაზე პოპულარული საზოგადო მოღვაწე პირველად პოულობს ღირსეულ და ჯეროვან დაფასებას ჩვენს დროში- სტალინური ეპოქის ბრწყინვალე პირობებში“.²⁹⁴

სისტემამ არ დაინდო არცერთი პიროვნება, რომელმაც წარსულში გააკრიტიკა ბოლშევიკების საქართველოში შემოსვლა ან მათი პოლიტიკური მრწამსი. მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები ცდილობდნენ, პარტიისათვის დაემტკიცებინათ ერთგულება საკუთარი თავის საჯაროდ გაკიცხვითა და ბელადის ქებით.

1934 წელს ნიკოლო მიწიშვილმა ი. სტალინს ლექსი მიუძღვნა, სადაც ავტორი ხაზს უსვამდა ბელადის ძლიერებას და მადლიერებას გამოხატავდა მის მიმართ. თუმცა ამან არ უშველა და 1937 წელს დახვრიტეს.

1937 წლის მარტში ჩატარდა მწერალთა აქტივის კრება, რომელზეც დიდი კამათი გამოიწვია იმ დროისთვის საქართველოს განათლების სახალხო კომისარ აკაკი თათარიშვილის მოხსენებამ, სადაც ის მწერლებს ბრალს სდებდა შეცდომების არაღიარებისათვის.

მიხეილ ჯავახიშვილისგან პარტიას მეტი მოლოდინი ჰქონდა, რაც მწერალმა არ გაამართლა. მკაცრად გააკრიტიკეს მისი ნაწარმოებები: „რკინის საცერი“, „ცხრა ქალწული“, „ქალის ტვირთი“ .

²⁹⁴ სულავა ალ. „ქართული კრიტიკული რეალიზმის მამამთავარი“, კომუნისტი, 9(1937), N 104, გვ. 3. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/335238/1/Komunisti_1937_N104.pdf

რამდენიმე თვეში მწერალთა სასახლეში გამართულ მწერალთა საერთო კრებაზე მწერლებმა ერთხმად დაგმეს მამია ტოროშელიძე და მისი მავნებლურ-კონტრრევოლუციური მუშაობა, რადგან მან მწერალთა საკავშირო ყრილობაზე აიძულა საქართველოს მწერალთა დელეგაციის წევრები, სოლიდარობა გამოეცხადებინათ ბუხარინის პოზიციისათვის პოეზიის საკითხებთან მიმართებით.

პარტიულ კრებაზე აკაკი თათარიშვილმა გააკრიტიკა კონსტანტინე გამსახურდია, რეზო კალაძე, ბ. ბიბინეიშვილი და მიხეილ ჯავახიშვილი იმ მიზეზით, რომ ისინი არ წერდნენ ბევრ თვითკრიტიკულ წერილს. ა. თათარიშვილის შეფასებით, ისინი სხვების კრიტიკით იყვნენ დაკავებულნი. იგი მიუთითებდა, რომ ეს მწერლები ავრცელებდნენ მცდარ შეხედულებებს, რაც ეწინააღმდეგებოდა პარტიის დადგენილ მიმართულებას.

1937-1938 წლებში დახვრიტეს გაკრიტიკებულ მწერალთა უმრავლესობა, ისევე როგორც მათი კრიტიკოსები. 1937 წლის 14 ნოემბერს აკაკი თათარიშვილსაც მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. მას ბრალად წაუყენეს საქართველოს მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური, ტერორისტული და მავნებლურ-დივერსიული ორგანიზაციის წევრობა და ხელმძღვანელობა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ის მავნებლურ საქმიანობას ეწეოდა ფინანსური მეურნეობისა და კულტურის მიმართულებით.²⁹⁵

ბოლშევიკების შეხედულებით, საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა საუკეთესო პირობები თავისუფალი ადამიანის შემოქმედებითი განვითარებისათვის. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ინტელიგენციის როლის ტრანსფორმაციაზე. ინტელიგენციის უმრავლესობა მშრომელთა ფენებიდან იყვნენ. ინტელიგენციას დაეკისრა არა მაღალი ფენების, არამედ მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა.

ლავრენტი ბერია მკაცრად აკრიტიკებდა ქართული ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც, მისი შეფასებით, ინარჩუნებდა მემამულურ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ტრადიციებს. მათი კულტურული და პოლიტიკური ორიენტაცია მიმართული იყო კაპიტალისტური ქვეყნებისკენ, რაც წარმოჩნდა მენშევიკებისადმი სიმპათიასა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობაში. ლ. ბერიას აზრით,

²⁹⁵ აკაკი სამსონის ძე თათარიშვილი - ბიოგრაფია [https://ge.openlist.wiki/თათარიშვილი_აკაკი_სამსონის_ძე_\(1897\)](https://ge.openlist.wiki/თათარიშვილი_აკაკი_სამსონის_ძე_(1897)) (საიტზე წვდომის თარიღი 22.10.2023)

ინტელიგენციის არასწორი საქმიანობის შედეგი იყო 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყება.

ლავრენტი ბერიამ გიორგი ელიავას, გრიგოლ წერეთელს, გიორგი ლეონიძეს, სანდრო ახმეტელს, მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს, სეით დევდარიანსა და სხვებს ფაშისტური“ ოხრანკის აგენტები“, მოლალატეები და გამცემლები უწოდა: „თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მტრები კიდევ დარჩნენ, რათა განაგრძონ ფარული ძირგამომთხრელი მუშაობა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ დიდი სტალინის ბრძნული მითითებები, რომ ვიდრე არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენში გამოგზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, მავნებლებს“.²⁹⁶

დაკავებულ მიხეილ ჯავახიშვილს ციხეში აწამებდნენ. დაკითხვის დროს ის იძულებული გახდა ელიარებინა, რომ იყო ქართველ კონტრევოლუციონერ მწერალთა სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი.²⁹⁷ იგივე ბედი გაიზიარა ტიციან ტაბიძემაც. მასაც მოუწია ელიარებინა ორგანიზაციის წევრობა და სხვადასხვა მწერლების გადაბირების მცდელობა.

საქველტრესტის მმართველის, მოსე სიმონის ძე ვარამაშვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ცნობა 1937 წლის 16 მაისის გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა.²⁹⁸ 17 მაისს ის დააკავეს. გამოძიების მიხედვით, მ. ვარამაშვილმა ტრესტში დანერგა ორმაგი დაგეგმვის სისტემა, რომლის მიზანიც იყო წარმოების არარეალური მაჩვენებლების შექმნა. კერძოდ, ოფიციალურად წარმოდგენილ გეგმაში ასახული იყო გადამეტებული დაგროვების მონაცემები, რაც არსებითად არ შეესაბამებოდა რეალურ ეკონომიკურ ვითარებას. ამ გზით იგი ცდილობდა დაემახინჯებინა წარმოების ეფექტიანობის ინდიკატორები და შეექმნა მოჩვენებითი წარმატების შთაბეჭდილება.

ტრესტი არ ზრუნავდა პროდუქტის ხარისხზე, არ ხდებოდა საწარმო კონტროლი. გაუმართავი სისტემის გამო ქარხანაში გაფუჭდა უმაღლესი ხარისხის 129 847 კგ. კარაქი. ბრალდება მ.ვარამაშვილს ედავებოდა თანხის არამიზნობრივ

²⁹⁶ ქალაქ თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის საერთო-საქალაქო კრება. კომუნისტი, 1937 წლის 10 დეკემბერი. გვ. 2. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/285227/1/Komunisti_1937_N281.pdf

²⁹⁷ Смирнов Н.Г. РАПАВА, БАГИРОВ И ДРУГИЕ. Антисталинские процессы 1950-х гг. Москва: Аиро-XXI, 2014. გვ. 58.

²⁹⁸ სახელმწიფო დისციპლინის უაღრესად უხეში დარღვევა. კომუნისტი, 1937 წლის 16 მაისი. გვ. 2. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/335244/1/Komunisti_1937_N110.pdf

ხარჯვას: ადმინისტრაციულ-სამმართველო ხაზით დაიხარჯა-102 ათასი მანეთი, ხელფასის ფონდიდან-296 736 მან, ხოლო საერთო საქარხნო ხაზიდან 184 ათასი მანეთი იყო დახარჯული.

ტრესტის მმართველმა უკანონოდ შექმნა დირექტორის ფონდი. 24 ათასი მანეთი დაიხარჯა თანამშრომელთა ბინების ყიდვასა და შეკეთებაზე, 7 ათასი მანეთი მან თავისი ბინის რემონტისათვის დახარჯა..

43 ათასი მანეთი დაიხარჯა საქყველტრესტის ზოგიერთი თანამშრომლის პრემიაზე, დახმარებასა და ჯილდოზე. 1936 წელს სახელმწიფოს მიაღება 300 ათას მანეთზე მეტი ზარალი.

დახურული სასამართლო პროცესის მიხედვით, მოსე ვარამაშვილს ბრალად ედებოდა კონტრევოლუციური საქმიანობა. ბრალდებულმა დაამტკიცა გამოძიების ჩვენებები და აღიარა დანაშაული. 1937 წლის 12 ივლისს მას მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა. დანაშაულის ნიშნების არქონის გამო 1957 წლის 27 აპრილს მოსე ვარამაშვილის საქმეზე მიება შეწყდა.²⁹⁹

მიხეილ ანასტას ძე მკურნალი 1905 წლიდან იყო გურიის ბოლშევიკური პარტიის წევრი. 1909 წელს მეფის მთავრობის მიერ იყო დევნილი. 1916 წელს ბაქოში დაარსდა პროფკავშირი, რომელსაც ჰყავდა 1700 წევრი მ. მკურნალი იყო ამ კავშირის თავმჯდომარე. 1917 წელს ჩატარებულ პარტიულ ყრილობაზე ის აირჩიეს ამიერკავკასიის დელეგატად. 1919 წლიდან არალეგალურად მუშაობდა გურიაში და აწყობდა კომუჯრედებს. მიხეილ მკურნალმა ოზურგეთში მოაწყო მიტინგი, რის გამოც მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა და გადააგზავნა მეტეხის ციხეში სადაც, ის იყო 1920 წლამდე. მ. მკურნალი გურიაში დაბრუნდა 1920 წლის ბოლოს. ის აირჩიეს გურიის კომიტეტის თავმჯდომარედ. 1921 წლიდან მუდმივად მსახურობდა საბჭოთა სხვადასხვა ორგანოებში.

საგამოძიებო მასალების მიხედვით, მ. მკურნალი 1926 წელს ჩაერთო ტროცკისტულ ოპოზიციურ მოძრაობაში და აქტიურად ეწინააღმდეგებოდა პარტიის პოლიტიკას. თუმცა, არსებული დოკუმენტაციის მიხედვით, მან მალევე დატოვა

²⁹⁹ მოსე სიმონის ძე ვარამაშვილი - მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა 1937 წლის 11 ივლისს, 1957 წლის 27 აპრილს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მისი დახვრეტა სცნო უსაფუძვლოდ.

ტროცკისტული ჯგუფი და ოფიციალურად ჩამოშორდა ოპოზიციურ საქმიანობას. მიხეილ მკურნალი პარტიულ შეკრებებზე ააშკარავებდა კონტრრევოლუციონერებს დახურულ კრებებზე. ის მტკიცედ ასრულებდა პარტიის დავალებებს. აქტიურად იყო ჩართული ტროცკისტული ელემენტების გამომშკარავების საქმეში.

მ. მკურნალმა ხელი შეუწყო გურიაში ცნობილ ტროცკისტ ალექსანდრე მგელაძის გამომშკარავებას.³⁰⁰

1928 წელს მიხეილ მკურნალი გაათავისუფლეს პროკურორის თანამდებობიდან. მას ბრალად ედებოდა თავისი ცოლის ძმის სასამართლო პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლება და მომჩივანის დაშინება.³⁰¹

1929 წლის 5 დეკემბერს მახარაძის რაიონული პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ჩატარდა ჩხრეკა მიხეილ მკურნალის საცხოვრებელ ბინაში. როგორც დოკუმენტებშია აღნიშნული, მას საყვედური გამოუცხადეს პარტიული ხაზიდან გადახრის, პროტექციონიზმის გამოვლინებისა და ოჯახის წევრის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობის გამო.

1936 წელს მიხეილ მკურნალი გარიცხეს პარტიიდან. 1937 წლის სექტემბერში, სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, მიხეილ მკურნალს არალეგალურ ორგანიზაციაში მონაწილეობისთვის სასჯელის უმაღლესი ზომა განესაზღვრა. თუმცა, წარდგენილი პროტესტის შემდეგ, სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდება მტკიცებულებებს იყო მოკლებული და იგი დაუსაბუთებლად იყო გასამართლებული.³⁰²

1937 წლის 9 მაისს გაასამართლეს დავით ისიდორეს ძე რუხაძე³⁰³, რომელიც 1903 წლიდან იყო სკკპ წევრი. სამოქალაქო ომის დროს მან გამოიჩინა თავდადება. დ. რუხაძე იყო რევკომის თავმჯდომარე, ქ. თბილისის მაუდის ფაბრიკის დირექტორი. ის აქტიურად იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთვის. იყო ესენტუკის საქალაქო საბჭოს პირველი თავმჯდომარე.

³⁰⁰ საქართველოს შსს არქივი, ფონდი 14, აღწ. 9, საქმე 119, გვ. 127-128. პარტიული კომუნისტების დოკუმენტების შემოწმება, მახარაძის რაიონული ორგანიზაცია 1935-1936 წწ.

³⁰¹ საქართველოს შსს არქივი, მიხეილ ანასტას ძე მკურნალის საქმე, ფონდი 16, აღწ. 12, საქმე 83

³⁰² საქართველოს შსს არქივი, ფონდი 14, საქ. 177, აღწ. 33. გვ. 22.

³⁰³ დავით ისიდორეს ძე რუხაძე - მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, რეაბილიტაციის შესახებ მოთხოვნა შეიტანა ძმის შვილმა კლიმენტი სევერიანეს ძე რუხაძემ 1984 წლის 15 მაისს.

დავით რუხაძე დააკავეს 1936 წლის 26 ოქტომბერს ვ. ი. მინდიაშვილის, ს. გ. კალანდაძის, მ. გ. ჟორჯოლიანისა და ბ. მდივანის ჩვენებების საფუძველზე. ბრალდებულმა დ. რუხაძემ არ სცნო თავი დამნაშავედ. ის გაასამართლეს 58-1 (ა), 58-8, 58-11 მუხლით და 1937 წლის 25 ივლისს მიუსაჯეს დახვრეტა, ქონების სრული კონფისკაციით.³⁰⁴

დავით რუხაძის საქმესთან დაკავშირებით დააკავეს გერმანე კონსტანტინეს ძე კვაჭაძე³⁰⁵. 1929 წლის 5 იანვარს ოგპუს განსაკუთრებული დადგენილების თანახმად, კონტრრევოლუციური აგიტაციის ბრალდებით 3 წლით შუა აზიაში გადაასახლეს. ამავე ორგანოს დადგენილებით, მას გადასახლების ვადა გაუგრძელდა 2 წლით. 1936 წლის 14 ივლისს ნკვდს დავალებით დააპატიმრეს და შეუფარდეს ხუთწლიანი პატიმრობა. დავით რუხაძეს 1938 წლის პირველ მარტს სამეულის გადაწყვეტილებით არხანგელსკში მიუსაჯეს დახვრეტა, რადგან სისტემურად მოუწოდებდა მისჯილებს, უარი ეთქვათ სამუშაოზე და ეშიმშილათ.³⁰⁶

გიორგი დავითის ძე კურილოვი³⁰⁷ პარტიიდან გარიცხეს დავით რუხაძის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებული გარემოებების გამო. ის მუშაობდა სახალხო კომისრად თბილისის ადგილობრივ წარმოებაში. დადგენილების მიხედვით, ბრალდებული 1933 წელს იყო კონტრრევოლუციური და ქართული ნაციონალური ცენტრის ჯგუფის წევრი, ხელმძღვანელობდა დივერსიულ-მავნებლურ ორგანიზაციას და შედიოდა გიორგი კურილოვი იყო ჯამში. ბრალდების საფუძველს წარმოადგენდა მისი საკუთარი აღიარებითი ჩვენება, რომლის მიხედვითაც იგი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის საქმიანობაში 1934 წლიდან იყო ჩართული ვ. ა. ჭიჭინაძის დახმარებით. ის 1935 წელს ჭიჭინაძის მიერ იყო „დამუშავებული“ გერმანული დაზვერვისათვის.

გ. კურილოვმა თავის ჩვენებაში აღიარა, რომ საქართველოში ბ.მდივანის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებდა ე.წ. „ნაციონალური ცენტრი“, რომელშიც

³⁰⁴ საქართველოს შსს არქივი, ფონდი 6, საარქივო N. 36 216-07, საქმე 29 990.

³⁰⁵ გერმანე კონსტანტინეს ძე კვაჭაძე - მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, რეაბილიტირებულ იქნა 1958 წლის 29 ოქტომბერს.

³⁰⁶ საქართველოს შსს არქივი, ფონდი 6, საარქივო N 28526, საქმე 3584-58.

³⁰⁷ გიორგი დავითის ძე კურილოვი - მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, რეაბილიტირებულ იქნა 1958 წლის 9 დეკემბერს.

შედიოდნენ: ვ.ა. ჭიჭინაძე, გ.ლორთქიფანიძე, ა.ქარცივაძე, პ.აღნიაშვილი.³⁰⁸ გ. კურილოვის კონტრევიოლუციონერობა დაადასტურეს სხვა საქმეზე დაკავებულმა პირებმაც: ნ. ი. ბახტაძემ, ლ. ქეზურამ,³⁰⁹ ს. კუხალიაშვილმა³¹⁰, ა. მიქაძემ, ვ. მეტონიძემ და სხვებმა.

გამოძიების მასალების მიხედვით, ვ. ჭიჭინაძე წლების განმავლობაში იყო გერმანიის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების დაზვერვის სამსახურთან დაკავშირებული. იგი სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას საბჭოთა კავშირის შესახებ და ხელს უწყობდა მოქალაქეთა გადაბირებას.

თუმცა, 1955 წელს საქმეების ხელახალი გადახედვისას გამოძიებამ დაადგინა, რომ თავდაპირველი ჩვენებები იყო ბუნდოვანი და ფაქტობრივად დაუსაბუთებელი. საგამოძიებო ოქმებში არ იძებნებოდა მყარი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა ბრალდებებს.

ს. ქობულაძის წერილი, რომელიც თავდაპირველად ვ. ჭიჭინაძის დაკავების საფუძვლად ითვლებოდა, სამართლებრივად გაუგებარი აღმოჩნდა. გარდა ამისა, გამოძიების პროცესში გამოიკვეთა, რომ ლავრენტი ბერია მნიშვნელოვან გავლენას ახორციელებდა საგამოძიებო პროცესზე, პირადად ესწრებოდა დაკითხვებს და გამომძიებლებისგან მკაცრად მოითხოვდა ფიზიკურ ძალადობას. საბოლოოდ, არ დადასტურდა გ. კურილოვის, ა. მიქაძის, ვ. მეტონიძისა და სხვა პირების ბრალეულობა.³¹¹

1956 წლის 29 სექტემბერს სასამართლო კოლეგიამ განიხილა გენერალური პროკურორის მიმართვა, რომელიც 1937 წლის 9 ივლისს უმაღლესი სასამართლოს მიერ იყო გამოტანილი მიხეილ ოკუჯავას, ბუდუ მდივნის, ს. ი. ქავთარაძე და სხვათა დახვრეტასთან დაკავშირებით. დამატებით ჩატარებული გამოძიების შედეგად საქართველოს პროკურატურის მასალების ხელახალი შესწავლის შედეგად

³⁰⁸ პეტრე სიმონის ძე აღნიაშვილი - მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა 1937 წლის 12 ივლისს- რებილიტირებულ იქნა 1956 წლის 28 ივლისს.

³⁰⁹ ლეონტი სტეფანეს ძე ქეზურია - მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა 1937 წლის 14 ივლისს, 1956 წლის 28 ივლისს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მისი დახვრეტა სცნო უსაფუძვლოდ.

³¹⁰ სევერიონ ილარიონის ძე კუხალიაშვილი - 1937 წლის 12 ივლისს სამხედრო კოლეგიის დადგენილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა 1957 წლის 5 იანვარს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მისი დახვრეტა სცნო უსაფუძვლოდ.

³¹¹ საქართველოს შსს არქივი, ფონდი 6, საარქივო N 36 216-07, საქმე 29 990.

დადგინდა, რომ რიგი სისხლის სამართლის საქმეების წარმოება ხორციელდებოდა ლ. ბერიას, ს. ქობულოვის, ს. გოგლიძის, სავიციის, კრიმიანოვისა და კაზანოვის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული ჯგუფის მიერ. გამოძიების პროცესში ფართოდ გამოიყენებოდა უკანონო საგამოძიებო მეთოდები, მათ შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, წამება, იძულებითი აღიარებითი ჩვენებების მიღება და ფაქტობრივი მტკიცებულებების ფალსიფიკაცია.

სისხლის სამართლის დოკუმენტებში არ იძებნება მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა ბრალდებულთა დანაშაულებრივ ქმედებებს. აღნიშნული პრაქტიკა გამოიყენებოდა „ძველი“ ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელთა პოლიტიკური შეხედულებები ლ. ბერიას ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

მ. კახიანის ჩვენების თანახმად, ბრალდებული მიხეილ ოკუჯავა ექვემდებარებოდა საგამოძიებო პროცესში ძალადობრივ ზეწოლას. როგორც ჩანს, წამების შედეგად იგი მძიმე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყო, რის გამოც მზად იყო. ხელი მოეწერა ნებისმიერ დოკუმენტზე, ცარიელ ფურცელზეც კი. მიხეილ ოკუჯავას მძიმე ფიზიკურ და ფსიქოლოგიური მდგომარეობას ლავრენტი ბერია ცინიკურად აფასებს ი. სტალინისადმი მიწერილ წერილში.

1956 წელს ჩატარებულმა გამოძიებამ დაადგინა, რომ საქართველოში არ არსებობდა არანაირი ტროცკისტულ-კონტრევოლუციური მოძრაობა. დაკავებულების მიმართ ჩვენების მისაღებად იყენებდნენ წამების მეთოდებს. ლ. ბერია ხშირად ესწრებოდა დაპატიმრებულთა დაკითხვებს და უბრძანებდა გამომძიებლებს, ეცემათ მსჯავრდებული.³¹²

ლიზიკო ქავთარაძე თავის მოგონებებში წერდა, რომ ნესტორ ლაკობას მეუღლეს დიდი ხნის განმავლობაში აწამებდნენ 15 წლის შვილის თანდასწრებით, შემდეგ დედის დასანახად აწამეს მისი შვილიც.³¹³

იოსებ ირემაშვილი მოგონებებში ამტკიცებდა, რომ ქართველი ბოლშევიკების მიზანი თავდაპირველად დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის შექმნა იყო. ამ იდეას რუსეთთან ბოლშევიკური მსოფლმხედველობის გარდა საერთო არაფერი

³¹² საქართველოს შსს არქივი ბუდუ მდივანის საქმე, ფონდი 6 საარქივო საქმე 36224, საქმე 29986, ტ. 5.

³¹³ ქავთარაძე, ლიზიკო. 28 წელი გულაგში : მოგონებები, ესეი, მოთხრობები, წერილები, ავტორ-შემდგენელი გია ჭუბაბრია, გამომცემლობა: პეგასი : Memoria, 2008. გვ. 127.

ჰქონდა, რადგან ქართველებისათვის სამშობლოს დამოუკიდებლობა ყველაზე სანუკვარი მიზანი იყო.³¹⁴

სამწუხაროდ, ე.წ. „ნაციონალური გადახრის“ (ე.წ. „უკლონის“) საკითხი საქართველოში დღემდე არასაკმარისად არის გაანალიზებული. იკვეთება მკვლევართა ტენდენცია, რომ აღნიშნული პოლიტიკური ჯგუფები წარმოაჩინოს, როგორც ეროვნული ინტერესების დამცველი. ამგვარი შეფასება არ შეესაბამება ისტორიულ რეალობას. ე.წ. „უკლონისტების“ მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები, როგორც დოკუმენტური წყაროები მოწმობს, ძირითადად ეფუძნებოდა ცენტრის მიერ გაცემულ ინსტრუქციებს და არ ასახავდა ავტონომიური რესპუბლიკების ეროვნული პოლიტიკის ნიშნებს.

³¹⁴ ირემაშვილი, იოსებ. სტალინი და საქართველოს ტრაგედია. უცნობი ირემაშვილი, რედ. კუხიანიძე დარეჯან, თბილისი: შპს ფავორიტი, 2006. გვ. 77.

§ 3.4. ნესტორ ლაკობა საბჭოთა პოლიტიკურ კონტექსტში: 1930-იანი წლების მოვლენები აფხაზეთში

1936 წლის 28 დეკემბერს, დილის 4 საათზე, თბილისში გულის ანგინის შეტევით გარდაიცვალა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი, აფხაზეთის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნესტორ ლაკობა. ის დაჯილდოებული იყო მედლებით სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგში წარმატებისათვის. გაზეთ „კომუნისტის“ იუწყებოდა, რომ მას განსაკუთრებული წარმატება კონტრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჰქონდა.³¹⁵

საბჭოთა ლიდერების სიკვდილის შესახებ ინფორმაციას „კომუნისტის“ ფურცლებზე ყოველთვის დიდი გამოხმაურება მოჰყვებოდა ხოლმე, ნ. ლაკობას შემთხვევაში კი პარტიამ ზომიერება გამოიჩინა. საერთო სამძიმრის წერილი ლ. ბერიას სახელით გამოქვეყნდა.

სამძიმრის წერილში საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და სსრ სახალხო კომისართა საბჭომ გამოაქვეყნა დადგენილება, სადაც ნათქვამი იყო იმის თაობაზე, რომ ნ. ლაკობას სახელი მიენიჭა ქ. თბილისის საფერმენტაციო ქარხანას, თბილისის 38-ე სკოლას, სახელი გადაერქვა ბრძოლის ქუჩას. საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტსა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტების 5-5 აფხაზ სტუდენტს დაენიშნა ლაკობას სახელობის სტიპენდია. ნ. ლაკობას სახელი ეწოდა ქალაქ გუდაუთას. გადაწყვეტილებას ხელს აწერდნენ: ფ. მახარაძე, გ. მაგალობლიშვილი და თ. ჟღენტა.³¹⁶

წლების განმავლობაში აფხაზეთში არსებულ პრობლემებზე არ საუბრობდნენ. კოლექტივიზაციის ხარვეზებზე დიდი ყურადღება არ მახვილდებოდა. მიუხედავად მოწინავე კოლმეურნეობებისა და ოფიციალური სტატისტიკით დაფიქსირებული მიღწევებისა, აფხაზეთში სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულმა პრობლემებმა ნ. ლაკობას გარდაცვალებამდე მნიშვნელოვანი რეზონანსი ვერ ჰპოვა.

³¹⁵ აშხ. ნესტორ ლაკობა, მთავრობის ცნობა. კომუნისტი, 29 (1936), N 301, გვ. 1.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/338326/1/Komunisti_1936_N301.pdf

³¹⁶ იქვე.

სხვა რეგიონებთან შედარებით კოლექტიური მეურნეობების მონაწილეთა რაოდენობამ იკლო და ხარისხი გაუარესდა. აფხაზეთისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარგი იყო თამბაქოს წარმოება.

1929 წლისათვის ჰექტარზე მოსავალი უდრიდა 6,9 ცენტნერს, 1930 წლისათვის- 4,6 ც., 1931 წლისათვის - 3,7.³¹⁷

კოლექტივიზაციის პროცესი აფხაზეთში განსაკუთრებული სირთულეებით წარიმართა. გამოვიდა არაერთი დეკრეტი და დეკლარაცია, ხოლო პრესაში რეგულარულად იბეჭდებოდა მასალები რეგიონის ეკონომიკური ჩამორჩენის შესახებ. პარტიულ წრეებში კრიტიკის მთავარი საგანი იყო როგორც კოლექტივიზაციის, ისე „გაკულაკების“ დაბალი მაჩვენებელი. მიუხედავად ამისა, ნესტორ ლაკობას პოზიციები უცვლელი რჩებოდა, რაც ხშირად უკავშირდებოდა მის ახლო ურთიერთობებს სტალინთან და სერგო ორჯონიკიძესთან.

ნ. ლაკობა და ლ. ბერია თავდაპირველად ერთმანეთს ანგარიშს უწევდნენ. ნ. ლაკობა, რომელსაც სტალინთან გავლენიანი პოზიცია ჰქონდა, ხელს უწყობდა ლ. ბერიას კარიერულ აღმასვლას, ხოლო ლ. ბერია თავის, მხრივ, არ რეაგირებდა აფხაზეთში არსებულ მდომარეობაზე. გასაბჭოების პირველ წლებში აფხაზეთი ხშირად მოქმედებდა დამოუკიდებლად და არ ითვალისწინებდა საქართველოს ცენტრალური სტრუქტურების გადაწყვეტილებებს.

1921 წელს ნ. ლაკობამ საკუთარი გარემოცვის წევრები დაასაქმა ადგილობრივ ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, რაც დაპირისპირების მიზეზად იქცა აფხაზ აქტივისტებსა და თბილისიდან ჩამოსულ პარტიულ კადრებს შორის. წინააღმდეგობამ პრესის ფურცლებზეც გადაინაცვლა გაზეთებში სრულად ქვეყნდებოდა ერთი ჯგუფის განცხადებები, ხოლო მეორე მხარის პოზიცია იგნორირებული იყო.

1922 წლის 10 თებერვლის ობკომის სხდომაზე ნიკოლოზ ბახტაძემ³¹⁸ განაცხადა, რომ მისი მოკვლის მცდელობის გამო აფხაზეთში მუშაობა შეუძლებელი

³¹⁷საბჭოთა აფხაზეთი, კომუნისტი. 9 (1934), N 8, გვ. 3.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334506/1/Komunisti_1934_N8.pdf

³¹⁸ ნიკოლოზ ბახტაძე - აფხაზეთის ჩეკას თავმჯდომარე.

იყო. რაზეც ე. ეშბამ ბრალი თავად ნ. ბახტაძეს დასდო.³¹⁹ პრეტენზიები ადგილობრივი პარტიული სტრუქტურების მუშაობის მიმართ იზრდებოდა, თუმცა ცენტრის მხრიდან შესაბამისი რეაგირება არ მოჰყვებოდა.

1931 წლის იანვარში პარტიამ მკაცრად მოითხოვა დაწესებული ნორმებისა და გეგმის შესრულება. პარტიული აქტივისტები რეგიონებში აგიტაციისათვის გაიგზავნენ, თუმცა უშედეგოდ. თებერვალში ლიხნში, ლაკობას სოფელში, დემონსტრაციები დაიწყო, მიტინგი რამდენიმე დღე გრძელდებოდა, რამაც მკვლევარ ტიმოთი ბლოვერტის თქმით, ისეთი გამოხმაურება გამოიწვია, რომ 26 თებერვალს აფხაზეთში საქართველოს ცეკას მდივანი იასონ მამულია და ლავრენტი ბერია ჩავიდნენ. დემონსტრანტები ნ. ლაკობასგან აფხაზეთის თურქეთთან შეერთებას ითხოვდნენ,³²⁰ თუმცა ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი გაზეთებში არ გაჟღერებულა. „კომუნისტში“ აფხაზეთში დემონსტრაციების შესახებ ინფორმაცია არ გაშუქებულა.

1937 წელს, როდესაც ნ. ლაკობას გუნდი დააკავეს, წაყენებულ ბრალდებებში ამ აჯანყების მოწყობის მცდელობაც დააბრალეს.

1937 წლის 30 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე სოხუმში ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალური სხდომა, რომლის თავმჯდომარე იყო ტარასი თეიმურაზის ძე ანთია, წევრები: თეიმურაზ ჭიჭიკოს ძე ბგანკა, კონსტანტინე ტრიფონის ძე ქოიავა, მიხეილ გაბრიელის ძე წურწუმია. ბრალმდებელი იყო ვლადიმერ იაკობის ძე შონია, რომელიც შემდეგ დააკავეს ე. წ. „მეგრელთა საქმეზე“.

იმ დროს, როდესაც ხელისუფლება ააშკარავებდა ხალხის მტრებს, გამოძიებამ დაადგინა, რომ აფხაზეთშიც აღმოჩნდა დივერსიული ჯგუფი, რომელიც ცდილობდა ტროცკისა და ქართველი „ნაციონალ-უკლონისტების“ დახმარებით ეკონომიკის განვითარების შეფერხებას და ეწინააღმდეგებოდა კოლექტივიზაციას.

1937 წლის 30 ოქტომბერს დაიწყო აფხაზეთის ჯამშუმურ-ტერორისტული ორგანიზაციის გასამართლება. გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით, 1932 წელს ლაკობას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ტერორისტული ჯგუფი. მათ კავშირი დაამყარეს

³¹⁹ ბლაუველტი, ტ. კლიენტალიზმი და ეროვნება ნესტორ ლაკობას საბჭოთა აფხაზეთში. თბილისი : 2023. გვ. 60.

³²⁰ Blauvelt Timothy. Abkhazia: Patronage and Power in the Stalin Era, Nationalities Papers, Volume 35, Issue 2, May 2007. გვ. 212.

ტროცკისა და ქართველ უკლონისტებთან. 1930 წელს ნ. ლაკობა დაუკავშირდა ბესო ლომინაძეს და 1931 წელს მოსკოვში ყოფნისას ორჯერ ინახულა. ამ ურთიერთობის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. ისინი მავნებლურ მუშაობას ეწეოდნენ აფხაზეთის სახალხო მეურნეობაში, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს, აწყობდნენ აჯანყებებს და ჩართული იყვნენ ჯამბუშურ საქმიანობაში ერთ-ერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს სასარგებლოდ.

გ. მ. სანგულიას ჩვენების მიხედვით, 1931 წლის ადრე გაზაფხულზე ნესტორ ლაკობამ თავის ბინაზე დაიბარა ანტისაბჭოურად განწყობილი კულაკები გუდაუთიდან, რომლებსაც დაავალა, მოეწვიათ „ავტორიტეტული“ გუდაუთელი გლეხები. მათ დაევალათ პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ დაგეგმილი აქტიური წინააღმდეგობის დაგეგმვა, რაც შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებით უნდა დასრულებულიყო. მათი მიზანი იყო სოფლის მოსახლეობაზე ზეწოლის შემცირება და ხელისუფლების მიერ ინიცირებული კოლექტივიზაციისა და სხვა საკონსოლიდაციო ღონისძიებების ჩაშლა.

გუდაუთის 1931 წლის აჯანყებაში მონაწილე ერთ-ერთი ბრალდებულის დაკითხვის ოქმში მითითებულია, რომ აჯანყება იგეგმებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ რათა აფხაზეთი გამოყოფილიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. აჯანყების მონაწილეებს წინასწარ გადაეცათ იარაღი და საბრძოლო მასალა, ხოლო გლეხთა სპონტანური პროტესტის შთაბეჭდილების შექმნის მიუხედავად, პროცესები მაღალ დონეზე ორგანიზებული იყო.

1931 წლის მაისში დააკავებული აჯანყების მონაწილეები გაათავისუფლეს ნესტორ ლაკობას ბრძანების საფუძველზე. ორგანიზატორები არ დაუკავებიათ, რადგან ნ. ლაკობას დაცვის ქვეშ იყვნენ.³²¹

მიხეილ ჩალმაზის³²² ცნობით, ნესტორ ლაკობას აჯანყებასთან კავშირის დასაფარად სურდა ვ. გუმბას დახვრეტა, რადგან შიშობდა, რომ ვ. გუმბას მისი აჯანყებასთან კავშირის გამჟღავნება შეეძლო.³²³

³²¹ Большой террор в Абхазии (Абхазская АССР): 1937-1938 гг. Том I - II - III Project Director: Anna Capello Project Coordinator: Zurab Lakerbaia Project Manager: Omar Tushurashvili Year: 2017. გვ. 66.

აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო კომისარი მ. ი. ჩალმაზი განზრახ ზრდიდა შესასრულებელი სამუშაოს რაოდენობას საკოლმეურნეო სექტორში, რის გამოც კოლმეურნეები ვერ ასრულებდნენ გეგმას. სეიდ ებჟოუმ³²⁴ 50 ჰექტარზე გააფუჭა გუდაუთის კოლმეურნეობის სამუშაო. 1936 წელს გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობამ შეძლო მხოლოდ 156 178 რუბლის თამბაქოს მოყვანა. ლიხნის ორმა კოლმეურნეობამ პრემია დანამატის სახით მიიღო მხოლოდ 6 502 რუბლი და 92 კაპ, მაშინ, როცა ამავე სოფელში ინდივიდუალურად მეწარმეებმა მიიღეს 23 775 რუბლი და 92 კაპ. აბღარხუქის რაიონში 25-მა მეწარმემ მიიღო 26 004 რ. იმავე რაიონის კოლმეურნეებმა ვერ მიიღეს პრემია იმ წლისათვის.³²⁵

ბრალდების თანახმად, 1935 წელს ნ. ლაკობამ ვ. პიატკოვისგან მიიღო დავალება, მოეკლა ი. სტალინი და ლ. ბერია. სასამართლო სხდომაზე მ. ჩალმაზისა და პ. აღნიაშვილის ჩვენებების მიხედვით 1923-24 წლებში ლაკობა „უაღრესად დარწმუნებული ტროცკისტი იყო“.

ვ. ლადარიას ჩვენებით, ნესტორ ლაკობა თავის ბრძოლაში პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ლევ ტროცკის შეხედულებებს იზიარებდა. ვლადიმერ ლადარია აქებდა მის კონტრევოლუციური ორგანიზაციის წევრებს და ხელს უწყობდა მათი ავტორიტეტის ზრდას,³²⁶ რადგან სჯეროდა ლ. ტროცკის გამარჯვების.

ვლადიმერ ლადარიამ აღიარა, რომ ტვარჩელის მთავარი მადარო გაიყვანეს ისეთ ადგილზე, სადაც ნახშირი არ მოიპოვებოდა. ორი კილომეტრის მადარო ფუჭ ფენაში გაატარეს და დიდძალი თანხა გაფლანგეს.

³²² მიხეილ ისლამის ძე ჩალმაზი - დაბადებული 1902 წელს, სკ. კ. პ. (ბ) წევრი 1921 წლიდან, აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი. დააკავეს 1937 წელს და ბრალად წაუყენეს კონტრ-რევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. 1937 წელს, მისეაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა- ქონების კონფესკაციით. 1955 წელს რეაბილიტირებულია.

³²³ საბჭოთა აფხაზეთი, 29 ოქტომბერი, 1937. გვ. 1.

³²⁴ სეიდ ეჟიგის ძე ებჟოუ - დაბადებული 1892 წელს, უპარტიო. დაპატიმრებამდე იყო გუდაუთის რაიონის ჯირხვის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „ხუდარას“ თავმჯდომარის მოადგილე. 1937 წელს, მისეაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა- ქონების კონფესკაციით.

³²⁵ Capello Anna Project Coordinator: Zurab Lakerbaia Project Manager: Omar Tushurashvili. Большой террор в Абхазии (Абхазская АССР): 1937-1938 гг. Том II , Project Year: 2017. გვ. 23.

³²⁶ საბრალდებო დასკვნა. „კომუნისტი“, 30(1937), N 249. გვ. 2-4,

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284947/1/Komunisti_1937_N249.pdf

სასამართლო პროცესზე ვლადიმერ ლადარიამ განაცხადა, რომ ნესტორ ლაკობას შესაბამისი მითითება ჰქონდა მიღებული სსრკ მძიმე მრეწველობის კომისარიატთან არსებული ქვანახშირის სამმართველოს („გლავუგოლი“) ხელმძღვანელის, ნატან გრიგოლის ძე ფინკელშტეინისგან. მისი თქმით, აღნიშნული ქმედებები ლევ ტროცკისა და პიატაკოვის უშუალო მითითებით ხორციელდებოდა.

ნ. ფილკენშტეინის თქმით, მალაროებში მსხვილი სამაგრები უნდა შეეცვალათ წვრილით: „სამუდამოდ ხომ არ აკეთებ სამაგრებს, აიღე და უფრო წვრილი გააკეთეთ-თუნდაც სადმე ჩამოინგრეს და მუშები მიჭყლიტოს, ამით დიდი უბედურება არ მოხდებაო“. ეს მითითება ნ. ლაკობამ გადასცა მაშინდელ ტყვარჩელშენის ყოფილ დირექტორ ხვედელიძეს.³²⁷

1934 წელს შახტა ჩამოინგრა და ადამიანები დაშავდნენ.³²⁸ ტყვარჩელის ქვანახშირის მალაროს მმართველმა, დ. სამოხინმა, დაადანაშაულა ვ. ლადარია ქვანახშირის საბადოში ავარიების მოწყობის ორგანიზებასა და სხვა მავნებელ ჯაშუშებთან ერთად საბინაო მშენებლობის ჩაშლაში.³²⁹

1927 წელს აფხაზეთში ბოლო ვიზიტის დროს ლ. ტროცკი შინ ესტუმრა ნესტორ ლაკობას. მიხეილ ლაკობას³³⁰ თქმით, ლ. ტროცკიმ ნ. ლაკობას სთხოვა სტალინთან ბრძოლაში მხარდაჭერა. პეტრე აღნიაშვილის თქმით, მათ სურდათ შეექმნათ ტროცკისტებისა და მემარჯვენეების „საომარი ცენტრი“.

ბ. მდივანი ხალხს რეგიონებში „ამუშავებდა“. გამოძიების მასალების მიხედვით, ბრალდებულთა ჯგუფის მიზანი იყო იოსებ სტალინის ლიკვიდაციის დაგეგმვა აფხაზეთში ვიზიტის დროს - საკვებსა ან სასმელში მომწამლავი გაზის გამოყენებით.³³¹

1930 წელს ნ. ლაკობა გამოვიდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. მისი აზრით, კოლექტივიზაცია აფხაზეთისათვის დამლუპველი იყო.

³²⁷ „საბჭოთა აფხაზეთი“, №46, 29 ოქტომბერი, 1937. სოხუმი: აფხაზეთის სახელგამის სტამბა. გვ. 3.

³²⁸ უზენაესი სასამართლოს სპეციალური სესიის განაჩენი. კომუნისტური განათლება, 30 (1937), N 81, გვ. 2.

³²⁹ სამოხინი მ. დ. ახალი ამოცანების წინაშე, საბჭოთა აფხაზეთი, 21 ოქტომბერი, 1937 წ. გვ. 3.

³³⁰ მიხეილ აპოლონის ძე ლაკობა - დაბადებული 1898 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1918 წლიდან, დაპატიმრებამდე იყო „აფხაზეთამბაქოს ნედლეულის“ კანტორის მმართველი, ბრალად წაუყენეს კონტრ-რევოლუციური ორგანიზაციის წევრობა, 1937 წელს, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვერტა-ქონების კონფესკაციით.

³³¹ საქართველოს შსს არქივი. ბუღუ მდივანის საქმე, ფონდი 6 საარქივო საქმე 36224, საქმე 29986, ტ. 4.

სასამართლოზე დაკითხული მსჯავრდებულები ადასტურებდნენ ნ. ლაკობას ამ პოზიციას.

ცალკეულ პიროვნებებს უფლება ეძლეოდათ გადაჭარბებით შეესრულებინათ გეგმა, მიეღოთ სახელმწიფო ჯილდო-დანამატი და გაეზარდათ შემოსავალი მაშინ, როცა კოლმეურნეობებში გაზრდილი გეგმები სისტემურად ვერ სრულდებოდა, მცირდებოდა კოლმეურნეთა შრომადღის ღირებულება.

ნ. ლაკობა თავისი ჯგუფის წევრებს ავალებდა კოლექტივიზაციის პროცესის ჩასაშლელად სოფლებში აგიტაციის წარმოებას. გლეხებს აგულიანებდნენ ინდივიდუალური მეურნეობების წარმოების შექმნისკენ. 1935 წლამდე აფხაზეთის სოფლებში კოლმეურნეობები არ იქმნებოდა.

ს. ებუოუ საკუთარ სოფელში აწარმოებდა აგიტაციას, რითიც შეძლო სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარის -შერიფ გიცბას მიმხრობა. 1936 წლის გაზაფხულზე მან განზრახ დააღპო 50 ჰექტარზე გაშენებული ყურძენი და კოლმეურნეობას მიაყენა 3000 მანეთის ზარალი. ს. ებუოუმ მიიტაცა საკოლმეურნეო საკუთრება- მიითვისა 1981 კილო სათესლე სიმინდი. მან, კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ერთად, მიისაკუთრა 37 ცენტნერი საკოლმეურნეო თივა, დაკლეს და გაიყვეს კოლმეურნეობის ხარი, გაყიდეს 336 ლიტრი ღვინო და არაყი.³³²

ბრალდებულების თქმით, აფხაზეთში 1937 წელს ემზადებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების დასაწყებად. ნესტორ ლაკობას დაგეგმილი ჰქონდა ი. სტალინის მკვლელობა, რომელიც უნდა მომხდარიყო მისი აფხაზეთში ვიზიტის დროს.

ვლადიმერ ლადარიას³³³ თქმით, თავდაპირველად შეიქმნა ფიქტიური ე.წ. „ცრუ კოლმეურნეობები.“ ნ. ლაკობას სურდა შექმნილიყო ისეთი მეურნეობები, როგორც იყო აჭარაში. კოლექტივში აერთიანებდნენ მხოლოდ თამბაქოსა და ჩაის მწარმოებლებს, კულაკურ ელემენტებს კი აძლევდა მოქმედების თავისუფლებას.

³³² საქართველოს შსს არქივი. ბუდუ მდივანის საქმე , ფონდი 6 საარქივო საქმე 36224, საქმე 29986, ტ. 4. გვ. 2.

³³³ ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ლადარია, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი, დაპატიმრებამდე ა-კ. რკინიგზის პარტგანყოფილების უფროსის მოადგილე. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა 1937 წელს.

სახალხო მეურნეობების განადგურება ხელს შეუწყობდა ხალხში უკმაყოფილების ზრდას, რასაც შედეგად აჯანყება მოჰყვებოდა.

აფხაზეთი უნდა გამოყოფოდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირს და მიეღო ერთ-ერთი უცხო ქვეყნის პროტექტორატი. ნესტორ ლაკობას სურდა, აფხაზეთი შვეიცარიის ტიპის სახელმწიფოდ ექცია. მიხეილ ლაკობამ სასამართლოზე განაცხადა, რომ პირმა, რომლის მეშვეობითაც უკავშირდებოდა უცხოეთის დაზვერვას, შურისძიების მიზნით ტერორისტული აქტის მოწყობა და საზღვარგარეთ გაქცევა შესთავაზა.

1937 წლის მარტში, დაპატიმრებამდე მიხეილ ლაკობა სოხუმში შეხვდა დაზვერვის აგენტს, რომელმაც აცნობა, რომ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომი მალე დაიწყებოდა. აგენტის თქმით, თუკი მიხეილ ლაკობას სურდა ნესტორ ლაკობას სიკვდილისათვის შურისძიება, შეეძლო მშვიდად გაეკეთებინა, რადგან აგენტი მას დაეხმარებოდა უცხოეთის პასპორტის მიღებასა და საზღვარგარეთ გაქცევაში.³³⁴

1932 წლისთვის აფხაზეთში არ შეინიშნებოდა ეკონომიკური ზრდა. ყველა პასუხისმგებელი პირი აცხადებდა, რომ ხალხს არ სურდა კოლმეურნეობებში შესვლა. ნ. ლაკობა ეწინააღმდეგებოდა თამბაქოს წარმოებას. როდესაც იხოცებოდა პირუტყვი, მიხეილ ჩალმაზი დანაკლისის რეალურ მოცულობას მალავდა, რათა აღნიშნული მონაცემები ცენტრამდე არ მისულიყო. აფხაზეთის ხელმძღვანელობა ეწინააღმდეგებოდა ტრაქტორების მასობრივად შეყვანასაც.

ერთ-ერთი ბრალდებულის დაკითხვის თანახმად, მათ მიერ წარმოებული თამბაქო განსხვავებული ხარისხის იყო. არსებობდა ნესტორ ლაკობასა და მისი შვილის სახელობის თამბაქო, რომელიც მთავრობის წევრებს ჰქონდათ კაბინეტში და იყო მაღალი ხარისხის. ტყვარჩელის ქვანახშირის საწარმოს დისკრედიტაციის მიზნით, უხარისხო თამბაქოს დაარქვეს მისი სახელი. აღნიშნული თამბაქო ხელმისაწვდომი იყო ბაზრებში და მოიხმარდნენ გლეხები.³³⁵

³³⁴ „საბჭოთა აფხაზეთი“, №46, 29 ოქტომბერი, 1937. სოხუმი: აფხაზეთის სახელგამის სტამბა. გვ. 3.

³³⁵ Большой террор в Абхазии (Абхазская АССР): 1937-1938 гг. Том I - II - III Project Director: Anna Capello Project Coordinator: Zurab Lakerbaia Project Manager: Omar Tushurashvili Year: 2017. გვ. 33.

აფხაზეთში მოქმედ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას შემუშავებული ჰქონდა გეგმა, რომლის მიხედვითაც, უნდა აეყვანათ ახალი წევრები, მოემზადებინათ აჯანყება და დაერიგებინათ იარაღი. გამოძიებამ დაადგინა, რომ 1933 წელს ბიჭვინთის რაიონში კატარლისათვის ტყვიის დაშენა, მაშინ როცა იქ სტალინი იმყოფებოდა, ნ. ლაკობას მოწყობილი იყო. კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში სამუშაოდ ნესტორ ლაკობამ გადაიბირა აფხაზეთის პოლიტსამმართველოს თავმჯდომარე ა. მიქელაძე. მას დაევალა ტერორისტული აქტის მოწყობა. ამისათვის ა. მიქელაძემ და ა. ფილიამ გადაიბირეს მიუსერასა და ბიჭვინთას შორის სანაპირო სადარაჯოს ერთი მუშაკი. როცა ი. სტალინი გაემგზავრა მიუსერასკენ, დაუშინეს ტყვიები. ოპერაცია ჩავარდა იმის გამო, რომ მესაზღვრემ იჩქარა, არ დაუცადა კატარლის მოახლოებას და გახსნა ცეცხლი.

1937 წელს გამოვლენილი კიდევ ერთი მავნებლური ჯგუფის ხელმძღვანელი იყო აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობის დირექტორი ვლადიმერ გიორგის ძე ჟვანბაია. ამ საქმესთან მიმართებით 21 ადამიანი დააკავეს, მათ შორის, აფხაზეთის ვაჭრობის კომისარი კ. კაცია. გამოძიებამ დაადგინა, რომ ორგანიზაციას პირადად ხელმძღვანელობდა ნესტორ ლაკობა. მათ სურდათ გამოეწვიათ ხალხში უკმაყოფილება. რესურსი არ ნაწილდებოდა დანიშნულებისამებრ, შეჰქონდათ არასაჭირო პროდუქცია, აყოვნებდნენ პროდუქტის გატანას ქარხნებიდან, რითიც ხელოვნურად ქმნიდნენ დეფიციტს. ვლადიმერ ჟვანბაია დააკავეს 1938 წელს. მან მხოლოდ საჩვენებელ სასამართლოზე გამომძიებლის მიერ რამდენჯერმე დასმული შეკითხვის შემდეგ აღიარა დანაშაული.

1937 წლის 4 ნოემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომელიც იუწყებოდა, რომ აფხაზეთის დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრებს: ვ.კ. ლაკობას, ვ.კ. ინალ-იპას³³⁶, მ.ა. ლაკობას ვ. დ. ლაკობას³³⁷, დ. ი. ჯგერენაიას³³⁸, ს.ს,

³³⁶ კონსტანტინე პლატონის ძე ინალ-იპასი - დაბადებული 1895 წელს, ს.კ. ვ. კ. (ბ) წევრი 1918 წლიდან. დაპატიმრებამდე იყო გაგრის საკურორტო სამმართველოს დირექტორი. 1937 წელს, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა- ქონების კონფესკაციით.

³³⁷ ვასილ დიმიტრის ძე ლაკობა - დაბადებული 1897 წელს, უპარტიო, დაკავებამდე იყო „აზნეფტესბიტის“ განყოფილების მმართველი. 1937 წელს, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა- ქონების კონფესკაციით.

³³⁸ დიმიტრი იოსების ძე ჯგერენაია - დაბადებული 1902, ს.კ. ვ. კ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, რაიაღმასკომის თავმჯდომარე, დაპატიმრებამდე იყო აფხაზეთის ხორცკომბინატის მმართველი. 1937 წელს, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა- ქონების კონფესკაციით.

თურქიას³³⁹ და სხვებს მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა. საბოლოო გამოსვლაში ბრალდებულები ითხოვდნენ პატიებას და სასამართლოს თხოვდნენ სასჯელი შეეცვალათ პატიმრობით, რაც არ გაითვალისწინეს. განაჩენი დაუყოვნებლივ მოიყვანეს სისრულეში.

ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ქარხანაში ჩატარებულ მიტინგზე მუშები ერთხმად იწონებდნენ მიღებულ გადაწყვეტილებას. სასამართლოების პარალელურად გაზეთებში ქვეყნდებოდა აფხაზეთის მშრომელების მოთხოვნები. ხალხი ითხოვდა მტრების დახვრეტას. ქარხნების, კოლმეურნეობებისა და ფაბრიკების მუშები პირობას დებდნენ, რომ უკეთ იმუშავებდნენ ჯაშუშებისა და დივერსანტების გამოსავლენად.³⁴⁰

საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის მიერ გამოტანილი განაჩენის სტატისტიკა 1937 წლის 11 აგვისტოდან 1938 წლის 11 ოქტომბრამდე შემდეგნაირია: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გასამართლეს 934 ადამიანი, სამეგრელო- ზემო სვანეთში -1638, გურია- 1421, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - 719, რაჭა-ლეჩხუმი და ზემო სვანეთში- 401. იმერეთში- 2889, სამცხე- ჯავახეთში- 1384, შიდა ქართლში- 772, ქვემო ქართლში- 1062, მცხეთა-მთიანეთში- 304, კახეთში- 1406. ამ დროის განმავლობაში გასამართლებულთა რიცხვმა შეადგინა 13718, საიდანაც პირველი კატეგორია, რომელთაც სასჯელის უმაღლესი ზომა- დახვრეტა მიესაჯა, იყო 6562 ადამიანი. ³⁴¹

1938 წლის ბოლოს, სხვა რეგიონების მსგავსად, აფხაზეთშიც შეიცვალა მდგომარეობა და შესუსტდა რეპრესიული მანქანა, თუმცა რეპრესიების მეორე ტალღა 50-იან წლებში დაიწყო ახალი სიმძლავრით ამოქმედდა, რასაც აკაკი მგელაძეს უკავშირებენ. მას ძალაუფლების მოხვეჭა და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივნობა სურდა.

³³⁹ სიმონ სტეფანეს ძე თურქია - დაბადებული 1894 წელს. წარსულში იყო კონტრ-რევოლუციურ მენშევიკთა არალეგალური ორგანიზაციის წევრი. დაპატიმრებამდე იყო აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ცაკის საქმეთა მმართველი. 1937 წელს, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა - ქონების კონფესკაციით.

³⁴⁰ საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში. კომუნისტი, 1(1937), N273, გვ. 4.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/285211/1/Komunisti_1937_N273.pdf

³⁴¹ იუნგე მ., ბონევიჩი ბ., მიულერი დ. (შემდგენლები) „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში“, ტ. 1. გვ. 201-202.

ეროვნული თვითგამორკვევისა და იდენტობის შენარჩუნების საბჭოთა პოლიტიკამ მძიმე შედეგი გამოიღო ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველო იყო. ნ. ლაკობასა და ლ. ბერიას კონფლიქტი გასცდა ორ პოლიტიკურ ჯგუფს შორის დაპირისპირებას და ეთნიკური ხასიათი მიიღო. აფხაზური საზოგადოება სულ უფრო მკვეთრად გამოხატავდა უკმაყოფილებას ე.წ. „გაქართველების“ პოლიტიკის მიმართ და ამ პროცესს ეთნიკური ასიმილაციის მცდელობად მიიჩნევდა.

1951 წელს მეგრელთა წინააღმდეგ დაწყებული ტერორი აფხაზი ინტელიგენციის ნაწილისათვის იქცა შესაძლებლობად, დაეგმოთ ე. წ. „ბერიევშიჩინა“ და ეს პროცესები ქართველთა მხრიდან აფხაზების ეთნიკური დევნის მტკიცებულებად წარმოეჩინათ.

ნიკიტა ხრუშჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 1954 წლიდან, გაიხსნა აფხაზური სკოლები და შეიცვალა აფხაზური ანბანი, რაც ქართულ ინტელიგენციაში აღიქმებოდა, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სტატუსისა და კულტურის გავლენის შესუსტების მცდელობა.³⁴²

პოლიტიკური დიალოგის დეფიციტმა და ერთმანეთის მიმართ დაგროვებულმა უარყოფითმა ნარატივებმა წარმოშვა ის დამაბულობა, რომელიც მოგვიანებით ღია კონფლიქტში გადაიზარდა.

³⁴² ბლაუველტი ტ. კლიენტალიზმი და ეროვნება ნესტორ ლაკობას საბჭოთა აფხაზეთში. თბილისი: 2023, გვ. 309.

§ 3.5 ქვემოდან ზემოთ - ადგილობრივი ინიციატივა და პირადი ვენდეტა

სტალინური რეპრესიების დაწყებიდან თითქმის ერთი საუკუნის გასვლის შემდეგაც კი ჯერ კიდევ მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ან უარყოფენ, ან ცდილობენ გაამართლონ საბჭოთა რეპრესიული სისტემა. ხშირად რეპრესიები წარმოჩნდება, როგორც „მავნებლების“ წინააღმდეგ მიმართული კანონიერი პასუხი. ამასთანავე, წარსულის ობიექტურ შეფასებას გარკვეულწილად ართულებს იმ გარემოებაც, რომ რეპრესირებულთა ოჯახების ნაწილი დუმის ინარჩუნებს, რაც ისტორიული მეხსიერების სრულფასოვან აღდგენას ზღუდავს.

სეით დევდარიანის შვილიშვილის თქმით, მისი მამა პოლიტიკურ ამბებს არ ჰყვებოდა. ის იხსენებს, რომ „შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად არ ვიცი, უფრო მეტად, გარკვეული სიფრთხილის გამო...(არიდებდა თავს), იმიტომ, რომ უკვე 37 წლის შემდეგ ის იყო „ხალხის მტრის შვილი“, ანუ ფაქტობრივად უფლება შეზღუდული იყო და ეს გრძელდებოდა რეაბილიტაციის მომენტამდე.“³⁴³

ადამიანების არ სჯეროდათ, რომ განსხვავებული აზრის გამოთქმის ან სტალინის გაკრიტიკების გამო დაიჭერდნენ ან დახვრეტდნენ. სისტემა მოქმედებდა სწრაფად და ორგანიზებულად, რაც მოქალაქეებს რეაგირებისა და მდგომარეობის გააზრების შესაძლებლობას არ აძლევდა. ერთ წელიწადში მიაღწიეს საგრძნობ შედეგს. ლაგოდების რაიკომის პირველი მდივანი ა. რამიშვილი ლ. ბერიას ატყობინებდა რაიონში ტროცკისტულ-ზინოვიევიური განწყობის მქონე პირების გამოვლენის შესახებ.

კოლმეურნე ვანო მჭედლიშვილმა ანტისაბჭოთა ტროცკისტული შინაარსის მასალების განხილვისას აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში თავადაც დაეხმარებოდა ტროცკისტებს. კოლმეურნე ლადო ხაჩიძემ კი საჯაროდ განაცხადა, რომ ტროცკი სტალინზე უკეთესი იყო.³⁴⁴

³⁴³ პირისპირ: ზეპირი ისტორიები საბჭოთა ტერორზე ოკუპაციიდან კოლექტივიზაციამდე 1921-1935, ტომი 1, თბილისი, 2019. გვ. 149.

³⁴⁴ იუნგე მ., თუშურაშვილი ო., ბონვეჩი ბ., (შემდგენლები) ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. ტ. 2: დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში, მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი. 2015. გვ. 34.

1937 წლის შინსახკომის სამეულის სხდომის ოქმის თანახმად, ანა ივანეს ასული მაისურაძე პირველად გასასამართლეს 1929 წელს კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობისათვის, მეორედ - 1935 წელს. მას 1936 შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს გადაწყვეტილებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1937 წელს ა. მაისურაძე, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, ჩართული იყო ახალი წევრების გადმობირების პროცესში და ავრცელებდა კონტრრევოლუციური შინაარსის პროკლამაციებს. მას 5-წლიანი სასჯელი შეეცვალა დახვრეტით. მისი მეუღლე ნიკოლოზ წულუკიძე ასევე დაპატიმრეს იმავე ბრალდებით.³⁴⁵

გრიგოლ სამსონის ძე ბერეკაშვილს ბრალად ედებოდა ფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდა, რისთვისაც მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა.³⁴⁶ ფაშისტური ორგანიზაციის წევრობისა და კონტრრევოლუციურ საქმიანობისათვის გასასამართლეს არჩილ ლეგაშვილი, რომელსაც ასევე მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა.³⁴⁷

1953 წლის ივნისში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ლავრენტი ბერია გათავისუფლდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან და მისი საქმე განსახილველად გადაეცა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს. საქმეს იძიებდა რომან რუდენკო.³⁴⁸ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განიხილეს გ. მ. მალენკოვის მოხსენება, რომელშიც ის ლ. ბერიას ადანაშაულებდა ანტიპარტიულსა და ანტისახელმწიფოებრივ ქცევაში. ლავრენტი ბერიას ოფიციალურად ბრალად წაუყენეს კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან და ბრიტანეთის დაზვერვასთან. მისი დაკავებით პარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ საფუძველი შექმნა იოსებ სტალინის მმართველობის კრიტიკისთვის. საქართველოში განხორციელებული მასობრივი რეპრესიები ოფიციალურ ნარატივში აიხსნებოდა არა როგორც სისტემური მექანიზმის

³⁴⁵ საქართველოს შსს არქივი, ფ.6, ს.37362, ყ.124, ოქმი 1, ტ. 1, გვ. 1.

³⁴⁶ საქართველოს შსს არქივი, ფ.6, ს.37362 ყ.124, ოქმი 1, ტ. 1, გვ. 2.

³⁴⁷ საქართველოს შსს არქივი, ფ.6, ს.37362, ყ.124, ოქმი 1, ტ. 1, გვ. 4.

³⁴⁸ რომან ალექსანდრეს ძე რუდენკო (1907-1981) - სსრკ გენერალური პროკურორი, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლავრენტი ბერიასა და მისი მოკავშირეების დაკავებასა და გასასამართლებაში.

გამოვლინება, არამედ, როგორც ლ. ბერიასა და მისი გარემოცვის პირადი ანგარიშსწორება.

აღმოჩნდა, რომ ნესტორ ლაკობასა და აფხაზი მოსახლეობის მიმართ გატარებული პოლიტიკა გარკვეულწილად განსაზღვრული იყო ნ. ლაკობას პოლიტიკური გავლენით, მის მიმართ არსებული შიშითა და შურით. მისი სიკვდილით ლ. ბერიამ ცენტრალურ ხელისუფლებასთან პოზიციები გაიმყარა.

გამოძიების მიხედვით, სერგო ორჯონიკიძესთან დაკავშირებით ლ. ბერიას პირადი ინტერესი ამოძრავებდა, რადგან ს. ორჯონიკიძე მას არ ენდობოდა. ს. ორჯონიკიძის წინააღმდეგ ლ. ბერიას მითითებით დაიწყო ყალბი მასალების შეგროვება. სერგო ორჯონიკიძის საქმეზე დაკავებული მ. ორახელაშვილის ცრუ ჩვენებების საფუძველზე დადგინდა, რომ ს. ორჯონიკიძე ებრძოდა ლ. ბერიას. დახვრიტეს მისი ძმა პაპუნა ორჯონიკიძე³⁴⁹ და რძალი ნინა ორჯონიკიძე, დიმიტრი ორჯონიკიძე³⁵⁰ და სამხრეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე საბა ორჯონიკიძე.³⁵¹

ლ. ბერიას წარსული ცხოვრების შესახებ არსებული ცნობები გამომძიებლისათვის არ იყო დამაჯერებელი და შეიცავდა ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს. არსებობდა ეჭვი, რომ ის სხვადასხვა დროს აზერბაიჯანისა და საქართველოს მენშევიკური ორგანიზაციების ჯაშუში იყო, რისი დამტკიცება ვერაფრით მოხერხდებოდა. ეჭვს იწვევდა მენშევიკური მთავრობის დროს ლავრენტი ბერიას დაკავებისა და გადასახლების საკითხი. მენშევიკურმა მთავრობამ ის გასაბჭოებულ აზერბაიჯანში გაგზავნა, რაც კითხვებს აჩენდა.

³⁴⁹ პავლე (პაპუნია) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე - დაბადებული 1882 წელს, დაკავებამდე იყო საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარე. გაასამართლეს 1937 წელს კონტრ-რევოლუციური საქმიანობისთვის, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა. დახვრიტეს მისი მეუღლე ნინა მაჭავარიანიც.

³⁵⁰ დიმიტრი გიორგის ძე ორჯონიკიძე - დაბადებული 1897 წელს, დაპატიმრებამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის შინსახკომის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილებაში.

³⁵¹ საბა ვალერის ძე ორჯონიკიძე - დაბადებული 1900 წელს, 1927 წელს პარტიიდან გაირიცხა დაპატიმრების გამო, ბრალად ედებოდა კონტრ-რევოლუციური ჯგუფის წევრობა. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

ლ. ბერიას საქმეზე დაკავებულთა დაკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ნოე ჯორდანიასა და ე. გეგეჭკორს³⁵², რომელიც ლ. ბერიას ცოლის ნათესავი იყო, მისი თანადგომის იმედი ჰქონდათ. 1936 წელს ლავრენტი ბერიამ ი. სტალინის დავალებით საფრანგეთში გაგზავნა ცოლის ნათესავი, ექიმი გეგეჭკორი (ე. გეგეჭკორის შორეული ნათესავი), რომელსაც უნდა მოესინჯა ნიადაგი და დაედგინა, რას გეგმავდნენ საფრანგეთში მყოფი ემიგრანტები.

ლ. ბერიას თქმით, ექიმი გეგეჭკორი მან მოძებნა მაშინ, როდესაც თბილისის რაიონის ცეკას მდივანი იყო. ის საფრანგეთიდან აწვდიდა ინფორმაციას, თუ რა ხდებოდა ემიგრაციაში. სწორედ გეგეჭკორისგან შეიტყო, მენშევიკებს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ. გეგეჭკორისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ლ. ბერიამ ი. სტალინს აცნობა, რომ მენშევიკები ბოლშევიკებისადმი წითელი არმიის მხრიდან უფრო მეტი ყურადღების გამოჩენას მოითხოვდნენ.³⁵³

1933 წელს წითელი არმიის რიგებში განხორციელდა ყველაზე მასშტაბური წმენდა. სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებულთა 22 308 პირი. გათავისუფლებულთა დიდი ნაწილს შეადგენდა: ყოფილი კულაკები, სასულიერო პირები და მათი ოჯახის წევრები, მეფის ყოფილი ოფიცრები. მათ შორის 8 828 ადამიანი შეფასდა, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. 1934-1936 წლებში დამატებით გათავისუფლდა 22 ათასი სამხედრო, რომელთა შორისაც 5 ათასი ადამიანი მიიჩნიეს, როგორც ოპოზიციურად განწყობილი.³⁵⁴

გამოძიებამ დაადგინა, რომ 1937 წელს ლავრენტი ბერია ხელოვნურად ზრდიდა ხალხში საკუთარი პიროვნების მიმართ ინტერესს. ის ცდილობდა საკუთარი პიროვნების ირგვლივ კულტის ჩამოყალიბებას, რომელიც სტალინის კულტის მსგავსი იქნებოდა.

1954 წლის მაისში რ. რუდენკოს საბრალდებო დასკვნაში საუბარია, რომ გამოძიებამ გამოააშკარავა, თუ როგორ ეწეოდნენ მავნებლურ საქმიანობას ხალხის

³⁵² ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი - (1881-1954) პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, 1921 წელს სხვა მთავრობის წევრებთან ერთად დატოვა საქართველო, ცხოვრობდა ლევილში.

³⁵³ Хаустов В. Дело Берия. Приговор обжалованию не подлежит; Международный фонд "Демократия". М.: МФД Россия. XX век. Документы, 2012. გვ. 162.

³⁵⁴ Хаустов В., Самуэльсон Л. Сталин, НКВД и репрессии 1936-1938 гг. / В. Хаустов, Л. Самуэльсон. М. Российская политическая энциклопедия (РОССПЭН); Фонд первого Президента России Б. Н. Ельцина, 2010. გვ. 106.

მტერი ლ. ბერია და მისი თანამოაზრეები. ისინი მალავდნენ საკუთარ დანაშაულებრივ წარსულს და კავშირი ჰქონდათ უცხოურ დაზვერვასთან, ცილის სწამებდნენ უდანაშაულო ხალხს და მიზანმიმართულად ავრცელებდნენ დეზინფორმაციას. ბრალდების მიხედვით, ისინი ცდილობდნენ ამიერკავკასიაში, საქართველოსა და მოსკოვში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, სასტიკად უსწორდებოდნენ მოწინააღმდეგეებს, არასასურველ პიროვნებებს მასობრივად აკავებდნენ და მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ. სისტემატურად ირღვეოდა სამართლებრივი ნორმები და ხდებოდა სისხლის სამართლის საქმეების ფალსიფიკაცია. სერგო გოგლიძის თქმით, 1937 წელს ბრალდებულთა აღიარების მიღების მიზნით ცემის მეთოდი უშუალოდ ლავრენტი ბერიას მიერ იყო დაკანონებული.³⁵⁵

1955 წლის 7-19 სექტემბერს თბილისში გაიმართა ნკვდ-მვდ-მგზ ყოფილი თანამშრომლების საჩვენებელი სასამართლო. გასამართლდა ყველა ის პირი, ვინც შედიოდა სამეულის კოლეგიაში, ხელს აწერდა დახვრეტის ოქმებს. მათ მიერ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები ხელახლა გადაიხედა, რის საფუძველზეც 1956 წლიდან გასამართლებულთა და მათი ოჯახის წევრთა რეაბილიტაცია მოხდა. რეპრესირებულთა შვილებსა და ცოლებს მოეხსნათ „ხალხის მტრის“ სტატუსი.

ლავრენტი ბერიას საქმეზე დაკავებული იყვნენ: ა. ნ. რაფავა, ნ. მ. რუხაძე, შ. ო. წერეთელი³⁵⁶, კ. ს. სავიცი. სასამართლოზე ნ. რუხაძემ აღიარა, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლები გამოძიების პროცესში მიმართავდნენ არაკანონიერ მეთოდებს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ დაკავებულებს ცემდნენ და აწამებდნენ, სანამ არ აღიარებდნენ საკუთარ კონტრრევოლუციურ საქმიანობას.

³⁵⁵ Хаустов В., Самуэльсон Л. Сталин, НКВД и репрессии 1936-1938 гг. / В. Хаустов, Л. Самуэльсон. М. : Российская политическая энциклопедия (РОССПЭН); Фонд первого Президента России Б. Н. Ельцина, 2010. გვ. 463.

³⁵⁶ შალვა ოთარის ძე წერეთელი - დაბადებული 1894 წელს, 1920 წელს ციხეში ყოფნის დროს გაიცნო ბერია, 1921 იკავებდა სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობებს. იყო საგანგებო კომისიის მუშაკი, სსსრ შს სახელმწიფო უშიშროების სახკომი, მინისტრის მოადგილე (1941-1953), ლავრენტი ბერიას გასამართლების შემდეგ პენსიაზე მყოფი დააპატიმრეს და დახვრიტეს, არ არის რეაბილიტირებული.

ნ. რუხაძის მოადგილემ განაცხადა, რომ ის თანამშრომლებისგან ითხოვდა მტრების გამოსავლენად აქტიურ მუშაობას. ის, ვინც „გულკეთილი“ იქნებოდა დაკავებულების მიმართ, შეფასდებოდა, როგორც მოკავშირე და ხალხის მტერი.³⁵⁷

კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორის, მოდებადის საკანთან, რომელიც ფიზიკურად ძლიერი პიროვნება იყო, ყავარჯნები იდო, რადგან საშინლად ნაცემი არ გადაჰყავდათ საავადმყოფოში.³⁵⁸

ქობულოვმა ციხეებში შექმნა მთელი სისტემა, სადაც დაკავებულებს წინასწარი გამზადებული სიის მიხედვით აწვდიდნენ დასაჭერ პირთა მონაცემებს. საკნებში უსმენდნენ დაკავებულთა ლაპარაკს.

სამკურნალო-სანიტარული სამმართველოსა და „ლიმონტრესტის“ იურისტ-კონსულტანტ დიმიტრი ლამბაშიძეს ბრალად დასდეს ამერიკისა და ინგლისის აგენტობა. კასპის რაიკომის თავმჯდომარე ბარბარე კველიშვილს ადანაშაულებდნენ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობაში, რომელშიც გადაიბირა პროკოფი კირვალიძემ. ბრალდების მიხედვით, მას მონაწილეობა უნდა მიეღო ტერორისტულ აქტში. ის საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატმა დააპატიმრა 1937 წლის 7 ივლისს. გასამართლების თარიღად კი აღნიშნულია 11 სექტემბერი. დაკითხვების დროს 5 თვის ორსულ, ბარბარე კველიშვილს სასტიკად გაუსწორდნენ ფიზიკურად. შედეგად მუცელი მოეშალა, ბარბარე კველიშვილი კი სისხლის მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა. კოვალჩუკმა საქმის დაფარვის მიზნით გარდაცვლილი გააფორმა, როგორც სამეულის მიერ დახვრეტილი. ბ. კველიშვილის ოჯახმა მისი სიკვდილის გარემოება მოგვიანებით გაიგო. ხელახალი გამოძიებით დადგინდა, რომ მის ოქმში იყო მითითება დახვრეტის გადადების თაობაზე.³⁵⁹

1937-1938 წლის 24-28 აგვისტოში ქ. სიღნაღში ჩატარდა ღია სხდომა, რომლის თავმჯდომარე იყო სსსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ისაკაძე. წევრები: ეფ. თათუზოვი, ს. დათუნაშვილი, ნ. ავალიშვილი. ლავრენტი ბერიამ 1937 წლის 29 აგვისტოს ი. სტალინს წერილით აცნობა, რომ შენობა, სადაც პროცესი

³⁵⁷ Смирнов Н.Г. РАПАВА, БАГИРОВ И ДРУГИЕ. Антисталинские процессы 1950-х гг. Москва: Аиро-XXI, 2014. გვ. 30.

³⁵⁸ ქავთარაძე ლ. 28 წელი გულაგში : მოგონებები, ესეი, მოთხრობები, წერილები, ავტორ-შემდგენელი გია ჭუბაბრია, გამომცემლობა: პეგასი. Memoria, 2008. გვ. 28.

³⁵⁹ ბარბარე კველიშვილი https://www.idfi.ge/archive/?cat=read_topic&lang=ka&topic=113

მიმდინარეობდა, ხალხით იყო სავსე. პროცესი ყველა სოფსაბჭოში გადაიციმდა რადიოთი და სატელეფონო ქსელით. სიღნაღის თეატრის ეზოში 6000 ადამიანი ისმენდა სასამართლო პროცესს. რაიონში ჩატარდა კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორის სადგურის მუშების მიტინგი, სადაც დამნაშავეების დახვრეტას ითხოვდნენ.³⁶⁰

გამოძიების თანახმად დადგინდა, რომ სევერიონ კუხალეიშვილმა 1931 წელს შ. ალავერდაშვილი³⁶¹ ჩააბა მავნებლურ ტერორისტულ-დივერსიულ მუშაობაში. რომელმაც, მან თავის მხრივ, გადაიბირა სხვა ადამიანები, რომელთა მეშვეობითაც მავნებლები ცდილობდნენ სიღნაღის რაიონში დივერსიული აქტების მოწყობას.

1936 წელს გერმანე მგალობლიშვილის, შალვა მათიკაშვილის, სევა კუხალეიშვილისა³⁶² და პეტრე აღნიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ორგანიზაცია, რომელშიც შედიოდნენ: შ. ალავერდაშვილი, ა. წითლიძე³⁶³, კ. აბაშიძე³⁶⁴, ი. სტეფანოვი³⁶⁵, ს. ყუფარაშვილი³⁶⁶, გ. მეტრეველი³⁶⁷, ნ. ჯავახიშვილი, ა. კობეშვილი³⁶⁸, ფ. ყაჯრიშვილი,³⁶⁹ ვ. მახოშვილი³⁷⁰. მათი მიზანი იყო

³⁶⁰ იუნგე მ., თუშურაშვილი ო., ბონვეტი ბ., (შემდგენლები) ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. ტ. 2: დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში, მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი. 2015, გვ. 214.

³⁶¹ შალვა კონსტანტინეს ძე ალავერდაშვილი - დაბადებული 1902 წელს. 1931 წელს დაპატიმრებული იყო გარკვეული დროით. ბოლო დაპატიმრებამდე იკავებდა სიღნაღის რაიონის მთავარსამართლის თანამდებობას.

³⁶² სევერიან ილარიონის ძე კუხალეიშვილი - დაბადებული 1884 წელს, დაპატიმრებამდე იყო საბჭოთა მეურნეობის ტრესტის მმართველი. დაპატიმრეს 1937 წელს ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ორანიზაციის წევრობა. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

³⁶³ არტემ დიმიტრის ძე წითლიძე - დაბადებული 1903 წელს, პარტიის წევრი 1919 წლიდან, წარსულში არ ყოფილა სასამართლოზე, დაპატიმრებამდე იყო სიღნაღის რაიონის მდივანი.

³⁶⁴ კონსტანტინე ლევანის ძე აბაშიძე - დაბადებული 1895 წელს, მეფის არმიის ყოფილი პორუჩიკი, უპარტიო, დაპატიმრებამდე ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა დირექტორი.

³⁶⁵ იოსებ გაბრიელის ძე სტეფანოვი - დაბადებული 1902 წელს, დაპატიმრებამდე იყო წნორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორი.

³⁶⁶ სიმონ ზაქარიას ძე ყუფარაშვილი - დაბადებული 1887 წელს, პარტიის წევრი 1918 წლიდან, დაპატიმრებამდე იყო ნუკრიანის „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

³⁶⁷ გიორგი ესტატეს ძე მეტრეველი - დაბადებული 1896 წელს, პარტიის წევრი 1921 წლიდან, წარსულში სასამართლოზე მალაუფლების გადამეტებისთვის, ყოფილი ტროცკისტი, დაპატიმრებამდე იყო საქობოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

³⁶⁸ ალექსანდრე გიორგის ძე კობეშვილი - დაბადებული 1909 წელს, საქართველოს კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტიიდან გარიცხეს 1935 წელს პარტდოკუმენტების დაუდევრად შენახვისთვის. დაპატიმრებამდე იყო სიღნაღის დამცველთა კოლექტივის ხელმძღვანელი, წარსულში ტროცკისტი.

³⁶⁹ ფირუზა ალექსანდრეს ძე ყაჯრიშვილი - დაბადებული 1905 წელს საქართველოს კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, წარსულში ტროცკისტი, დაპატიმრებამდე ბოდბისხევის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული ხელისუფლების აღდგენა ტერორიზმისა და დივერსიის გზით. ისინი ცდილობდნენ კოლმეურნეობების დაშლას, ხალხში უკმაყოფილების გაჩენას, დადგენილი წესდების ნორმები სისტემატურად ირღვეოდა და ხშირად გამოიყენებოდა სუბიექტურად, კერძო ინტერესების მისაღწევად. კოლმეურნეებს უგვიანებდნენ ნატურალურ და ფულად შემოსავალს. ირღვეოდა მიწის ხვნის სტანდარტი და მოსავლის აღების ვადები. ზოგიერთ კოლმეურნეობაში სამი წლის განმავლობაში არ ჰქონდათ ჩატარებული გამარგვის სამუშაოები. კოლმეურნეობის რიგებში იღებდნენ ყოფილ კულაკებს.

მევენახეობის მიმართულებით დაფიქსირდა სერიოზული შეცდომები. არასწორი გადაწყვეტილებების შედეგად „ამერიკული ლერწის“ ნარგავები განადგურდა. კოლმეურნეობა „წითელ ანაგს“ დაევალა 400,000 ლერწის ნერგის დამცნობა, თუმცა მას ამის უზრუნველსაყოფად მხოლოდ 8 მუშახელი ჰყავდა. კოლმეურნეობა „შეერთებას“ დაეკისრა ამერიკული ლერწის ფართო მასშტაბით გაშენება. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი პირობები იქ არ იყო. დავალებები ვერ შესრულდა.

იმავე პერიოდში საღორე ფერმების მშენებლობა დაიწყო ისეთ კოლმეურნეობებში, სადაც არ არსებობდა საკვები ბაზა, რაც პროექტების გაგრძელებას მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნიდა. აშენდა 9 საღორე ფერმა, რისთვისაც გამოიყო 100 000 მანეთი, მაგრამ დაიხარჯა 400 000 მანეთი.

1931 წელს შ. ალავერდაშვილმა მიიღო 13 000 სული დაავადებული ცხვარი ს. კუხალეიშვილისგან, რომლის 80% დაიხოცა. მეცხვარეობის დარგის განვითარებისათვის გამოყოფილი 30 000 მანეთის ნაცვლად დაიხარჯა 300 000 მანეთი. სიღნაღის ჯგუფს ასევე ადანაშაულებდნენ, რომ 80 ჰექტარზე გააშენეს შერეული ვაზის ჯიში რითიც, თითქოს, შეეცადნენ ღვინის ხარისხის გაუარესებას. 1933 წელს წყალსადენი გაიყვანეს იქ, სადაც ამისი საჭიროება არ იყო. ამ პროექტში დაიხარჯული თანხა 60 000 მანეთი იყო. ხოლო, 1934 წელს სავენახე ნაკვეთის — 97

³⁷⁰ ვასილ ალექსანდრეს ძე მახოშვილი - დაბადებული 1894 წელს, წელს საქართველოს კ. პ. (ბ) წევრი 1926 წლიდან. დაპატიმრებამდე იყო სიღნაღის სახალხო მოსამართლე.

ჰექტარის დასამუშავებლად, დაიხარჯა 58 000 მანეთი, თუმცა აღნიშნული ფართობი ვენახის გასაშენებლად არ გამოუყენებიათ.

მოსამართლე კ. მახოშვილს ბრალად ედებოდა ა. კობეშვიძესთან ერთად უსამართლო გადაწყვეტილებების მიღება. ისინი პატიმრობას უსჯიდნენ სრულიად უდანაშაულო პირებს, დამნაშავეებს კი ათავისუფლებდნენ, თვეობით აჭიანურებდნენ საქმეებს, რაც ადამიანების უკმაყოფილებას იწვევდა.

შ. ალავერდაშვილს, ა. წითლიძეს, კ. აბაშიძეს, ვ. მახოშვილს მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა-ქონების კონფისკაციით. მ. შათირიშვილს მიესაჯა 10 წლით პატიმრობა, ნ. ჯავახიშვილს, ფ. ყავრიშვილს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. გათავისუფლების შემდეგ მათ 5 წლით ჩამოერთვათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.³⁷¹

განაჩენს მუშები სიხარულით შეხვდნენ. სამუშაოს დასრულების შემდეგ ისინი იკრიბებოდნენ მიტინგებზე, სადაც ლოზუნგებით გამოხატავდნენ მადლიერებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ „მტრების“ ლიკვიდაციისათვის. ვრცელდებოდა მოწოდებები, რომ მომავალშიც გამოეჩინათ ყურადღება და ემხილათ საეჭვო პირები.

1955 წელს ჩატარებულმა სასამართლო პროცესებმა ცხადყო, რომ რეპრესიული პოლიტიკის განმახორციელებელ პირებს ან არ ჰქონდათ საკანონმდებლო ნორმების საკმარისი ცოდნა, ან შეგნებულად უგულებელყოფდნენ მათ. პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით ხშირად ხდებოდა საქმეების ფალსიფიკაცია, მოწმეების არარსებობა კი არ იწვევდა რაიმე შიშს. საბჭოთა ძალადობრივი სისტემის მიერ წახალისებული ადამიანები მიღებულ პრივილეგიებს იყენებდნენ პირადი ინტერესებისათვის.

მიშა ჭავჭავანიძის შვილი იხსენებს, რომ ცხოვრობდნენ თბილისში, კამოს ქუჩაზე. მამის დაპატიმრების შემდეგ მათი ოჯახი გამოასახლეს, რადგან მათი ბინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტს მოეწონა.³⁷²

³⁷¹ განაჩენი: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით სსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური სესიის განაჩენი. კომუნისტური განათლება, 30 (1937), N 81, გვ. 2-3.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/264514/1/Komunisturi_Ganatileba_1937_N81.pdf

³⁷² ლეჟავა ნ. შემდ. ბექიშვილი, ნ. რედ. ალჟირის” პატიმართა პორტრეტები: სტალინიზმის ისტორიიდან, ჰაინრიკ ბიოლის ფონდი. 2008. გვ. 116. გვ. 302.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლების ჩვენების თანახმად, დადგინდა, რომ წლების განმავლობაში სამეულის წევრები რაფავა, რუხაძე, გოგლიძე, წერეთელი და სხვები ბოროტად იყენებდნენ თანამდებობრივ მდგომარეობას, თვალს ხუჭავდნენ ერთმანეთის ოჯახის წევრების დანაშაულზე. რუხაძის სახლის რემონტზე დაიხარჯა 200 ათასი რუბლი სახელმწიფო ბიუჯეტიდან.³⁷³

სავიცკი, კრიმიანმა და ქობულოვმა შეადგინეს თედორე მოსეს ძე ბუაჩიძის³⁷⁴ საქმე, რომელიც საქართველოს 63-ე დივიზიას ხელმძღვანელობდა. თ. ბუაჩიძე 1930 წელს ლავრენტი ბერიას საქართველოს ცეკას მდივნად წამოყენების წინააღმდეგი იყო. გამოძიების თანახმად დადგინდა, რომ ის იყო ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი, რომელიც ლავრენტი ბერიას მოკვლას გეგმავდა. თედორე ბუაჩიძის წინააღმდეგ ჩვენება მისცა ბუდუ მდივანმა. თ. ბუაჩიძე სასტიკად აწამეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა, თუმცა ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, ის „სამეულის“ გადაწყვეტილებით დახვრიტეს. 1954 წლის 13 ივნისს დანაშაულის ნიშნების არქონის გამო მოხდა მისი რეაბილიტაცია. ვალერიან ვაშაკიძე დააპატიმრეს იმის გამო, რომ თავის დროზე დამალა სერგო ორჯონიკიძის ძმის, პავლე ორჯონიკიძის, დამოკიდებულება ლ. ბერიასადმი.

არქივში დაცული დოკუმენტების ანალიზმა ცხადყო, რომ გამოძიების პროცესები 1937–1938 წლებში საქართველოში სერიოზული ხარვეზებითა და სისტემური დარღვევებით ხორციელდებოდა. დოკუმენტაცია, როგორც წესი, არ შეიცავს დაკითხვის მიმდინარეობის დეტალებს, გამომძიებლების ვინაობას ან ბრალდებულთა აღიარების მოპოვების ფორმებს, რაც მნიშვნელოვან ეჭვს აჩენს მათი სანდოობის მიმართ. აღსანიშნავია, რომ საქმეებში ხშირად ფიქსირდება „დანაშაულის“ ერთიანად გამოვლენა წლების შემდეგ, რაც გამოძიების მანიპულაციურ და წინასწარ განსაზღვრულ ხასიათზე მიანიშნებს.

³⁷³ Смирнов Н.Г. РАПАВА, БАГИРОВ И ДРУГИЕ. Антисталинские процессы 1950-х гг. Москва: Аиро-XXI, 2014. გვ. 41.

³⁷⁴ თედორე (სოსო) მოსეს ძე ბუაჩიძე – დაბადებული 1900 წელს, საქართველოს 63-ე დივიზიას ხელმძღვანელი. ოფიციალური დოკუმენტის თანახმად მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა- დახვრეტა 1937 წელს, შემდგომი გამოძიების თანახმად დადგინდა, რომ გარდაიცვალა წამების შედეგად. რეაბილიტირებულია 1954 წელს.

გამოძიების მასალებში ხაზგასმულია „ნაციონალისტური ცენტრისა“ და სხვადასხვა დაჯგუფების არსებობა, რომლებიც თითქოსდა მენშევიკებთან, დაშნაკებთან, მუსავატებთან და უცხოეთის მთავრობებთან თანამშრომლობდნენ საქართველოს ბოლშევიკური მმართველობის წინააღმდეგ. ბრალდებები, რომლებიც მათ აგენტობასა და კაპიტალისტური წყობის დამყარების მცდელობას უკავშირდებოდა, ქმნიდა იმ ნარატივს, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლება ამართლებდა რეპრესიების მასშტაბურობას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეკონომიკურ და სოციალურ დაპირისპირებას: „მავნებელი“ კულაკების, კოლმეურნეობებში შესვლისგან თავის ამრიდებელი გლეხების და მათ წინააღმდეგ წარმოებული პროცესების აღწერას. ბრალდებები ხშირად იმდენად ჰიპერბოლური იყო, რომ მათში აშკარად იკვეთება სისტემის მიზანი – საზოგადოების შიგნით შიშისა და მორალური ტერორის დამკვიდრება.

დოკუმენტებში ნათლად ჩანს, რომ რეპრესიული პოლიტიკა მხოლოდ კლასობრივი წინააღმდეგობის ჩახშობას არ ემსახურებოდა; მას მნიშვნელოვანი ნაციონალური განზომილებაც ჰქონდა. რეგიონული დაჯგუფებების მიმართ გამოტანილი განაჩენები – იქნება ეს აჭარაში „სედაი მილეთი“ თუ აფხაზეთში „ლაკობიანელები“ – მოწმობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ყოველგვარ ეროვნულ სეპარატისტულ განწყობას. სწორედ ამ კატეგორიის ბრალდებით ასობით ადამიანი დახვრიტეს ან გადაასახლეს.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1937–1938 წლებში ჩატარებული გამოძიებები საქართველოში არა სამართლებრივ პრინციპებზე, არამედ იდეოლოგიურ დაკვეთასა და პოლიტიკური კონტროლის ლოგიკაზე იყო აგებული. დოკუმენტებში ასახული ბრალდებები წარმოადგენდა არა იმდენად რეალური შეთქმულებების გამოვლენას, რამდენადაც სისტემის მიერ სასურველი მტრების კონსტრუირებას, რაც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავდა როგორც პოლიტიკური ოპონენტების, ისე ეროვნული თვითგამორკვევის მცდელობების განადგურებას.

დასკვნა

XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიები საქართველოში საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოხატულება იყო. მათი გააზრება შეუძლებელია ეროვნული საკითხის კონტექსტის გარეშე, რადგან რეპრესიები მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტების ან სოციალური ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული აქცია კი არა, არამედ საქართველოს ეროვნული თვითმყოფადობის შეზრუდვის ფართომასშტაბიანი მექანიზმი გახლდათ.

კვლევამ ცხადყო, რომ რეპრესიული პოლიტიკა საქართველოში თანმიმდევრულად და სისტემურად მოქმედებდა. ის იწყებოდა 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობით, გრძელდებოდა 1924 წლის აჯანყების სისხლიანი ჩახშობით და საბოლოოდ გადაიზარდა „დიდ ტერორში“ 1937–1938 წლებში. ეს პროცესი მიზნად ისახავდა არა მხოლოდ პოლიტიკური წინააღმდეგობის ლიკვიდაციას, არამედ ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის მოსპობასაც.

ეროვნული საკითხი განსაკუთრებით მკვეთრად იჩენდა თავს კულტურისა და ინტელიგენციის მიმართ პოლიტიკაში. ქართველი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები საბჭოთა იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოექცნენ, მათგან მოითხოვდნენ სოციალისტური რეალობის გამართლებას და „საბჭოთა ხალხის“ კონცეფციის გაძლიერებას. იმავდროულად, ეროვნულ იდეაზე დაფუძნებული შემოქმედება, კრიტიკული აზროვნება ან თვითმყოფადობის ხაზგასმა უმაღლესად ხდებოდა რეპრესიების სამიზნე. ინტელიგენცია იქცა ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ, რადგან ეროვნული კულტურის შენარჩუნების უნარი საბჭოთა რეჟიმისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა.

ეროვნული საკითხის განზომილება მკაფიოდ ჩანს ასევე განათლებისა და ენის პოლიტიკაში. რუსული ენა იქცა „მშურ ხალხთა“ ერთობის სიმბოლოდ, ხოლო ეროვნული ენების მნიშვნელობა განზრახ მცირდებოდა. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, ეროვნულ თვითგამორკვევას სამართლებრივი ფორმით დაეტოვებინა სივრცე, მაგრამ რეალურად ნებისმიერი მცდელობა, რომელიც

დამოუკიდებლობისაკენ მიმართულ იდეოლოგიურ ნაბიჯად აღიქმებოდა, რეპრესიებით ისჯებოდა.

სტალინური ტერორი საქართველოში ორმაგი ძალით გამოვლინდა: ერთი მხრივ, როგორც საერთო-საბჭოთა რეპრესიული მექანიზმის ნაწილი, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ინსტრუმენტი. ამის შედეგი იყო არა მხოლოდ ათასობით ადამიანის ფიზიკური განადგურება და გადასახლება, არამედ ეროვნული მეხსიერების ფრაგმენტაცია, საზოგადოების დაშლა და შიშის ატმოსფეროს დამკვიდრება, რომელიც შემდგომ თაობებშიც გაგრძელდა.

1955 წელს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დაადასტურა, რომ 1937–1938 წლებში ჩატარებული გამოძიებები მასობრივად არღვევდა სამართლებრივ ნორმებს: საქმეებში არ იძებნებოდა მტკიცებულებები და მოწმეები, აღიარებითი ჩვენებები კი ხშირად ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის გზით იყო მოპოვებული. მსგავსი პრაქტიკა ნათლად წარმოაჩენს, რომ „დიდი ტერორის“ დროს რეპრესიული აპარატი სამართლებრივი მექანიზმების ნაცვლად ძალადობრივ ინსტრუმენტებზე იყო დამყარებული. იყო შემთხვევები, როდესაც დაკავებულები თვითმკვლელობამდე მიდიოდნენ. ერთ-ერთი ასეთი შემზარავი ფაქტი მოხდა საქართველოში, როცა დაკითხვის შემდეგ მოწმე ფანჯრიდან გადახტა. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ „დიდი ტერორის“ პერიოდის გამოძიებები მეტწილად არ ეყრდნობოდა სამართლებრივ პრინციპებს და წარმოადგენდა ძალადობრივად მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ „სისტემურ რეპრესიას.“

1937 წლის „დიდი წმენდა“ ერთი წლის განმავლობაში საკმარისი აღმოჩნდა პარტიის შიგნით რეალური თუ წარმოსახვითი ოპოზიციის სრულად ლიკვიდაციისთვის. სტალინურმა პოლიტიკამ, რომელიც უკვე 1930-იანი წლების დასაწყისში კოლექტივიზაციის პროცესს მოჰყვა, არა მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების დრამატული ტრანსფორმაცია გამოიწვია, არამედ საფუძველი დაუდო მოსახლეობის მასობრივ გადასახლებას, ქონების კონფისკაციასა და ყოფითი უსაფრთხოების დანგრევას.

რეპრესიებმა განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ინტელიგენციას: საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ე.წ. „წითელი ინტელიგენციის“ ფენა, რომელიც საჯაროდ ამართლებდა ბელადის პოლიტიკას, მაშინ როცა სხვა მეცნიერები, მწერლები და ხელოვანები ფიზიკურად განადგურდნენ ან იძულებით დუმდნენ. შედეგად, ტერორი შეეხო არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ მთლიან საზოგადოებას, დაანგრია ოჯახები, დაამახინჯა თაობათა მეხსიერება და შიში ყოველდღიური ცხოვრების ნორმად აქცია.

გადასახლებიდან დაბრუნებულები ხშირად გაუცხოებულნი რჩებოდნენ საკუთარ გარემოსა და ახლობლების მიმართ, ვერ ეგუებოდნენ ახალ რეალობას და დუმდნენ არჩევდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ კვლავ რეპრესიების მსხვერპლად ქცევა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ზეპირი ისტორიების შეგროვება და მომავალ თაობებს დაუტოვა ფრაგმენტული ცოდნა საკუთარი ოჯახის ტრაგიკული წარსულის შესახებ. მიუხედავად ამისა, გარკვეულ ჯგუფებში მაინც არსებობდა კულტურული წინააღმდეგობის ფორმები: ხელოვნებამ და ლიტერატურამ იქცა სივრცედ, სადაც შესაძლებელი იყო რეჟიმის მიუღებლობის შეფარული გამოხატვა. ამდენად, „დიდი ტერორის“ კვლევა ცხადყოფს, რომ რეპრესიები მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტების განადგურებას არ ემსახურებოდა, არამედ მიზნად ისახავდა მთლიანად საზოგადოების მორალურ გატეხას და მისი მორჩილი, კონფორმისტული მოდელის ჩამოყალიბებას.

პოსტსაბჭოთა რეალობაში კვლავ თვალშისაცემია ის მემკვიდრეობა, რაც საბჭოთა რეპრესიებმა დატოვა: დამახინჯებული ისტორიული ნარატივი, სიჩუმე რეპრესირებულთა ოჯახებში, დაუმუშავებელი კოლექტიური ტრავმა და საზოგადოებრივი კონფლიქტი საკუთარი წარსულის შეფასებისას. ლუსტრაციის შეუძლებლობა და ეროვნული საკითხის ობიექტური გააზრების სირთულე უკავშირდება სწორედ იმ გარემოებას, რომ საზოგადოება ხშირად არ არის მზად აღიაროს, რომ მისი წინაპრები იყვნენ როგორც მსხვერპლნი, ისე დამნაშავენი.

ამიტომაც, XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიები საქართველოში უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც პოლიტიკური ისტორიის ნაწილი, არამედ როგორც ეროვნული საკითხის გადამწყვეტი კომპონენტი. საქართველოს უახლესი ისტორიის კრიტიკული შესწავლა, განსხვავებული მოსაზრებების გააზრება და

მეხსიერების პოლიტიკის გადაფასება აუცილებელია, რათა საზოგადოებამ შეძლოს
ტოტალიტარული მემკვიდრეობის დაძლევა და ეროვნული იდენტობის გაძლიერება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბექიშვილი ნ. რედაქტორი, დაკარგული ისტორია, მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ, თბილისი: sovlab, 2012.
2. ბექიშვილი ნ. რედაქტორი. „ალჟირის“ პატიმართა პორტრეტები-სტალინიზმის ისტორიიდან, შემდგენელი: ნინო ლეჟავა, გამომცემლობა: ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო. 2008.
3. ბლოველი ტ. კლიენტელიზმი და ეროვნება ნესტორ ლაკობას საბჭოთა აფხაზეთში. თარგმანი: ქეთი ქანთარია, გამომცემლობა: ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო, თბილისი. 2024.
4. ბულაძე ლ. საქართველო იოსებ სტალინის წინააღმდეგ“, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2024.
5. გუნია ავ. საქართველოს სსრ ინდუსტრია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი: 1972.
6. დავითაშვილი ს. ეკონომიკური მუშაობა კოლმეურნეობაში, თბილისი: განათლება, 1971.
7. ენუქიძე ა. არალეგალური ბოლშევიკური სტამბები, თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1933.
8. ვადაჭკორია შ. ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წწ), გამომცემლობა უნივერსალი. 2020.
9. თოიძე ლ. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999.
10. იუნგე მ., თუმურაშვილი ო., ბონვეჩი ბ., (შემდგენლები) ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. ორ ტომად. ტ. 1: დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში, 2015. ტ. 2: დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში, მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი. 2015.
11. იუნგე მ., ბონვეჩი ბ., მიულერი დ. ეთნოსი და ტერორი საქართველოში, მთარგმნელი: ესმა მანია. გამომცემლობა ინტელექტი. 2015.
12. ირემაშვილი, ი. სტალინი და საქართველოს ტრაგედია. უცნობი ირემაშვილი, რედ. კუხიანიძე დარეჯან, თბილისი: შპს ფავორიტი, 2006.

13. კურტუა ს., ვერთი ნ., პანე ჟ-ლ., პაჩკოვსკი ა., ბარტოსევი კ., მარგოლენი ჟ-ლ. კომუნიზმის შავი წიგნი: დანაშაულები, ტერორი, რეპრესია, მთარგმნელები: პაატა ჯავახიშვილი, მზადვე დობტურიშვილი, მზია გომელაური, ირინა ლაბაძე, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011.
14. კაჭარავა, ი. ა. კოჭლავაშვილი, ი. მირცხულავა [და სხვ.] საქართველოს ისტორიის ნარკვევები: საქართველო XX საუკუნის 20- 30 იანი წლებში, ტომი 7, რედაქტორი: კაჭარავა იური. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1976.
15. კვერენჩილაძე, რ. მწერალი და ცხოვრება (მარადიულ თემებთან დაბრუნება), თბილისი: უნივერსალი, 2016.
16. კირთაძე, ნ. 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი. 1996.
17. მარქსი, კ. კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1974.
18. მახარაძე, ფ. უდიდესი გარდატეხის ხანა სოფლის მეურნეობაში. N18. „კოლექტივიზაცია“-ს ბიბლიოთეკა. თბილისი: 1930.
19. მირცხულავა, ი. საქართველოს ისტორია ტომი 3. რედაქტორი: ნ. ბერძენიშვილის თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა: „საბჭოთა საქართველო“. 1960.
20. მონტეფიორე, ს., ს. სტალინი წითელი მეფის კარი, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012.
21. ნათმელაძე, მ., ათანელაშვილი ა., ბაბალაშვილი ი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები : 8 ტომად. ტ. 8, საქართველო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის, ომის შემდგომი აღდგენის, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წლებში (1941-1975 წწ.), ტომის რედაქტორები: ნიკოლოზ სტურუა, მაყვალა ნათმელაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1980.
22. ორჯონიკიძე, გ. ამიერკავკასიის შესახებ. სიტყვები და სტატიები 1911-1926 წწ. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1986.

23. ოქუაშვილი, ა. ჩემი მოგონებები, რედაქტორი მედეა იმერლიშვილი; არასამთავრობო ორგანიზაცია „შენ დემოკრატიისთვის“, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია - SovLab. თბილისი: შენ დემოკრატიისთვის, 2017.
24. ჟვანია, გ. ეგრეთ წოდებული "ნაციონალ-უკლონიზმის შესახებ, თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1990.
25. რამიშვილი ი. მოგონებები, რედაქტორი გელა საითიძე, თბილისი: არტანუჯი, 2012.
26. სნაიდერი ტ. სისხლიანი მიწები: ევროპა ჰიტლერსა და სტალინს შორის, მთარგმნელი გიორგი გურეშიძე, ფონდი: Heinrich Boll Stiftung South Caucasus. თბილისი : საუნჯე, 2014.
27. სტალინი, ი. ლენინიზმის საკითხები, თბილისი: სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი. 1952.
28. სტალინი, ი. მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხები : რჩეული სტატიების და სიტყვების კრებული, მთარგმნელი ა. საყვარელიძე ; რედ.: კ. ორაგველიძე. ტფილისი : პარტგამომცემლობა.1934
29. სტალინი, ი. მარქსიზმი და ნაციონალური საკითხები, თბილისი: სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, 1955.
30. სტალინი, ი. თხზულებანი: 1927 აგვისტო- სექტემბერი, ტ. 10, თბილისი: სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, 1950.
31. სტალინი, ი. თხზულებანი: 1928- მარტი 1929. ტ. 11. თბილისი: სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, 1950.
32. სტალინი, ი. თხზულებანი: 1930 ივლისი - 1934 იანვარი, ტ. 13, თბილისი: სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, 1952.
33. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია. თბილისი : სახელმწიფო გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1961.
34. სურგლადე ა. ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917-1921წ.წ), გამომცემლობა თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1954.
35. სურმანიძე, რ. ტრაგედია ბათუმში (1937-1938 წლები), რედაქტორი როინ მალაყმაძე, თბილისი: ივერიონი. 2014.

36. სმითი ე-დ. ნაციონალური იდენტობა, გამომცემლობა, თბილისი: ლოგოს პრესი. 2008.
37. სუნი რ-გ. ქართველი ერის ჩამოყალიბება, მთარგმნელი: ქეთი ქანთარია თბილისი: გამომცემლობა ზიარი. 2022.
38. ფოიხტვანგერი, ლ. მოსკოვი 1937. მთარგმნელი: გიორგი ბეჟუაშვილი, თბილისი: მერანი. 1991.
39. ქავთარაძე, ლ. 28 წელი გულაგში : მოგონებები, ესეი, მოთხრობები, წერილები, ავტორ-შემდგენელი გია ჭუბაბრია, გამომცემლობა: პეგასი : Memoria, 2008.
40. ქიქოძე, გ. მოგონებები; განთიადიდან შუადღემდე: სიტყვები და წერილები, თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1956.
41. ქიქოძე გ. თანამედროვის ჩანაწერები. თბილისი: არეტე, 2003.
42. შევარდნაძე, ე. ფიქრი წარსულსა და მომავალზე : მემუარები, თბილისი: პალიტრა L 2006.
43. შინამრეწველობისა და ხელოსნობის კოლექტივიზაცია- სარეწაო კავშირი გამოცემა- თბილისი, 1930
44. ჩარკვიანი კ. სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები. რედაქტორი: გელა ჩარკვიანი, გამომცემლობა, თბილისი: არტანუჯი. 2015.
45. ხორავა, ბ., ჭანტურია ნ. აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991, გამომცემლობა უნივერსალი, 2019.
46. ხვადაგიანი, ი. პირისპირ Volume 1 ზეპირი ისტორიები საბჭოთა ტერორზე ოკუპაციიდან კოლექტივიზაციამდე 1921-1935, თბილისი: საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2019.
47. ხლევნიუკი, ო. სტალინი: დიქტატორის ახალი ბიოგრაფია, მთარგმნელი: თამარ კოტრიკაძე. გამომცემლობა, თბილისი: არტანუჯი. 2022.
48. ჰობსბაუმი, ე. ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან: პროგრამა, მითი, რეალობა. მთარგმნელი: სანდრო გაბისონია, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2012.

საარქივო დოკუმენტები:

49. საქართველოს შსს არქივი. ბუდუ მდივანის საქმე, ფონდი 6, საარქივო საქმე 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75 შსს არქივი წიგნი 1.

50. საქართველოს შსს არქივი. ბუღუ მდივანი- ფ. 6, ნ. 36224, საქმე 29986, ყუთი 72-75, ტ. 2.
51. საქართველოს შსს არქივი. ფონდი 6, N 36216-07, საქმე 29 990.
52. საქართველოს შსს არქივი. ბუღუ მდივანი- ფ. 6, საარქივო N 36224, საქმე 29986, ტ. 9.
53. საქართველოს შსს არქივი. მიხეილ ანასტას ძე მკურნალი, ფონდი 16, აღწ. 12, საქმე 83.
54. საქართველოს შსს არქივი პარტიული კომუნისტების დოკუმენტების შემოწმება, მახარაძის რაიონული ორგანიზაცია 1935-1936 წწ. ფონდი 14 ა.9. ს. 119, გვ 127-128.
55. საქართველოს შსს არქივი ფ. 37394, ყ. 135, ო. 34, ტ. 1, გვ. 136.
56. საქართველოს შსს არქივი ფ. 6. 395, ყ. 136 35, ტ. 1 გვ. 176.
57. საქართველოს შსს არქივი ფ. 6. 37364, ყ. 125 , ო. 4 , ტ.1 გვ.11.
58. საქართველოს შსს არქივი ფ. 6 . ნ. 37364, ყ. 125, ო. 4, ტ. 1, გვ. 49.
59. საქართველოს შსს არქივი ფ. 6. ნ. 37364, ყ. 125, ო. 4. ტ. 1 გვ. 12.
60. საქართველოს შსს არქივი ფ. 6. ნ. 37394. ყ. 135, ოქმი 34, ტ.1, გვ. 44.
61. საქართველოს შსს არქივი ფ. 14 ს. 177, ა. 33, გვ. 22.
62. საქართველოს შსს არქივი ფ 6, ნ. 36 216-07, ს. 29 990.
63. საქართველოს შსს არქივი ფ 6, ნ. 28526, ს. 3584-58.

უცხოენოვანი წყაროები:

64. Arch Getty J., Naumov O.,V. Yezhov: The Rise of Stalin's "Iron Fist", Yale University Press, 2008.
65. Arne H. the establishment of national Republics in soviet central Asia, Palgrave Macmillan; 2003rd edition.
66. Arendt, H. The Origins of Totalitarianism. New edition with added prefaces. San Diego, New York, and London: Harcourt Brace Jovanovich, 1973.
67. Blauvelt T. Abkhazia: Patronage and Power in the Stalin Era, Nationalities Papers, Volume 35, Issue 2, May 2007, pp. 203 – 232.
68. Gregory R. P. the Political Economy of Stalinism, Cambridge University Press; 1st edition. 2003.

69. knight A. Beria: Stalin's First Lieutenant, Publisher: Princeton University Press; Reprint edition, 1995.
70. Kotkin S. Magnetic mountain: Stalinism as a civilization, Berkeley: University of California Press, 1997.
71. Rayfield D. Stalin and His Hangmen: An Authoritative Portrait of a Tyrant and Those Who Served Him, Publisher : Penguin Books; New Ed edition, 2005.
72. Rosenberg, W. G. "Introduction: NEP Russia as a 'Transitional' Society." In *Russia in the Era of NEP: The Problem of Class Identity in NEP Society*, edited by Sheila Fitzpatrick, xi-xx. Bloomington: Indiana University Press, 1989.
73. Suny R., G. Stalin and his Stalinism: Power and Authority in the Soviet union, 1930-1953 , Edited by David L. Hoffman, „Stalinism, The Essential Readings“, 2003. (83. 9-34)
74. priestland, D. Stalin, A new history, (p. 181-202)- Stalin as Bolshevik romantic: ideology and mobilisation, 1917–1939, edited by sarah davies and james harris, Cambridge university press 2005
75. Paul R. Gregory „The Political Economy of Stalinism“, , Cambridge University Press; 1st edition (October 27, 2003)
76. Pipes R. *Russia under the bolshevik regime of stalin*, New York: Vintage, 1995.
77. Shukman H. *Redefining Stalinism*. London: Francis Cass, 2003
78. Toria, M. The Soviet occupation of Georgia in 1921 and the Russian–Georgian war of August 2008: Historical analogy as a memory project, In book: *The Making of Modern Georgia, 1918–2012: The first Georgian Republic and its Successors*. Ed. by Stephen F. Jones. (pp.316-336) Publisher: Routledge, Taylor & Francis Group, 2014.
79. Ахалая И. Д. Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение советской власти (февраль 1921 г.-март 1922 г.): Сб. док. и материалов / Архив. упр. при Совете министров Грузинской ССР, Архив. отд. при Совете министров Абхазской АССР; Сухуми: Абгосиздат, 1963.
80. Верт, Н. С.В. Мироненко. История сталинского Гулага. Конец 1920-х — первая половина 1950-х годов: Собрание документов в 7 т. Т. 1. Массовые репрессии в СССР, Москва, РОССПЭН, 2004.
81. Ивницкий Н. А. Судьба раскулаченных в СССР, Москва: Собрание, 2004.

82. Ширер Р. Д. Сталинский-военный-социализм.-Репрессии-и-общественный-порядок в Советском Союзе-1924-1953-гг. Политическая энциклопедия Москва (2014)
83. Редакционная коллегия тома: Н. Ивницкий (ответственный редактор), В. Виноградов, Л. Виола, В. Данилов, Л. Двойных, И. Зеленин, С. Красильников, Р. Маннинг, О. Наумов, Е. Тюрина, Хан Чжонг Сук. ТРАГЕДИЯ СОВЕТСКОЙ ДЕРЕВНИ. Коллективизация и раскулачивание. Документы и материалы. Том 2, ноябрь 1929 — декабрь, РОССПЭН, 2000.
84. Гайдар Е. Гибель империи. Уроки для современной России. М.: Издательство АСТ: Corpus, 2021.
85. Capello A. Project Coordinator: Zurab Lakerbaia Project Manager: Omar Tushurashvili. Большой террор в Абхазии (Абхазская АССР): 1937-1938 гг. Том I - II - III, Project Year: 2017.
86. Гайсинский М. БОРЬБА С УКЛОНАМИ ОТ ГЕНЕРАЛЬНОЙ ЛИНИИ ПАРТИИИ. Исторический очерк внутрипартийной борьбы после октябрьского периода. МЛРД "Рабочий путь", 2018 г.
87. Исмаилов Э. История «большого террора» в Азербайджане— Москва: Политическая энциклопедия, 2015.
88. Игнатов В. Палачи и казни в истории России и СССР, Издательский дом: Вече, 2013.
89. История и сталинизм. Сборник статей. Сост: Мерцалов А.Н., М. Политиздат, 1991.
90. Смирнов Н.Г. Рапава, Багиров и др. Антисталинские процессы 1950-х гг. Москва: Аиро-XXI, 2014.
91. Юнге, М. Б. Бонвеч, Р. Биннер, Сталинизм в советской провинции: 1937 - 1938 гг. : массовая операция на основе приказа № 00447, Фонд первого Президента России Б. Н. Ельцина 2009.
92. Тренин П. Б. (Редак.) 1937-1938. Операции НКВД. Архивы Сибири. Под грифом "секретно". Сб. документов и материалов . Водолей Publishers. Томск- Москва, 2006.

93. Хаустов В. Л. Самуэльсон. Самуэльсон Л. Сталин, НКВД и репрессии 1936-1938 гг. М: Российская политическая энциклопедия (РОССПЭН); Фонд первого Президента России Б. Н. Ельцина, 2010.

94. Хаустов В. Дело Берия. Приговор обжалованию не подлежит; Международный фонд "Демократия" — М: МФД Россия. XX век. Документы, 2012.

ელექტრონული წყაროები :

95. „ახალი ამბების განყოფილება.“ ივერია, №71, 13 მაისი, 1897, გვ. 2. წვდომა: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/69804/1/Iveria_1897_N71.pdf.

96. „აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტულ-სააჯანყებო, ჯაშუშური ორგანიზაციის პროცესი“. კომუნისტი 1(1937), N 250, გვ 3. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/284950>

97. „აღმოვფხვრათ ჩამორჩენა საქ. მძიმე მრეწველობაში“. კომუნისტი, 15 (1933), N87, გვ.1 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334019/1/Komunisti_1933_N87.pdf

98. არჩევნების წარმატება საარჩევნო უბანში წყდება. კომუნისტი, 20(1937), N 264. გვ.1 https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/284974/1/Komunisti_1937_N264.pdf

99. ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა 4 თებერვლის საღამოს სხდომაზე. „კომუნისტი“, 9(1934), N34, გვ. 3.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334535/1/Komunisti_1934_N34.pdf

100. აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო ხელშეკრულება 23 (1922) კომუნისტი, 1922, გვ. 2

https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/309185/1/Komunisti_1922_N43.pdf

101. „ახალი ეკონომიკური პოლიტიკისკენ.“ კომუნისტი, №190 (20), 1921, გვ. 1. წვდომა: https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/162724/1/Komunisti_1921_N190.pdf

102. ამხ. ნესტორ ლაკობა, მთავრობის ცნობა. კომუნისტი, 29 (1936), N 301, გვ. 1. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/338326/1/Komunisti_1936_N301.pdf

103. ბერძენიშვილი, ლ. „სტალინი- ვერშემდგარი მწერალი.“ *ლიბერალი*, 28 თებერვალი, 2018. წვდომა: 6 იანვარი, 2023. <https://liberali.ge/articles/view/34624/stalini--vershemdgari-mtserali>.

104. ბერია, ლ. „დიდი სტალინი- ორგანიზატორი ბათუმის ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა.“ კომუნისტი 10(1937):N10.
https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/334939/1/Komunisti_1937_N10.pdf.
105. ბერია, ლ. „სიტყვა, ქალაქ თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის საერთო-საქალაქო წინასაარჩევნო კრება.“ კომუნისტი, 10(1937), N281, გვ.2.
https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/285227/1/Komunisti_1937_N281.pdf
106. ბერია, ლ. „საქ. კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენება, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ყრილობაზე 1934 წლის 10 იანვარს“. კომუნისტი, 12 (1934), N11
https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/334510/1/Komunisti_1934_N11.pdf
107. ბუაჩიძე. 1 400 000 ტონა მარგანეცი- ასეთია დავალება, 10(1934), N9, გვ 3.
https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/334508/1/Komunisti_1934_N9.pdf
108. გოგიაშვილი, ე. ეხმაურებიან ბოდბელების გამოწვევას. (ზესტაფონი „კომუნისტის“ საკ.კორესპონდენტისაგან) 12(1937) კომუნისტი, გვ. 2.
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/284819/1/Komunisti_1937_N234.pdf
109. განაჩენი: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით სსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური სესიის განაჩენი. კომუნისტური განათლება, 30 (1937),N81,გვ.2-3
https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/264514/1/Komunisturi_Ganatileba_1937_N81.pdf
110. განაჩენი: საქართველოს სს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოსა და საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის ორგანოებში მეცხოველეობის დარგში მოქმედი კონტრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ჯაშუშურ-სააჯანყებო ორგანიზაციის საქმის გამო. კომუნისტი, 8(1937), N279, გვ. 3-4
https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/285221/1/Komunisti_1937_N279.pdf
111. გვარჯალაძე, კ. ტერორი საქართველოში. „ბრძოლის ხმა“, ოქტომბერი (1937),N74,გვ1
https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/37029/1/Brdzolis_Xma_1937_N74.pdf
112. დეკრეტი N2. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის არმიისა და სახალხო გვარდიის საერთო დემობილიზაციისა და დათხოვნის შესახებ. კომუნისტი. 2(1921),N1გვ.1

https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/274221/1/Komunisti_1921_N1.pdf

113. ვარამაშვილი მოსე სიმონის ძე. სტალინური სიები, (წვდომის თარიღი:13 ნოემბერი, 2023).<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=1593>

114. თბილისი უნდა გადავაქციოთ ამიერკავკასიის სანიმუშო ქალაქად. კომუნისტი, ამხ. ბერიას მითითებები მთლიანად რეალიზაციისთვის. 5 (1934), N 5. გვ. 3.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334503/1/Komunisti_1934_N5.pdf

115. თხელიძე, თამთა. „საბჭოთა საქართველოს კოლექტივიზაციის გამოცდილება: სახელმწიფოს ძალაუფლება და ეკონომიკური გარდაქმნა,“ History, Archaeology, Ethnology, no. XIII (2025), <http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/675>

116. კველიშვილი, ბ. (1905-1938),idfi.ge. წვდომის თარიღი: 31 აგვისტო 2024
https://www.idfi.ge/archive/?cat=read_topic&lang=ka&topic=113

117. „კოლექტივიზაცია“, №14, 5 მარტი, 1930. თბილისი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

118. „კოლექტივიზაცია“, №155, 12 იანვარი, 1931. თბილისი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი,

119. „კოლექტივიზაცია“, №161, 24 იანვარი, 1931. თბილისი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი,

120. „კოლექტივიზაცია“, №163, 28 იანვარი, 1931. თბილისი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

121. „კოლექტივიზაცია“, №31, 1931, 5 მარტი. თბილისი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

122. „კოლექტივიზაცია“, №32 19 აპრილი, 1930. თბილისი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

123. კონტრ-რევოლუციური გმირების განავარდება. კომუნისტი, 3(1921), N 202. გვ.1
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/163072/1/Komunisti_19ne_N202.pdf

124. კვირიკაძე, ვ. ბოლშევიკური სიფხიზლის დროში. კომუნისტი, 16(1937), N 110
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/335244/1/Komunisti_1937_N110.pdf

125. კაპიტალიზმის რესტავრატორთა ტროცკისტული ხროვა. „კომუნისტი“, 27(1937),N2,გვ.1.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334952/1/Komunisti_1937_N21.pdf

126. ლოსაბერიძე, პ. წარმოებითი პროფკავშირებში, „უსამართლობის მამხილებლის“ საპასუხოდ. კომუნისტი 17(1921), N 239, გვ. 3.
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/163282/1/Komunisti_1921_N239.pdf
127. „მემარჯვენე პლათფორმის დამარცხება (‘პრავდას’ მოწინავე წერილი).“ კომუნისტი, №250 (2), 1926, გვ. 1. წვდომა:
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/328981/1/Komunisti_1926_N250.pdf.
128. მიწიშვილი, ნ. სტალინი. კომუნისტი, 5(1934), N5. გვ.2.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334503/1/Komunisti_1934_N5.pdf
129. მახარაძე, ფ. რისთვის გაიქცნენ? კომუნისტი, 26 (1921) N 20, გვ. 1.
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/274247/1/Komunisti_1921_N20.pdf
130. ნატურგადასახადი გროვდება. „კომუნისტი“ 29(1921), N198, გვ.1.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/162732/1/Komunisti_1921_N198.pdf
131. „პარტიული ცხოვრება, თბილისის ორგანიზაცია მთლიანობის სადარაჯოზე“, კომუნისტი, 20(1926), N266, გვ. 2.
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/329022/1/Komunisti_1926_N266.pdf
132. „რატომ არის ოპოზიციის გადახრა სოციალ-დემოკრატიული („პრავდას“ მოწინავე წერილი)“, კომუნისტი 4 (1926) N 252, გვ. 1
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/328983/1/Komunisti_1926_N252.pdf
133. რევოლუციონური მართლ-მსაჯულება, წითელი არმიელი, 15 (1922), N 93, გვ.1.
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/42412/1/Witelarmieli_1922_N93.pdf
134. რევოლუციური კომიტეტის წესდება. კომუნისტი, 27(1931), N 48, გვ. 2.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/331316/1/Komunisti_1931_N48.pdf
135. რუხაძე, ლ. საქართველოს მსუბუქი მრეწველობა ოქტომბრის XX წლისთავზე. კომუნისტი, 23(1937), N243, გვ 3.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284940/1/Komunisti_1937_N243.pdf
136. „სურსათი.“ კომუნისტი, №191 (21), 1921, გვ. 1. წვდომა:
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/162725/1/Komunisti_1921_N191.pdf
137. „სენაკის სამაზრო პარტ ორგანიზაციის გამწმენდი კომისიის მუშაობა, აბაშის რაიონი.“ კომუნისტი, №198 (29), 1921, გვ. 2. წვდომა:
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/162732/1/Komunisti_1921_N198.pdf.

138. „საბრალდებო დასკვნა“. კომუნისტი, 30(1937), N249 გვ. 2-3-4,
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284947/1/Komunisti_1937_N249.pdf
139. საბჭოთა ამიერ-კავკასია მეორე ხუთწლედის მარგალიტია („პრავდას“ 15 იანვრის წერილი). კომუნისტი, 16(1934), N15. გვ.1.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334514/1/Komunisti_1934_N15.pdf
140. საბჭოთა აფხაზეთი. კომუნისტი, 9(1934), N8. გვ.3.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334506/1/Komunisti_1934_N8.pdf
141. „საბჭოთა აფხაზეთი“, №20, 28 სექტემბერი, 1937. სოხუმი: აფხაზეთის სახელგამის სტამბა.
142. საბჭოთა აფხაზეთი“, №46, 29 ოქტომბერი, 1937. სოხუმი: აფხაზეთის სახელგამის სტამბა.
143. სამოხინი მ. დ. ახალი ამოცანების წინაშე, 21 ოქტომბერი, 1937 წ, საბჭოთა აფხაზეთი, სოხუმი: აფხაზეთის სახელგამის სტამბა .
144. საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში. კომუნისტი, 1(1937), N273, გვ 4.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/285211/1/Komunisti_1937_N273.pdf
145. საქართველოს მსუბუქ მრეწველობას- მაღალი ტემპები. 29(1932), N301, გვ. 1.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/336337/1/Komunisti_1932_N301.pdf
146. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით სსსრ უზენაესი სასამართლოს განაჩენი. „კომუნისტი“ 30(1937), N81
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/264514/1/Komunisturi_Ganatileba_1937_N81.pdf
147. „ტარტაროზი“, №7, 16 თებერვალი, 1930.რედ. სარ კოლეგია: გაზ. „მუშას“ გამოცემა. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/280996/1/Tartarozhi_1930_N7.pdf.
148. „უხვი მოსავალი“. კომუნისტი, 28(1937), N 247, გვ1.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284944/1/Komunisti_1937_N247.pdf
149. „ერონიკა, საქართველოს კოოპერაცია“. კომუნისტი, №236 (14), 1921, გვ. 3. წვდომა: https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/163275/1/Komunisti_1921_N236.pdf
150. ქვეწარმავალნი გასრესილი არიან. კომუნისტი, 05 (1937), N 253. გვ. 1.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284957/1/Komunisti_1937_N253.pdf
151. შაფირი, ი. მენშევიკური სამეფოს საიდუმლოებანი. „კომუნისტი“, 17(1921), N239, გვ.3 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/163282/1/Komunisti_1921_N239.pdf

152. ცინცაძე, პრ. მავნებლები ფერმიდან, 21 (1937) „კომუნისტი“, გვ. 3
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/335278/1/Komunisti_1937_N140.pdf
153. წერილი საქართველოდან. ბრძოლის ხმა მაისი(1937), N71, გვ. 2
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/37023/1/Brdzolis_Xma_1937_N71.pdf
154. ჭიჭინაძე, ბ. „ჩვენი მრეწველობა“. კომუნისტი 7 (1926), № 255, გვ. 2.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/328987/1/Komunisti_1926_N255.pdf
155. Верховный Суд утвердил решение о ликвидации Международного Мемориала, memo.ru 28 თებერვალი, 2022, (წვდომის თარიღი: 23 აპრილი, 2023)
<https://www.memo.ru/ru-ru/memorial/departments/intermemorial/news/690>